ელგუჯა თავბერიძე

ნისლის ტიხარი

დავით მიქელაძის სხოვრების ქრონიკა

საგამომცემლო ცენტრი
ქუთაისი
2009

მამა, შენ გიძღვნი, ამქვეყნად
შენი არყოფნის დღეებში დაწერილ ამ წიგნს.
ავტორი.

დავით მიქელაძე (მეველე) აქამომდე რომელიმე თხზულების, მითუმეტეს ბიოგრაფიული რომანის, პერსონაჟად არ ქცეულა. არადა, მისი ქარიშხლიანი ცხოვრება, მიწყივ ჩვენი თავის ჩვენადვე კუთვნების იდეის ქადაგება, უაღრესად საიმდროო, ამავდროულად საამდროო, ფიქრები მეტი ინტერესის საგანი უნდა ყოფილიყო ადრეც და ახლაც.

ელგუჯა თავბერიძის დოკუმენტური თხრობა მძაფრად გვაგრძნობინებს ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლი დავით მიქელაძის სულისკვეთებას, ცხოვრების ოკეანის თავბრუდამხვევ ზვირთებში ჭეშმარიტი მიზნის — მამულისათვის ზრუნვის ხანიერებასა და მარადიულობას.

რედაქტორი **თემურ ამყოლაძე**

მხატვარი **ავთანდლილ აბესაძე**

© ელგუჯა თავბერიძე, ნისლის ტიხარი

პროლოგის მაგიერ

სერგეი მესხი, რედაქტორი „დროებისა“, უცხოეთში წავიდა და იქ რამდენიმე თვეს დარჩება, უცხოეთშივე მიემგზავრება ისტორიისა და ფილოლოგიის შესასწავლად გიორგი წერეთელი, „დროებას“ კირილე ლორთქიფანიძე ურედაქტორებს, ეს არც ისე სახარბიელო ამბავია, მაგრამ სასიხარულო ის გახლავთ, რომ საზღვარგარეთიდან ახლახან დაბრუნდა „პარიჟული წერილებისა“ და „თანამედროვე შენიშვნების“ ავტორი დავით მიქელაძე, რომელიც აღარ მოგაწყენთ თავისი მშვენიერი სტატიებით—წერდა გაზეთი „დროება“ 1873 წელს.

ისინი იქ წავიდნენ, გაზეთს ეს ურედაქტორებს, მაგრამ სასიხარულო ისაა, რომ დავით მიქელაძე დაბრუნდაო. ამოდენა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თანამედროვენი მეველის ღვაწლსა და ამაგს „დროებაში“. ასე იყო „ივერიაშიც“, გაზეთი სულაც მასზე ჰქონდათ მინდობილი, ესეც არ ღალატობდა, ეროვნულ გეზს განუხრელად იცავდა.

ქრესტომათიული აზრით დავიწყოთ — მეცხრამეტე საუკუნის ქართული პუბლიცისტიკის ისტორია წარმოუდგენელია დავით მიქელაძის მძაფრი, პოლემიკური, საკაცობრიო ცოდნით გაჟღენთილი და ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული წერილების გარეშე.

არსებობენ დიდი მწერლები, მაგრამ, საეჭვოა, ყოფილიყვნენ ისინი ისეთნი, რომ არა დავით მიქელაძის მსგავსნი თანამებრძოლნი, ერთგულნი ჯარისკაცნი, გუშაგნი მათი და თავიანთი საქმისა, — წერდა ელგუჯა მაღრაძე მეველისადმი მიძღვნილ მონოგრაფიულ გამოკვლევაში.

მართლაც ასეა.

4

თითქოსდა ნისლის ტიხარი ჩამოფარებიაო, ტიხარს აქეთ მუდმივ მოკაშკაშენი, იქით ნისლის სითეთრეში მიჩქმალულნი — ნისლის ტიხარს აქეთ და იქით...

დავით მიქელაძე ნისლის ბურუსში ჩარჩენილი სახელ-გვარია. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ თანამედროვეთა (და არა მარტო მათი თვალთახედვით) იყო მძაფრი პოლემიკოსი, დაუნდობელი გამქარწყლებელი მცდარი აზრისა. ამიტომაც ბევრს არ უყვარდა, უფრო იმათ არ ეხატებოდა გულზე, ვისაც მისი ბასრი კალამი შეეხებოდა. ფსევდონიმიც რა უბრალო და საქვეყნო ტკივილის გამომხატველი აირჩია—მეველე ნათესის, ბაღ-ვენახის მცველს ნიშნავს. ისიც ერთი გამორჩეული მცველთაგანი იყო, ერთგული გუშაგი მამულისა.

საინტერესო პუბლიცისტიც, პიროვნებაც, ზოგისთვის ახირებული, თავისებური, უცნაური ხასიათისა. სინამდვილეში მამულის ჭირ-ვარამით გულგასენილი. ეროვნულად მოაზროვნენი საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ მასზე, ჩვენში ევროპული კულტურის ერთ-ერთ დამამკვიდრებლად თვლიდნენ, კლასთა ბრძოლის თეორეტიკოსები კი პირიქით — აძაგებდნენ, ძირითადად ფსევდონიმის შინაარსზე აგებდნენ ფუნაგორიებს:

„რომელ ყანას ყარაულობს,
ან ვისთვისა ჰკიოდაო,
ამის ნათესს მორევია
ლენცოფა და ჭიოტაო“.

ან კიდევ:

„შენ მეველეთ არ ვარგიხარ,
ბანბა ხარ და ბანბის ქულა,
რაც ოხერი ნახირია
შენს ყანაში შემოსულა“.

დავით მიქელაძე ამათ ნათქვამს ყურადღებას არ აქცევდა, ფიქრობდა და წერდა ისე, როგორც გონება კარნახობდა, როგორც მის ერს ჭირდებოდა.

მოწინააღმდეგენი იმას უკიჟინებდნენ, რაც დავით მიქელაძისთვის სისხლხორცეულად ახლობელი იყო. გაჰკიოდნენ,— შენნაირი მცველ-გუშაგნი და მეველენი რომ ჰყავს ჩვენს ქვეყანას, ამიტომაცაა უბედურად ჩვენი საქმეო.

რისთვისაც ძალასა და ენერგიას არ ზოგავდა, იმას უკნინებდნენ, უმცრობდნენ.

მეველე თავისას აკეთებდა, წერდა და ფიქრობდა ისე, როგორც მის დამონებულ ქვეყანას ჭირდებოდა.

უამრავი საკითხი, სატკივარი ქართულ სინამდვილეში პირველად გახმიანდა დავით მიქელაძის ნაწერებში, რაც სულაც არ იყო შემთხვევითი. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი სასწავლებელი არ დაუმთავრებია, საოცრად ახლოს იცნობდა დასავლეთის სახელმწიფოთა ცხოვრებას, ერკვეოდა საერთაშორისო ვითარებაში და აქედან გამომდინარე ფიქრობდა საქართველოზე, მის სავალალო ყოფაზე, რუსთაგან თავდახსნის გზებზე. იყო ილიას ერთგული მეგობარი, მისი აზრებისა და შეხედულებების გამორჩეული მცველ-გუშაგი.

ამიტომაც არ ინდობდნენ მეორე ბანაკის წევრები.

ქვეყნის ნამდვილი ჭირისუფლები აქებდნენ, მესამედასელები—პირიქით, ძრახავდნენ, კილავდნენ.

ერთი სიტყვით, ორი პოლუსი მეველის შეფასებაშიც აირეკლა იმთავითვე. დღეს კი მხოლოდ ლიტერატურის ისტორიკოსებს თუ დააინტერესებთ ეს დაპირისპირება, გაიხსენებენ, ვინ საით იდგა, ვინ ვის კილავდა და რატომ?

დავით მიქელაძე საინტერესო პუბლიცისტი იყო, საინტერესო კაციც, მისი წერილები მარადიული ღირებულებების მატარებელია, ცხოვრება—მისაბაძი. ამიტომაც ღირს, გავიხსენოთ ნაცნობი ფაქტები, მოვიძიოთ უცნობი ამბები, რომლებშიც კიდევ ერთხელ წარმოჩინდება ის, თუ რატომ დავინტერესდით მეველით, რა ხიბლი დარჩა, როგორც პუბლიცისტსა და როგორც კაცს.

თავი პირველი

ბუნებათანაზიარი

სამიქელაოში, მიქელაძეებით დასახლებულ კულაშის უბანში, რამდენიმეს ერქვა ალექსანდრე, რომელთაგან ყველას, ორის გარდა, მეორე სახელით უხმობდნენ და ამით განარჩევდნენ. ორი ალექსანდრე, სხვა სახელით კი არა, ზედსართავით შეუმკიათ, ერთისთვის ხვიხვინა, მეორისთვის—დიდი ალექსანდრე უწოდებიათ.

ალექსანდრე მიქელაძე 1818 წელს უნდა დაბადებულიყო. მამამისმა, ტარიელმა, მომავალში რუსეთის მოერთგულე შვილი ქართულზე უფრო, რუსულად აღზარდა. ბავშვობიდანვე შეასწავლა დამპყრობლის ენა, მათი წეს-ჩვეულებანი. ამიტომ იყო, რომ იშვიათად ეშლებოდა რაიმე. განსაკუთრებით იმათთან, რუსებთან, რომლებიც ხშირად მათთვის შეუძლებელს, გაუკეთებელს, ამას ანდობდნენ და ავალებდნენ.

ეს ახერხებდა, ისინი—ვერა, რამეთუ ამან აქაურთა ყოფაც, ხასიათიც, ბევრი სხვა რამეც მშვენივრად იცოდა და ჩამოხეტებულთა განწყობაშიც კარგად ერკვეოდა.

1841 წელს გურულ აჯანყებულებს დასდევდა, რომლებიც არა მარტო გადასახადების გადახდის ფორმის (ნატურის ნაცვლად ფულით გადახდა დააწესეს) შეცვლის გამო აჯანყდნენ, უპირველეს, რუსული მმართველობის წინააღმდეგ იბრძოდნენ, მათი მონობის კირთების ქვეშ ყოფნას ეწინააღმდეგებოდნენ.

თავადი წერეთელი ჩოხატაურის მხრიდან, ალექსანდრე მიქელაძე—ოზურგეთიდან ავლებდა მუსრს აჯანყებულებს. ორივენი თანამოძმეთა გაჟლეტით უმტკიცებდნენ რუსეთს

ერთგულებას. შეტაკების დროს ალექსანდრე ბარძაყში დაიჭრა, მაგრამ ბრძოლა არ მიუტოვებია, მებრძოლები საჯავახოსაკენ დაძრა და ჯერ ნაგომართან, შემდეგ ოზურგეთთან ჩახოცა აჯანყებულები. ნასაკირალთან წერეთლის რაზმს შეუერთდა, ორივემ კი, რა თქმა უნდა, რუსებთან ერთად, საბოლოოდ დაუსვეს წერტილი აჯანყებულთა ოცნებას—ქვეყნის რუსთაგან გამოხსნის მცდელობას.

ერთგულება დაუფასდა: სამხედრო ორდენის წარჩინების ნიშნით დააჯილდოვეს და კავკასიის საგანგებო კორპუსის იმერეთის ლაშქარში ჩარიცხეს.

ამის მერე იყო ბრძოლა უბიხთა დასამორჩილებლად. ასე რომ, ამ ტომის თავიანთი საცხოვრებლიდან აყრასა და გადაკარგვაში ალექსანდრე მიქელაძესაც მიუძღვის ბრალი. უბიხების მიწაზე გენერალ-მაიორ ანრეპის რაზმში იბრძოდა. ნოვოგინსკისთან სამდღიან ხელჩართულ ბრძოლაში მარჯვენა ბეჭში დაიჭრა, მაგრამ ესეც ვაუკაცურად გადაიტანა, მალე გამოჯანმრთელდა და ისევ ბრძოლაში ჩაება.

ორ სამხედრო ოპერაციაში ორი ჭრილობა მიიღო,—ჯერ მარცხენა ბარძაყი დაიზიანა, მერე მარჯვენა ბეჭი, ხან მარცხენა ფეხს იტკივებდა, ხან მარჯვენა მხარს, საქართველოში უკვე პრაპორჩიკის ჩინით ჩამოსული.

1847 წელს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა ესპეხომ თავისუფალ სვანეთში მულახ-იფარის პრისტავად განამწესა. არ იყო იმ დროს ეს იოლი საქმე. რუსეთის ერთგულებაგამოცხადებულ სვანეთში ყველაფერი ძველებურად ხდებოდა, ალექსანდრე სახელად იყო პრისტავი, ისინი იმას აკეთებდნენ და იმგვარად სჯიდნენ, როგორც საუკუნეების წინ.

ერთი წლის მერე წავიდა ესპეხო, მოვიდა ბელიავსკი, რომელმაც კარგად დაინახა ალექსანდრე მიქელაძის არაფრისმაქნისობა სვანეთში, გაათავისუფლა ამ მოვალეობისაგან და კულაშის პოლიციის უფროსობა დაავალა.

რუს კოლონისტთა წინააღმდეგ ამხედრებულ ლეკებს ებრძოდა. მონაწილეობდა ტამალდინსკის შეტაკებაში, სოფელ ჯურმუთის გადაწვასა და იქაურთა სახლების გაძარცვა-დარბევაშიც პოლკოვნიკ ანდრონიკოვთან ერთად იყო. მთიდან ლეკების ასაჯანყებლად ჩამოსულ ტაშიშ-აღასაც ებრძოდა სოფელ კალალოსთან, სადაც ერთ-ერთი შეტაკების დროს მტრის თოფის ტყვიით ორივე თვალი დაიზიანა, მაგრამ ამასაც გაუძლო, მარცხენაბარძაყმარჯვენაბეჭდაზიანებული და ორივე თვალში მხედველობადაქვეითებული იბრძოდა.

ესეც დაუფასეს. ჯერ პოდპორუჩიკის, მერე პორუჩიკის ჩინამდე აღამაღლეს და სვანეთის პრისტავობა დაავალდებულეს.

ამის მერე იყო ყირიმის ომი.

მაგრამ სანამ ამ ამბებზე ვიტყოდეთ რაიმეს, მეორე ალექსანდრე მიქელაძე, სხვებისაგან გასარჩევად ხვიხვინას რომ ეძახდნენ, გავიხსენოთ. რომელმა ალექსანდრემ, იკითხავდნენ ხშირად სოფელში—დიდმა თუ ხვიხვინამ? დიდმა, ბოშო, დიდმა, ხვიხვინა ჩემს მტერს გადაეკიდა...

ალექსანდრე ხვიხვინას გაუმასხრებელი კაცი კულაშში ძნელად მოიძებნებოდა. უყვარდა იუმორი, ენაკვიმატობდა, თვითონვე ქმნიდა სასაცილო სიტუაციას და ჩაბუირებამდე ხარხარებდა ნაოხუნჯარი.—სოფელს ესმოდა ცხენივით ხვიხვინი ზორბა ხვიხვინასი. აზნაურ ქაჯაიაზე იყო ნამეტნავად გადაკიდებული, ხან ეს უხიმანკლებდა რაღაცას, ხან ის, იყვნენ კატათაგვივით ერთმანეთს ჩასაფრებულნი. ერთხელ ხვიხვინამ ქაჯაიას თავისი ყმა, კოხტა ფრანგიშვილი გაუგზავნა, თან წერილი გაატანა. გახსნა მასპინძელმა უსტარი ალექსანდრესი, წაიკითხა და საკვიმატო ვერაფერი იგუმანა.

—თუ ძმა ხარ, ამ კაცს მიმიხედე, კარგად ასვი, აჭამე, მერე, რაც ზიდოს, იმდენი თივა გამოატანე.—იწერებოდა თავადი.

თივის მოთხოვნამ ცოტა კი შეაეჭვიანა ქაჯაია, რა ოხრობად უნდაო, გაიფიქრა, მაგრამ ფრანგიშვილის ჩია და მჭლე სხეულს რომ შეავლო თვალი, უმალ გაუქარწყლდა ეჭვი. ალბათ რაღაც დააშავა ამ დაგვალულმა და ამით უნდა დასაჯოსო—დაასკვნა. ასეთი რამეც მომხდარა—ხან ამას გაუგზავნია დასასჯელი გლეხი, ხან იმას აქეთ უფრენია ვინმე.

ბეჟან ქაჯაიამ მოსამსახურეებს დაუძახა და უბრძანა: ამ კაცს კარგად ასვით, აჭამეთ, მერე, რაც ზიდოს, თივა გაატანეთ, თივაზე დადგა მიქელაძეთა მოყვარე,—ჩაუურიულა ფიქრში.

წაიყვანეს მოსამსახურეებმა სტუმარი, მიართვეს მისართმევი, კოხტა ფრანგიშვილი, ტანად პატარა, გამხდარი და გალეული, სუფრაზე სულ დაპატარავდა, ფეხზემდგომელა მაინც კაცს ჰგავდა, დამჯდარი სოკოც აღარ იყო. თხელი, სიფრიფანა და გამწლეული სხეულისთვის ქარს რომ შემოებერა, თავისუფლად გადააგდებდა სკამიდან, მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, თუ ფიცარივით თხელი, ნაშიმშილევს დამგვანებული კოხტა ფრანგიშვილი ჭამასა და სმაში დევი იქნებოდა?! მართლაც და, ზღაპრის გმირივით ნთქავდა სასმელ-საჭმელს, სხვები რომ ჭიქით სვამდნენ, ამან დოქი მიიყრდნო ტუჩზე და სულმოუთქმელად დაცალა. ესეც არაფერი. მთავარი ის იყო, სვამდა, არ თვრებოდა, ჭამდა, არ ძღებოდა. დამხვდურნი ნაჭრობით შეექცეოდნენ, ამან ერთი დედალი მთლიანად მოიგდო ყბაში და ძვლებს რაწკა-რუწკი აუტეხა. მასპინძლები გაილეშნენ, ფეხზე ძლივს იდგნენ, აღარც ჭამა შეეძლოთ, აღარც დალევა. ფრანგიშვილმა, მათთან შეფარდებით, ათჯერ მეტი დალია და მიირთვა, მაგრამ სიმთვრალისა და სიმაძღრისა არაფერი ეტყობოდა. ისინი ფეხზე ძლივს იდგნენ, ეს—სავსებით ფხიზელი—ახალ დოქს ცლიდა. მოტანას ვერ აუდიოდნენ ლაქიები, მოიტანდნენ, ორი წუთი და ცარიელი იყო დოქი, აორთქლებული საჭმელი. მოჰქონდათ და მოჰქონდათ, ბატონის ნათქვამს ბანზე ხომ არ ააგდებდნენ—კარ-

გად ასვით და აჭამეთო, რომ უბრძანათ. ასმევდნენ, მაგრამ თითქოს ძირგავარდნილი ქვევრი იყო, აჭმევდნენ, თითქოს უფსკერო ჭაში ყრიდნენ სანოვაგეს. ფრანგიშვილმა მასპინძლების ხვრინვას კაი ხანს უსმინა, ამასობაში დალია ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე დოქი სულმოუთქმელად, რომ იტყვიან, ჭიპი მართლაც ღვინოზე ჰქონდა მოჭრილი. ადრე ბავშვებს ღვინით გალიცლიცებულ ჭიქასთან ერთად აჭრიდნენ ჭიპს, აქაოდა, ბევრის დალევა შეეძლებაო. კოხტა ფრანგიშვილს ალბათ ღვინით სავსე ჩაფთან ერთად მოაჭრეს, თორემ ისე ამ გამოთქმას აზრი ეკარგება, საჭმელიც ბლომად ჰქონდათ იქნებ იმ დროს, რამეთუ ერთსაც ხვავრიელად ნთქავდა და მეორესაც ბარაქიანად ხვრეპდა. სვამდა, ჭამდა კულაშელი, ფიჩხულესპირისუბნელი კოხტა ფრანგიშვილი. ასეთი ჩვეულებაც იყო, სტუმრად, უფრო ქორწილში მიმავალნი, ვაზის ფოთოლს ჩაიდებდნენ ხოლმე ჯიბეში, ბევრი ღვინის დალევა შეგვეძლებაო. კოხტას იქნებ ფოთოლთა ჯარი ეწყო ჯიბეებში, თვითონაც ფოთოლივით სიფრიფანას, ეწყო და ამიტომაც სვამდა და ჭამდა ამდენს. მოახლეებს ამ აზრმაც გაუელვათ გონებაში. ერთმა ისიც თქვა: სანადელო გლეხია საწყალი, მაგას ქალს ვინ გაატანს, მეტი რა შერჩება, ჭამოს და სვას საცოდავმაო.

—კი, ბატონო,—კვერი დაუკრა მეორემ, მაგრამ ჭამასაც გააჩნია, სმასაც. ფრანგიშვილმა ფუთზე მეტი რომ დალია, ადგა ფეხზე ისეთი, როგორც პურობის დაწყების დროს დაჯდა. ისიც არ დავიწყებია, ბუხრის ქუდი რომ ეხურა, წითელი ცით, მოიძია, კოხტად მოირგო კოხტა დევმა თავზე და ჰკითხა მიტანა-მირთმევით დაოსებულ იქაურებს:

—თივა სადაა?!

ამათ ეგონათ, რაღა თივის წამღებია ეს გამწლეული, ალბათ რაღაცას ამოიღლიავებს ხელში და მორჩაო. ამიტომ მოუპირავი სტუმარი რომ გაწვალებულიყო, ყველაზე დიდ ზვინზე მიუთითეს. ფრანგიშვილს ნაბიჯი არ აუჩქარებია,

უკვირდათ—სად წაიღო ამდენი სასმელ-საჭმელიო, დინჯად მივიდა ზვინთან, ბაწარი გადააგდო წვეროზე, მოიგდო ზურგზე და ვითომც არაფერი, ისე წაიღო!

მიდიოდა ზვინი, კაცი არ ჩანდა, მოსიარულე ზვინი არადეს ენახათ, ყველა კვირობდა, რა ძალას მიჰქონდა ამოდენა ტვირთი.

მაშინ კი მიხვდა ქაჯაია, რა ოინიც უყო ალექსანდრე მიქელაძემ, ჯერ ოჯახი „დაუქცია," ასეთი გამხდარი, ლოყებ და ნეკნებჩაცვენილი და ამდენის მსმელ-მჭამელი არასდროს ენახათ, მერე ზვინიც რომ ბუმბულივით წაიღო.

მიდიოდა ზვინი...

ალექსანდრე ხვიხვინას ეს ოინი დიდხანს ჰქონდათ სალაპარაკოდ და სალაზღანდაროდ. ზვინის წამღები ფრანგიშვილი გამომიგზავნე—წერილებსაც წერდნენ ალექსანდრეს.

კულაშის იმ უბანში—სამიქელაოში სახლობდა ყველა მიქელაძე, ზოგი თავადი, ზოგი—აზნაური, ზოგი—კეთილი, ზოგი—გოროზი... ლომინა მიქელაძეს ყმის გარეცხილი საღვთო ჭური არ მოეწონა, მიიყვანა ქვევრთან,—უთხრა, უყნოსეო, ამოიღო ლეკური და ჭურზე გადამხობილს თავი გააგდებინა.

ზოგმა ბატონის მრისხანებით ახსნა ეს ამბავი, სხვებმა კიდევ გაამართლეს. ამ საცოდავმა შარშანაც ასი ფუთი ღვინო გაუფუჭა, წელს გააფრთხილა, უფრო თხოვა, წინა წლის ამბავიც მოაგონა და უთხრა: კარგად გამირეცხე, წლეულს ჩემი ჯერია, საღვთო ჭური მე უნდა მოვხადო, ჯერ ვილოცებთ, შემდეგ მაგ ღვინით ვიქეიფებთ...

ღვთაებრივი სითხის სხვა ქვევრში გადატანის დრომ რომ მოაწია, მოახდევინა და გაშტერდა თავადი: სუნმა კინაღამ დაახრჩო. ყმა ორშიმოს მოსატანად იყო წასული, თავისთან იხმო და მერე რაც მოხდა, ვთქვით უკვე.

იყვნენ ასეთებიც, საქმის შეუსრულებლობას რომ არ პატიობდნენ, ისეთებიც, დიდად რომ არ ნაღვლობდნენ მამულის ამბებს.

დავით მიქელაძის მამა კი გამორჩეული კაცი იყო, სახელი და გვარი ჰქონდათ ერთი და იგივე, თორემ დიდ ალექსანდრესთან ხვიხვინა ალექსანდრე ვერაფრით მივიდოდა. სეხნია ჭკუითაც, ავტორიტეტითაც, უნარითაც, ძალითაც დიდი იყო, სხვას რომ თავი დავანებოთ, იგი ერთ დროს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი გახლდათ, მანამდე კი რუსის სამსახურით გამოიჩინა თავი.

ალექსანდრე მიქელაძის პაპას, დათას პეპერას, ზურაბი ერქვა. ამიტომ მათ სახლეულს ზურაბის შვილებსაც ეძახდნენ. ამითაც განირჩეოდა ეს ორი ალექსანდრე, სხვადასხვა სახელშერქმეულნი ერთი და იგივე სახლეულისანი არ იყვნენ.

ერთმანეთისგან განსხვავებულ სეხნიებს ერთმანეთი უყვარდათ. კულაშში ჩასული დიდი ალექსანდრე სუფრას მიუჯდებოდა თუ არა, პირველად ხვიხვინას მოიკითხავდა, ვინმეს გაგზავნიდა, მოაყვანინებდა, გვერდით მოისვამდა და მის ნაოხუნჯარზე გულიანად ხარხარებდა. ყირიმის ომშიც ერთად წაიყვანეს, თითქოს იმათაც იცოდნენ, უერთმანეთოდ რომ ვერ ძლებდნენ.

დიდი ალექსანდრეს ყირიმის ომში გმირობის ამბავს საარქივო მასალების, ნიკო ნიკოლაძის მოგონებისა და ერთი ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურის მიხედვით აღვადგენთ.

ყირიმის ომის წინ რუსები ყულევის გზას აკეთებდნენ, ნიკოს მამა—იაკობი, ხიდს, მდინარე ცივზე. არც ერთი მოთავებულა, არც მეორე, ისე გაჩაღდა რუს-თათართა მორიგი შერკინება. იაკობ ნიკოლაძემ იქნებ იზარმაცა, ან იჯარის ფული არ მისცეს თავის დროზე და ვერ დაასწრო ომის დაწყებას მოთავებული ხიდი, რომელსაც, ბუნებრივია, საომარ მოქმედებათა დროს, ყულევის გზასთან შედარებით, იოტისოდენა მნიშვნელობა თუ ექნებოდა. ყულევის გზა კი,

ამ ადგილებში ბრძოლების წარმატებით წარმართვისათვის, ეგზომ საჭირო და აუცილებელი გახლდათ.

თუმცა, სხვა მხრივაც ხომ მოუმზადებელი ჩაება რუსეთი ომში?! ცივის ხიდი და ყულევის გზა მცირე დეტალად უნდა ჩავთვალოთ, საერთო მდგომარეობის მკრთალ გამონაშუქად. ჰოდა, ომის დაწყებისთანავე შეკვეთილში მძინარე რუსებს თავს დაესხნენ თურქები, ძილ-ღვიძილში მყოფებს გამოჭრეს ყელები და შეკვეთილი იგდეს ხელთ. მერე ქართული მილიცია ჩაება ომში, რომელსაც, რა თქმა უნდა, რეგულარულ არმიასთან შედარებით, არც ბრძოლის გამოცდილება გააჩნდა, არც ტაქტიკა, არც საერთო გეგმა და მონახაზი. ქართულ მილიციაში გაამწესეს იაკობ ნიკოლაძეც, რომელმაც წასვლის წინ მთავარანგელოზის ეკლესიის დეკანოზი ასწლოვანი იესე გიორგაძე მიიწვია შინ და პარაკლისი გადაახდევინა.

იდგა მილიცია ერთ-ერთი ეკლესიის აქეთა მხარეს და, სალდათის ჯარის სიმცირის გამო, იქით გამაგრებულ თურქებზე შეტევას ვერ ბედავდა. ამ დროს გალავანზე შეხტა ალექსანდრე მიქელაძე, დევის მხარბეჭიანი კაცის დანახვამ უმალ შეაკრთო თურქები, ალისფერი მუნდირიც განგაშის მომასწავებლად მიიჩნიეს, მერე კიდევ ამ უზარმაზარმა კაცმა საზარელი ხმით რომ დაიგრგვინ-დაიღრიალა—თათრები გარბიან, ბარგი არ გავატანოთო, და დაყვირებისთანავე გალავანზე სხვებიც რომ ახტნენ, რომ გადაალისფერდა იქაურობა, დიდხანს აღარ უფიქრიათ თურქებს, მოკურცხლეს, მარა რა მოკურცხლეს. უკანმოუხედავად გარბოდნენ, ქართველი მილიციელები კიდევ მათ გაკიდებაზე უფრო ნაალაფრის შეგროვებას ცდილობდნენ. ზოგიერთმა ზარბაზანი მიატოვა კი არა, თოფიც მოისროლა და გაიქცა. მიტოვებული ზარბაზნის დასაკუთრება იაკობ ნიკოლაძესაც მოუნდომებია, მაგრამ ბუჩქებიდან გამოვარდნილა ქვეყნისა და სამხედრო დისციპლინის მოყვარული თათარი და ხიშტზე წამოგება დაუპირებია მისი ზარბაზნის წართმევის მოწადინესათვის.

იქვე მეორე ზარბაზანი სამხედრო წესრიგისა და სამშობლოს ორგულ თათარს უპატრონოდ მიუგდია. მკლავის სიგრძეზე შეუტენია მასში ბოხოხი იაკობს და მერე ზარბაზანი, ვითომ მისი ნაალაფარი, მილიციის უფროსისათვის უჩვენებია.

ომში ასეთი რამ ხშირად ხდება. ერთმა, დავით მიქელაძის მამამ, დიდმა ალექსანდრემ მართლაც გმირობა ჩაიდინა, ჭკუა იხმარა, მომენტი შეარჩია და უბრძოლველად დააფრთხო თურქები, მეორემ კიდევ ზარბაზანში ბოხოხი შეტენა და მერე უფროსს ანახვა თათრისაგან ვითომ მის მიერ დათრეული ნაალაფარი.

უფასებდნენ ალექსანდრეს რუსები ამ გმირობას. ალექსანდრე ხვიხვინა კი ულვაშებში ქირქილებდა ამ ამბის მოყოლისას—მაგი რომ გალავანზე შეხტა, მე და კოხტა უკან-მოუხედავად გავიქეცით უკან, ვირბინე კაი ხანს, დამაწყდა ფეხები, უკან მიხედვის მეშინოდა, კოხტას შევძახე, ჩემ წინ გარბოდა, შევძახე კი არა, ვუბრძანე: გაიხედე უკან-მეთქი!—შენც არ მომიკვდე, მჭლე ფეხებს საფეთქელთან ირტყამდა და გარბოდა. რა მექნა, გავაპარე მზერა იქითკენ, საიდანაც მოვკურცხლე. გამისკდა გული, გალავანს აქეთ კაციშვილი არ ჭაჭანებდა—დიდი კი არა, სულელი ყოფილხარ, გავიფიქრე ალექსანდრეზე და ძალამოცემულმა მოვკურცხლე. მინდოდა კოხტას დავწეოდი, რომელსაც ფრთები არ ჰქონდა, თორემ გაფრინდებოდა, ჰაერში მის მოფრიალე ყაბალახს ვხედავდი ლონემილეული. სანამდე უნდა მერბინა, ჩავჯექი ბუჩქებში და რომ მეგონა, საწყალი მილიციელები თურქებმა გადაყლაპეს-მეთქი, გავიხედე უკან და რას ვხედავ, აგერ არ მოდიან ალექსანდრეს მეთაურობით, ნაალაფარსაც მოათრევენ, მარა რას მოათრევენ. არც დავფიქრებულვარ, გავიქეცი და ამოვუდექი სეხნიას გვერდით, მაგრამ მის ბრაზიან მზერას რომ შევეფეთე, უმალ მოვცილდი, მივხვდი, სახუმაროდ არ იყო საქმე, კაცს გმირობა ჩაედინა და მე წილში ვუდგებოდი. კოხტა იქაც დაჭირდა მილიციელებს—ზურგზე მოიგდო ზარბაზანი

და ბუმბულივით მიჰქონდა, ვინ გაუბედავდა, შენ არ წაგირთმევია თათრისათვისო, ისე ამაყად, გამარჯვებული იერით მიაბიჯებდა, გეგონებოდა, ამ ჭინჭრაქას დამსახურებაა ყოველივე, თორემ გამოუცდელი ქართველი მილიციელები ისე რას გახდებოდნენო.

ალექსანდრემ გალავანზე შეხტომით, კოხტამ—ზარბაზნის თრევით დაიგდეს სახელი, როგორი უსახელოც შევედი ომში, ისეთივე წამოვედი, ეს კია, სირბილში გავიწაფე, იმ წლებში მწევარს ვასწრებდი ნადირობისას—იტყოდა ხვიხვინა ალექსანდრე თვალებში ეშმაკებჩასახლებული.

დიდი ალექსანდრეს გმირობის ამბავი კი ყველამ გაიგო, თვითონაც ესახელებოდა, ხვიხვინას მოათხრობინებდა ხოლმე, გაისუსებოდა, უსმენდა და ტკბებოდა გაგონილით, უფრო გმირული საქციელით.

ასე დაიწყო ყირიმის ომი, ვისთვის სახელის დაგდებით, ვისთვის—უსახელოდ.

ყირიმის ომის დროს, მთელი სამწლეულის მანძილზე, ალექსანდრე მიქელაძე მიწყივ იქ იყო, სადაც ჯარს უჭირდა. თავად ერისთავთან ერთად იბრძოდა ნიგოითთან, სადაც ორი ათასმა ჯარისკაცმა 12 ათასკაციანი თურქთა ლაშქარი უკუაგდო. მონაწილეობდა, აგრეთვე, ოზურგეთსა და ჩოხატაურთან მომხდარ შეტაკებაში. იცავდა სოფელ მარანსა და მის მისადგომებს, თათრები ქუთაისისკენ რომ არ გაჭრილიყვნენ. ჩოლოქთან, გენერალ-ლეიტენანტ ანდრონიკოვთან ერთად დაამარცხა სიმიმა-ფაშას მრავალრიცხოვანი ლაშქარი.

ეს იბრძოდა, რუსები აჯილდოვებდნენ და აჩინიანებდნენ.

ყირიმის ომში გამოჩენილი გმირობისათვის ალექსანდრე მიქელაძეს 1854 წელს ჯერ შტაბის როტმისტრობა, ერთი წლის შემდეგ როტმისტრობა უბოძეს, 1858 წელს კი წმ. სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

აფხაზეთის რუსთაგან დაპყრობაშიც ედო უმნიშვნელო

წილი—წებელდაში რუსებთან ერთად ანადგურებდა დამპყრობლის მოწინააღმდეგე აფხაზებს.

1863 წელს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის უფროს მოხელედ დაინიშნა. ერთი წელიც არ იყო გასული, რომ თავადაზნაურთა წინამძღოლის არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, მიიღო და გაიმარჯვა.

ბარემ ვიტყვით, იგი ომში დამსახურებაზე უფრო, პიროვნული ღირსებების გამო აირჩიეს ქუთაისის მაზრის თავადაზნაურთა პირველ წინამძღოლად. მერე გუბერნიის წინამძღოლის არჩევნებიც ორჯერ მოიგო, მაგრამ მეორედ ლევაშოვმა ჩამოაშორა იგი საქმეს.

„ბ. ლევაშოვს იმერეთის ქართველები რომელიმე ტვერის სანკიულოტები ეგონა და ფიქრობდა მის გატყავებას ნივთიერად და გარყვნას ზნეობრივად“—წერდა „დროებაში“ ილია ჭყონია. გავლენა უზომო ჰქონდა ლევაშოვს, ფულიც ბლომად გააჩნდა, სვანეთის აჯანყების ავტორიც გახლდათ, ქუთაისში „შპიონები და ფეხთ-მლიქვნელნიც“ კაი გვარიანად მოეგროვებინა, მაგრამ მეკენჭენი, რომელთაც კეთილშობილთა მარშალი უნდა აერჩიათ, ოცზე მეტი ვერ მიიმხრო, დანარჩენმა ალექსანდრე მიქელაძეს დაუჭირეს მხარი. ეს იყო პირველი ანუ ქუთაისის მაზრის წინამძღოლად არჩევა დიდი ალექსანდრესი. თავადაზნაურებმა იმ დღეს სიყვარული ამ კაცისადმი იმითაც გამოხატეს, რომ არჩევის მერე სახლამდე ნახევარი ვერსი ხელით ატარეს.

ეს მოხდა 1864 წელს. ხელით ატატებული მიჰყავდათ თავადებსა და აზნაურებს მათი სურვილით „გათეთრებული წინამძღოლი“. მიჰყავდათ ყვირილით, ურიამულით, ალექსანდრე, ალექსანდრეს ძახილით. ამ დროს ვაით, ვიშით, გოდებით ტოვებდნენ თავიანთ სამკვიდროს რუსთაგან შევიწროებული უბიხები და გადასარჩენად სხვა ქვეყანაში მიწიოკობდნენ.

აქ სიხარულის წიოკი იყო, იქ—გოდების.

მეორედაც, ახლა უკვე გუბერნიის მარშლად, დიდი უმრავლესობით აირჩიეს სამი წლით. მაშინ სვანეთის ეკლესიების გამძარცვავი გრაფი და გუბერნატორი შეეცადა, ნამესტნიკს არ დაემტკიცებინა თავადაზნაურთა წინამძღოლი, მაგრამ ვერ მოახერხა.

არ ჩვეოდა ლევაშოვს მარცხთან შეგუება, მაგრამ ორჯერვე ვერაფერი გააწყო, გაიმარჯვა იმან, ვინც აშკარად არ სურდა, ვისაც არ ენდობოდა, უფრო მეტიც, მოწინააღმდეგედ და მტრად სახავდა.

მესამედაც გაათეთრეს თავადაზნაურებმა ალექსანდრე მიქელაძე, გრაფს მართლაც აევსო მოთმინების ფიალა, მესამედ მის თვალწინ მისთვის არასასურველმა კაცმა მოიგო არჩევნები. უფრო მეტიც, თავადაზნაურებმა ალექსანდრე მიქელაძის მოწინააღმდეგისა და ლევაშოვის ერთგული კანდიდატის გიორგი აგიაშვილის კარებს რუსულად მიაწერეს:

"Забалотиравали вас и вашего Левашова... Ура!"

გრაფმა იფიქრა, ახლაც რომ არ ამოვიღო ხმა, არ მივაღწიო საწადელს, მომავალში, რასაც მოისურვებენ, იმას მოიმოქმედებენო. გაიქცა ქუთაისიდან, ეაჯა და ეხვეწა მეფისნაცვალს: „იმდენი იჭახრიკა", რომ ალექსანდრეს წინამძღოლად დამტკიცებაზე უარი ათქმევინა.

ადრე, სვანეთის ეკლესიების ძარცვის დროს, ბლაღოჩინი ვაწაძე უშრობდა სისხლს. ეუბნებოდა იმას, რისი ღირსიც იყო, ამხელდა მის ქურდბაცაცობას. აქ კიდევ იმერელი თავადნი და აზნაურნი იმას აკეთებდნენ, რაც სიმართლედ მიაჩნდათ, ირჩევდნენ და ირჩევდნენ მისთვის არასასურველ დიდ ალექსანდრეს. ლევაშოვს ისღა დარჩენოდა—ნამესტნიკი დაეთანხმებინა, უარი ეთქვა მის დამტკიცებაზე. ასეც მოხდა.

აკაკის ლექსი „ასათიანებს" ალექსანდრე მიქელაძის ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად მეორე (მაზრის ჩათვლით მესამე) არჩევას და მეფისნაცვლისაგან დამტკიცებაზე უარის თქმას უნდა უკავშირდებოდეს. ჯერ

ერთი, ქვესათაური და დაწერის თარიღია საეჭვო, მეორე—იმ წლებში სხვა არჩევნები არ ჩატარებულა, არც სხვა ალექსანდრე მოსჩანს ცის კაბადონზე. ლექსის ქვესათაური: „ასე დაარქვეს მეკენჭეებს (ასათიანებზეა საუბარი, ე.თ.), 1870, მეორედ ალექსანდრეს ამორჩევაზე". ჰოდა, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ალექსანდრე ალექსანდრე მიქელაძეა, „მეორედ ამორჩევა" კიდევ გუბერნიის წინამძღოლობაზე 1869 წლის მიწურულს მეორე კენჭისყრას გულისხმობს. ასე უნდა გასწორდეს იგი აკაკის თხზულებათა I ტომში. სასურველია, შენიშვნებში მივუთითოთ, რომ გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის არჩევნებზე და მასში ალექსანდრე მიქელაძის „მეორედ ამორჩევაზეა" საუბარი.

მართალია, ისტორიული ფაქტი და ლექსის დაწერის თარიღი ერთმანეთს ემთხვევა, ალექსანდრეც ალექსანდრე მიქელაძე უნდა იყოს, მაგრამ ასათიანები?! ასათიანები ვინღაა? ვის გულისხმობს პოეტი ამ გვარის ადამიანებში?! ვინ იყვნენ ისინი, ვინც ალექსანდრე მიქელაძეს, უკვე სამი წელი რომ გაესრულებინა გუბერნიის თავადაზნაურთა მარშლად, მხარს არ უჭერდნენ, მის გაშავებას ცდილობდნენ. მეკენჭეთა მთელ საკაცქალეთში ერთადერთი ასათიანია—ვინმე ალექსანდრა ასათიანი, კოლეჟსკი სეკრეტარის ცოლი ანუ ქუთაისელი კოლეჟსკი სეკრეტარშა. ქალებიც იყვნენ მეკენჭენი—ზოგნი ქვრივნი, ზოგნი კიდევ ქმრის ნებით გაგზავნილნი—გენერალ-მაიორშა კნიაგინია მარია ქაიხოსროს ასული მუხრანსკაია,—პოლკოვნიცა კნიაგინია სალომე ქაიხოსროს ასული ანდრონიკოვა და მისთანანი. სავარაუდოა, ალექსანდრა ალექსანდრეს მომხრე არ გახლდათ, თითქმის ერთი და იგივე სახელის მქონენი, სქესით სხვადასხვა სეხნიანი, ერთმანეთს არ თანაუგრძნობდნენ. ქალს-ქმრის მინდობილობით ჩარიცხულს მეკენჭეებში—ოღონდ ალექსანდრე მიქელაძე გაეშავებინა და მოუცლელი ან ავადმყოფი ქმარი შინ დაეგდო, ყოფილი წინამძღოლის არჩევნებში დასამარცხებლად

მომხრეებს ეძებდა, ეძებდა და პოულობდა კიდეც. ჰოდა, ალექსანდრას მომხრეთა და ალექსანდრეს მოწინააღმდეგეთა კრებსით სახელად ხომ არ იქცა ასათიანები?! ისიც უნდა ვიფიქროთ, ქუთაისში არავის დაეხატებოდა გულზე ქმრის მინდობილობით საკრებულოში გამოცხადებული ასათიანის ქალბატონი, არ დაეხატებოდა და სულაც ალექსანდრე მიქელაძის მომხრენი მონათლავდნენ ალექსანდრა ასათიანის მომხრეებს ასათიანებად. ამ ამბავს სხვა ახსნა მოუძებნო, ძნელია, სიმართლედ ჩანს ყველა იმ მოვლენათა გათვალისწინებით, მაშინდელი არჩევნების დროს რომ ხდებოდა.

„ასათიანებმა" გაილაშქრეს ალექსანდრე მიქელაძის წინააღმდეგ და აკაკიმ ლექსით გამოხატა ეს დამოკიდებულება, გაკილა, გამჭვირვალე ირონიულ საბურველში გაახვია მათნაირთა ფიქრი და განწყობა:

„ურა, ურა და ურა სულ ყოველ ასათიანს!
ყინულზედ გააცურა,
სძლია მან ეშმაკს ფრთიანს
თუ ბედმაც გვემსახურა,
შემდეგშიც ნახვენ ზიანს,—
ურა, ურა და ურა სულ ყველა ასათიანს!"

პოეტს უხარია, ასათიანთა მომხრემ რომ ვერ იმარჯვა, თუ ბედმა არ გვიმუხთლა, მომავალშიც ვერ უნდა დაგვჯაბნონო, ყოველთვის მათი წაგებით უნდა გასრულდეს წინამძღოლის ასარჩევად გამართული კენჭობიაო. მერე ასათიანთა მარაქაში ჩარიცხული ტურის, ფაფხურა ვერძის, მურას, მელიასა და ყურპანტურას პოეტურ დახასიათებას მოჰყვება. პატარა მონაკვეთი გავიხსენოთ:

„ვერც ძვრება, ვერც ქიანებს,
დაბერდა მათი ტურა,
ურა ასათიანებს! ურა, ურა და ურა!
ვერც ჩვეულებრ რქიანებს,

მათი ვერძი ფაფხურა,
ძლევა ასათიანებს! ურა, ურა და ურა“

და ა.შ.

ერთი სიტყვით, აკაკიმ ლექსით გამოხატა კმაყოფილება ასათიანების დამარცხების გამო, მაგრამ, როგორც ვთქვით, ლევაშოვმა იმდენი „იჭახრაკა“, რომ არჩევნებით გამარჯვებული ალექსანდრე მიქელაძე მეფისნაცვალს არ დაამტკიცებინა წინამძღოლად და მის მაგიერ გიორგი თეიმურაზის ძე აგიაშვილს—მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლს დაავალეს გუბერნიის წინამძღოლობაც. ასე რომ, ეს კაცი სამი წელი ორ სკამზე იჯდა, ორი თანამდებობა ეკავა, ერთის და მეორის წინამძღოლიც იყო ერთდროულად.

ალექსანდრე მიქელაძის მარშლობისდროინდელი ერთი ამბავი გავიხსენოთ.

1867 წელს სადილი გამართა, რომელზეც იმერელ თავადაზნაურებთან ერთად ახლადშემოერთებული სამეგრელოს თავადაზნაურობაც მოიწვია. აკაკი ამ ამბავს წერილით გამოეხმაურა „დროებაში“, სადაც სიხარულს ვერ მალავდა. ჩვეულებრივი ქეიფი, ყანწების ტრიალი და „დალიე, თორემ კისერში ჩაგასხამ“ კი არ ყოფილა იმ თავყრილობაზე, არამედ „ეს დარბაისლური ლხინი იყო ერთი იშვიათთაგანი ჩვენში... იქ სტრიალებდა საზოგადოთ პატიოსანი აზრი შემცველი მამულისადმი სიყვარულისა და მისი კეთილწარმოების მდომი“...

სადილზე უთქვამთ და უმსჯელიათ იმაზე, რა უნდა ეღონათ, რომ გზა დაეთმოთ ახალთაობისათვის. მათ კიდევ განათლება შემოეტანათ. პოპეჩიტელს განუცხადებია, საჭიროა მეორე გიმნაზიის გახსნა, რამეთუ ერთი იმერელ თავადაზნაურთა შვილებს ვერ აკმაყოფილებდა, ახლა სამეგრელოც დაგვემატაო.

სადილი რა სადილი იქნებოდა სადღეგრძელოების გარეშე. პირველი სადღეგრძელო გუბერნიის თავადაზნაურთა მარშალს იმერეთისა და სამეგრელოს შეერთებისა უთქვამს,

მეორეთი ახალთაობა უდღეგრძელებია. სამადლობელი მეგრელ ჭაბუკს მეგრულად წარმოუთქვამს, მის ამხანაგს კი ქართულად უთარგმნია. „ის სიტყვები თავისი სიმართლით და გრძნობით ოქროს ვარაყით დაწერის ღირსი იყვნენ, მით უფრო, რომ ის წარმოითქვა იმისთანა პირებისაგან, რომელიც თავის დღეშიაც არ გაცილებიან სამეგრელოს“...

იქ ნათქვამი სიტყვები მთლიანად უნდა მოგვეტანა, მაგრამ გაზეთი ვერ დაიტევს—წუხდა აკაკი.

სადილის მერე მგოსანი მეგრელებს შეხვედრია, რომელთა ქართულით გაკვირვებული დარჩენილა—მშობლიური ენის ცოდნა მათ ისე შემორჩენოდათ, როგორც ზამთრისპირში ხეს „საიასაღო ნაყოფი“.

აკაკის ამ სტატიას „სადილი გუბერნიის წინამძღოლთან“ ჰქვია და თხზულებათა მეთერთმეტე ტომშია დაბეჭდილი, სადაც შენიშვნებში გუბერნიის წინამძღოლად ალექსანდრე მიქელაძის მაგიერ ნესტორ წერეთელია დასახელებული. 1867 წელს, როგორც ვთქვით, დავით მიქელაძის მამა გახლდათ გუბერნიის თავადაზნაურთა მეთაური. მისივე სურვილით უნდა გამართულიყო ის სადილიც, რომელსაც აკაკიზე ისეთი წარუხოცელი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ ორ ათეულ წელზე მეტი ხნის მერე „კრებულის“ მოწინავეში —მეგრელობაზე საუბრის დროსაც გაიხსენა. გაჩნდნენ ისეთნი, რომელნიც თვლიდნენ, რომ „მეგრელები ქართველები არ იყვნენ და მეგრულიც კიდევ ქართულისაგან განსხვავებული სულ სხვა ენაა. “...

აკაკი მეგრელობისადმი თავის დამოკიდებულებას „შინაურ მარგვლას“ ეძახდა, ზოგს ამგვარი რამ წვრილმანად მიაჩნდა იმ დროს, მისთვის კიდევ სულაც არ იყო ჩვეულებრივი ამბავი, რადგან ზოგჯერ ვეებერთელა ცხოველზე უფრო პატარა მიკრობს მეტი ზიანის მოტანა შეუძლია.

საჭიროა ამ დამოკიდებულების აღმოფხვრა თავიდანვე, რამეთუ ხე, ხმელი ტოტები თუ არ მოვაცილეთ, არ განედლდება.

„ტყვილა კი არ არის ნათქვამი: „თავდაპირველად მუნი ქვეყნად ერთმა თაგვმა გააჩინაო“. ამ რამდენიმე წლის წინეთ ერთმა ვილაც წინდაუხედავმა კაცმა თქვა, რომ ჩვენ, მეგრელები, ქართველები არა ვართ და ჩვენი ენაც სულ სხვა ენა არისო.“

ღმერთმა თქვენი მეგრელობა, ისე, როგორც, გურულს გურულობა, იმერელს იმერლობა, კახელს კახელობა და ა.შ. ნუ მოგიშალოთ, მაგრამ უპირატეს ნუ დაივიწყებთ, რომ ყველანი ქართველები ვართო.

ამის მერე გაიხსენებს ქართველთა ჭირზე დაუფარავად მთქმელი მგოსანი ალექსანდრე მიქელაძის გამართულ სადილს. კიდევ ერთხელ მოაგონებს თანამედროვეებს, რომ იმდროინდელი პაექრობა სხვათა მსგავსი ღვინით წუმპაობა არ გახლდათ. იმერული სიმღერები, გურული კრიმანჭული, მეგრული ღიღინი ქმნიდა ქართულ ჰარმონიას, „ყოველივე იყო ქართული გრძნობა-გონების გამომეტყველ-გამომხატველი“

უნდა გენახათ მეგრელების მჭევრმეტყველება, „მათი გამტკიცული, გაწმენდილი ქართული და მაშინ იტყოდით, აი, სად ყოფილან ნამდვილი ქართველებიო“.

ამ სიტყვების თქმა გაჭირვებითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული. აკაკი კარგად ხედავდა იმ უბედურებას, რაც ერთი-ორი ახირებული კაცის მეგრელობაზე ნათქვამს შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ამიტომ თავშივე ფიქრობდა მცდარი აზრის ამოძირკვას. ალექსანდრე მიქელაძესაც ამ სურვილითა და განწყობით უნდა გაემართა სადილი ქუთაისის გუბერნიისათვის ახლადშემოერთებულ სამეგრელოს თავადთა და აზნაურთათვის, მისთვისაც ახლობელი უნდა ყოფილიყო იქაურთა განწყობა, ერთი-ორის ახირებული აზრიც უნდა ცოდნოდა, ამიტომ შეხვედრა და სადილი მიეჩნია დაახლოებისა და გაცნობის საუკეთესო საშუალებად.

მდიდრული ცხოვრების მოყვარული კაცი იყო ალექსანდრე მიქელაძე—გვეუბნება ილია ჭყონია და იქვე წერს: —წინამძღოლობის დროს დროებით ვალდებული გლეხები (400 კომლი) ზოგნი მუქთად, ზოგნი კიდევ ნახევარ ფასად გაანთავისუფლა. თავისი მამულები წვრილ თავადებსა და აზნაურებს შეასყიდვინა. მდიდრული ცხოვრება უყვარდა, მაგრამ სიმდიდრისაგან ხელი დაიცალა, ყოველივე გაასხვისა, ამიტომ—გვეუბნება წერილის ავტორი—მხარჯველობით უფრო სარგებლობა მოუტანა თავის მხარეს, „ვიდრე ბარეორმა გროშის გროშზე დამდებმა ღუნწებმა."

ალექსანდრე მიქელაძე ერთი წელი, 1864-1865 წწ.-ში ქუთაისში გლეხთა საკითხის გამო შექმნილ კომიტეტში თავადაზნაურთა წარმომადგენელი იყო და მშვენივრად იცნობდა იმ პრობლემებს, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ რომ გაჩნდა ქვეყანაში. ამის მერე მეველეს მამა კაზაკთა ლეიბგვარდიის პოლკის როტმისტრის ჩინამდე აამაღლეს, ხოლო 1869 წელს წმ. სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

ალექსანდრე მიქელაძეს ოთხი ცოლი ჰყავდა. პირველი — ნინო, სიმონ წულუკიძის ასული გახლდათ, მეორე— ბარბარე, თავად ოტია დადიანისა. ბარბარე ჯერ გიორგი სავლეს ძე მიქელაძის ცოლი იყო, მერე, 1854 წლიდან, 26 წლის მიქელაძის ცოლყოფილი, ქმრის აღსრულებიდან ორი წლის თავზე, ისევ მიქელაძის, ოღონდ ახლა დიდი ალექსანდრეს მეუღლე გახდა. მესამე ცოლად მარიამი, ოტია კორძაიას ასული ჰყავდა, ხოლო მეოთხედ ვინმე ჯანელიძე.

ოთხი ცოლი გამოიცვალა თავადაზნაურთა წინამძღოლმა. პირველთან, 1844 წელს, დავითი შეეძინა, ხოლო ბიძაშვილის ცოლყოფილ ბარბარესთან—მარიამი, ევგენი და სიმონი.

თავიანთი მსოფლხედვითა და ღვაწლით მამა-შვილი განსხვავდებოდნენ. მამა ვისაც ერთგულებდა, შვილი ააშკარავებდა მათ კოლონისტურ ზრახვებსა და მისწრაფებებს. დავითი

უფრო მის სეხნიას, 1820 წლის აჯანყების მონაწილესა და ამის გამო რუსეთში გადასახლებულ დიდ ბაბუას ჰგავდა. ალექსანდრე არსებულის სამსახურში იდგა, არასდროს უცდია, შემოებრუნებინა ჩარხი, რა ჟამიც ჩამომდგარიყო, იმას ემსახურებოდა, დათას, პირიქით,—დღენიადაგ არსებულის შეცვლა ეწადა, მაგრამ სახება დიდი ალექსანდრესი არ გახლდათ ცალსახა და ერთი მიმართულებით გამორჩეული, იყო მასში ის ხილულ-უხილავი, რაც მამულისათვის დამაშვრალ თანამედროვეთა თვალში პატივისა და სიყვარულის გრძნობას ბადებდა.

აი, კიდევ ერთი დასტური ამისა:

ალექსანდრე მიქელაძემ 1869 წელს „დროებაში" გამოაქვეყნა წერილი „ორიოდე სიტყვა ქუთაისის ღიმნაზიის მოწაფეების ბინადრობაზე", სადაც დასვა საკითხი გიმნაზიაში მოსწავლე გაჭირვებულ და უბინაო თავადისა და აზნაურის შვილებისათვის აეგოთ საცხოვრებელი სახლი.

„მიბრძანეთ, თქვენი ჭირიმე, როგორ უნდა მოითმინოს მამის გულმა იმ მდგომარეობის ცივგულად ყურება, რა მდგომარეობაშიც საბრალო მოსწავლე ყმაწვილები ქუთაისში არიან, და როგორ უნდა მოსთხოვოს იმათ დედ-მამამ, რომ კარგათ ისწავლონ? რომ ვინმემ გვკითხოს, მაშინვე უსირცხვილოდ მივსცემთ პასუხს: ჩემი შვილი სასწავლებელში მყავს და კარგს ალაგზეც მიდგია? ვაი, ამ სწავლას და ვაი იმათ მდგომარეობას. საწყლები, უმეტესი ნაწილნი ყრიან უჭირისუფლოთ დუქნებში და სლაბოტკაში, სადაც მარადის ყოველს ცუდს ყოფაქცევას უყურებენ და არიან მოწამედ საზარელის საქციელისა".

ალექსანდრე მიქელაძე კარგი ბუღალტერივით ჩამოთვლის, თუ რა ეხარჯება თავადს ან აზნაურს, გიმნაზიის მოწაფე თავის შვილს ბინა რომ დაუქირავოს, რომ გამოკვებოს, ჩააცვას, დაახუროს, სახლი გაუნათოს, მოსამსახურე ან მომვლელი დაუქირავოს და ა.შ. ყოველივეს შეკრებს და

264 მანეთსა და 70 კაპეიკს ღებულობს. მერე მკითხველს ეუბნება, რომ სააზნაურო სახლისათვის მმართველობას ადგილი გამოყოფილი აქვს, ფულიც გამოუძებნია: აზნაურებს ღირსების მოწმობაში 50 ათასი მანეთი უნდა გადაეხადათ. ალექსანდრეს სურდა, სწორედ ამ თანხით დაეწყოთ სახლის მშენებლობა, მერე მოსწავლეთა მშობლებს, რომელთაც შვილების შენახვა გიმნაზიაში 264 მანეთზე მეტი უჯდებოდათ, ყოველ წლიურად 120 მანეთი უნდა გადაეხადათ. ამ ფულით აშენდებოდა სააზნაურო სახლი, სადაც „ყმაწვილებიც კარგად და რიგიანად დაბინავებულნი იქნებიან და დედ-მამაც თავისუფალნი იქნებიან ყოველ კვირაში აძლიონ საგზალი სოფლიდამ".

ასეთი გახლდათ ფიქრნი კეთილშობილთ წინამძღოლისა. აფიქრებდა და აწუხებდა მოსწავლეთა ყოფა, მერე ბანკის დაარსებაზეც დიდ იმედს ამყარებდა. ფიქრობდა, რომ ის უნდა დახმარებოდა თავადთა და აზნაურთა შვილებს უცხოეთში სწავლის გაგრძელებაში.

ალექსანდრე მიქელაძის სტატიას ვრცელი გამოხმაურება მოჰყვა. მიესალმნენ მის წინადადებას, თუმც ისიც აღნიშნეს, რომ ქართველნი თავადნი და აზნაურნი ხშირად არ იყვნენ ერთსულოვანნი, პრობლემას ისე ვერ ისიგრძეგანებდნენ, თუ მათაც არ შეეხებოდათ. საკუთარი სიამოვნებისათვის ხშირად ათასებს ფლანგავდნენ, საქვეყნო კი ავიწყდებოდათ. ამასვე სწუხდა თავადაზნაურთა წინამძღოლიც. ამიტომ ამთავრებდა წერილს სიტყვებით: „იმედი მაქვს, ამ ჩემს სიტყვაზე არ გაამართლებენ იმ ანდაზას, რომელიც ხშირად არის მდაბალს ხალხს შორის სალაპარაკოთ: „ჯოჯოხეთში თქმა იყოვო და გაგება არაო".

მართლაც არ იყო გაგება არც ამ და არც ბევრ საკითხში.

მეველე კულაშიდან წერდა ნიკო ნიკოლაძეს: „...ეხლა ერთ გამოსააშკარავებელ კორესპოდენციას აგზავნის მამაჩემი „დროებაში" და უთუოდ დააბეჭდვინე. მე ჯერ

ის არ წამიკითხავს, მაგრამ საგანი, რომელსაც შეეხება, ერთობ საინტერესოა ამ ჟამათ". ალექსანდრე მიქელაძის ამ წერილზე უნდა იყოს, სავარაუდოდ, საუბარი ან ისეთზე, რომელიც „დროებას" არ დაუბეჭდავს. უფრო პირველი გვგონია სარწმუნო, თუმცა გამოს�აკარავებელი რამდენად იყო ეს წერილი, ძნელი სათქმელია, საინტერესო და აუცილებელი კი გახლდათ.

წლები გადიოდა და ქუთაისის გიმნაზიის მოწაფეთა ყოფა უცვლელი რჩებოდა, ალექსანდრე მიქელაძის აზრის განხორციელებაზეც ხშირად უფიქრიათ, უმსჯელიათ კიდეც, მაგრამ ლაპარაკს იქით საქმე არ წასულა.

ალექსანდრე მიქელაძემ კი გიმნაზიელთა ყოფაც მშვენივრად უწყოდა, სწავლის პირობებიც... სხვებს რომ თავი დავანებოთ, მისი უფროსი შვილი 1857 წლის 30 სექტემბრიდან 1859 წლის 1 სექტემბრამდე ქუთაისის გიმნაზიის მოწაფე გახლდათ. ერთი სიტყვით, დავითს გიმნაზიის სრული კურსი არ გაუსრულებია, მესამე კლასიდან გარიცხეს გაკვეთილების სისტემატური გაცდენის გამო. ამიტომ ვერ მიიღო უმაღლესი განათლებაც. ბარემ აქვე ვიტყვით, ქუთაისის გიმნაზიის მესამე კლასიდან გარიცხულ დავით მიქელაძეს მეორედან მესამეში გადასასვლელ გამოცდებში—ღვთისმეტყველებაში, რუსულში, ქართულ ენასა, სუფთა წერასა, ხაზვასა და ხატვაში ოთხები მიუღია, ფრანგულ ენაში—სამი, მათემატიკაში კიდევ—ორი. კურსდამთავრებულის ვერც უფლებითა და ვერც უპირატესობით ვერ ისარგებლებს თქვენი შვილიო,—პასუხობდა გიმნაზიის დირექცია უკვე როტმისტრ ალექსანდრე მიქელაძეს 1860 წელს.

ალექსანდრე მიქელაძის სხვა შვილებიც, სხვადასხვა დროს, გიმნაზიელები იყვნენ. ამდენად იგი, როგორც თავადი და როგორც თავადაზნაურთა წინამძღოლი, თუნდაც პირადი ცხოვრებიდან გამომდინარე, კარგად იცნობდა გიმნაზიის და გიმნაზიელთა ყოფიერებას.

ამავე, 1869 წელს, გუბერნიის მარშლობის ვადის გასვლამდე, ალექსანდრე მიქელაძე წმ. სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს და თადარიგის გვარდიის პოლკოვნიკი გახადეს.

ამ დროს გრაფმა და გუბერნატორმა ლევაშოვმა მეგრელებს აფხაზეთში ჩასახლება აუკრძალა. ასე იყო: ზოგი ჩინიანდებოდა, ზოგი საკუთარ სამშობლოში დასახლების უფლებას კარგავდა.

აკაკი წერეთელი წერილითაც გამოეხმაურა დიდი ალექსანდრეს გარდაცვალებას. იშვიათია, ქვეყნის ორგულთა დაუნდობლად მკილავ და მძაგებელ მგოსანს ვინმეზე კეთილი სიტყვა დაცდენოდა, ალექსანდრე მიქელაძეზე დაცდა, რაც შემთხვევითი სულაც არაა. როგორც ვთქვით, აკაკი მის პიროვნებაში ხედავდა იმას, რაც დაფასების ღირსი იყო. თუმც ამ სტატიას მაინც ეტყობა ავტორის რაღაცნაირი ორჭოფული დამოკიდებულება, ცდილობს, ახსნა მოუძებნოს, გაამართლოს მოღვაწეობა ქუთაისის თავადაზნაურთა მარშლისა, დადებითად შეაფასოს მისი ამქვეყნიური ყოფნა, ცდილობს და ახერხებს...

სხვა დროს, მისთვის სათაყვანო ვინმეზე საუბრისას, ვრცელი შესავალი სულაც არ დაჭირდებოდა, მისებური პირდაპირობით იტყოდა, ალექსანდრე მიქელაძეზე მსჯელობამ კი რაღაცათა განმარტება მოითხოვა. განმარტა—ბუნებათანაზიარი კაცი დაარქვა და ამ ფრაზაზე აკინძა ნაფიქრი.

ბუნება-ჩლუნგი კაცი ქვა და ხეა, ხეზე გინდ დათვი, გინდ ბრძენი გასულა, ქვა კიდევ თუნდაც ეკლნარში, გინდ ვარდნარში გდებულა, სულერთიაო,—წერს და ალექსანდრე მიქელაძეს ბუნებათანაზიარს უწოდებს. თანაც ამბობს, ასეთი ადამიანები არსებული ვითარების მონები არიან, ბანს აძლევენ იმას, რაც არსებობს, რბილი ხასიათის გამო, ვერ ეწინააღმდეგებიან იმ წესწყობილებას, თუნდაც მათ გაჩენამდე რომ დამკვიდრებულა. ალექსანდრე მიქელაძე

დინებას მიჰყვებოდა, წყალში აროდეს აღმა არ შეუცურავს, გაურბოდა ტალღათა წინააღმდეგობას, უმრავლესთა მსგავსად, ემსახურებოდა მამულის დამმონებელს.

აკაკი, ბუნებრივია, ეძებს ალექსანდრე მიქელაძის მოღვაწეობის დადებით მხარეებს, ეძებს და აღმოაჩენს, რომ მას პირად კეთილდღეობაზე არ უზრუნია, ქვეყნის სამსახურში იდგა, მაგრამ საიდან იმართებოდა ეს ქვეყანა, რა წესრიგი დამკვიდრებულიყო, არ ფიქრობდა.

ერთ საგულისხმო შტრიხს გამოკვეთს:

„ამ უკანასკნელ საუკუნეში საქართველოში არავის იმისთანა დასაფლავება არ ღირსებია, როგორც ეღირსა თ. მიქელაძეს. აქ ბრძანებითი და ნაანგარიშები არა ყოფილა რა. გულწრფელობა და სინდისი მოქმედებდა და მოჰყავდა უკანასკნელად პატივის საცემად განსვენებულთან ამოდენა ხალხი. თავადაზნაურობა, გლეხობა, ვაჭრობა და ურიობა ყველა დასევდიანებული და გულნატკენი იყო“.

ბუნებრივია, აკაკის თავად მიქელაძის ეროვნულ ღვაწლზე მოღაღადე სხვა ფაქტები რომ ჰქონოდა, დაკრძალვას სულაც არ გაიხსენებდა, თუმცა არც ის უნდა იყოს ნაკლებმნიშვნელოვანი, თავადაზნაურთა პირველი წინამძღოლი ერთნაირი სიყვარულით რომ უყვარდა ქართველსა და არაქართველს, გლეხს, ვაჭარს, თავადსა და აზნაურს. ამას ხომ დამსახურება უნდოდა, სიცოცხლეში უნდა ყოფილიყო ისეთი, ასე ერთიანად, სულიან-ხორციანად რომ შეეძრა ყველა მის გარდაცვალებას. შეძრა, შეძრწუნდნენ და გულწრფელად დაინანეს დიდი ალექსანდრე, რომელმაც ყველა ადამიანში დატოვა რაღაც კვალი, წარუხოცელი ნიშანსვეტი, მისი გარდაცვალების დროს ყველა ერთიანად რომ შეძრა და ააფორიაქა.

ალექსანდრე მიქელაძე 1881 წლის მიწურულს გარდაიცვალა. საძაგლად თავდება ეს წელიწადი იმერეთისათვის— წერდა ილია ჭყონია. ცნობილ კაცთა სიკვდილს აკრძალული

ხილის ჭამით სამი ადამიანის აღსრულება და ხაზინიდან 30 ათასი მანეთის დაკარგვა დაემატაო.

ცნობილი კაცნი—ალექსანდრე მიქელაძე და ირაკლი ლორთქიფანიძე იყვნენ. ეს ორი თავადი იმითაც ჰგავდნენ ერთმანეთს, რომ ლევაშოვის მოწინააღმდეგეებად ითვლებოდნენ. ალექსანდრე მეორეს ქუთაისში სტუმრობისას ჩინის მაძიებლებმა უთხრეს: ქართველ თავადთა უმეტესობა თქვენი ორგულიაო. ამ დროს წამოდგა ირაკლი ლორთქიფანიძე და ხელმწიფეს განუცხადა: „დარწმუნებული ბრძანდებოდეს შენი დიდებულება, რომ ქართველნი კი არა ვართ თქვენი მაგარი ტახტის ორგული, არამედ ისინი გახლავან მოღალატე შენი ტახტისაც და მამულისაც, ვინც ჰბედავს შენს წინაშე ქართველთა ორგულობის ცილისწამებას.

ამ სიტყვებმა ზარი დასცეს ბ. ლევაშოვს და მის ზენა ამქრებს".

ამ ამბავსაც ილია ჭყონია მოგვითხრობს.

და კიდევ ერთი დეტალი:

განსვენებულ ირაკლი ლორთქიფანიძეს სამეგრელოს მთავრის ბიბლიოთეკიდან შეძენილი „ქილილასა და დამანას" ხელნაწერი დარჩენია, რომლის გამოცემა თვითვე სდომებია: „სახსოვარის დასაგდებად ქვეყანაზედა", მაგრამ არ დასცალდა. იქნებ ვინმემ აღასრულოს მისი სურვილიო—ისევ ილია ჭყონია გვეუბნება.

ჩვენ კი ეს თავადნი მარტო იმის გამო არ გაგვიხსენებია, რომ ერთ წერილში იყო მათზე საუბარი. ერთსაც რომ დაცლოდა და მეორესაც, ანუ შვიდიოდე წელიწადს რომ ეცოცხლათ ალექსანდრე მიქელაძესა და ირაკლი ლორთქიფანიძეს, მძახლები გახდებოდნენ. დავით მიქელაძემ მეორე ცოლად სწორედ ირაკლის ასული ელისაბედი შეირთო. პირველი, ფატულა კონსტანტინე ნაკაშიძის ასული, 1881 წელს გარდაიცვალა. ეს წელი ორმხრივად იყო მეველისათვის საგლოვი—მეუღლეც დაკარგა, მამაც. მომავალი მძახლები

კი, მართალია, იცნობდნენ ერთმანეთს, სულაც ანტილევა-შოველებად ითვლებოდნენ, მაგრამ ისე აღესრულნენ, რომ ნათესავებად არ ქცეულან.

დავით მიქელაძეს 1877 წელს, პირველი ცოლისგან, მომავალში ილია ჭავჭავაძის ნათლული ილია, იგივე ივერიკო შეეძინა, რომელსაც აკაკიმ მიუძღვნა ლექსი „ჭრელი პეპელა დაათრო და გააბრუა იამა, მას მიეპარა ივერი, დაიჭირა და იამა“,—შემდეგ პოეტმა განზოგადებისთვის ივერი ყმაწვილით შეცვალა.

დათა მიქელაძეს მეორე ცოლთან ჰყავდა: ქეთევანი (1884-1886); ირაკლი (1886?); ნინო (1890?); ალექსანდრე (1892-1915); ელენე (ნორა) (1901?); ე.ი. სულ—6 შვილი, მეორე ცოლთან—ხუთი.

დავითის ძმები—ევგენი და სიმონი უშვილძიროდ გადაეგნენ.

ისევ აკაკი:

„მღვრიე წყალში არაფერი არ მოსჩანს, მაგრამ წმინდა, მოკამკამე წყლის ანკარაში კი ყველაფერი ნათლად იხატება, რაც კი მის მახლობლად არის და შიგ იხედება. მის სარკეში ვხედავთ ხოლმე ჩახატულს ცის კამარას, ხან მნათობებით მოჭედილსა და ხან ღრუბლიანს. ბუნებათანაზიარი კაციც ასეა, თუ მისი გული მოკამკამეა და ვერაფერს აუმღვრევია; ის მაშინ სარკეობს და უნებურად მხატვარობს!...“

ალექსანდრე მიქელაძე სუფთა გულის კაცი იყო, მისი გულის სიღრმეში, როგორც კამკამა წყალში, მხოლოდ სიკეთე იხატებოდა, სარკეობდა აუმღვრეველი გუნება, სიქველე და პატიოსნება. მაგრამ აკაკი მარტო ამ თვისებებით არ გამოარჩევს მეველეს მამას, მისთვის იგი იმითაც იყო განსხეულებული მეომარი და ვაჟკაცი, რომ ხმლის ხმარებაც ერთნაირად შეეძლო და ფარისაც, რა დროს რომელი დაჭირდებოდა, იმას მოიმარჯვებდა. აკაკის თქმით, ნამდვილი

მეომარი სწორედ ასეთი უნდა იყოს, რამეთუ მარტო ხმლის ქნევაც არ ეგების და მუდმივ ფარის ამოფარებაც.

თანამედროვეთათვის მის ხასიათში იყო ისეთიც, რაც ნაკლად მოჩანდა. სულმნათი მგოსანი არაფერს ამბობს ამაზე, უბრალოდ, გამართლებას უძებნის: ეკლესიაში მიმავალი კაციც შეიძლება ტალახით დაისვაროს და საროსკიპოსკენ აჩქარებულიც, მაგრამ ეს უკანასკნელი პირველს ვერ ეტყვის—შენც ჩემნაირი ხარო. რომც უთხრას, მართალი არ იქნება. „ხშირად ავი საქმე კარგსა ჰგავს შორიდან და კარგი ხანდახან ავის ფერს იდებს! საჭიროა მათი დაკვირვება, რიგიანი აწონვა, სწორი გამოზომვა და ისე დაფასება“—გვეუბნება აკაკი,—მაგრამ არ აკონკრეტებს, ქუთაისის თავადაზნაურთა პირველი წინამძღოლის რომელი საქმენი მიაჩნდათ შორიდან ავად, რომელი უნდა აგვეწონა, გაგვეზომა, განგვეჩხრიკა საფუძვლიანად და მერე გამოგვეტანა მსჯავრი.

რაც ვიცოდით, ვთქვით, რაც უცნობი და ჯერჯერობით მიუკვლეველია, იმაზე აზრის გამოთქმა შეუძლებელია: სავარაუდოა, აკაკის ალექსანდრე მიქელაძის უბიხთა და ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლა და ყირიმის ომში ჩადენილი გმირობაც არ დახატვოდა გულზე. მართალია, მისი ქვეყნის დაუძინებელ მტერს— ლეკებს და თურქებს ებრძოდა, მაგრამ ამით მაინც რუსის საქმე კეთდებოდა, რუსისა და არა ქართველის, რომელსაც დაპყრობამდე და დაპყრობის მერეც ხმლითა და ფარით დასაცავი გახდომოდა მამული.

აკაკი უფრო შორსაც მიდის. ალექსანდრე მიქელაძე სხვა დროის კაცად მიაჩნია, ის სხვა იყო, დროება კიდევ სხვაგვარი და ამიტომაც გვესახება ამგვარიო. თუმც, სჯობს, მას მოვუსმინოთ. „თ. ალ. მიქელაძე იყო ნამდვილი იმერეთის შვილი; როგორც ძირეული—ბუნებითი, ისე განზოგადებული იმერლობა მის ბუნებაში ისე იხატებოდა, როგორც სარკეში. ის იყო ბუნებისაგან ავთანდილათ გაჩენილი, მაგრამ დრო და

ვითარებისაგან გასუტავთანდილებული, და სად უნდა გამოეჩინა, სად მოეხმარა და როგორ უნდა გაემტკიცებინა მისი ავთანდილობა, როდესაც თვითონაც ვერსად შეხვდებოდა ტარიელებს, ფრიდონებს და ნესტან-დარეჯნებს, რადგანაც დღეს ტარიელობა ჩინოვნიკობათ შეცვლილა და ნესტან-დარეჯნობა გამათუშკებულა?!".

ავთანდილად დაბადებულს დრო არ ერგო საავთანდილო, აღარც ტარიელნი ტარიელობდნენ, ფრიდონნიც არ ფრიდონობდნენ და ასე შემდეგ, უფრო მეტიც—დაკნინებულიყო და გადაგვარებულიყო მათი ნაერთგულევი გრძნობანი და მისწრაფებანი.

დროება სხვა, კაცი კიდევ სხვა დროის გმირად დაბადებული, აქ ჩინოვნიკად გარდაიქმნებოდა. ვეფხისტყაოსნის გმირები აკაკის ხომ საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთა ხასიათების გამომხატველებად ესახებოდა. ავთანდილი იმერელი იყო, ალექსანდრე კიდევ—ბუნებითი იმერელი, ღვითსაგან „კოჭლ დროებაში" ავთანდილად დაბადებული.

ალექსანდრე მიქელაძე დიდად ნიჭიერი და გრძნობიერი კაცი გახლდათ, მისი ღვაწლი ყოველი მხრიდან უნდა ავწონ-დავწონოთ და არა ერთი რომელიმე ჭუჭრუტანიდან, თორემ სრულ სურათს ვერ შევიქმნით მასზე—გვმოძღვრავს მგოსანი.

მეველეს მამას ჰქონდა „ცოტა რამ ხორციელი სისუსტე, მაგიერად, თვალსაჩინო ღირსებები მრავალი ჰქონდა, რომლის დავიწყებაც უმადურობა იქნებოდა". ჰოდა, ის სისუსტენი და ღირსებანი ერთად ავწონოთ და აღმოჩნდება, რომ მართლაც ცუდ დროში ავთანდილად დაბადებულ კაცთან გვქონია საქმე— გვეუბნება აკაკი.

ისიც გავითვალისწინოთ—ამ წერილს ალექსანდრე მიქელაძის გარდაცვალებას უძღვნის მწერალი, ბუნებრივია, ამ ხასიათის თხრობაში მის ნაკლსა და სისუსტეზე ბევრს ვერა-

ფერს იტყოდა, მაგრამ აკაკი რისი აკაკი გახლდათ, გზა უჩვენა თანამედროვეთ, როგორ განესაჯათ ცხოვრება და ღვაწლი დიდი ალექსანდრესი.

ყოველი მხრიდან შეხედეთ, აწონ-დაწონეთ, გაზომეთ, განსაჯეთ...

ალექსანდრე მიქელაძის „თავგადასავალი მთელი მოთხრობა და რომანიაო"—წერს. წერს, მაგრამ სამოთხრობო და სარომანო ამბებს გვერდს უვლის.

ოთხცოლიანობაში ხომ არ იმალებოდა სამოთხრობო და სარომანო ამბები?!

ალბათ.

ნეტავ, სულაც არ მიეძღვნა ალექსანდრე მიქელაძის გარდაცვალებისათვის ეს წერილი, სხვა დროს შექმნილი აუცილებლად სხვანაირი იქნებოდა. ახლა კი გვეუბნება იმას, რაც მის თანამედროვეებს მშვენივრად ესმოდათ, ჩვენთვის კი ჯერჯერობით უცნობია.

თუმცა, მარტო ის ფრაზა რად ღირს: „მისი თავგადასავალი მთელი მოთხრობა და რომანიაო". განა რამდენ ადამიანზე შეიძლება დაიწეროს ასეთი რამ?! ძალიან მცირეზე.

მცირეთა შორის იყო დიდი ალექსანდრე.

ან კიდევ: სოფელში რომ იკითხავდნენ,—რომელმა ალექსანდრემ? დიდმა თუ ხვიხვინამ?

დიდმა, ბოშო, დიდმა, ხვიხვინა ჩემს მტერს გადაეკიდა. იქნებ სწორედ ამ კითხვებში იგულისხმებოდა ალექსანდრე მიქელაძის სამოთხრობო და სარომანო ამბები.

ვინ იცის...

ნეტავ, აკაკის სხვა დროს დაეწერა ის წერილი?!

თავი მეორე

ტრა-ლა-ლა-ლა

„დროების“ ორი კორესპონდენტიდან ორივე პარიზში იყო. დავით მიქელაძე რამდენიმე წლის წინათ ჩავიდა, მერე ნიკო ნიკოლაძე შეუერთდა. ორივეს წერილები უნდა გამოეგზავნა გაზეთისათვის. პარიზში უამრავ რაიმეზე შეიძლებოდა დაეწერათ, მაგრამ არ ივარგებდა, ორივეს ერთსა და იგივეზე მოეთხროთ გაზეთის მკითხველისათვის. ამასთან დაკავშირებით ყვება ნიკო ნიკოლაძე მის მიერვე შეთხზულ ამბავს.

პალე-როიალის სცენაზე მოხდენილად ჩაცმული ლამაზი აღნაგობის ქალი გამოვიდა, გვირგვინის მაგიერ თავზე მოოქროვილი იარაღი ეხურა, რომელიც საითაც ქარი დაუბერავდა, იქით ტრიალებდა, მყუდროების ჟამს კი ცოდვილივით კანკალებდა. მსახიობ ქალს სამი ფერის ტანსაცმელი ემოსა: მარჯვნივ—თეთრი ატლასის (მონარქისტების დროშის ფერი), მარცხნივ—ალისფერი (რესპუბლიკელთა), შუაზე კი ყვითელი ან ოქროსფერი (არც ერთი პარტიის სახელი არ ეწერა, ვისაც მეტი ფული გაქვთ, იმისი ვარო). მსახიობ ქალს სამივე მხარე სხვადასხვა გაზეთების სახელწოდებით ჰქონდა აჭრელებული და პოლიტიკას განასახიერებდა.

ჰოდა, პოლიტიკის განმასახიერებელმა ამ ქალბატონმა პირი გააღო თუ არა, ერთმა მოთამაშემ იმწუთას ზარის რაწკუნი ატეხა—იცოდე, შენს ლექსებს ცენზურამ ბევრი მოაკლო, არ გაბედო მათი თქმა, თორემ!!!

—მაშ, როგორ წავიკითხო?

—ცენზორისაგან წაშლილი სიტყვების მაგიერ იმღერე ტრა-ლა-ლა-ლა.

მსახიობმა დაიწყო.

—ტრა-ლა-ლა-ლა უფლება, ტრა-ლა-ლა-ლა ყიჟინა, ტრა-ლა-ლა-ლა ბაგაჟი, ტრა-ლა-ლა-ლა მშვიდობა.

ამ ტრა-ლა-ლა-ლას მოსმენის მერე გადავწყვიტე—მოგვითხრობს ნიკო ნიკოლაძე,—პოლიტიკურ თემებზე დავით მიქელაძემ წეროს, რადგან ის, ჯერ ერთი, შეჩვეულია ტრა-ლა-ლა-ლებს და მეორეც, მკვიდრად ცხოვრობს პარიზში, ამიტომ იგი ყოველ კვირას თუ მთლად ტრა-ლა-ლა-ლას არა, ტრა-ლას მაინც იმღერებს „დროების“ მკითხველებისათვის.

მე კი ქალებზე, ბულვარზე, თეატრებზე... დავწერო.

ასე გაინაწილეს ნიკო ნიკოლაძემ და დავით მიქელაძემ—პარიზში მცხოვრებმა „დროების“ ორმა კორესპონდენტმა—როლები.

ისინი შეთანხმდნენ, სერგეი მესხს კი თავიდანვე განესაზღვრა თითოეული თანამშრომლის მოვალეობა. უფრო დავით მიქელაძე ეიმედებოდა, სულაც იგი მიაჩნდა ბურჯად გაზეთისა, მაგრამ ამ დროს ორივენი უცხოეთში იყვნენ. ს. მესხი ჟენევაში, დათას სახლის პირდაპირ ცხოვრობდა. ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, ესაუბრებოდნენ, ფიქრობდნენ—ოცნებასა და ნატვრას უმხელდნენ. ერთმაც იცოდა, მეორემაც მშვენივრად უწყოდა ფასი პირველისა. ამიტომ იყო, სერგეი მესხი მომავალ მეუღლეს რომ წერდა:

„...მინდა მიქელაძე წავათრიო აქედამ და ახალი წლიდამ სამჯერ გამოვცე გაზეთი. თუ მთავრობამ ნება მოგვცა, სხვა დაბრკოლება არა იქნება რა. ეს თუ მეყოლა, მერე არც შენი კირილე, არც ნიკოლაძე, არც წერეთელი, არც სხვა არავინ თანამშრომელი არ მინდა, ჩვენ ორნი ძალიან კარგად გამოვიყვანთ გაზეთს კვირაში სამჯერ“.

„დროების“ ხუთი თანამშრომლიდან ორნი დავრჩებით და ვიკმარებთ, ოღონდ ჩემთან ერთად ის მეორე დათა მიქელაძე იყოსო.

იმ დროს გაზეთს სამი კორესპონდენტი (ნ. ნიკოლაძე, დ. მიქელაძე, ს. მესხი) უცხოეთში, ორნი (კ. ლორთქიფანიძე და გ. წერეთელი) თბილისში ჰყავდა და კვირაში ერთხელ გამოდიოდა. ს. მესხი კიდევ ყველას კვეცდა, საკუთარი თავისა და მეველის გარდა, და, ამას შემთხვევით არ ჩადიოდა. ღრმად სწამდა, რომ თუ დავით მიქელაძე ჩაერეოდა საქმეში, ერთის მაგიერ კვირაში სამჯერ გამოსვლა „დროებისა" ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა.

აღარც კირილე, აღარც ნიკოლაძე, აღარც წერეთელი აღარ მინდაო.

„სადაც ლოკრუასავით გაცხარებული სიტყვა, ყვირილი, ბაქა-ბუქი იქნება გამოსადეგი, იქ მიქელაძე მეყოლება"—წერდა იგივეს, მომავალ მეუღლეს, ელისაბედ მელიქიშვილს სერგეი მესხი და ამით თავიდანვე განსაზღვრავდა მეველის ადგილსა და როლს „დროებაში".

ედუარდ ლოკრუა—ცნობილი ფრანგი ჟურნალისტი—არამარტო გაცხარებული მოკამათე გახლდათ, მის სახელს ფრანგები სამართლიანობას უკავშირებდნენ, იყო პირდაპირი და შეუვალი. მისსავე გაზეთში დაწერა—ტირანიამ დაგვამხო და დემოკრატიამ გვიხსნაო, რაშიც მთავრობის ადვოკატმა ამოიკითხა—თითქოს მისი დამწერი ომისაკენ მოუწოდებდა ხალხს, რის გამოც ლოკრუა 500 ფრანკით დააჯარიმეს და ერთი თვით ციხეში ყურყუტი მიუსაჯეს.

არ გაულევია მისჯილი ხანი,—ორი კვირაც არ იყო გასული, რომ ფრანგებმა ციხიდან გამოყვანილი ჟურნალისტი ატატებული შეიყვანეს ნაციონალურ კრებაში. ერთი სიტყვით, საფრანგეთის რესპუბლიკური წყობილების ჩამოყალიბებასა და ამ ქვეყანაში დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებაში ლოკრუასაც მიუძღვის წვლილი. მისი ეშინოდათ, მასთან დაპირისპირებასა და კამათს გაურბოდნენ და ისიც გაცხარებით საუბრობდა იმაზე, რაც ფრანგთა ქვეყანას ტირანიისაგან დაიხსნიდა.

დავით მიქალაძეც ხომ პირდაპირი და შეუვალი იყო, წერდა იმას, რასაც ფიქრობდა. ამიტომ ს. მესხის შედარება სულაც არაა უადგილო, პირიქით, იგი ნათლად გამოხატავს ამ ორი პუბლიცისტის გამორჩეულ მებრძოლ ხასიათს, პირდაპირობასა და შეუვალობას.

ედუარდ ლოკრუამ თავის გაზეთ „რაპპელში", დავით მიქელაძემ კიდევ „დროებაში" მკითხველებს გაანდეს თავიანთი პრინციპული აზრი, დაუფარავად უთხრეს ის, რასაც იმდროინდელ მსოფლიო წესრიგზე ფიქრობდნენ. სერგეი მესხსაც ზუსტად შეემჩნია—დავით მიქელაძე ევროპული ყაიდის პუბლიცისტი გახლდათ, ლოკრუას, როშფორისა და სხვათა მსგავსად, პუბლიცისტისა და პოლიტიკოსის ტვირთი რომ ეკისრა ერთდროულად.

ელგუჯა მაღრაძე წერდა:

„როცა ლინკოლნის დროის ამერიკელთა გულახდილობით გაოცებული ფრანგ მწერალს ლაბულეს ეხება, მეველე აშკარად დგება ამერიკელთა მხარეზე, საკუთარ დანაკლისზე რომ საქვეყნოდ წერენ: სიმართლის დაუფარავად თქმა, რაც უნდა სამწუხარო და საშიში იყოს, არასოდეს არ არის მავნებელიო. მთავრობის გულახდილობა არ ავნებს ერს, არამედ აღძრავს სურვილს, რაიმე გარემოებით უშველოს საქმესო".

ლინკოლნის დროის ამერიკელთა გულახდილობა სანიმუშოდ ესახებოდა. მათი ამგვარობა ლაბულესავით კი არ უნდა გვაოცებდეს, პირიქით, გვხიბლავდეს, ვბაძავდეთ და კვალში მივდევდეთო.

ფელეტონების წერა მისი საქმე არ არის, მაგრამ ვერ მოვაშლევინე—ამბობდა ს. მესხი დავით მიქელაძეზე და მხედველობაში ჰქონდა მისი წერილი „ადვოკატმა გაიმინდვრა", სადაც კარგად გამოჩნდა მეველის დაურიდებლობა, შეუდრეკელობა. მრავალი გამოხმაურება მოჰყვა ამ წერილს, სადაც ადვოკატები თავს იმართლებდნენ, როგორ გეკადრებათ,

ხალხს არ ვატყავებთო, მაგრამ მეველეს ოდნავადაც არ შეუცვლია აზრი, პირიქით, როგორც კი საშუალება მიეცემოდა, სხვა წერილშიც აფიქსირებდა თავის პოზიციას, გამოთქვამდა იგივე აზრსა და შეხედულებას. ასე რომ, ფელეტონიც მშვენივრად ეხერხებოდა, მოწინავე წერილების წერაც, ლოკრუასავით გაცხარებული კამათიც და პაექრობაც, როშფორივით დინჯი მუსაიფიცა და მასლაათიც, მაგრამ როცა გადაირეოდა, როცა სხვა გზას ვერ დაინახავდა, უმალ შეეტოქებოდა მოწინააღმდეგეს, უფრო სწორად, ქვეყნის მტერსა და ორგულს საბრძოლველად შეებმოდა.

ევროპულ-ამერიკული ყაიდის პუბლიცისტიც და პოლიტიკოსიც, მეომარიც, რაინდიც...

სერგეი მესხი ამხელს მის ერთ თვისებას—ყოველთვის ცდილობდა, ფრანგთათვის მიებაძა, ხელების ქნევით, საუბრის მანერით, მგრძნობიარობით ფრანგებს ბაძავდა, სურდა, იმდაგვარად წარმოჩენილიყო თანამედროვეთა თვალში.

„პარიჟში ყოფილა: აღტაცებული ფრანცუზების პოლიტიკურის ცხოვრებითა და ნაციონალური კრების ორატორობით, სცდილობს ჩვენს კრებაში ლაპარაკის დროს იმათ წაბაძოს ხელების ქნევითა და ლაპარაკის მანერით“.

ს. მესხი ამ შეფასებაშიც ზუსტი იყო. ნდობითაც უსაფუძვლოდ არ ენდობოდა. დავით მიქელაძემ, ნიკო ნიკოლაძემ და იზმაილოვმა ერთად „დროების“ კორესპონდენტობამდე ჟურნალი „დროშა“ გამოსცეს. უცხოეთში, ჰექტოგრაფზე დაბეჭდილი ეს ჟურნალი პრობლემათა სიმწვავით, საერთაშორისო მდგომარეობის ნამდვილი შეფასებით გამოირჩეოდა. მართალია, სულ ექვსი ნომერი გამოიცა, მაგრამ მათშიც აშკარად ჩანდა მეველის ნიჭი, ნიჭი პუბლიცისტისა, მოვლენითა ღრმად შემფასებლისა.

ს. მესხმა ესეც მშვენივრად უწყოდა, ამიტომ ცდილობდა მის „ჟენევიდან წამოთრევას“ და „დროების“ ყოველდღიურ გაზეთად ქცევა ამის მერე ჩვეულებრივ ამბად ეჩვენებოდა.

არ შემცდარა, დავით მიქელაძე სულ მალე ამ გაზეთის გულად იქცა.

ლუციუს კვინციუს ცინცინატსაც ადარებდნენ და ამასაც არცთუ შემთხვევით. რომაელი სარდალივით დაღლილ-დაქანცული სოფელს მიაშურებდა ხოლმე. ის ბრძოლით, ომით, ეს კიდევ ლოკრუასებრი გაცხარებული პაექრობით მისავათებული კულაშში დამკვიდრდებოდა. აღარც წერდა, აღარც კითხულობდა, შორიდან აკვირდებოდა ყოველივეს, მაყურებლის თვალით განსჯიდა და აფასებდა.

კულაში თავშესაფარიც იყო მისთვის, სიმყუდროვის, სიჩუმის, დასვენებისა და ახალ პაექრობისათვის ძალების მოსაკრები ადგილიც. ადრე, ნაროდნიკული იდეებით გატაცებული, უფრო ხშირად მიიმალებოდა ხოლმე ამ სოფელში, ჩამოდიოდა, მიეფარებოდა თვალს, დაღლილი ლომივით მიიყუჟებოდა ბუნაგში.

ჩვეოდა ასე...

მოქიშპეთა შემრიგებელიც გახლდათ ლუციუს კვინციუს ცინცინატუსივით...

დავით მიქელაძემ საოჯახო განათლება მიიღო, არც გიმნაზია გაუსრულებია, არც რომელიმე უმაღლესი სასწავლებელი. მართალია, ჟენევასა და პარიზში ლექციებს ისმენდა, მაგრამ ასეთნი იმ დროს არც ისე ცოტანი იყვნენ. მთავარია, ჰქონდა მახვილი თვალი, ღრმა ანალიზის უნარი, ალღოთი გრძნობდა მოსალოდნელს, ჭვრეტდა მომავალს. ამ თვისებათა გამოისობით იქცა იგი ერთ-ერთ გამორჩეულ პუბლიცისტად. და კიდევ, გამორჩეულობაში პიროვნულმა თვისებებმაც შეუწყო ხელი.

დავით მიქელაძე ყველა სურათში ბრძნულ და მედიდურობის იერმმატები წვერულვაშითაა. წინ წამონეული მაღალი შუბლი, გრძელი სახე, შორს მზირალი, რაღაც ჰორიზონტს მიშტერებული ღრმა, სევდიანი თვალები. ჩაფიქრებული, იმავდროულად ეშმაკური მზერა, რომელშიც აღმოჩენის

სიხარულიც იკითხება, მარცხზე სინანულიც კიანთობს. ფოტოებზე მხოლოდ მარცხენა პროფილია არეკლილი, ნაიარევი არსად ჩანს.

ნაკვერჩხალი ღვივის მის მზერაში, სიტყვაში ცეცხლოვანი სტიქია ბუდობდა. ნაკვერჩხალივით ბრდღვიალა, მღვივანი და მიუნავლებელი ჰქონდა ფრაზა.

რაღაცს ხელს არ ჩაავლებდა, უმთავრესს ჩასჭიდებდა, ამოზიდავდა და იცოდა, ლიფსიტებიც ამოჰყვებოდნენ. მაშინ წვდომისა და მიგნების ცეცხლი ელვარებდა გამოხედვაში, ხანდახან ხელი გაცუდებია, უმნიშვნელო მნიშვნელოვნად უქცევია. მიმხვდარა, მაგრამ საქვეყნოდ არ უღიარებია. მცდარობა მარტოშთენილს უნანია მხოლოდ. შემცბარის ღიმილიც ილანდება მის გამოხედვაში.

პოზაში, გარეგნულ იერსა და გამოხედვაში ჩანს თავადი, ძნელად შეუთავსებელი სიტყვებია, მაგრამ ამ შემთხვევისთვის სიმართლის აღმნიშვნელი—თავადი და დემოკრატი.

აკაკი გავიხსენოთ: „მთელი ერი ორ წოდებად იყო გაყოფილი: მხედრებად (მეომრებად) და მუშაკებად, პირველი შეადგენდა მაღალ წრეს და მეორე დაბალს, თავადაზნაურობა ბრძოლის ველზე ათენ-აღამებდა და გლეხობა კი საზრდოს აწოდებდა მათ და თანვე თავის თავსაც არჩენდა და იმ დროის მიხედულობით უკეთესი წეს-წყობილება მოუხერხებელიც იყო. დღეს კი სულ სხვა არის“...

დავით მიქელაძე ძველ დროში მეომარი იქნებოდა, მეომარი—უბადლო, რაინდი, ქვეყნის ჭირვარამის გამზიარებელი თავადი...

სპილენძნარევი ხმა ჰქონდა. ლაპარაკობდა და მის ხმაში ხმიანებდა სპილენძი. თავისებური სილბილით, თავისებური სიმედგრით ჟღრიალებდა ზარივით ხმა—განგაშისა და სიმშვიდის დამტევი ერთდროულად. ფორიაქი, სიდინჯე, ღელვა და სიმდოვრე იღვრებოდა დაუღლულად. ხან ნელიად იტყოდა, ხან აჩქარდებოდა, თუმც სიმწყობრე და თანამიმდევრობა ყოველთვის იქნებოდა შესამჩნევი.

მშვიდად მუსაიფისა თუ ზვავივით აბორგების დროს გითრევდა, გიპყრობდა სპილენძშერეული ხმა. მსმენელი წუთიერად მაინც ხდებოდა თანაზიარი მისი ფიქრისა, გულის გულში ეამაყებოდა, ენდობოდა ხალისით... მერე გონებას იქნებ სხვა გზით წარემართა სწრაფვანი მისნი, მაგრამ წამიერად მსმენელი დავით მიქელაძისა, მისი ტყვე იყო, მის კვალში ჩამდგარი, მიმდევი.

დინჯი საუბრის დროს სახეზე თითქმის არ ერხეოდა წვერი, თავსაც ისე გაიქნევდა, გრძელ წვერს გაიყოლებდა, მაგრამ როცა აჩქარდებოდა, იქით-აქეთ მიეხლებოდა, ჯებირის წამლეკავი ძალით დაიწყებდა მოძრაობას, გრძელი წვერ-ულვაშიც აქეთ-იქით მიმოირხეოდა.

ბორგავდა და თითქოს ბორგავდა წვერიც...

ქუთაისურ ქარში, უფრო გრიგალში, მიმავალიც უნახავთ თანამედროვეებს. უყვარდა ფეხით სიარული, ნებისმიერ ტაროსში გაივლ-გამოივლიდა ქუჩებში. ნაცნობებს გაესაუბრებოდა, ეტყოდა, ეტყოდნენ. წვიმასა და ქარში სასაუბროდ არავინ უჩერდებოდა, თუმც ეს მაინც დადიოდა, ქალაქის ხილვის ჟინს იკლავდა თითქოს.

უკვირდათ, ქარიან ამინდში თეთრ ხიდზე მიმავალ დავით მიქელაძეს რომ ხედავდნენ, ყორნისფერი წვერი ხელით ეჭირა და თითქოს ცუდი ამინდი სულაც არ ყოფილიყო, მშვიდად მიალაჯებდა.

საერთოდ, დაუდგრომელი ბუნების კაცი იყო. ახალგაზრდობის წლებში ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა. დაღლილობას მოიმიზეზებდა და თბილისიდან ქუთაისში გამოიქცეოდა, აქედან კიდევ კულაშს გაუტევდა, სტამბოლში, პეტერბურგსა და პარიზშიც ხშირად ჩასულა.

სულ ჩქარობდა, სულ სადღაც მიდიოდა, მაგრამ მისი ნაბიჯები იყო ნელი, სიჩქარე—მდორე, თავადურად ტლანქი და ზოზინის ინერციის დამტევი. ხასიათის გამოისობით,

მკვირცხლი უნდა ყოფილიყო, მაგრამ იყო ჩქარი და დუნეც იმავდროულად.

დაღლილი პირიქით, ერთ ადგილას უნდა გაჩერებულიყო, დაესვენა და დაევანებინა მყუდრო სავანეში. ამისთვის დაღლილობა ფარსი იყო, უფრო მოძრაობდა, მირბოდა, მირბოდა, მიდიოდა და მიდიოდა...

ერთგან ასე ხსნიდა იქით-აქეთ წასვლასა და წასვლას:

„...ჩემს ქვეყანას, იმის ხალხს, იმის ცხოვრების გარემოებას, იმის ზნესა და იმის მიზიდულობას—გარეთგან, დამოუკიდებლად შევხედო, დავუფიქრდე და რაც აზრი შევადგინო, თამამად აღვიარო“.

ამის გამო გადავიკარგე სტამბოლში,—ეუბნებოდა მკითხველებს. არის ამაში სიმართლე. მეველეს იშვიათად, მაგრამ მაინც, შორიდან სურდა შეეხედა აქაურობისათვის, იქიდან დაენახა და ნაფიქრი მოურიდებლად გაემხილა თანამედროვეთათვის.

ხანდახან ამ გადაკარგვას სხვა მიზეზებიც ჰქონდა. აქ არ დაედგომებოდა, ჩადენილი გამჟღავნდებოდა და დაჭერას რომ არიდებოდა, გაიქცეოდა. მერე ეს ამბავიც მიავიწყდებოდათ და ისევ გამოჩნდებოდა.

მელიტონ ნაკაშიძემ და დავით მიქელაძემ რამდენიმე მოხელეზე მოაწყვეს თავდასხმა და ორივენი ჯერ კულაშში ჩავიდნენ, მერე სტამბოლს გაიქცნენ. პირველი აქედან ბულგარეთში გადაიკარგა და იმათ ბრძოლას მიემხრო დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, მეველე სტამბოლში დარჩა ამბების მიწყნარება-მიჩუმათებამდე. საერთოდ, დავით მიქელაძის ბუნების ადამიანისათვის უცხო უნდა ყოფილიყო ტერორიზმით გატაცება. მომავალში თვითონვე გმობდა ამას, მაგრამ ახალგაზრდობის წლებში, როცა ვეფხვივით გამეხდებოდა ხოლმე, არც ამნაირებზე ამბობდა უარს.

***

კულაშში ნინუაკუთხეს ეძახდნენ იმ ადგილს, სადაც ხშირად იმართებოდა ლელობურთი. დაიწყებდნენ კვარცხის მინდვრიდან თამაშს და იქამდე, ნინუას (ნინუების) უბნამდე ჩამოვიდოდნენ. გვერდით ტორელას ტყე იყო, წინ—ვეებერთელა მინდორი, მარულასაც იქ მართავდნენ ხოლმე, ჯირითში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს თავადებიც და გლეხებიც. სტურუა იყო ერთი, რომლის ცხენის გამსწრები ვერც სამეგრელოში მოძებნეს, ვერც იმერეთში. თავიდან ნელა მირბოდა სტურუას წაბლისფერი, მაგრამ ფინიშამდე რამდენიმე მეტრით ადრე, მიფრინავდა ფრთებგამოსხმული.

უყურებდნენ კულაშელები, ტკბებოდნენ ბედაურის სისწრაფით. დავით მიქელაძეც ხშირად დასწრებია ჯირითს. მივიდოდა, თანასოფლელებს მიესალმებოდა და თვალმოჭუტული გაჰყურებდა მოჯირითეებს. შეიქნებოდა ერთი ყიჟინა და ჟრიამული, ლამაზი ქალიშვილების ათვალიერ-ჩათვალიერება.

ჯირითის მერე ამბების მოყოლა, მტყუან-მართლის გარჩევა და მისთანანი ჩვეულებრივი ამბავი იყო. მეველეს ჯგროდ დასდევდა ხალხი. გამოჩნდებოდა თუ არა, მყისვე შემოესეოდნენ, ეს დინჯად საუბრობდა, ისინი—ხმაგაკმენდილნი ისმენდნენ, უფრო ისრუტავდნენ გაგონილს. უამბობდა დავითი საფრანგეთის ამბებზე, იქაურ ყოფაზე, ხანდახან ფრანგ ქალებზეც ჩაურთავდა რაღაცას და თვალმოჭუტული გახედავდა მსმენელებს. ისინი, ვითომ არაფერი, იდგნენ გაუნძრევლად და ისმენდნენ. შორიდან მაცქერალს ეგონებოდა, გაქვავებულანო ნახატზე დახატულივით.

მეველემ, ერთი ჩვეულებრივი სტუმრობისა და ჯირითის შემდგომი მუსაიფის მერე, სტუმარიც გააცნო იქაურებს—ფრანგი მხატვარია, ანრი—ჩემი მეგობარი,—უთხრა და მრისხანე თვალებით მომზირალ, ევროპულად ჩაცმულ

კაცზე მიუთითა. ყველამ ჩვეულებრივად მიიღო ეს ამბავი, სხვა დროსაც სტუმართან ერთად ჩამოსულა სოფელში, ახლა ანრი ფრანგი დაიმგზავრა, მისი ახლობელი და მეგობარიო—იფიქრეს.

იდგა მხატვარი სხვებივით ხმაგაკმენდილი, ცალყბად უსმენდა მისთვის საგანგებოდ ფრანგულად მოუღურტულე მეგობარსა და მასპინძელს, ხანდახან ტორელას ტყისაკენ გააპარებდა მზერას, თითქოს იქიდან რაღაცას ელოდა. ქვენა ქარის დაბერვისა და ტყის აშრიალებისთანავე სწრაფად მოაბრუნებდა თავს და გაიხედავდა ტყისაკენ. მიქელაძეთა ყმებმა—ჟვანიებმა არაერთხელ შეამჩნიეს მხატვარს ეს, მაგრამ იფიქრეს, ლამაზი ტყეა, იქნებ სულაც დასახატად გაიყურება იქითკენ, ან კიდევ, მას ჩვენი არ ესმის, ჩვენ—მისი, იმას ქართულის, ჩვენ ფრანგულისა არაფერი გაგვეგებაო...

ანრიც ხშირად დაუძახნიათ, ხმა არ გაუცია უცხოელს, გაკვირვებიათ, მაგრამ ესეც ჩვეულებრივ ამბად ჩაუთვლიათ, როცა გვხედავს, გვიღიმის, გვესალმება კიდეც, დაძახებას რომ გამოეპასუხოს, ერთი სიტყვის მეტს ჩვენ ვერაფერს ვეტყვით, ჭკვიანია, თავისთვისაა, არავის აბეზრებს თავსო.

გაცნობის დღე მიილია, მეორე გათენდა, მეორეს მესამე და ასე შემდეგ მოჰყვა. ფრანგი ანრი ისევ დაფიქრებული დადიოდა. მისი მეგობარი დათა მიქელაძე ქალაქში წავიდა, ეს აქ დარჩა, დადიოდა ყრუ-მუნჯად ქუჩებში, უფრო ხშირად, ტორელას ტყის წინა მოედანზე ჩამოჯდებოდა და გაიყურსებოდა. მის ხელში არც მოლბერტი უნახავთ, არც ფანქარი, არც ქაღალდი.

დადიოდა პირგამეხებული, ქვეყანაზე გამწყრალი, დადიოდა უთქმელად, სიტყვის ამოუღებლად. მისი მეგობრის—დათას ჩამოსვლის დროსაც არ იღებდა ხმას, ოღონდ ახლა მასთან ერთად დადიოდა, სხვა დროს მარტო დაიარებოდა, თითქოს ზვერავდა რაღაცას.

მხატვარს ჰგავდა, არც ჰგავდა. ფრანგსაც მიამგვანებდი, ვერც მიამგვანებდი, დათას ჰგავდა, და პირიქით, ფრანგსაც ჰგავდა დათა... იმ დროს ხომ ყველანი ფრანგობდნენ.

კაცს, ხეს, ფოთოლს გაკვირვებით შესცქეროდა და შეიძ-ლებოდა გეფიქრა—მხატვარია და აინტერესებსო, მაგრამ მისი მზერა, მრისხანებასთან ერთად, შიშსა და კრთომას ირეკლავდა.

კულაშში დადიოდა კაცი, დათა მიქელაძის მეგობარი, მის სახლში დამკვიდრებული, ვილაც ფრანგი მხატვარი, სახელად ანრი, ამაზე მეტი მასზე არაფერი იცოდნენ იქაურებმა.

გავიდა ერთი თვე, ორი, სამი... ამ ხნის განმავლობაში სხვები შინაურდებოდნენ, ეცნობოდნენ გარემოსაც და იქა-ურებსაც, ენას საფუძვლიანად თუ არა, ერთ-ორ სიტყვას მაინც სწავლობდნენ. ეს—პირიქით, სულ უფრო იდუმალი ხდებოდა. ადრე, მისალმების დროს, რაღაც ღიმილი გადაეკ-ვრებოდა სახეზე, მერე ესეც გაუქრა—მიესალმებოდა იქაურს ყრუ-მუნჯივით, ოდნავ თავდახრით, ნაბიჯიც ფრთხილი და გამოზომილი გაუხდა.

ისაუზმებდა თუ არა, სოფელში გაისეირნებდა, უბრად დაბრუნდებოდა შინ. ერთხანობას ცხენით გაიქროლებდა, ერთ-ორ საათს გააჭენებდა და ისევ დათას სახლში ჩაიბუდ-რებდა. სამხრობა გადაივლიდა და კვლავ გამოჩნდებოდა, ისევ დათას ბედაურით, გააჭენ-გამოაჭენებდა და სახლში ჩაიკეტებოდა.

კულაშელებს უკვირდათ უცხო კაცის უცნაური ქცევა, ისიც აფიქრებდათ, მხატვარი თუა, რად არ ხატავსო, მაგრამ შეტყობით ვერაფერს იტყობდნენ და ცნობისმოყვარეობა უფრო უღიზიანდებოდათ. ვილაცამ, ეშმაკისაგანაა გათვალუ-ლიო, სხვამ—ფრანგთა ქვეყანაში დანაშაული ჩაუდენია და აქ გადმოხვეწილაო. ვინ—რა და ვინ—რა.... გაგებით ვერაფერი გაიგეს და ფანტაზიას მისცეს გასაქანი. დღეს ერთი ჭორი დაქროდა სოფელში, ხვალ—მეორე, ზეგ—მესამე...

დრო გადიოდა, უცხო ფრანგი მხატვარი ყველასათვის უცხო და უცნობი რჩებოდა.

ამასობაში ერთი წელი მიიწურა და სოფლელებმა ერთ მშვენიერ დღეს პრისტავი და მისი რაზმი იხილეს დათა მიქელაძის სახლთან. ალყა შემოერტყათ გალავნისათვის და რაღაც ბრძანებებს იძლეოდნენ. გავიდა ყმა სახლიდან და უთხრა მათ, რომ ანრიმ—ფრანგმა მხატვარმა—წინა დღეს აიკრა გუდა-ნაბადი, მოახტა დათას ცხენს და საით გაქუსლა, ეშმაკმა უწყისო.

პრისტავი და მისი მხლებელნი მხოლოდ სახლისა და ეზო-გარემოს საგულდაგულო დათვალიერების მერე დარწმუნდნენ მოჯამაგირის ნათქვამის სისწორეში.

უცნობი მხატვარი მართლაც არსად ჩანდა.

თითქოს ცამ ჩაყლაპა...

ერთი წელი ერთსა და იმავე სახლში ბინადრობდა და არავის მოუკითხავს, მისი საეჭვოობა არავის უეჭვია. უცებ კი პრისტავისაგან სახლისათვის ალყის შემორტყმამ ყველა შეაკრთო. გაირკვა—მეველის სახლში, ორი წლის მანძილზე, მასპინძლის ნება-სურვილით, იმ დროს რამდენიმე ტერორისტულ აქტში მხილებული ვარლამ ჩერქეზიშვილი დამკვიდრებულიყო. მასპინძელმა სტუმარი ფრანგ მხატვრად გააცნო თანასოფლელთ და იმათაც ირწმუნეს—შემოქმედნი უცნაური ხალხია, მწერალიც, მხატვარიც... ეს რატომ უნდა იყოს გამონაკლისი—ფიქრობდნენ, არც იყო. უკვირდათ ეს უცნაურობა, მაგრამ იმას ვერაფრით იფიქრებდნენ, თუ მხატვრის ქურქში ტერორისტი იმალებოდა.

მერე ეცინებოდათ კიდეც, იმან მაინც რატომ არ დაგვაეჭვა—მხატვარიაო და ერთხელაც არაფერი დაუხატავს?! მასპინძელიც უცნაური კაცია, ეს კიდევ დიდი ხალხის—სხვანაირად ვერ გაიგეს იქაურებმა ტერორისტი—მკვლელი ყოფილაო. ამნაირი შეიკედლა, თავის სოფელში დამალა, მხატ-

ვარ ანრით გააცნო იქაურებს. იყო ამ მოქმედებაში რისკიც, გამბედაობაც. სხვას, იქნებ, უარიც ეთქვა მეგობრისა და თანამოაზრისათვის, მოსალოდნელი ხიფათი დაესახელებინა და მორჩა. ამან პირიქით—მოკიდა ხელი და კულაშში, მამისეულ სახლში დააბინავა.

ბუნებრივია, თანაუგრძნობდა ვარლამ ჩერქეზიშვილს, გულისგულში მოსწონდა კიდეც მისი მოქმედება. სხვა მხრივ, საეჭვოა, ასე გამოედო თავი—ერთი წელი ფრანგ მხატვრად სახელდებული კაცი ჰყოლოდა სახლში.

ეს იყო ადრე, ხალხოსნური იდეებით გატაცების ჟამს, თორემ ამ ამბებიდან ერთი ათეული წლის მერე თვითონვე გმობდა და უარყოფდა—ანარქიზმად ნათლავდა ამნაირ მოქმედებას და მსოფლიო საზოგადოებას მისგან თავის არიდების საშუალებებს სთავაზობდა.

1893 წელს—ახლა უკვე ნაღდად ფრანგმა—ანარქისტმა ვალიანმა დინამიტი ისროლა საფრანგეთის პარლამეტში. მეველე წერილით გამოეხმაურა მომხდარს, რომელშიც თქვა, რომ მიუხედავად ვინმეს ზიზღისა და სიძულვილისა, ასეთი მოქმედება დაუშვებელია, თუმცა, სჯობს, მისი სიტყვები გავიხსენოთ:

„...ერთი რამ კი არის საგულისხმო და სარწმუნო, რომ მხოლოდ დევნით, ციხეებში დამწყვდევით და დარჩობით ამ სამწუხარო მოვლენას ბოლო არ მოეღება და ერთის მოჭრილი თავის ნაცვლად ორი და სამი შტო ამოჰხეთქს!

ასეთი არის ყოველის აღკრძალულისა და ახალის აზრის ბედი და აქ მხოლოდ საზოგადოების წევრთა დამოკიდებულებისა და ურთიერთობის ძირეულად შეცვლა წაართმევს ნიადაგს ამ ახალის დროის ვეშაპს“:

ანარქისტებსა და ტერორისტებს დატუსაღებით, ციხეებით, დევნით ვერ შეაჩერებთო.

რაც მეტად აკრძალავთ, მით უფრო გაძლიერდება, მოტ-

რფიალე ხალხი გაუჩნდება—დევივით შეიქმნება—ერთი მოჭრილი თავის ადგილას ორი წამოიზრდებაო.

საზოგადოების წევრთა დამოკიდებულებისა და ურთიერთობის ძირეული შეცვლა უშველის, ხელ-ფეხს შეუკრავს, თავს წააცლის „ახალი დროის ვეშაპსო".

ანარქისტმა კაზერიომ საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის პრეზიდენტი სადი კარნო ხანჯლით მოკლა. მეველემ ამ საზარელი ფაქტისადმი მიძღვნილ წერილში თქვა—მიუხედავად იმისა, რომ სადი კარნოს პრეზიდენტობა არაფრით გახლდათ მოსაწონი, ისეთი მოქმედება მაინც დაუშვებელიაო. ანარქისტთა მრწამსიც—ყოველივე უარესი უკეთესია—ქარს გაატანა.

„ახალი დროის ვეშაპად" ნათლავდა იმას, რომლის სახეცვლილ ფორმასაც რამდენიმე წლის წინათ თვითონვე თანაუგრძნობდა, ქვეყნის მონობისაგან თავდახსნის გზის ვერმპოვნელს საზიზღარი მოხელეების ლიკვიდაცია მიეჩნია სანუკვარი მიზნის მიღწევის საშუალებად.

ჰოდა, ერთ ხანს თვითონაც მონაწილეობდა ამნაირ ამბებში, მეგობრებსაც მალავდა არცთუ საგულდაგულოდ, გავიდა წლები და თვითონვე ჩახვდა მაშინ ნაფიქრისა და განხორციელებულის უაზრობასა და უშედეგობას.

მხატვარი თუ იყო, ერთხელ მაინც რატომ არაფერი დახატა—უკვირდათ კულაშელებს!

***

პარიზში სასროლეთში შედიოდა ხშირად. მკლავი არ მომიდუნდეს, თვალი არ გამიზარმაცდესო—ფიქრობდა. ვარჯიშობდა სროლაში. აქ ნასწავლსა და იქ შეძენილს გაავარჯიშებდა, გამოცდიდა საკუთარ თავს. ისროდა დაუმცდარად. იშვიათზე იშვიათად ყურადღება გაეფანტებოდა და ვერ მოარტყამდა მუდამ. სხვა დროს ცხრიანში, ათიანში აჯენდა. უხაროდა, მკლავიც მემორჩილება, თვალიც მიჭრისო.

ხელის აუკანკალებლად, თვალის დაუხამხამებლად ისროდა და მიზანში ამოღებულს ახვედრებდა.

ერთ მშვენიერ დღესაც ასე მოიქცა. შევიდა სასროლეთში, ფული გადაიხადა, ნაცნობ ფრანგს იარაღი და ტყვიები მოთხოვა და სასროლეთის ყველაზე უხერხულ სანიშნეში ათიანს დაუმიზნა. აქ ყოველთვის ადვილად არტყამდა ხოლმე. ამით იწყებდა, მერე თანდათან უფრო რთულსა და ძნელად მოსახვედრს აირჩევდა. ეს ეიოლებოდა იმათზე უფრო, სხვებს—პირიქით, ეს ეძნელებოდათ, უფრო მეტიც, თითქმის ვერ ახვედრებდნენ.

აიღო იარაღი და დაუმიზნა.

გვერდით ვიღაც იდგა, თავზე იტალიურქუდდაკოსებული, წვერულვაშგაბურძგნული, აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს. დათას შეხედა, დაინახა, სხვათათვის ძნელად მოსახვედრი სანიშნე რომ აირჩია, ნაბიჯი წარსდგა მისკენ, მკლავში მკლავი გამოდო, თავისკენ მიიზიდა და ხმადაბლა უთხრა:

—გაგიჭირდება, ვერ მოარტყამ, აქეთ აირჩიე...

დათას გაეცინა, არამკითხე-მოამბედ ჩათვალა თმაწვერგაბურძგნული და ისე რომ უცნობისთვის სახეზე კარგად არც კი შეუხედავს, ისევ მოჭუტა თვალები და დაუმიზნა.

უცნობმა გაუმეორა:

—ვერ მოარტყამ...

დათა მიქელაძეს არც ახლა შეუხედავს მთქმელისათვის, დაუმიზნა და ზუსტად იმ ადგილას ჩააჯინა ტყვია, სადაც ეს ადვილად, სხვები ძნელად ახვედრებდნენ.

—ოჰ,—აღმოხდა მრჩეველს.

დათამ მეორედაც, მესამედაც ზუსტად მოახვედრა ათიანში.

—ყოჩაღ!—ახლა ქებაზე გადავიდა მრჩეველი და ჭკუის დამრიგებელი.

დათა ოდნავ მოტრიალდა, ისევ დაუმიზნა და რამდენჯერაც ესროლა, იმდენი გაარტყა.

—ოჰ, ოჰ, ოჰ,—ახლა სხვებსაც აღმოხდათ აღტაცების შორისდებულები.

ისროდა, ახვედრებდა.

უცნობი კაცი იდგა მსროლელის უკან და აკვირდებოდა.

ეს ისროდა, ის აქებდა.

იმ დღეს არც ერთხელ არ დაუცდენია, მარჯვენა არ აკანკალებია, ყურადღება არ გაფანტვია.

უცნობი მსროლელის ვინაობით დაინტერესდა. ძალიან გაუხარდა, როცა შეიტყო, რომ დაუმცდარად მსროლელი ქართველი იყო.

დათას გაეღიმა და ზრდილობის გულისთვის ჰკითხა ვინაობა.

—ჯუზეპე გარიბალდი,—ჩურჩულით თქვა მრჩეველმა, სხვებმა კი ომახიანად გაიმეორეს:

—ჯუზეპე, ჯუზეპე გარიბალდი...

დათა გაშტერდა. ჩამოსართმევად გაწვდილი ხელი ჰაერში გაუშეშდა, ვერც ფეხი გაანძრია, ვერც ხელი, იდგა ცოცხალი ძეგლივით, ძეგლზე უფრო გაშტერებული. ყველაფერს ელოდა, იტალიის გმირის ასე უეცარ გამოცხადებას—არა. შეკრთა, დაიბნა.

გარიბალდიმ იმარჯვა. ჩამოსართმევად ჰაერში გაშეშებულ ხელს მარჯვენა შეაგება და გადაეხვია. მერე ჯუზეპემ ქართველს საქართველოს ამბები გამოკითხა, მსროლელი, როგორც იქნა, მოეგო გონს, მოვიდა აზრზე და ახლა თვითონ ჩაეკრა, უფრო ჩაეკონა მის სანეტარო ლეგენდარულ ვაჟკაცსა და გმირს.

—მაგარი მსროლელი ყოფილხარ,—კი არ ამბობდა, უფრო ყვიროდა ტემპერამენტიანი იტალიელი, არანაკლებემოციურ ქართველს თვალები გაფართოებოდა, თავი სიზმარში ეგონა და ყოველი შემოხედვისთანავე გულში იკრავდა იტალიელს.

—მაგარი მსროლელი ყოფილხართ,—დიდხანს ახსოვდათ იქაურებს ვიღაც ქართველის მისამართით ნათქვამი გარიბალდის სიტყვები.

მართლაც, მიზანდაუმცდარად ისროდა.

გარიბალდის ეთაყვანებოდა, მისგან იტალიის განთავისუფლება სხვა ერებისათვის მისაბაძ მაგალითად მიაჩნდა. როცა საფრანგეთის ნაციონალურმა კრებამ კომისიას დაავალა, გაერკვია, რა სარგებლობა მოუტანა ქვეყანას ვოგეზის არმიამ და მისმა მთავარსარდალმა გარიბალდიმო, კომისიამ დაადგინა: გარიბალდიმ „ნაციონალური ფული უპატიოსნოთ მოიხმარაო". მეველემ წერილი მიუძღვნა ამ ამბავს და აღნიშნა,—დასკვნის წინააღმდეგ გაილაშქრა სამმა რესპუბლიკელმა: შალმელაკურმა, ორდინერმა და ფერიუილმა. პირველს უთქვამს: „ნუ დავივიწყებთ, რომ როდესაც მთელმა ევროპამ მოიძულა საფრანგეთი, მაშინ გარიბალდი თავის ლეგიონებითა, თავის ნიჭით და გამოცდილებით გაჩნდა ჩვენდა დასაცველად მტრისაგან"...

მონარქისტები კი პირიქით—ძვირი დაგვიჯდა გარიბალდი, მისი არმია საფრანგეთისთვის კი არ იბრძოდა, პირიქით—თავისი განდიდებისათვისო.

კინეს უთქვამს:

„თქვენ ბედავთ ანგარების შეწამებას გარიბალდისა! კარგი... მაგრამ იცით ისა, რომ გარიბალდი 30 ფრანკით ჯიბეში დაბრუნდა კაპრერაზედ, იმის შემდეგ, რაც ვიქტორ ემანუელს სამეფო უშოვნა და ჩააბარა?!"

იგივე კინე დეპუტატებს გაახსენებს, რომ ომის დროს გარიბალდელებს ძვირფასი ნივთებით სავსე კოლოფი უპოვნიათ და ფრანგთა მტრისთვის—გერმანელთათვის დაუბრუნებიათ, როგორც მათი საკუთრება.

ჰოდა, სამეფოს ჩამბარებელ, ნივთების გზაში მპოვნელ და პატრონისთვის დამბრუნებელ გარიბალდისა და მის ჯარისკაცებს ანგარებით მოქმედს უწოდებდნენ?!

ნაციონალურ კრებაში ამ სიტყვების მერე მარცხენა მხარე—რესპუბლიკელები—ხელებს იტყავებდნენ ტაშის კვრით, მარჯვენანი—მონარქისტები—ყაყანებდნენ.

ვიღაც ჰეროსტრატეს შთამომავალი, გამოუჩენელი მონარქისტი დეპუტატიც გამოსულა და უარი უთქვამს გარიბალდის განდიდებასა და მის პატრიოტიზმზე.

ახლა მარჯვენა მხარეს დაუცხია ტაში, მარცხენა კიდევ ახმაურებულა.

ხან მარცხენანი, ხან კიდევ მარჯვენანი იქმოდნენ ერთსა და იგივეს. ერთნი რომ ტაშს უკრავდნენ, მეორენი მღელვარებდნენ და პირიქით.

მეველე სწორედ ამ პასაჟით აცნობს „დროების“ მკითხველებს ნაციონალური კრების დეპუტატთა ქარისაებრ ქროლვას მარჯვენა—მარცხენა მიმართულებით.

მონარქისტ პეროს ბაგეებით გარიბალდის ძაგების გამო ამომრჩევლებს იტალიელი გმირისათვის ბოდიშის წერილი გაუგზავნიათ და დეპუტატის ნაციონალური კრებიდან გამოწვევა განუზრახავთ.

პატრიოტიზმსა და კოსმოპოლიტიზმთან დაკავშირებითაც ახსენებდა გარიბალდის. ჯერ ტერმინებს განმარტავდა: პირველი სამშობლოსათვის, მეორე კიდევ მთელი კაცობრიობისათვის სიყვარულს ქადაგებსო.

მეველეს თქმით, ეს გრძნობანი სულაც არ გამორიცხავდნენ ერთმანეთს—ძაბუნი პატრიოტი კოსმოპოლიტიც ასეთივე იქნებოდა და პირიქით.

„ჭეშმარიტად შეგნებული პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი მშვენივრად მოთავსდება ერთმანეთში, რომლის ჩინებულ მაგალითს წარმოგვიდგენს წარჩინებული რაინდი-დემოკრატი მეცხრამეტე საუკუნისა ჯუზეპე გარიბალდი. იგი იყო დიდებული პატრიოტი, განმათავისუფლებელი თავისი სამშობლოსი, მაგრამ ამავე დროს გარიბალდის ხრმალი ესა-

რჩლებოდა თავისუფლებისათვის მებრძოლთ ხან ამერიკაში, ხან ევროპაში“.

კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის განმარტებაც, გარიბალდის ხსენებაც მშობელი ხალხის გულში დაბუდებული მავნე სენის გამოსააშკარავებლად ჭირდებოდა. ამასაც ლაკონურად ეუბნებოდა თანამედროვეებს: თუ ერი დაპყრობილია, არც პოლიტიკური, არც კულტურული უფლებები არ გააჩნია, ართმევენ ენას, გვარტომობას, რჯულს, შეურაცხყოფენ ადათ-წესებსა და ტრადიციებს, მაშინ „პატრიოტიზმის უარყოფა და კოსმოპოლიტიზმის ბაირაღის ქვეშ თავის შეფარება შესაბრალისი მეტიჩრობაა“.

გარიბალდი, უპირველეს, პატრიოტი იყო, მერე სხვათა დამხმარე, ჩვენ ჯერ უნდა განვთავისუფლდეთ, მერე ვიკოსმოპოლიტოთო.

ვიღაც გრაფინიამ გარიბალდის ცოლისთვის ძეგლის აგება განიზრახა. მეველეს ეს ფაქტიც არ დაუტოვებია უყურადღებოდ. ანიტა ყოველთვის ახლდა თან საყვარელ მეუღლეს და გმირს, ქმრის ადიუტანტი და დამოუკიდებელი სარდალიც იყო ხშირად. როცა რომს ტრიუმვირატი—სავი, მაძინი და გარიბალდი იცავდნენ ფრანგებისაგან, გარიბალდს მოახსენეს, რომის ბატალიონი, რომელსაც ანიტა სარდლობს, ცუდ დღეშია, თუ დამხმარე ძალები არ მივაშველეთ, ყველას ტყვედ წაასხამენო;. ამის მთქმელ ტაურს გარიბალდიმ უპასუხა: ნუ გეშიანია, მას შემდეგ, რაც ჩემი ცოლი უძღვის არმიას, ჯარისკაცები ლომებივით იბრძვიანო. ერთი საათიც არ იყო გასული, რომ ანიტა აქაფებული ცხენით მივარდა და მთავარსარდალს მტრის განადგურების ამბავი ამცნო.

ამ ქალს უდგამენ ძეგლს და ეს ამბავი მაგალითად უნდა იქცეს ვაჟკაცთათვისაც, რომლებშიც იშვიათად, მაგრამ მაინც გამოერევა მამულის ინტერესების ორ გროშზე გამცვლელიო—ეუბებოდა დათა მიქელაძე „დროების“ მკითხველებს.

***

იმდროინდელი მსოფლიოს, განსაკუთრებით საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში კარგად ჩახედულ დათა მიქელაძეს ჯუზეპე გარიბალდის მერე ლეონ გამბეტა მოწონდა. მის რესპუბლიკურ იდეებს აღტაცებაში მოჰყავდა, ეთაყვანებოდა ფრანგთა და არა მარტო ფრანგთა სახელოვან პოლიტიკოსსა და სახელმწიფო მოღვაწეს.

გამბეტას სიკვდილის მერე განაცხადა სწორედ თურქეთის სულთანმა: ახლა შეუძლია თურქეთს, საშინაო რეფორმებს მიხედოსო. იმდენად მათთვის საშიშ და ფრანგთათვის სასურველ ფიგურად მიაჩნდა ეს კაცი, რომ მუდმივ მის ქმედებაზე მიყურადებულს ქვეყნის საშინაო საქმეებისთვის აღარ ეცალა, მიწყივ იმას ფიქრობდა, გამბეტას საწინააღმდეგოდ რა მოეფიქრებინა და მოემოქმედებინა.

გამბეტას აღსრულების მერე საგარეო საქმეებით ოდნავ მოვისვენებთ და საშინაო რეფორმებს წამოვიწყებთ—ეუბნებოდა საფრანგეთის ელჩს თურქეთის სულთანი. ემოციით ნათქვამია, ამიტომ გადაჭარბებულიც, მაგრამ ასე თუ ისე, მაინც ირეკლავს იმ სინამდვილეს, რაც ლეონ გამბეტას ირგვლივ შექმნილიყო.

ფრანგებს უყვარდათ, სხვები ეკრძალვოდნენ, ნიკო ნიკოლაძემ მის გარდაცვალებას „ნოვოე ობოზრენიეში" ვრცელი წერილი მიუძღვნა. ანალიზით, განსჯით, ჭვრეტით გამორჩეული შეფასება ფრანგი პოლიტიკოსისა, „ფრანგთა რესპუბლიკის არქიტექტორისა", მისი შუქჩრდილებიანი ცხოვრებისა, მკითხველს საშუალებას აძლევდა, აშკარად დაენახა გამბეტა— დიდების ზენიტში და კვარცხლბეკიდან ჩამოქვეითებული, ის მიზეზებიც, რამაც ეს ვარდნა განაპირობა.

პოლიტიკური ბელადის ყველა თვისება ჰქონდა—წერს ნ. ნიკოლაძე,—არავის ისე არ შეეძლო ორ სიტყვაში, ლაკონურზე ლაკონურად ჩამოექნა და ჩამოეკრისტალებინა ვრცელი სამომავლო პერსპექტივანი, როგორც გამბეტას. მისი შე-

კუმშული, წნეხში გატარებული ნათქვამი სხვებს შეეძლოთ ზამბარასავით გაეშალათ, მაგრამ ისეც ხშირად მომხდარა, ცხვირ-პირში ტაკებიათ გავრცობილ-გაშლილი ზამბარის თავ-ბოლო.

მისი ორსიტყვიანი ფორმულებით ცხოვრობდა კარგა ხანს ფრანგთა ქვეყანა.

შალვა დადიანი ივანე მაჩაბლის ხასიათში გამბეტას შტრიხებს კითხულობდა. ორივენი ფიცხი მჭევრმეტყველნი, ემოციურად, გზნებითა და ჩქარა მოლაპარაკენი იყვნენ. გამბეტაზე ხუმრობდნენ—ერთ წუთში რამდენიმე ასეულ სიტყვას ამბობსო. მაჩაბლისა და გამბეტას ბაგეთაგან მკაფიოდ, ნათლად წარმოითქმოდა ყოველი სიტყვა და ამითაც ჰგავდნენ ერთმანეთსო.

ყველაფრის შედარება შეიძლება, ხასიათიც, მოქმედებაც შეიძლება ჰგავდეს ერთმანეთს. არა გვგონია, ლეონი და ივანე ძალიან გვანებოდნენ ერთმანეთს. შალვა დადიანის ეს აზრი ამჯერად უფრო იმიტომ გავიხსენეთ, გამბეტა უკეთ შეიცნოს მკითხველმა.

გამბეტას შეეძლო, გულგრილად გაჩუმებულიყო და წარბიც არ შეერხია იმ დროს, როცა, იქნებ, ქვაც კი ატირებულიყო, მაგრამ, ამავე დროს, შეეძლო, „გზნებით შეხვედროდა ყველა იმ მოვლენას, რომელიც საყოველთაო ყურადღებას იმსახურებდა“.

ესეც პოლიტიკოსთა, უფრო ბელადთა თვისებაა.

გერმანიასთან ომით დაუძლურებულ საფრანგეთს ლოზუნგი ესროლა, რომელიც მისი პარტიის სამოქმედო გეგმად გამოაცხადა: „ომი, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს“. არჩევნებმა გაარკვია, რომ ეს შეცდომა იყო. მონარქისტებმა მარტივი და ქვეყნისათვის იმ დროს სასიცოცხლო მოთხოვნა: „მშვიდობა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს,“ გაალოზუნგეს და გაიმარჯვეს კიდეც.

გამბეტამ ქვეყნის სათავეში მოსვლისას რეფორმები ვერ

განახორციელა, რასაც ამბობდა, საქმედ ვერ აქცია. ამაზე იხუმრა როშფორმა: გამბეტა ზარმაცი მოსწავლესავითაა, ყოველ ორშაბათიდან იწყებს კარგ სწავლას, უფრო სწორად, ზარმაცი მოსწავლე—სწავლას, გამბეტა—რეფორმების გატარებას. ამდენად გამბეტას საქმიანობა შეიძლება იმ ანდაზით გამოვსახოთ: „ლომი დაწვა და კატა შობაო". ამასაც ნიკო ნიკოლაძე იხსენებს. ლეონ გამბეტა პარიზის კომუნისა და მის მომდევნო წლებში ლომი იყო, მისდარად ბრდღვინავდა, ბუბუნებდა და ამ ბუბუნითა და ბრდღვინვით დაატარებდა ფრანგებს, გულსა და გონებაში უსახლებდა რესპუბლიკურ იდეებს. სიტყვას ამბობდა მქუხარე ოვაციების ფონზე, ხალხი დაჰყვებოდა, ქვეყნის გადამრჩენად თვლიდა.

დორიანს—1870 წლის დროებითი მმართველობის მინისტრს, თვალსაჩინო რესპუბლიკელს და ქალაქის გერმანელთაგან ერთგულ დამცველს—ასაფლავებდნენ. მთელი ქალაქი გამოფენილიყო გარეთ და მწუხარედ მიჰყვებოდა პროცესიას სასაფლაოსაკენ. ჭირისუფალთ წინ გამბეტა მიუძღოდა, მას ლუი ბლანი მისდევდა ფეხდაფეხ, კონსიდერანიც იქვე მიალაჯებდა, სხვებიც. მიდიოდნენ დამწუხრებულნი, გულში სევდაჩასახლებულნი ეთხოვებოდნენ ერთგულ მეგობარსა და თანამოაზრეს.

დორიანს „საქმის კაცს" ეძახდნენ. მისთვის რესპუბლიკური იდეების გამარჯვება ყველა პიროვნულ სიკეთეზე მაღლა იდგა:

„როგორც მოხერხებულ და საშუალების გამომჩენელ ორგანიზატორს იმას რესპუბლიკურ პარტიაში ტოლი არ ჰყავდა, თუმცა ბევრი მისი ნაშრომი ხალხს სხვებისათვის მიენერა, სხვების გაკეთებულად ჩაეთვალა"—წერდა მეველე.

ნიკო ნიკოლაძე, იზმაილოვი და დათა მიქელაძეც ფრანგებთან ერთად მიაბიჯებდნენ. მიდიოდა სამი უცხოელი, მათთვის უცხო, მაგრამ აზრითა და მისწრაფებებით ახლობელი ფრანგების გვერდით, ასეთივე უცხო პროცესიას ადევნებულნი.

დათას ვაკავებდით, ჩვენ რომ არა, გამბეტას გადაეხვეოდაო,—მომავალ მეუღლეს—ოლგა გურამიშვილს პარიზიდან ჟენევაში წერდა ნიკო ნიკოლაძე. გარიბალდი ვერ იცნო, თორემ გამბეტას თვალდახუჭული ამოიცნობდა. მიდიოდა მის უკან, კვალში ჩამდგარი, თითქოს უნდოდა, დაწეოდა, გადახვეოდა, გულში ჩაეკრა, მადლობა ეთქვა ფრანგთა და არა მარტო ფრანგთათვის გაწეული სამსახურისათვის. მიდიოდა ჩქარა, მაგრამ მეგობრები აყოვნებდნენ, მკლავში ხელს წაავლებდნენ გასწრებულს და დაიახლოვებდნენ.

მიდიოდა სათაყვანო გამბეტას უკან.

ნიკოლაძესა და იზმაილოვსაც მობეზრდათ აღტკინებული მეგობრის მკლავზე მოქაჩვა. თვითონაც, ერთი მხრივ, დორიანის სიკვდილით გულგასენილები, მეორე მხრივ, გამბეტას სიახლოვით ფრთებშესხმულნი, ემოციას ვერ მალავდნენ, ცუდიც და კარგიც აღბეჭდვოდათ სახეზე. ჰოდა, რომ დამშვიდებულიყვნენ, ნერვები მოეთოკათ, დათას თავი მიანებეს, მიუშვეს თავის ნებაზე.

მეგობართაგან თავდახსნილმა დათა მიქელაძემ უცებ დაიღრიალა: „ვივ ლა რეპუბლიკ", უფრო კი—„ვივ ლია რესპიუბლიკ"—ეს დაიყვირა და ათიათასკაციანმა ბრბომ მორთო იგივეს ღრიალი. ეს პირველი ამბობდა, ისინი იმეორებდნენ. მიდიოდა ჯიქურ, ახლა უკვე გამბეტას დაწეული და იძახდა, მის ნათქვამსვე იძახდნენ სხვები. იყო ხმაური, ღრიალი, ტაშისცემა:—დასაფლავება დემონსტრაციად იქცა.

დათა მიქელაძის წამოძახილს იმეორებდნენ ფრანგები.

თავი თეატრში გეგონებოდაო—ნიკო ნიკოლაძემ,—ღრიალებდა ეს, ღრიალებდნენ ისინი. დასაფლავებას სიჩუმე უხდება, გვინდოდა, მშვიდად მიგვებარებინა ერთი გამოჩენილი რესპუბლიკელი მიწისათვის, თორემ განდიდებისათვის მეც წამოვიძახებდი:

„ეს თავადია რესპუბლიკის გამარჯვების წარმომთქმელი".

ამასვე გაიმეორებდნენ ფრანგებიო...

გააზრებას ვერ ასწრებდნენ სხვები, ყვიროდა, ყვიროდნენ, იძახდა, იმეორებდნენ...

ეს თავადია რესპუბლიკის გამარჯვების წარმომთქმელი— დაიყვირებდა ნიკო ნიკოლაძე და ფრანგები სულაც არ მიაქცევდნენ ყურადღებას, ამ სიტყვებს თავადი რომ გაიძახოდა და არა მუშა ან გლეხი.

ვივ ლია რესპუბლიკ—ყვიროდა დათა მიქელაძე.

იგივეს იმეორებდნენ ფრანგები.

ამ ყვირილითა და ხმაურით დაკრძალეს დორიანი. მიწას მიაბარეს ახლა უკვე დამშვიდებული პოლიტიკოსი, რომელმაც „პარიზის გარემოცვისას ის გააკეთა, რაც გამბეტამ პროვინციაში" (ესეც ნ. ნიკოლაძის შეფასებაა). გადმოალაჯეს ალაყაფს გვერდი-გვერდ მყოფმა გამბეტამ და დათა მიქელაძემ, უკან ვეებერთელა ბრბო მოზღვავდებოდა, ესენი პირველები მოდიოდნენ. დათამ მოიხადა თავისი „უცნაური ქუდი" (ნ. ნიკოლაძე არ აკონკრეტებს, რატომ იყო ქუდი უცნაური), მიუბრუნდა რამდენიმე წუთის წინ ადანდგარებულ მასას და შესძახა:

„ვივ ლე სიტოიენ გამბეტა".

ამან შესძახა, იმათ დასჭექ-დააგუგუნეს, არც პირველდამძახებლის აქცენტისთვის მიუქცევიათ ყურადღება, არც იმისათვის, ვინ იძახდა, რატომ ყვიროდა ასე საგულდაგულოდ და გულამობჯნით!

იძახდა, იძახდნენ.

ფრანგზე უკეთ ერკვეოდა ფრანგთა ყოფასა და ცხოვრებაში, ამიტომაც ერთგულებდა იმ იდეალებს, რაც მის მისწრაფებებთან ახლოს იყო. საერთოდ, საფრანგეთი და ინგლისი ესახებოდა ევროპული დემოკრატიის ნიმუშად, მათგან უნდა ესწავლათ, გადმოეღოთ სხვებს.

„ვივ ლე სიტოიენ გამბეტა"—ყვიროდა ქართველი თავადი.

იგივეს იმეორებდნენ სასაფლაოდან გამობრუნებული ფრანგები.

არ ვიცით, გაიცნო თუ არა გამბეტა, არც ის—გარიბალდივით გადაეხვია და ჩაეკონა თუ არა, სავარაუდოა, კი, ნაკლებ სარწმუნოა, ასეთი შემთხვევა, მისთვის სასურველი პიროვნების გაცნობისა, ხელიდან გაეშვა. ალბათ კიდეც გამოეცნაურა, ვინაობაც უთხრა, მაგრამ იმ მოგუგუნე ბრბოში ვეღარც ნიკოლაძემ, ვეღარც იზმაილოვმა გაიგონეს მისი ჩუმად ნათქვამი, ღრიალით წამოძახილი კი ესმოდათ.

დრო გავიდა და ხელისუფლებაში მოსული გამბეტა ექსდიქტატორად მონათლა, მაგრამ ეს მერე მოხდა, როცა გონებით განსაჯა ყოველივე. ახლა კი აზროვნებადახშულს მხოლოდ გრძნობა აყვირებდა.

დაკრძალვა დემონსტრაციად იქცა.

დათას გარეშე უხმაუროდ ჩაივლიდა ეს ამბავი!

მომხდარი „დროების“ მკითხველებს განსხვავებულად მოუთხრო, თავისი წამოძახილი სხვებს დააბრალა:

„...დასაფლავებაზე დიდი ამბავი იყო. რესპუბლიკელების წინამძღოლმა გამბეტამ წარმოთქვა მშვენიერი სიტყვა სამარეზედ. ორატორს ხშირად აწყვეტინებდა საზოგადოება თავის ლაპარაკს „გაუმარჯოს რესპუბლიკასო“.

საზოგადოება ყვიროდა და იძახდა იმას, რასაც პირველდამძახებელი შესძახებდა. თავისი თავი არ გაამჟღავნა, უარყო იმდროინდელი ბრბოს აყოლიება, იმ ამბების ყველა შემსწრეთათვის ადვილად შესამჩნევ რამეზე, ორატორისათვის ლაპარაკის ხშირად გაწყვეტაზე, მიანიშნა და მორჩა.

ნიკო ნიკოლაძე და იზმაილოვი გულიანად იცინოდნენ „დროების“ წაკითხვისას. საზოგადოებაც ამან აიყოლია, ყვირილითაც ყველაზე მეტს ყვიროდა. ეს რომ არა, ყველაფერი უჩუმრად ჩაივლიდა. დათას კიდევ დაუწერია—გამბეტას საზოგადოება აწყვეტინებდა ლაპარაკს „გაუმარჯოს რესპუბლიკას“ შეძახილითო. მის ყვირილზე, ალბათ, მოგო-

ნებებში დაწერს, ძლივს ვაკავებდით, მაინც გაგვისხლტა ხელიდან, წერილში კი საკუთარ თავზე კრინტიც არ დაუძრავს, აი, როგორ ცილდება ხშირად ერთმანეთს უშუალო მხილველის შთაბეჭდილება და გაზეთით აღქმული სინამდვილე—უკვე სერიოზულად ეუბნებოდა იზმაილოვს ნიკო ნიკოლაძე.

—იქნებ მოგონებებისთვის შემოინახა,—ნიკოს მოსაზრების ერთ მარცვალს ჩასჭიდებოდა იზმაილოვი.

—მაგის მოგონებებს ვინ მოუცდის, ოლგას უნდა მივწერო წერილი და ყველაფერს მოვუთხრობ,—თავისას არ იშლიდა სკანდელი.

მიწერა და მართლად მოუყვა ყოველივე. სწორედ ამ უსტარის გამოისობით ვიცით დორიანის დასაფლავებაზე მომხდარი ამბავი ასე დაწვრილებით, თორემ „გაუმარჯოს რესპუბლიკას“ ფრანგებს ხშირად წამოუძახნიათ, ორატორთა, განსაკუთრებით რესპუბლიკელ მჭევრმეტყველთა საუბრითაც მოხიბლულან, სხვებს კიდევ მეფეც მოუთხოვიათ მქუხარედ და ხმაურიანად და ა.შ. და ა.შ.

ზოგიერთს მოსახდენის წინასწარ განჭვრეტა შეეძლო, ალღოთი გრძნობდა მოსალოდნელს. ემილ ჟირარდენის მეველესეული დახასიათებაც გავიხსენოთ: „...უნიჭო კაცი არ არის, ვინ არ იცის, რომ ეს ჟურნალისტი წინათვე იგულისხმებს რომელიმე მხარის დამხობას ან გაძლიერებას და ამისდა შესაფერად მოაწყობს თავის ლიტერატურულ სიმებს“...

დორიანისა, ჯონ სტიუარტ მილისა და ჟიულ მიშლეს გარდაცვალება დაემთხვა ერთმანეთს. დათა მიქელაძე ამ სამწუხარო ამბებსაც აცნობს გაზეთის მკითხველებს და გამოჩენილ ეკონომისტზე ბოკლის შეხედულებას ახსენებს: „მთელი ცისქვეშეთის სწავლულები და გონიერები რომ შეკრბენ და არჩიონ, ვის ეკუთვნის ეხლა ქვეყანაზე უპირა-

ტესობა სწავლაში და მეცნიერებაში, მე დარწმუნებული ვარ, ეს არეოპაგი დაასახელებს ჯონ სტიუარტ მილლის“.

დავით მიქელაძეს მილის პიროვნებაში განსაკუთრებით მოწონდა ის, რომ იგი, დანარჩენ ინგლისელთაგან განსხვავებით, თავიდანვე ამერიკის შტატების შეერთებას და ამ სურვილით მოქმედ ლინკოლნს უჭერდა მხარს და არა სამხრეთ ამერიკის შტატების განდგომის მოწადინე ჯეფერსონ დევისს, რომელსაც უნდოდა, „შეერთებული შტატების კავშირი დათხრეშილიყო“.

იამაიკის გუბერნატორი ეიერი სასტიკად ექცეოდა ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებიც აჯანყდნენ, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს. ამის შემდეგ უფრო გამძვინვარდა ეიერი. დახვრიტა და ჩამოახრჩო თითქმის ყველა მონაწილე აჯანყებისა. ინგლისის განათლებული საზოგადოება ტაშს უკრავდა გუბერნატორის ამგვარ მოქმედებას—ლონდონში ბანკეტებს უმართავდნენ, აღტაცებას ვერ მალავდნენ მისი ნამოქმედარით. იმჟამად მასზე ცუდის თქმაც კი საშიში იყო. ამ ერთფეროვან უსახურ მასაში გამოჩნდა ერთი კაცი, რომელმაც „ინგლისის კაცობრივი გრძნობის და სამართლიანობის შემგინებლის“—ეიერის დასჯა მოითხოვა. ინგლისელებმა სიცილი დააყარეს, მაგრამ უტეხმა და შეუდრეკელმა ჯონ სტიუარტ მილმა იმდენი ილაპარაკა, იმდენჯერ აუხსნა თანამემამულეებს, იმდენჯერ მკვახედ შეუტია, რომ დაარწმუნა მისი ნათქვამის სიმართლეში და „გუბერნატორი ეიერი დასაჯა სამსაჯულომ“.

დათა მიქელაძე ხშირად იხსენებდა ამ ამბავს. მისთვის განსაკუთრებით ის იყო აღტაცების მომგვრელი, რომ ინგლისელი ეკონომისტი მდინარის მეორე ნაპირზე იდგა, დანარჩენი თანამემამულენი აქეთა მხარეს შეკრებილიყვნენ და ვერ ხვდებოდნენ, რატომ და რის გამო ითხოვდა ეს კაცი, მათი აზრით, ინგლისის ინტერესების დამცველი გუბერნატორის დასჯას. თვითონაც გამოუცდია განცალკავებით

დგომა, მდინარის მეორე ნაპირზე მარტოკა ყოფნის სუსხი და სიმწარე.

ამიტომ იხსენებდა ამ ამბავს ხშირად.

ჟიულ მიშლეს—ჩვიდმეტტომიანი საფრანგეთის ისტორიის ავტორის—პიროვნებაში დავით მიქელაძეს ის ხიბლავდა, რომ იგი მიწყივ თავისუფლებისა და ადამიანთა უფლებების დაცვისაკენ ისწრაფვოდა. ასეთი იყო ახალგაზრდაც, ხანში შესულიც, რამეთუ ეს მისი მრწამსი, მსოფლმხედველობრივი კრედო გახლდათ.

გენიალური ადამიანი ყველგან გენიალურია—წერდა მეველე,—ნაპოლეონ მესამის „საერთგულოდ არ დაიფიცა", დატოვა კოლეჟ დე ფრანსი და საფრანგეთის რევოლუციის ისტორიის წერას შეუდგა. მანამდე კი კოლეჟ დე ფრანსში მიიწვია ადამ მიცკევიჩი და ედგარ კინე და ეს ადგილი „მეორე ათინად", ევროპელთათვის განათლების თავისუფლად შეძენის კუნძულად აქცია.

„თუკი ვინმეს აქვს ნება დამშვიდებული სიკვდილისა, თუკი ვინმე იტყვის, უნაყოფოდ არ განვლო ჩემმა სიცოცხლემ, მაშინ, რასაკვირველია, მიშლესაც შეეძლება ამნაირი იმედის ქონება".

ჟიულ მიშლე მოკვდა გულის ტკივილით, რომელიც პრუსიასთან ომის სამარცხვინო წაგების მერე დაემართა. მისთვის საფრანგეთის თავისუფლება ყველაფერს ნიშნავდა, „ბევრი ისრები დაამტვრია ამისთვის", წარმავლობის ისრებიც გადატეხა და უკვდავებაში გადაბარგდა—ასეთი იყო მეველის წერილის დედააზრი.

დორიანი, მილი, მიშლე მიიცვალნენ და, ტიერი მაკ-მაგონმა შეცვალა. მეველეს არც ერთი ეხატებოდა გულზე, არც—მეორე. ორივენი ძველი ცხოვრების გადმონაშთად მიაჩნდა. საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში კარგად გარკვეული, ალღოთი გრძნობდა, საშუალება რომ მისცემოდათ, ორივენი მონარქიულ წყობას აღადგენდნენ, მაგრამ მშვენივრად იცოდ-

ნენ, ამის გაკეთება შეუძლებელი რომ იყო, ამიტომ გულით სხვას ფიქრობდნენ, საქმენი სხვა გახლდათ.

ტიერი—კომუნის ჯალათი,—პარიზში, ბარიკადებზე 50 ათასი ფრანგი რომ გაჟლიტა,—მერე ვითომ მხსნელად მოევლინა ქვეყანას. ხაზინა გაქურდა, პალატაში გაძვრა, მარშალმა ბაზენმა მეცში გერმანელებთან კაპიტულაციას მოაწერა ხელი, დახვრეტის ღირსი იყო, მაგრამ ტიერმა გადაარჩინა და ყოველთვის გადაარჩენსო,—წერდა მეველე,—რადგან „ტიერჭინკა" (გარიბალდი ეძახდა ასე) ფრანგებზე უფრო თავის გადარჩენაზე ფიქრობს, ბაზუნის დაცვის და კალთის დაფარებით საკუთარ თავსაც ქომაგობსო.

ტიერი თავის დროს ასე ახასიათებდა: „მდგომარეობა საშიშარია და ჟამი დიდებული". შეიცვალა მდგომარეობა, ჩამოდგა სხვა ჟამი და მაკ-მაგონს „საუმჯობესოდ უპოვნია, რომ მთელი დღე და ღამე ქვეითი და ცხენოსანი ჯარები ნაღარის ცემით ატაროს პარიჟის ქუჩებში... სურს, რომ პარიჟმა სამხედრო მდგომარეობაში ყოფნა არ დაივიწყოს". ამით უნდოდა ახლადარჩეულ პრეზიდენტს, ქვეყნის მართვა გაეადვილებინა, სამხედრო მდგომარეობის გახსენებით შიში ჩაენერგა ფრანგებში, მაგრამ ყველაზე პოლიტიკური ერის შვილები ასე ადვილად არ ტყუვდებოდნენ: „პარიჟელების პირში ჩავარდნა ღმერთმა მტერსაც დაუფაროს, ძალიან გესლიანები და მახვილი რამ არიან, ნამეტურ იმისთანა პოლიტიკოსი, როგორიც ახალი პრეზიდენტია, დიდხანს ვერ დაიხსნის თავს ამათ დაცინვისაგან". ახალი პრეზიდენტის მოქმედებათა მხატვრულ დახასიათებასაც იძლეოდა: მის მდგომარეობას იმ მენავის ყოფას ადარებდა, რომელსაც სამი მგზავრი ჩაუხტა ნავში. პირველი შამბორთან, მეორე ნაპოლეონთან, მესამე კიდევ ორლეანის პრინცებთან წაყვანას ითხოვდა. ჰოდა, რა უნდა ექნა მენავეს, საით წასულიყო, პირველს დაყაბულებოდა, მეორე-მესამენი აყაყანდებოდნენ, მეორეს, პირველი და მესამე გაუჯავრდებოდა და ა.შ. ამნა-

ირ ყოფაშია მაკ-მაგონიცო—წერდა „დროებაში“,—საკუთარი მყარი პოზიციის უქონლობის გამო, რა ქნას, არ იცის, რესპუბლიკელებს, ბონაპარტისტებს თუ მონარქისტებს დაეყრდნოს?!

ერთგან წერდა: „პარიჟში, როგორც ცხოვრების ოკეანეში, თქვენ ვერ შეჩერდებით, ვერ მოისვენებთ, მუდამ მოძრაობა, მუდამ სხვადასხვა ახალი შემთხვევაა. აი, ამას ჰქვიან სიცოცხლე!“ ხშირად ფრანგული პოლიტიკური ცხოვრების წვრილმანებსაც აცნობდა მკითხველებს. ყოველივე კი იმისათვის ჭირდებოდა, რომ ეჩვენებინა და ქართველთათვის ჩაენერგა რესპუბლიკური წყობილების უპირატესობა მონარქიულთან შედარებით. პარიზული ცხოვრების მოუსვენარ ოკეანეში ჩაყურყუმალავებული თვითონაც იქაური ცხოვრებისდარად არ ჩერდებოდა, მუდამ სიახლესა და ახალ ამბებს აფრენდა ხოლმე აქეთ.

ნაპოლეონ მესამემ იტალია კი არ გაათავისუფლა, პირიქით, დაშალა და დააქუცმაცაო,—წერდა. ქვეყანას, რომლის განმათავისუფლებლადაც მოაქვს თავი, სავოია და ნიცა ჩამოაშორა. განსაკუთრებით ნიცაზე —გარიბალდის სამშობლოზე,—წყდებოდა გული, ქვეყანას ჰყავს განმათავისუფლებელი, გმირი, ადამიანი, რომელმაც იტალიის თავისუფლებისათვის ყველაფერი გააკეთა, მაგრამ იმავე ქვეყანას ჩამოჭრლი და მოკვეთილი აქვს გმირის მშობლიური მხარე.

აი, „სამართლიანი ნაპოლეონი“. მეველეს არ ავიწყდებოდა ფრანგთა წვლილი იტალიის განთავისუფლებაში და პირიქით—გარიბალდის ღვაწლი ფრანგების გერმანელთაგან თავდახსნის საქმეში.

როცა ბაზენი ციხიდან გაიქცა, ბონაპარტისტებს იმედი მიეცათ, ნაპოლეონის ნამარშლარი მონარქიას აღადგენსო. მეველემ კარგად დაინახა, რომ ეს ბაქი-ბუქი და ფაფხური იყო. ბონაპარტისტებს რაც შეუძლიათ, ეს კარგად „ამ პარტიის თავმა კაცმა ნაპოლეონ მესამემ დაამტკიცა ჯერ სტრასბურლში და

ბულონში, სადაც ლუი ფილიპეს დროს რევოლუციის მოხდენა სურდა და საკიცხავად შეაპყრობინა თავი პოლიციის სალდათებს და უკანასკნელად მექსიკისა და პრუსიის ომში“.

დავით მიქელაძე „დროების“ მკითხველებს მოაგონებს, როგორი ფიასკოთი დასრულდა ნაპოლეონის ოთხწლიანი ომი მექსიკაში. პატრიოტებმა იმპერატორი მაქსიმილიანეც შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. როცა ევროპის სახელმწიფოებმა მექსიკის პრეზიდენტ ხუარესს მისი შეწყალება თხოვეს, მან განაცხადა: მაქსიმილიანე ჩვენს ქვეყანაში შემოიჭრა, როგორც ავაზაკი, დაგვიხვრიტა ექვსი ათასი უდანაშაულო მექსიკელი, ნუთუ ამდენი „დახვრეტილი პატრიოტი ერთ კაცად, მაქსიმილიანეთაც არ ღირდესო“.

მექსიკაში წარუმატებლობას პრუსიასთან საოცარი მარცხი მოჰყვა და ამიტომ ბაზენს, „თავლაფდასხმულ, სახელგატეხილ სარდალს, აღარა აქვს თილისმური გავლენა არც თავის ჯარზედ, არც მტერზედ“.

ბაზენს მხოლოდ მტერთან დანებება, სამშობლოს ღალატი შეუძლიაო,—დაასკვნიდა მეველე.

ნაპოლეონ მესამის გარდაცვალების დროს დაწერა, რომ სამი წლის წინათ ამ კაცის სიკვდილი რაღაც ცვლილებებს გამოიწვევდა ევროპაში, დღეს კი გინდ ცოცხალი ყოფილა, გინდ მკვდარი. იმდენი ცრემლი აღვრევინა ფრანგებს, მისთვის აღარაფერი შერჩათო. მეველე დაუფარავი ირონიით საუბრობს მასზე და აცხადებს, რომ მისი სახელისათვის უმჯობესი იქნებოდა ან პრუსიელთა ტყვიას მოეკლა სედანში, ან სულაც დედის მუცლიდან არ გამომძვრალიყოო...

მიუხედავად ირონიისა, მისი, როგორც პოლიტიკოსის, რამდენიმე შტრიხს მაინც გამოკვეთს:

„ნაპოლეონი ძლიერ ცხარი ქაღალდის მოთამაშე იყო და ეს ხასიათი შემოიტანა პოლიტიკაშიც“...

„თავმოყვარე ხალხის პოლიტიკას არასოდეს კეთილი და

სასარგებლო ნაყოფი არ მოუტანია არა თუ ხალხისათვის, არამედ თვითონ მოქმედ პირთათვისაც“ და ა.შ.

ყოველივეს გათვალისწინებით ეპიტაფიასაც გამოაცხობს საფლავის ქვისათვის: „ლუი ნაპოლეონს თავის სამშობლომ თავისუფლება მიაბარა, მან უღალატა ხალხს, მოჰკლა თავისუფლება“.

ასეთი მსჯავრი გამოჰქონდა იმათთვის, ვინც მონარქიული წესის აღდგენაზე ფიქრობდა, სიტყვით რესპუბლიკას პირდებოდა ხალხს, საქმით კი წარსულისკენ ექაჩებოდა.

ნაპოლეონ მესამე და ბისმარკიც ხშირად შეუდარებია ერთმანეთისათვის, საერთოდ, პოლიტიკოსთა მხატვრული დახასიათება ჩვეოდა—შედარებით, შეპირისპირებით უფრო ადვილად ახვედრებდა თანამედროვეებს ჩანაფიქრს. ნაპოლეონ მესამის სიკვდილი ზოგიერთებმა იულიუს კეისრის აღსასრულს შეადარა, მეველემ კიდევ—მათ სიკვდილში ისეთივე მსგავსებაა, როგორიც ორბსა და ყვავს შორის, რომლებიც ჩემს ძიძას წიწილებს სტაცებდნენო.

ორბი ცეზარი გახლდათ, ყვავი კიდევ—ნაპოლეონ მესამე. ვერც ძალით, ვერც მადით, ვერც სილამაზით ყვავი ორბთან ვერ მივიდოდა. ეს იყო, ორივე მტაცებელი ფრინველი გახლდათ, ან, უბრალოდ, ორივე ფრინველი, ერთმანეთისაგან ეგზომ განსხვავებული, ისე, როგორც კეისარი და ნაპოლეონი.

ბისმარკმა პრუსია განადიდა, ნაპოლეონმა დაამცრო და დააკნინა ფრანგთა ქვეყანა. მათი შედარება იმდენადაა შესაძლებელი, რამდენადაც დასტური და უარყოფაო. მოკლედ, კი და არაო.

საფრანგეთის ნაციონალურმა პალატამ „ოცდაათის კომისია“ შექმნა, რომელშიც მონარქისტები ჭარბობდნენ. დავით მიქელაძემ ფრანგული გაზეთების პუბლიკაციათა მოშველიებით ხატოვნად დაუხასიათა ქართველებს ამ კომისიის ხასიათი და დანიშნულება. აქამდე ცნობილი იყო ოცდაათწლიანი ომი, ოცდაათი სამღვდელოს კრება, ოცდაათი ტირანი.

პირველს გუსტავ ადოლფი გამოუჩნდა, მეორეს—მარტინ ლუთერი და მესამეს—ტრაზიბელი. ვინაა „ოცდაათის კომისიის“ ლიდერი? —კითხულობს მეველე. ადრინდელი რესპუბლიკელი და ახლა მონარქიის თავგადაკლული მომხრე ბატბი?! ეს იგივეა, მონარქიელებმა რესპუბლიკის პროექტი შეადგინონ. ან უფრო ხატოვნად: „ჩვენი ეპისკოპოზი ურიების სარწმუნოების სასარგებლოდ აქადაგოთ ან ურიის ხახამი ქრისტიანობის გასავრცელებლად დანიშნოთ სადმე“.

გმირებით აღტაცება ჩვეოდა-მეთქი, ვთქვი.

ერთ-ერთი ამათგანი უნგრეთის გმირი კოშუტი გახლდათ.

კოშუტს ავსტრიის მთავრობაში მოსვლამდე თავისი გაზეთი ჰქონდა. მერე პარლამენტში აირჩიეს და იმდენი ქნა, რომ ავსტრიის იმპერატორი დაითანხმა, უნგრეთს ჰქონოდა თავისი სამინისტროები. ასე გახდა იგი ფინანსთა მინისტრი, მაგრამ, მეველეს აზრით, შეცდომაც დაუშვა—ავსტრიელთაგან დამონებული სხვა ხალხები არ მიიმხრო, მარტო იბრძოდა, თავის ერთან ერთად, უნგრელთა დამოუკიდებლობისათვის, რასაც მოჰყვა ის, რომ იმპერატორმა ბოძებული წყალობა უკან წაიღო,—უნგრელებს პარლამენტიც გაუუქმა და სამინისტროებიც. ამის შემდეგ გამოჩნდა კოშუტის მებრძოლი ბუნება და ხასიათი. მან მთელი ერი დარაზმა ავსტრიელთა წინააღმდეგ, უნგრელებმა კოშუტი დიქტატორად გამოაცხადეს და მიანდეს ქვეყნის ბედი, მაგრამ საქმეში ნიკოლოზ I ჩაერია და კოშუტი იძულებული გახდა, იტალიაში გადახვეწილიყო.

მეველე წერდა, რომ 92 წლის ასაკში გარდაცვლილი კოშუტი მოესწრო უნგრეთის ბედნიერებას—ქვეყანა მხოლოდ სამხედრო კავშირითაა შეკავშირებული ავსტრიასთან, ჰყავს თავისი მთავრობა, ჯარი, აქვს ფული და ა.შ. კოშუტს კიდევ ეს კავშირიც არ მოწონდა, ამიტომ სამშობლოში აღარ დაბრუნდა.

რატომ წერდა ასე დეტალურად უნგრელ გმირზე, რატომ აცნობდა ქართველებს მის პიროვნებას? უპირველეს იმის გამო,

რომ უნგრეთი დაპყრობილი იყო ავსტრიელთაგან, საქართველო კიდევ—რუსთაგან. ჰოდა, ამ გამოცდილებით, ქვეყნების თავდახსნის გზების ურთიერთგაზიარებით მის სამშობლოსაც უნდა მოენახა მტრისაგან განთავისუფლების გზები და საშუალებანი.

ალექსანდრე მცირეწლოვანი იყო, სერბიის მეფე რომ გახდა და ყველასაგან გასაკვირად, ამ უასაკო კაცმა უცებ ისეთი რამ მოიმოქმედა, ყველა საგონებელში ჩააგდო—დაა-პატიმრა მთავრობისაგან დანიშნული მისი მზრუნველები. მეველე „ივერიაში" წერდა, რომ ამას მცირეწლოვანი მეფე მხოლოდ იმ შემთხვევაში გაბედავდა, თუ გონიერი მრჩეველი ჰყავდა, მაგრამ ასეთ დროსაც მისი ნაბიჯი სარისკოდ და საფრთხილოდ ეჩვენებოდა. ჯერ ერთი იმის გამო, რომ ალექსანდრემ მხოლოდ წიგნებით იცოდა, თუ რა კირთება გაუვლია სერბიას, როგორ მოუპოვებია დამოუკიდებლობა და ა.შ. მეველეს თქმით, ისტორია პასუხს გონიერ მრჩეველს კი არა, მას—მეფეს—მოთხოვს. ამიტომ ყოველი მისი ნაბიჯი ქვეყნის დამოუკიდებლობის ინტერესებიდან უნდა გამოდიოდეს, ისეთი რამ არ მოიმოქმედოს, რაც მისი მეფობის ხანის შეფასებას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს.

უმთავრესი დამოუკიდებლობაა, დანარჩენი ყველაფერი მასთან მიბმული,—მოძღვრავდა „დროების" მკითხველებს.

დავით მიქელაძისათვის ამა თუ იმ ადამიანის მეფობას მხოლოდ ის მნიშვნელობა გააჩნდა, რამდენად ქვეყნისათვის სასარგებლოდ იქნებოდა გამოყენებული მისი განუსაზღვრელი უფლებები.

უხაროდა, იტალიელები თავიანთი საყვარელი მეფის უმბერტო პირველისა და დედოფლის ქორწინების 25 წლისთავს რომ დღესასწაულობდნენ.

უმბერტოს მამა ვიქტორ ემანუილი გარიბალდთან ერთად იბრძოდა იტალიის თავისუფლებისათვის. მეფეს უყვარს იტალია და იტალიელები,—წერდა მეველე.

ერთხელ მიწისძვრით დაზარალებულ ადამიანებს მიეშველა. იშვიათად—იმ სიტუაციაში ვინმე გადარჩენილიყო, უმბერტო ღმერთმა გადაარჩინა, რადგან იგი ყოველთვის ღვთისა და ერის კარნახით მოქმედებდა...

კიდევ რამდენიმე მაგალითი:

ნეაპოლში ქოლერა მძვინვარებდა, უმბერტო საავადმყოფოებში დადიოდა, ხვდებოდა ავადმყოფებს. სავსებით შესაძლებელი გახლდათ, დაავადებულიყო, მაგრამ აქაც ღმერთმა უშველა. ღმერთმა ხომ მშვენივრად იცოდა, ამას იტალიელთა და იტალიის სიყვარულით რომ აკეთებდა.

ერთ-ერთმა მუშამ, პასსამენტემ დამბაჩა ესროლა. მსროლელს სიკვდილით დასჯა ელოდა, მაგრამ მეფემ შეინწყალა და ბრძანა—იგი სულით დაავადებულთა სახლში მიეყვანათ, ხოლო უმარჩენალოდ დარჩენილ დედამისს პენსია დაუნიშნა.

ამ მაგალითების მომხობის მერე დაასკვნის დავით მიქელა-ძე—ასეთი ჰუმანური და შორსმჭვრეტელი მეფის ქორწინების 25 წლისთავს რატომაც არ იდღესასწაულებს ერი, ერი, რომელიც უმბერტო პირველის ზეობის დროს ევროპის ერთ-ერთ განვითარებულ ერად იქცა.

რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზმა გამოსცა მანიფესტი, რომლითაც პოლონეთის 1863 წლის აჯანყების მონაწილენი განთავისუფლდნენ, დაუბრუნდათ ძველი ღირსება, მამულები—არა, რამეთუ ისინი რუს მოხელეებს ჰქონდათ დასაკუთრებული. 30 წელი ჰყავდათ ციმბირში, საშინელ პირობებში, უმრავლესობა იქ ჩაკვდა, ვინც გადარჩა, ისინიც უმამულოდ გაუშვეს სახლში. აღარც წასვლა შეეძლოთ, აღარც მამულის მოწყობა. უმამულოდ მათი განთავისუფლება ანაქრონიზმიაო—ამბობდა მეველე.

XIX საუკუნის 90-იან წლებში ჩინეთსა და იაპონიას შორის დაიწყო ომი. დავით მიქელაძეს უამრავი საყურადღებო შენიშვნა აქვს გამოთქმული ამ ამბებთან დაკავშირებით. უხსნიდა თანამედროვეებს, თუ რატომ ჯაბნიდა ტერიტორიით, მო-

სახლეობით საოცრად პატარა იაპონია ტერიტორიითა და მოსახლეობით ვეებერთელა ჩინეთს. მეველეს აზრით, ჩინეთს ძველი ცოდნა-განათლების მერე არაფერი შეუთვისებია, მცონარობას მიეცა, იაპონია კი დაეწაფა ევროპულ განათლებას, გახდა „აღმოსავლეთის ინგლისი" და ამიტომაც უგებს ომს გიგანტ ჩინეთს:„ყოველივე ეს შექმნა პატარა იაპონიამ ოცდახუთი წლის განმავლობაში, საკვირველმა ენერგიამ ამ ქვეყნის მპყრობელისამ,—1860 წელს მაკადო მეფე ჯერ კიდევ ყმაწვილი კაცი იყო, როდესაც გამბედავად შეებრძოლა ძველ წეს-წყობილების დანგრევას თავის სამშობლოში და აჰა, დღეს ღირსეული და პატივსაცემი მპყრობელი პატარა კუნძულისა, გაუმკლავდა მსოფლიო იმპერიას".

მეველე თვლიდა, რომ თუ ევროპამ და ამერიკამ ამ ორ სახელმწიფოს ომი დააცალა, ნათლად გამოჩნდება, თუ რა სასწაულმოქმედია სწავლა და თავისუფალი მმართველობა ქვეყნისა და იმავ დროს, რა უსუსური და უბრალოა უშველებელი იმპერიაც, თუ არ არის „იგი აღჭურვილი ამ სწავლითა და გონიერის მმართველობით".

ამ ომზეც საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას. ყველასათვის ადვილად შესამჩნევი დეტალები ქართველთათვის ჭკუის სასწავლებლად უნდა ქცეულიყო. ერს თავისი გონება სწავლისა და ქვეყნის თავისუფალი მართვისაკენ წარემართა და ჩინეთზე პატარა, მაგრამ მასზე მრისხანე და დაუნდობელი ჩრდილოელი ვეშაპის დამარცხებაც შესაძლებელი გახდებოდა.

უნდა ვთქვათ, დავით მიქელაძე—პატარა ერების თავისუფლების, დამოუკიდებლობის მოპოვების მომხრე—მუდამ იმაზე ფიქრობდა, როგორ ჩამომდგარიყო ასეთივე ჟამი მის სამშობლოში. მიესალმა ბულგარეთის თურქთაგან თავდახსნას, მაგრამ ქართველებს შიშიც გაუმხილა—ამ ქვეყანას საინტერესო გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, ამიტომ მას-

ზე ბევრ ევროპულ სახელმწიფოს აქვს თვალი დადგმული, ბულგარები საფრთხილო ერიაო.

ვთქვით, უნგრელთა თავისუფლებას გულშემატკივრობდა, ჩეხთა ამგვარივე მოთხოვნა კი არასწორად მიაჩნდა, რადგან ავსტრიის იმპერიის ფარგლებში მათ ჰქონდათ თვითმმართველობა და კულტურული ავტონომია და ეს სრულიად საკმარისი უნდა იყოს ამ პატარა ერისთვისო. 1893 წელს ავსტრიამ სამხედრო წესები შემოიღო ჩეხეთში, რასაც პრაღაში გრანდიოზული მანიფესტაცია მოჰყვა. მეველემ დაგმო ეს გამოსვლაც და ჩეხთა მოთხოვნებიც არასწორად მიიჩნია.

იშვიათად, მაგრამ მაინც ცდებოდა.

ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში საკმაოდ ჩახედული და გათვითცნობიერებული, ზოგიერთი ერის კანონიერ მოთხოვნაში ვერ გარკვეულიყო.

ტრა-ლა-ლა-ლას ღიღინი ასე ადვილიც არ ყოფილა!...

თავი მესამე

რიდი რაინდისა

—დათა ბიძია დაჭრეს, დათა ბიძია დაჭრეს! — თავქუდ-მოგლეჯილი გარბოდა გიმნაზიელისფორმიანი ყმაწვილი ბულვარში, გვერდს ოსტატურად უქცევდა ჯგუფ-ჯგუფად შეხვირიმებულ ხალხს, მირბოდა, მიყვიროდა. უკან ვიღაც მისდევდა, მისი ტოლ-ამხანაგი უნდა ყოფილიყო, ფორმაც ისეთივე ეცვა. ის, წინ გავარდნილი, გამოცდილი მორბენალი-ვით დარბოდა, ეს რამდენიმეჯერ შეეჯახა სასეირნოდ გამო-სულ ქალაქელებს, ერთი-ორჯერ თავიც შეიკავა, შეყოვნდა, უფრო გაჯლაგუნდა, ვიდრე გაძვრა ჯგროში.

მირბოდა, მიყვიროდა, მისდევდა...

ერთი წინ, მეორე—ოდნავ მოცილებით, მაგრამ აშკარად შეამჩნევდი, ეს იმას მისდევდა.

—დათა ბიძია დაჭრეს!—მიყვიროდა წინა, უხმოდ მისდევ-და უკანა.

ბულვარი აფორიაქდა, აირია,ზოგი წინ გარბოდა, ზოგი—უკან. ვიღაც-ვიღაცეებმა მორბენალ ბიჭებს გადაუსწრეს, მაგრამ რომ ვერ გაიგეს, სად მირბოდნენ და რისთვის, ისევ შეჩერდნენ, აქეთ-იქით დაიწყეს ყურება, მართალია, იმას მიხვდნენ, რომ ვიღაც დათა დაჭრეს, მაგრამ ვინ, აზრზე ვერ მოსულიყვნენ, ისიც ვერ დაედგინათ, ბულვარში მოხდა ეს ამბავი თუ ქალაქის სხვა ადგილას.

ბულვარი ბულვარს აღარ ჰგავდა, ქალთა და ყმაწვილთა საჭვრეტლად გამოსულნი აღარც ათვალიერებდნენ, აღარც ესალმებოდნენ, ამბავსაც აღარ ეკითხებოდნენ ერთმანეთს, მსოფლიო პოლიტიკაზე მოსაუბრეებს პარიზის კომუნა აღარ

ეკერათ პირზე, იმდროინდელი საფრანგეთის ცხოვრებასაც აღარ ჩაგულისყურებოდნენ.

ბულვარი...

უბულვარო ქუთაისი არ არსებობდა. აქედან ხელისგულივით ჩანდა მთელი მისი ცხოვრება, ავან-ჩავანი თავადისა, გლეხისა, მოქალაქისა, წვრილი მოხელისა თუ ბობოლა ჩინოვნიკისა. მწერლებსა და პუბლიცისტებს ბულვარი სიმართლის გამჟღავნების საშუალებას აძლევდა — თავის აზრს ბაღში მოსეირნე ჯგუფს დააბრალებდა და მორჩა.

ფსევდონიმ „ქუთათურს“ ამოფარებული ვიღაცის ირონიული პასაჟი:

ბულვარის განსაკუთრებულობა მარტო ადამიანებს კი არა, ბაყაყებსაც ესმოდათ. ბაღს თხრილი შემოავლეს, შიგ წყალი გაუშვეს და ბაყაყებმაც მოადინეს ზღართანი მყლარტე წყალში. ამის შემდეგ არაფერი მომხდარა ბაყაყების კანტატის თანხლების გარეშე. მერე თხრილი მიწით ამოავსეს და დარჩა უმუსიკოდ ბულვარი, ჩაჩუმებულიყო გაზაფხულისპირის იმ დღესაც, — წერს ქუთათური, — როცა დაჭრა მოხდა, არც ნამდვილი მუსიკა უკრავდა, არც ბაყაყთა ორკესტრი ხმიანებდა.

ბაყაყებმა დატოვეს ბულვარი და ქალაქის ქუჩებისა და მოედნების გუბეებში დაიდეს ბინა. ახლა იქ ყიყინებენ ადრე ბაღში მოყიყინენი. იქნებ ადამიანებისგანაც დაიცალოს ბულვარი, აღარც ისეირნონ, აღარც საქმეები გაარჩიონ, მაგრამ როგორც თევზი უწყლოდ, ისე ქუთათურებიც ვერ გაძლებენ უბულვაროდ — გვეუბნება ქუთათური.

ხალხი კვლავაც ისეირნებს, თუ ხანჯლისა და ხმლის ტრიალისა არ შეეშინდათ — ეხმიანება ათი დღის წინათ მომხდარ ამბავს და წერს:

„იქნებ მითხრას ვინმემ, რათ ატრიალებენ ასე მწარედ ხანჯალსა და ხმალს? ვისთვის? რისთვის? ეს მე არ ვიცი. ამას დიდი და უუდიდესი მიზეზი აქვსო. აქაურ გამომძიებლებს

ჰკითხეთო. ამათი ფანტაზია თუ რასმე გვიშველის ამ მიზეზის გამოძებნაში, თორემ უბრალო მომაკვდავები ვერას გავიგებთ"—ეს ნაწყვეტიც იმ წერილიდანაა, ბულვარში მომხდარი ფათერაკიდან ათი დღის მერე რომ გამოქვეყნდა და რაღაცნაირად ეცადა, მიზეზი ეპოვნა გახშირებული ხმალ-ხანჯლის ტრიალისათვის.

ბულვარში „გამრებ-გამომრებნი", იგივე მოსეირნენი, ამ პუბლიკაციის მიხედვით დავახასიათოთ:

ერთი ჯგუფი მსხდომარეთა:

—რა გვიქნა ამ ოჯახდაქცეულმა, ფულის ნახევარი გამოგვართვა, გაკეთებით არაფერი გაუკეთებია და რუსეთისკენ მოუსვა. არადა, ზეგ სასამართლოა, ასეთი უზნეონი არიან ადვოკატები, სანამ სახელს მოიხვეჭდნენ, თან ყვებიან ყველას, მიიღებენ საკმაო პრაქტიკას და უფულოდ, უფრო სწორად, დიდი ფულის გარეშე ხელს არაფერს ჰკიდებენ. ექიმებიც ასეა—ტყუპისცალივით ჰგვანან ერთმანეთს— ამბობს ერთი.

—მაგ ლათაიებს თავი დაანებე, ზეგ სასამართლოა, ადვოკატი მოვძებნოთ თუ არა, ციმბირი უკან დაგვრჩება,—პასუხობს მეორე.

—კაი, ვეძებოთ, მაგრამ ყუყზე ვინ გინდა მოძებნო. ამასწინათ არ იყო, ერთმა რვაასი მანეთი რომ მოგვთხოვა, მერე გავარკვიეთ, თურმე ადვოკატობა აკრძალული ჰქონია.

მოსეირნე მოსწავლეები:

პირველი:—რა ქნა თქვენ კლასში რევიზორმა?

მეორე:—რა უნდა ექნა, გამოიძახა მასწავლებელმა ერთი შტერი, რომელიც არ დაიბნა და ტყუილ-მართალი ერთად დაახვავა. მასწავლებელი ეკითხებოდა, ის—პასუხობდა, რას, არავინ დაეძებდა.

მესამე:—მაგ რაა, ჩვენმა ცხვირა პედაგოგმა ერთი ჩვენი თანაკლასელი რუკასთან იხმო. იმანაც რუსეთი ისე შე-

მოხაზა, დასავლეთი საზღვარი მდინარე რეინზე გაავლო, კიდევ კარგი, ბისმარკსა და მოლტკეს არ გაუგიათ, თორემ გენახათ, რა ვაი-უშველებელი ატყდებოდა...

დაახლოებით ასეთი, უფრო ჭორ-მართლის გარჩევის ადგილი იყო ქუთაისის ბულვარი, იმდღევანდელი კი გადასხვაფერებულიყო, ჩვეულებრივს არ ჰგავდა, სეირნობა აღარავის ახსოვდა.

ბულვარში იმ დღეს ნელი, სასიამოვნო დასავლეთის ქარი ქროდა, ისეთი, გაზაფხულის პირს რომ იცის, ოდნავ სუსხიანი, თბილიც, ქრის, არ გბეზრდება, არ გაკრთობს....

ქარზე სწრაფად გიმნაზმიელისფორმიანი ბიჭი გარბოდა. გარბოდა და ამბავსაც ქარზე მალიად ავრცელებდა.

დათა ბიძია დაჭრეს...

ვინ დათა, რომელი, რატომ... ყველა ინტერესდებოდა, მაგრამ ბიჭი ისეთი წინწიბურით გარბოდა, შეჩერება ზედმეტი იყო, კითხვა და გარკვევა რაიმესი—მითუმეტეს.

ძველი ბულვარი და იმდღევანდელი ერთმანეთს არ ჰგავდა, ხალხიც თითქოს გამოცვლილიყო, ზოგს მოსწავლეთა ოინი ეგონა ყოველივე, ზოგს არაქაური ამბავი, ამათ თუ გაიგეს, ჩვენ რად ვერ შევიტყვეთო—ფიქრობდნენ გუნებაში და იდგნენ, მათი აზრით და სურვილით იქ, სადაც უნდა მდგარიყვნენ. ბულვარში გუშინ, გუშინწინ, ერთი თვისა თუ წლის წინათ მომხდარი ამბები ირკვეოდა, განიხილებოდა, ფიქრობდნენ მათზე, სხვადასხვანაირად უყურებდნენ. იმწამინდელი კი საოცრად აინტერესებდათ, ერთად შეჯგუფულ ხალხს ეძებდნენ თვალებით, რომ იქეთ გაქცეულიყვნენ და გაეგოთ, რა მოხდა სინამდვილეში...

ბიჭმა ყაფნებისკენ გაუხვია და მეეტლეთა რიგში გაუჩინარდა აქლოშინებული, მდევარიც მიყვა. არც ერთი ჩანდა, არც მეორე—დარჩა ხმა, ყვირილით ნათქვამ-დაკივლებული: დათა ბიძია დაჭრეს.

ბიჭის გაუჩინარებით ამბავი არ მიჩუმათებულა, პირიქით,

ცნობისმოყვარეთა რიცხვმა იმატა. ვიღაც-ვიღაცებმა ყველაფერი გაიგეს, შეიტყვეს შესატყობი, მაგრამ ენას კბილი დააჭირეს, სახეზეც უშფოთველობა აღიბეჭდეს, უფრო მეტიც, ვინმე ცნობისმოყვარე რომ შეეკითხებოდათ, კითხვითვე პასუხობდნენ სახეზე გაოცებააღბეჭდილები.

ესენი კი დადუმდნენ, მაგრამ ჭორის მოყვარულებს რა გამოლევს, ბიჭის კივილი კი არა, მეზობელი რომელ მხარეს წვებოდა და ხვრინავდა თუ არა ღამით, ისიც იცოდნენ. მათ სასტუმროსკენ მქროლავი ეტლიც დალანდეს, მაგრამ არ უფიქრიათ, რომ მასში დუელის ერთი მონაწილე იქნებოდა. არც მეორე დუელიანტი ჩანდა საწიერზე, ისიც უცებ გაეცალა იქაურობას, ფეხით გაქუსლა. ამისთვის ეტლი გახდა საჭირო. ის ორგან, თავსა და მხარში იყო დაჭრილი, ეს სამგან — თავში, მხარსა და გვერდში.

ბულვარში ერთ ადგილას შეგროვდა ხალხი, ზოგი დამუნჯებული, ზოგი მოლაპარაკე, ზოგი კიდევ ხალხში აქეთიქით მოსიარულე, დაცქვეტილი ყურებით, იდგნენ, წრე შემოევლოთ ფილაქანზე დარჩენილი სისხლის ლაქებისათვის, გაიგეს, რომ თავადაზნაურთა ყოფილი წინამძღოლის შვილი დავით მიქელაძე და ალექსანდრე წულუკიძე დატაკებოდნენ ერთმანეთს, ერთიც დაჭრილიყო, მეორეც, ზოგი ამბობდა, ქალის გულისათვის იჩხუბესო, ზოგი ირონიით — ქალისათვის ასე როგორ გაიმეტებდნენ ერთმანეთს, ალბათ ძველი შუღლი და მტრობა ჰქონდათ გულში ჩადებულიო და მისთანანი.

ბულვარის გადამრბენელი ბიჭი არსად ჩანდა. შეჯახება სხვა ადგილას მოხდა, ის სხვაგან გარბოდა, ეტყობა, შეესწრო, შეეშინდა და უნდოდა თავისიანებისათვის გაეგებინებინა. მირბოდა, მიყვიროდა თვალებში შიშჩამდგარი, იმდენს ველარ ფიქრობდა, რომ არ უნდა ეყვირა, შიში აყვირებდა.

მერე და მერე, მეორე, მესამე დღეს ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი გაირკვა.

ბულვარში იმ დროს მყოფმა ქუთათურებმა ყოველივე გაიგეს, უკვე ქალებმაც იცოდნენ, რაც მოხდა, იცოდნენ, მაგრამ მაინც ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ეგონათ, მეორემ მასზე მეტი იცოდა ამ ამბისა და არ უნდა ჩამორჩენოდა. იყვნენ ისეთებიც, ბულვარში იმ დღეს რომ არ ყოფილან და სხვებს, სისხლის ლაქებთან მდუმარედ თავდახრილებს, არ უჯერებდნენ. ამათ „დროების" ინფორმაციაც ტყუილი ეგონათ, მაგრამ მერე გიმნაზიელი ბიჭის კივილზე ჩამოუგდებდნენ ბულვარში იმ დღეს მყოფები ლაპარაკს და ჩერდებოდნენ, თითქოს ეს იყო უტყუარი საბუთი, უეჭველი არგუმენტი—ხალხით სავსე ბაღში კივილით გადარბენა ბიჭისა... ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქიდან მოტანილი ჭორ-მართალი სჯეროდათ, აგერ, ყურის ძირში მომხდარი ამბავი — არა. გაზეთში წაკითხულმა უფრო ცხადად შეაგრძნობინათ ყოველივე და შიშიც გაუჩნდათ, შიში არარაობისა. ყასიდად დუელიანტთა ჯანმრთელობაზე ალაპარაკდნენ. მართალია, სასიკვდილო არაფერი ჭირთო, — ეწერა გაზეთში, მაგრამ მაინც საკუთარი თვალით უნდოდათ ენახათ, დარწმუნებულიყვნენ ნანახით, ძველი უგულისყურობა ახლანდელი გულმოდგინებით გამოესყიდათ.

ვინც ყველაფერი იცოდა, ბოქლომი დაედო ბაგეზე.

კივილით ბულვარის გადამრბენელი ბიჭი და მისი მდევარიც სადღაც გადაკარგულიყო. მეჭორეებს „დროება" ეჭირათ ხელთ, დააფრიალებდნენ, აკითხებდნენ, ხომ არაფერი იციო, კითხულობდნენ, მერე ორივენი მხრებს იჩეჩდნენ, მარშლის ყმაწვილი მაინც არ იყოს, — მრავალმნიშვნელოვნად აკანტურებდნენ თავს კეთილშობილნი, სხვებს უფრო ყურები დაეცქვიტათ, უნდოდათ, მეტი გაეგოთ, რომ ვერაფერს გებულობდნენ, სხვებსა და საკუთარ თავზეც ბრაზობდნენ.

გაზეთი „დროება" წერდა:

„...დავით ალექსანდრეს ძე მიქელაძე და ალექსანდრე

სვიმონის ძე წულუკიძე დატაკებიან ერთმანეთს ქუთაისის ბულვარში და ერთს ხრმლითა და მეორეს ხანჯლით დაუწყიათ ერთმანეთის ჩეხა.

ერთი მინუტის განმავლობაში მომხდარა ეს საქმე. სანამ ვინმე მიეშველებოდა და გააშველებდა ამათ, თ. დ. მიქელაძე მძიმედ დაჭრილი და სისხლში მცურავი დავარდა თურმე ძირს. თ. ალ. წულუკიძე კი ისე მძიმედ არ ყოფილა დაჭრილი, რომ სხვის შეუწევნელად არ შესძლებოდა შინ წასვლა. მიქელაძე ფაიტონით წაუყვანიათ შინ, წულუკიძე კი ფეხით წასულა.

ამბობენ, რომ თ. დ. მიქელაძეს სამი დაჭრილობა აქვს ხანჯლითაო, ერთი თავში, მეორე მხარზე და მესამე გვერდშიო, თ. ალ. წულუკიძე კი მარტო ორ ალაგას არის დაჭრილიო: თავში და მხარზე.

მიზეზი მათი ჩხუბისა, როგორც გავიგონეთ, ქალი ყოფილა“

დააფრიალებდნენ ამ გაზეთს და ყველას ეკითხებოდნენ მომხდარზე, ყველამ იცოდა, რომ დუელები საქვეყნოდ არ ინიშნებოდა, მითუმეტეს, ისეთ ადგილას მომხდარი, როგორიც ქუთაისის ბულვარია, სასწრაფოდ უნდა მიჩქმალულიყო. მაგრამ მოხდა პირიქით, ყველამ გაიგო — იქ ვინც იყო, იმანაც და ვინც არ იყო, იმათაც, ქალაქმა კი არა, ქვეყანამ შეიტყო, „დროებას“ ყველა კითხულობდა, ინტერესდებოდა, ვინც ვერ კითხულობდა, წამკითხველს უსმენდა. ასე რომ, მისაჩუმათებელი გამოაშკარავდა, გასასაიდუმლოებელი — ყველასათვის ცნობილი გახდა.

***

სახემოღრეცილი ქართველი თავადი — ასე დაუხასიათა თბილისის მქუხარესახელიან სასტუმრო „ლონდონის“ მაშინდელმა მოსამსახურემ, მერმინდელმა ვაჭარმა და სოცი-

ალ-დემოკრატმა ვასილ კირვალიძემ დიმიტრი ყიფიანს მის მეზობლად დასადგურებული დავით მიქელაძე.

დიმიტრი ქვიშხეთიდან ჩავიდა თბილისში. ამ დროს, 1882 წელს, არც თბილისის ქალაქის თავი იყო, არც იმერეთის თავადაზნაურთა წინამძღოლი, პირველს სამი წლის წინათ შეეშვა, მეორე სამი წლის მერე გახდა, თბილისის თავადაზნაურთა წინამძღოლი კიდევ ათი წლის წინათ იყო. ჰოდა, შედარებით თავისუფალმა, ჩინოვნიკურ ყოფას ასე თუ ისე გარიდებულმა (თუმც ამაების გარეშე არ ოდეს ყოფილა. ზუსტად ამ დროს ნ. დადიან-მინგრელსკის მაიორატის ამბების გამომრკვევი კომისიის წევრი გახლდათ), სასტუმროში ქალიშვილთან ერთად მოკალათებულმა, მეზობელი მოიკითხა, აქაოდა, ხომ არ შეგვაწუხებს, მყუდროებას დაგვირღვევს ან პირიქით, ჩვენ ხომ არ გავანაწყენებთო. ვასილმა — სახემოღრეცილი ქართველი თავადი მიქელაძე, მიუხედავად კარგი შეხედულებისა, სახით დამახინჯებულია — უპასუხა. ნათქვამი საკმარისი აღმოჩნდა მოსაუბრისათვის, გაეგო, ვინ იყო და რატომაც მოღრეცოდა სახე. არადა, ეს ამბავი, სულ მცირე, ხუთი წლის წინათ მაინც მოხდა, რაც ასე მკაფიოდ არ უნდა ჩაბეჭდვოდა დიმიტრი ყიფიანს მეხსიერებაში. იქნებ ვასილ კირვალიძეს ეშლება და 1882 წელს კი არა, სულაც 1877 წელს ჰქონდა სანუკვარი ოცნების ახდენის — დიმიტრი ყიფიანის გაცნობის შესაძლებლობა. ისიც სავარაუდოა, დუელს ისე ღრმა კვალი დაემჩნია მეველის სახეზე, რომ მისი გვარის თქმისთანავე იხსენებდნენ.

ალექსანდრე წულუკიძესთან დუელი დავით მიქელაძეს, როგორც ვთქვით, 1877 წელს ჰქონდა. სწორედ მაშინ მიიღო სამი ჭრილობა და ალბათ სახეც იმ დროს მოეღრიცა. გამოდის, რომ სამუდამოდ აღებეჭდა ნაიარევი პირსახეზე, შეხედვაც აღარ ჭირდებოდათ, საგანგებოდ მიჩუმათებული ამბავიც ისე გახმაურდა, საკმარისი იყო მიქელაძის ხსენება,

რომ გონებაში ქუთაისის ბულვარში მომხდარი დუელი და მეველის დასახიჩრება ამოტივტივებულიყო.

ბუნებრივია, ვასილ კირვალიძე უფრო მერმინდელ დამოკიდებულებას ამჟღავნებს დიმიტრი ყიფიანზე, ვიდრე იმჟამინდელს. მემუარისტები უნებურად ასე იქცევიან: რაიმე ეპიზოდის გახსენებისას ამა თუ იმ პიროვნებისადმი მთელ მის დამოკიდებულებას ამჟღავნებენ და არა იმდროინდელს, ამბავს კონკრეტულს, მაშინ მომხდარს მოგვითხრობენ, დამოკიდებულებას კი, ზოგად მსოფლხედვაში ჩალექილს. ამიტომ ვასილ კირვალიძისაგან დიმიტრი ყიფიანის გაცნობის სიხარულიც, მერე მომხდარი ამბებით, „საშვილიშვილო მეკავშირის" სიცოცხლის მოწამებრივი აღსასრულით უნდა იყოს გამოწვეული.

ასეა თუ ისე, მოკლედ, სახემოღრეცილი თავადი მიქელაძე ცხოვრობს თქვენს გვერდითო, უთხრა სასტუმროს მოსამსახურემ ნამარშლარ-ნაქალაქისთავარ დიმიტრი ყიფიანს და დადუმდა. ის გაჩუმდა, ამან განაგრძო:

„ჰო, ვიცი, ვიცი, ვინცა ყოფილა! ასეა, შვილო, იმის ნაცვლად, რომ ქართველმა ვაჟკაცმა სამშობლოსთვის თავი გასწიროს, რომ რამე სარგებლობა მოუტანოს, დღევანდელი ჩვენი ჩიტირეკია ყმაწვილები ქუჩის ქალების მიზეზის გამო დუელში იწვევენ ერთმანეთს. ეგაც ასეთი სისულელის მსხვერპლი შეიქნა".

დიმიტრი ყიფიანმა არა მარტო გაიხსენა პიროვნება, დამოკიდებულებაც გაამჟღავნა, მსჯავრი გამოუტანა მის ჩადენილს. იმის მაგივრად, რომ სამშობლოსთვის გასწირონ თავი, ჩვენი ჩიტირეკია ყმაწვილები ქუჩის ქალების გამო დუელში იწვევენ და სასიკვდილოდ იმეტებენ ერთმანეთსო. მკაცრი განაჩენია, მითუმეტეს დიმიტრი ყიფიანის ბაგით წარმოთქმული, არავითარი შერბილება ამბისა, თუნდაც დანანება იმისა, რომ დუელის ერთ მხარეს „დროების" უკვე სახელგავარდნილი კორესპონდენტი, ნიჭიერი ქართველი

პუბლიცისტი იდგა. ჩიტირეკია ქართველები— წერტილი დაუსვა ყველას და ყველაფერს. ცივი გონებით განსაჯა საფრთხილოდ სალაპარაკო და განსასჯელი.

დიმიტრი ყიფიანს, ბუნებრივია, ეცოდინებოდა, მეველე ქუთაისის თავადაზნაურთა პირველი წინამძღოლის — ალექსანდრე მიქელაძის შვილი რომ იყო. მას ისიც უნდა ცოდნოდა, რომ 1879 წელს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოსაგან დავით მიქელაძემ ითხოვა ნებართვა ქუთაისში ყოველკვირეულ გაზეთ „რიონის" გამოცემისათვის, იმ დროისათვის ეს არ გახლდათ ჩვეულებრივი მოვლენა, ქვეყნის მეორე ქალაქში არსდებოდა გაზეთი, სულისკვეთებითა და მიზნებით „დროების" კვალში მდგომი, მისი გზის გამგრძელებელი... სხვათაგან რომ არაფერი გაეგონა დიმიტრი ყიფიანს, „დროების" პირველ გვერდზე მოთავსებული ეს განცხადება მაინც უნდა ხსომებოდა:

„ჩვენ შევიტყვეთ, რომ თ. დ. ა. მიქელაძეს შეუტანია კავკასიის ნამესტნიკის მთავარ სამმართველოში თხოვნა კვირის გაზეთის გამომცემის ნებართვაზედ ქ. ქუთაისში, რომელსაც (გაზეთს) სახელად ერქმევა „რიონი". ამბობენ, რომ ამ გაზეთის ნებართვის მიცემას ცოტა დაბრკოლება მიეცაო, სახელდობრ ის, რომ გაზეთის წლიური ფასი ექვსი მანეთი არის და პროგრამაში, სხვათაშორის მოხსენებულია სამოსამართლო ქრონიკაც, კანონი კი თხოულობს, რომ ფასი ამ გაზეთისა, რომელსაც სამოსამართლო ქრონიკის განყოფილება აქვს, შვიდ მანეთზე ნაკლები არ უნდა იყვეს. უეჭველია, რომ ამ დაბრკოლების მოსპობა ადვილად შეუძლია გამომცემელს: ან სამოსამართლო ქრონიკას შესწირავს თავის პროგრამიდამ, ან გაზეთის ფასად შვიდ მანეთს გამოაცხადებს და ამის გამო შემდეგ არავითარი დაბრკოლება აღარ ექნება".

ამდენად, თითქმის გადაწყვეტილი ყოფილა ქუთაისში „რიონის" გამოცემის საქმე, მაგრამ ეს პირველი „თითქმის"

გახლდათ, ამის შემდეგ ბევრჯერ იყო—„თითქმის მიღწეული, თითქმის ნებადართული...“

ეს ამბავი მეველის დაჭრიდან ორი, დიმიტრი ყიფიანის ვასილ კირვალიძესთან შეხვედრიდან—სამი წლის წინათ მოხდა, კიდევ სამი წელიც მიილია და თვითონ დიმიტრი გახდა ქუთაისის თავადაზნაურთა წინამძღოლი და ძალიან კარგად შეიტყო, რა დაბრკოლებებიც ელობებოდა ქუთაისში პერიოდული გამოცემის დაარსების საქმეს.

იცოდა, არ იცოდა, უნდა ცოდნოდა, მარჩიელობაა, დიმიტრი ყიფიანმა გულწრფელად გაამხილა გულისნადები — გვარიანად გაკილა თავადიშვილთა დუელებისაკენ სწრაფვა, ღვთისგან ბოძებული სიცოცხლის სასწორზე შეგდება.

დუელს „დროებამ“ მიადევნა თვალი. რამდენიმე დღის შემდეგ დუელიანტთა მდგომარეობითაც დაინტერესდა გაზეთი: „ქუთაისიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ თ.დ. მიქელაძე, რომელიც დაჭრილი იყო გასულ 10-ს მარტს ქუთაისის ბულვარზე, ამჟამათ თითქმის სრულიად მორჩენილა. მეორე დაჭრილი თ.ა. წულუკიძე ჯერ კიდევ ლოგინში სწევსო; ამას ყველაზე უფრო მკლავის დაჭრილობა აწუხებს თურმე; ამბობენ, ხელი გაუფუჭდებაო“.

ერთი—ორგან, მეორე—სამგან დაიჭრა, „დროების“ ცნობით, სამ ადგილას დაჭრილი მალე გამოჯანმრთელდა, რაიმე იარა დარჩა ან სახე მოეღრიცაო, არ წერია, მეორე დუელიანტი კი ისევ ლოგინში წევს, — ალბათ „ხელი გაუფუჭდებაო“. ესეც გასაკვირია, თუ ალ. წულუკიძეზე თქვეს, მეველეზე რატომ დამალავდნენ სიმართლეს, რატომ მიჩქმალავდნენ, დარჩა თუ არა დუელის კვალი სახეზე.

დავით მიქელაძემ „დროებაშივე“ გამოაქვეყნა წერილი, სადაც უარყო—ჩვენი შერკინების მიზეზი ქალი არ ყოფილა. როგორც ყველა მიიჩნევს, ამიტომ გაზეთებს „კავკაზსა“ და „თბილისის მოამბესაც“ ვთხოვ, გადაბეჭდონ ჩემი პასუხიო.

მანდილოსნის გამო არ შევჩეხებივართ ერთმანეთს, მე ხანჯლით, ის კიდევ ხმლით,—ირწმუნებოდა, მაგრამ მისი ფიცი-მტკიცი არავის დაუჯერებია, როგორც დაიწერა, ისევე დარჩა და ჩარჩათ მეხსიერებაში.

დუელის მიზეზი ვერ გააქარწყლა, მაგრამ ამ რაინდულ შერკინებაზე საინტერესო აზრი გამოთქვა, რის გამოც მთლიანად მოვიტანთ მის „თავის მართლებას.“

„უფალო რედაქტორო!

ნება მომეცით, მოგახსენოთ, რომ მიზეზი „10 მარტის უსიამოვნო შემთხვევისა ქუთაისის ბულვარზედ“, სრულიად ქალი არ გხლებიათ, როგორც მოგვითხრობთ თქვენ.

მე ვიყავი აღელვებული ზოგიერთი ჩემ მოპირდაპირისაგან ზურგს უკან ნალაპარაკი სიტყვებით და მოქმედებით. ამისათვის ვიპოვე თუ არა, როგორც შეიძლებოდა თავისუფალი დრო, გამოველაპარაკე მას და ცოტა რამ უსიამოვნების შემდეგ, დიახ შეგვექმნა ერთიმეორის ჩეხა.

მართალია, ამ ნაირათ თავის პატივის დაცვა, გასწორება ერთობ მხეცურია: მაგრამ რა უნდა მექნა? დუელს არა თუ არა აქვს მოდგმული ძირი ჩვენს საზოგადოებაში, არამედ მცირეოდენი კვირტიც ვერ გამოულია. ამ უკანასკნელი ხუთის წლის განმავლობაში ათიოდე შემთხვევა მაინც იყო გამოწვევისა დუელში, მაგრამ ერთიც არავინ გაჰყოლია თავის მოპირდაპირეს; საზოგადოებამ იცოდა ყველა ესენი, მაგრამ მას ზნეობით არავინ დაუსჯიათ ამისათვის. თითონ თქვენს მორჩილ მოსამსახურეს ორი შემთხვევა ჰქონდა გამოწვევისა და სეკუნდანტად მისვლისა, მაგრამ ორივეჯერ ჩინებული უარი მივიღე.

იქ, სადაც არ არის სპეციალური სამსაჯულო—“Судъ чести”, რომელიც არჩევს მხოლოდ გალანძღვის საქმეს, როგორც მაგ. იტალიაშია, სადაც არ არსებობს არც დუელი და არც საზოგადოებრივი დევნა მეჭორეთათვის—მიბრძანეთ ერთი, რა უნდა ჰქნას კაცმა?

— ამ პასუხებზედ აღმძრა მე არა ჩემის მოპირდაპირის გამტყუვნების სურვილმა, მე მსურდა მხოლოდ, რაკი „10 მარტის შემთხვევა" დაიბეჭდა, ბარემ იმის ნამდვილი მიზეზიც ყოფილიყო გამოცხადებული".

ქალის გამო კი არა, ჩემი მოწინააღმდეგე წულუკიძის ლაპარაკით ვიყავი აღელვებულიო, მაგრამ რას შეეხებოდა ეს „ლაპარაკი", ქალს თუ სხვა რამეს, არ წერს. ხუთი წლის მანძილზე ათმა კაცმა მაინც გამოიწვია მოპირდაპრე დუელში, მაგრამ ერთიც არ მომხდარა (როსტომ ჩხეიძეს გამოადგება დუელების ისტორიისათვის), დუელი ვერ დამკვიდრდა ჩვენს საზოგადოებაშიო—ბოლოს და ბოლოს დუელების ისტორიისთვისაცაა საინტერესო. ორჯერ მეც ვესროლე ხელთათმანი, სეკუნდანტიც ვიყავი, მაგრამ მოწინააღმდეგე არ გამოცხადდაო.

და კიდევ: სანამ არ არსებობს ჩვენში სინდისის სასამართლო, ასეთი შეხლა-შემოხლები არ მოიშლება და მისთანანი.

დუელზე სხვა დროსაც გამოუთქვამს აზრი, სხვა ამბებთან დაკავშირებითაც იგივე უმტკიცებია.

სტადლინმა ბოკლი გააკრიტიკა, უფრო გალანძღა და შეურაცხჰყო სახელი მისი. რა უნდა ქნას ამ უკანასკნელმა? —კითხულობს ერთგან. სამსაჯულოში იჩივლოს, არიქა, დამიცავით, მიშველეთო—არა. დეულში გამოიწვიოს, რომელიც სისულელედ მიაჩნია ზოგიერთებს, თუ სხვა რამე მოიმოქმედოს?! აი, ამ მსჯელობის გაგრძელებაც და დასკვნაც:

„მე არ ვამტკიცებ, რომ დუელი რიგიანი საქმე იყოს ჭკვიანურ საზოგადოებაში, მაგრამ ეხლა, როდესაც ერთი მეორის პატივი და მორიდება ნაკლები გახლავთ, როდესაც ჩვენი გამლანძღველი საზოგადოებაში პატივცემულია, როგორც გამბედავი და რაინდი კაცი და კანონი მცირე ხანს დატუსაღებით ან რამდენიმე მანეთით სჯის გამლანძღველს, მაშინ, რასაკვირველია, ერთი ღონე რჩება პატიოსან კაცს ღირსების დასაცველად. ეს საშუალება არის დუელი".

ე.ი. ბოკლს ხელთათმანი უნდა ესროლა სტალინისათვის, სხვანაირად, შებღალულ ღირსებას ვერ აღიდგენდა. რამდენიმე დღით დატუსაღება ან დაჯარიმება არაფრად მიაჩნდა, ფიქრობდა, ამით შეურაცხყოფა არ განქარდებოდა, პირიქითაც ეფიქრათ იქნებ, ბრალი მასაც მიუძღვის, ალბათ, თორემ ასე ადვილად როგორ მორიგდნენო.

უკიდურეს შემთხვევაში დაპატიმრება უნდა მომხდარიყო, მაგრამ მხოლოდ დუელით ფიქრობდა დაკარგული ღირსების აღდგენას.

ისევ წულუკიძესთან შეჯახებას მივუბრუნდეთ.

მეველემ თავი კი „იმართლა", მაგრამ ამ დუელზე არც სეკუნდანტთა ვინაობა ვიცით, არც ის, ხალხმრავალი ბულვარი რატომ აირჩიეს სადუელო ადგილად. კორესპონდენციის მიხედვით, დავით მიქელაძე სამ ადგილას დაჭრილა—თავში, მხარზე და გვერდში. მაშ, რატომ იყო სახემოღრეცილი, როდის დაისახიჩრა სახე, ამ დროს თუ სხვა დუელებში?! ან იქნებ თავში დაჭრაში პირსახეზე ნაიარევის დამჩნევა უნდა ვიგულისხმოთ.

ერთი სიტყვით, ამ ამბავს ბევრი „ან" ახლავს, დუელების ისტორიაა ხშირად ამგვარი, ბოლომდე გაურკვეველი, მემუარისტებისაგან მიჩქმალული.

და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, დავით მიქელაძისა და ალექსანდრე წულუკიძის დუელის მიზეზი, ვფიქრობთ, ქალი უნდა ყოფილიყო. ქალი და არა სხვა რამ და, აი, რატომ:

თანამედროვეთა გადმოცემით, დავით მიქელაძე ძალიან მოსწონდათ ქალებს, „დროება" ამის მიზეზსაც ჩამომარცვლავდა მეველის დახასიათების დროს: „აი სიმპათიური, ყველასათვის, განსაკუთრებით ქალებისათვის, საყვარელი ყმაწვილი კაცი! კარგი ტანადი, ლამაზი თვალადი, კარგად გაზრდილი წვერულვაში, ჟუჟუნა თვალები, ფართო შუბლი, მაგრამ მაღლა ნულარ აიწევით, ქუდი რომ ეხუროს, ისე ნახეთ!"

ყმაწვილ კაცს მეტი რა სილამაზე უნდა ჰქონოდა, მისი ნიჭის პატრონს ჟუჟუნა თვალებითაც შეეძლებოდა მანდილოსანთა გულის მონადირება.

დუელიდან ათიოდე წლის შემდეგ დავით მიქელაძემ დაწერა დრამა სახელწოდებით „ხაფანგი". ესაა ერთადერთი ორიგინალური მხატვრული თხზულება მის მრავალფეროვან პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში. დრამის შინაარსის გადმოსაცემად გაზეთ „კვალში" დაბეჭდილი გიორგი წერეთლის წერილი დავიმოწმოთ:

„ახალგაზრდა თავადიშვილი ვარდენ ლომიძე შეიყვარებს თავის ნაყმევის ტიმოთე ბარამიძის ქალს ნინოს და ჰსურს შეირთოს ცოლად. ვარდენის მამა ზაქარია ლომიძე შეიტყობს ამას, გაბრაზდება და რომ ჩაშალოს, ხელს მიჰყოფს საძაგელს ინტრიგას, დაარწმუნებს თავის შვილს ტიმოთეს ქალის ნინოს გარყვნილს ყოფაქცევაზე. ვარდენი დააგდებს თავის ნაყმევის ქალს, რომელიც წყალში გადავარდება. თუმცა მას გადაარჩენენ დახრჩობისაგან, მაგრამ მომაკვდინებელი ანთებით ხთება ავათ. ვარდენი ყოველსავე ამას შეიტყობს აზნაურის სარდიონ კლდიაშვილის პირით, რომელსაც იგივე ნაყმევის ქალი გაგიუებით ჰყვარებია და ნდომებია აგრეთვე შერთვა, მაგრამ ვარდენისა და ნინოს სიყვარულს ჩაუშლია, მოუწამლავს სარდიონის რაინდული გრძნობა. შემდეგ თავადი ვარდენი და აზნაური სარდიონ კლდიაშვილი, ეს ორი ერთმანეთის მოსისხლე მტერი, გლეხის ქალის, ნინოს გულისთვის ერთმანეთს შეეტაკებიან და ვარდენი რევოლვერით კლავს სარდიონს. სიკვდილის ჟამს სარდიონი არწმუნებს ვარდენს, რომ ნინო მის წინაშე უმანკო ყოფილა. ვარდენი ისევ დაუბრუნდება თავის ნინოს, რომელიც მის ხელზე კვდება."

ვფიქრობ, მეველეს პიესაში ავტობიოგრაფიული მომენტიც უნდა გამოეყენებინა. გლეხის ქალისა და დიმიტრი ყიფიანის „ქუჩის ქალის" სიყვარული ერთი და იგივე უნდა

იყოს. ქალის გულისთვის ორი ადამიანის დატაკებაც, მართალია, ოდნავ გადასხვაფერებულა, მაგრამ საფუძვლად მაინც პირადად გადატანილი ამბავი უნდა ედოს. და კიდევ, კი უარყო მეველემ წულუკიძესთან ჩემი დუელის მიზეზი ქალი არ ყოფილაო, მაგრამ, როგორც ვთქვით, არ უთქვამს, მაშ, რის გამო შეეტაკა ორი რაინდი ერთმანეთს.

განვსაჯოთ, დავით მიქელაძისა და ალექსანდრე წულუკიძის შეტაკება იყო თუ არა დუელი?! ორთაბრძოლის ამ სახეობის მკაცრი წესებით თუ გავჩხრეკთ, რა თქმა უნდა, არა. დუელს სეკუნდანტები მაინც უნდა ჰყოლოდა, ადგილიც წინასწარ შეერჩიათ, იარაღის სახეობაც გაერკვიათ, ექიმიც ხლებოდათ... სულ მცირე,—ეს ოთხი პირობა მაინც უნდა ყოფილიყო დაცული, მაგრამ ქართულ სინამდვილეში მომხდარი არც ერთი შეტაკება არ აკმაყოფილებს თუნდაც ამ ოთხ ძირითად და აუცილებელ მოთხოვნას. არადა, ისინიც და ესეც დუელებადაა მონათლული. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დიმიტრი ყიფიანიც ხომ დუელს ეძახის მომხდარს, ან ვასილ კირვალიძეს ეშლება და მისი ნათქვამი სწორედ ვერ გაუხსენებია... ან ისე, ან—ასე.

დუელი, როგორც ორთაბრძოლის სახეობა, საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა. იყო დრო, როცა დუელიანტები ერთმანეთისაგან ოცით, ბარიერისაგან კიდევ ათი ნაბიჯით უნდა ყოფილიყვნენ დაცილებული. ბარიერს იქით გადასვლა და სროლა არ შეიძლებოდა. შეთანხმებულ დროზე 15 წუთზე მეტს ვინც დაიგვიანებდა, დანებებულად ითვლებოდა. დუელამდე განმწესრიგებელი კიდევ ერთხელ თავაზობდა დუელიანტებს შერიგებას. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, ათი წუთის მერე იწყებოდა დუელი.

ყველაფერი მკაცრად და დეტალურად იყო გაწერილი. ამიტომ მართალია როსტომ ჩხეიძე, ეს შეჯახება დუელად რომ არ მიაჩნია.

მოკლედ, დუელს თავისი კანონმდებლებიც ჰყავდა—1836 წელს გრაფმა დე შატოვილიარმა პირველად გამოსცა მისი

კოდექსი, ხოლო 1879 წელს გრაფმა ვერჟემ საუკუნეების მანძილზე დაგროვილ წესებსა და კანონებს თავი მოუყარა ერთ წიგნში.

რა იყო ისეთი, რაც ყველა დუელს ახასიათებდა? ალბათ დუელს საქართველოშიც და სხვაგანაც მხოლოდ იმ ორთაბრძოლას (მომხდარსა თუ მოუხდენელს) ეძახდნენ, რომლის გამართვის მიზეზი ღირსების შებღალვა გახლდათ.

ღირსებაშებღალული დუელში იწვევდა ღირსების შემბღალველს. ყველა ამ ამბავს ქართულ სინამდვილეში დუელად ნათლავდნენ. მნიშვნელობა არ ჰქონდა, მოხდებოდა შეტაკება თუ არა, ან შეტაკებამდე შერიგდებოდნენ და ა.შ. მთავარია, ფაქტი, ღირსების დამცირება, მისი აღდგენა ან დუელით ან კიდევ ურთიერთმორიგებით შეიძლებოდა.

ალექსანდრე წულუკიძისა და დავით მიქელაძის ბულვარში შეჯახებასაც ამიტომ დაერქვა დუელი, თორემ, ბუნებრივია, ყველამ იცოდა, რა წესები უნდა დაეცვათ ნამდვილი დუელის ჩასატარებლად, რომელიც, ალბათ, ჩვენში არც არასდროს მომხდარა.

დუელი რაინდული ყოფის ატრიბუტია და მეველეს ხასიათის ერთი განუყოფელი ნიშანი გახლდათ. ამ ამბავზე ერთი წლით ადრე გაზეთი „დროება" თავის თანამშრომლებს რომ ახასიათებდა, დავით მიქელაძეზე წერდა.

„ხასიათში საშუალო საუკუნის რაინდული თვისებანი და მეცხრამეტე საუკუნის დემოკრატიული მიდრეკილებანი ერთადა აქვს შეზავებული". ჰოდა, თუნდ ქალი ყოფილიყო მიზეზი, დათმობით არავის არაფერს დაუთმობდა, წინ გადაღობილ ნებისმიერ პიროვნებას მისაზღვევს მიუზღავდა. დუელიც ასე უნდა გავიგოთ და არა ჩიტირეკიაობად—ზნეშერყეული, სიმტკიცედალეული ქართველობა არც ქვეყნის დამცველად გამოდგებოდა, არც სხვის შემწე იქნებოდა, არც საკუთარი თავისა. უპირველესი გმირობის მაგალითი მისი ცხოვრება უნდა ყოფილიყო, ცხოვრება—სხვათათვის

თარგად გამოსადეგი, ყალიბად ჩამოსაქნელი და ზოგჯერ ამ პრინციპების დასამკვიდრებლად იარაღის აღებაც იყო საჭირო.

დავით მიქელაძეს, როგორც არ უნდა დაეცინათ მისთვის, თავადსა და რაინდს, სხვანაირად არ შეეძლო.

ტყუილად კი არ წერდნენ — მის ხასიათში შუა საუკუნეთა რაინდული ყოფა და მეცხრამეტე საუკუნის დემოკრატიული სულისკვეთებაა შეთანხმებულიო.

მართლაც ასე იყო.

***

სათავადაზნაურო ბანკის კრებებს იმდენი ხალხი მოაწყდა, თეატრში გახდა მისი ჩატარება საჭირო—წერს იაკობ მანსვეტაშვილი. სცენაზე—გამგეობა და საზედამხედველო კომიტეტი, ამომრჩევლები—პარტერში, თვალის სასეიროდ მოსულნი—ლოჟებსა და ქანდარებზე მოკალათდებოდნენ და იწყებოდა გაუთავებელი ბჭობა. ლაპარაკობდა ყველა, მჭევრმეტყველი და ტკეპნით მოსაუბრე, საბანკო საქმეებში ჩახედული და ჩაუხედავი. მანსვეტაშვილი არ წერს, მაგრამ მისი და სხვათა მონათხრობიდან ჩანს, სპექტაკლს ჰგავდა ბანკის კრება, ორატორი არტისტობდა, როგორც შეეძლო, მსახიობობდა, შეკრებილებს თავს აწონებდა, იმდენად საბანკო საქმეზე კი არ ამბობდა რამეს, რამდენადაც იმაზე, რაც იმ დღეებში სალაპარაკო და თავმოსაწონებელი ექნებოდა:—ხომ მაგრად შევუტიე მაჩაბლის მომხრეებს,— დაიქადნებდა კეკლუც ქალბატონებში ჭავჭავაძისტი, მაჩაბლისტი—პირიქით.

სპექტაკლისათვის მოქმედების განვითარება, კულმინაცია და კვანძის გახსნაცაა აუცილებელი. ჰოდა, მარტო ლაპარაკით კი არ იწონებდნენ თავს, ხანდახან ხანჯალსა და რევოლვერზეც გაიკრავდნენ ხელს, მდორე დინება საუბრისა ჩხუბსა და აყალმაყალში გადაიზრდებოდა და ეს გახლდათ კულმინაციაც და კვანძის გახსნაც ამ ამბებისა.

ბანკის ერთ-ერთ კრებას მაჩაბლისტი თავმჯდომარეობდა, მართალია, ილიას მომხრეებსაც აძლევდა სიტყვას, მაგრამ ხშირად აწყვეტინებდა, ჩაერთვებოდა, შეკითხვას დაუსვამდა, ორატორი ლაპარაკის ეშხში რომ შევიდოდა, მაშინ გააჩერებდა. ილიას მომხრე საზედამხედველო კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა ერთხელ მისცა შენიშვნა, წყნარად უთხრა სათქმელი, მეორედ ხმამაღლა მიაყვირა. იმან კიდევ, ვითომც არ ესმოდა, გააგრძელა ძველებურად.

რომ ეგონათ, კრებას ერთ-ორ დღეში მორჩებოდნენ, ორ კვირასაც ვერ მოათავეს, ლამის თვე მიიწურებოდა და ესენი ისევ ბანკობიაობდნენ—ერთ დღეს მაჩაბლის მომხრენი დაჯაბნიდნენ ჭავჭავაძისას, მეორე დღეს პირიქით ხდებოდა, უფრო ლაპარაკობდნენ, ხშირად უაზროდ ახვავებდნენ სიტყვებს. იღლებოდნენ, ისვენებდნენ, ისევ აგრძელებდნენ.

მაჩაბლის მომხრე კრების თავმჯდომარე სისხლს უშრობდა მოწინააღმდეგეებს. თვითონ მშვიდად იყო, სხვებს ნერვებს უწეწავდა, აფორიაქებდა, აწყვეტინებდა და აწყვეტინებდა საუბარს.

ისე გადაღლილიყვნენ, რომ სიტყვაზეც მისდევდნენ ერთმანეთს, აუხირდებოდნენ რაღაცაზე, მერე ნათქვამს ხელზე დაიხვევდნენ და პატარას დიდად აქცევდნენ, დიდს—საბანკო საქმეს—სულაც არ ნაღვლობდნენ, უფრო პირადული აინტერესებდათ, თავის გამოჩენის ჟინი კლავდათ.

იტყოდა ერთი, აცქმუტდებოდა მეორე, იტყოდა მეორე, კვალში ჩაუდგებოდა პირველი და ასე განუწყვეტლივ.

მაისი იდგა, ერთმანეთს ენაცვლებოდა გრილი და ცხელი დღეები. ხან მაგრად დააჭერდა, ზაფხულის ხვატზე უმეტეს დააცხუნებდა, აათაკარებდა, გაგრძნობინებდა, რომ გრილი გაზაფხული მიდიოდა, ცხელი, პაპანება ტაროსის სურნელი დატრიალდებოდა ჰაერში, ხან კიდევ მომეტებული სიგრილე დაისადგურებდა, ხმოსნებიც ამინდისდარად მოქმედებდნენ, ცხელ დღეებში ადრე ათავებდნენ კრებას, ნაკლებსაც

ლაქლაქებდნენ, ნოტიო ჰაერი და სასიამოვნო სიხალვათე ლაპარაკის საღერღელს უშლიდათ,—ამ დროს დამთმობიც ნაკლებად იყვნენ, სიმკვირცხლეს ბოლომდე ინარჩუნებდნენ, სიცხიან დღეებში კი პირიქით—ითენთებოდნენ, იღვენთებოდნენ—თეატრშიც ალმური დგებოდა და ორატორს ხშირად სულაც არ უსმენდნენ. ერთი სიტყვით, ამინდისდარად—ან მკვირცხლობდნენ, ან თვლემდნენ.

ამ დღესაც, მაჩაბლისტი რომ თავმჯდომარეობდა კრებას, წვიმდა, ცივი, შხაპუნა წვეთები ღვარად მოდიოდა, წინა ღამესაც წვიმდა, ნელა, მდორედ, მაგრამ გაბმულად და ბარაქა დაატანა, დილიდანვე აცივდა. ქუჩებში გუბეები იდგა, ამღვრეული, ტალახისფერი. საბანკო ამბებიც, რაც მეტ ხანს გრძელდებოდა, მით უფრო რთულდებოდა, ორ ბანაკს შორის იმღვრეოდა ურთიერთობა, მეწყერდებოდა ერთმანეთთან მისასვლელი ბილიკი.

დარბაზში სასიამოვნო სიცივეს დაესადგურებინა, რაც იქ მყოფებზეც ახდენდა გავლენას, ყინჩობდნენ, ყოველივეს გულდასმით აკვირდებოდნენ.

მაჩაბლისტი თავმჯდომარის აკვიატებული ჩაჭრა-ჩამოჭრა სულაც აღარ უნდოდათ, ისედაც ნერვებდაწყვეტილები, ის-ის იყო ხელდახელ გაიწევდნენ ერთმანეთისაკენ. არადა, ის სულაც ვერ გრძნობდა ამ საშიშროებას, იგივეს აკეთებდა, ცხვირს ჰყოფდა ყველაფერში, ეკითხებოდა, არ აცლიდა პასუხს. საზედამხედველო კომიტეტის წევრი იძულებული გახდა, ყვირილით გამოეხატა პროტესტი, უკმეხად მიემართა, არ შეუკურთხებია, მაგრამ ამას ჰგავდა, გინებას მიახლოებული სიტყვებით მიაძახა:

—გაფხორილ ინდაურს რომ ჰგავხარ, აცალე კაცს ლაპარაკი, —ეს თქვა და მამლაყინწასავით წაიგრძელა კისერი, რაღაც საგინებელი სიტყვებიც ჩაიბურტყუნა და ორივე ხელი ზეცისკენ შემართა.

კრების თავმჯდომარე მკვეთრად შემობრუნდა, მზერა თავისიანებს მიაპყრო და უფრო სასოწარკვეთილი ხმით დაიკივლა, ვიდრე შესძახა:

—რას უყურებთ?!

ეს მაჩაბლის მომხრეთა აჩოჩქოლების, გადარევის ნიშანი იყო. კოლა ორბელიანი გამოირჩა მოყაყანე პარტერელებში, რევოლვერი დააძრო და სცენისაკენ გაექანა.

მიდიოდა, თან იქადნებოდა, იგინებოდა რევოლვერმომარჯვებული, მიაცილებდნენ ხანჯალზე ხელდადებული მაჩაბლის მომხრენი. ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა მნახველს, თითქოს კოლა სოლისტი იყო, თანმხლებნი—გუნდი. მიდიოდა ეს, მიყვებოდნენ ისინი, მანძილი კაიხელა გახლდათ, კოლაც მოშორებით იჯდა, წამოვიდა, ჯგროს გამოეყო, წინ რევოლვერი გაიშვირა და მოჰყვა გინებას. ისე ჩქარაც არ მიდიოდა, რომ ვერავის შეეჩერებინა, მაგრამ უფრო გზას უთმობდნენ, წინ გადაღობვის მაგიერ წინ იმძღვარებდნენ, მის ირგვლივ, იქით-აქეთ ჯგუფდებოდნენ და მიჰყვებოდნენ ყვირილითა და ყაყანით, ის, სოლისტს რომ უფრო ჰგავდა, ვიდრე ვინმეს მოსაკლავად გამოქცეულს, იგინებოდა, სხვები ყაყანებდნენ, რას ამბობდნენ, ძნელად გაარჩევდი.

ოპერის მიზანსცენას ჰგავდა კოლასა და მისნაირთა გაწევ-გაქაჩვა ვინმეს მოსაკლავად.

სოლისტიანი ჯგროს შესაგებებლად თავზეხელაღებული ლელო ანდრონიკაშვილი წამოდგა, გამოიჭრა, ხანჯალი იშიშვლა და ჯიქურ გაემართა პარტერიდან წამოსულებისაკენ. ესენი ჯგუფად მიდიოდნენ, ის—მარტო, უეცარმა ელდამაც გაიარა, შენელდა აქტიურობა, მიდიოდნენ გინებითა და ყვირილით, წამოდგა, მოდიოდა დაქადნებით.

ვახტანგ ორბელიანის შვილს ალბათ ბევრი ოპერა ენახა, მაგრამ თავში ვერასდროს გაივლებდა, თუ უნებურად თვითონვე იქცეოდა ამგვარი სცენის მოთამაშედ. ძაღლები უყ-

ვარდა პროკურორად ნამყოფს, ვინმე რომ შეხვდებოდა— თვრამეტი მწევარი მყავს და 12 გირვანქა ხორცს ვაჭმევ დღეში, ჩემ შვილს კიდევ 36 ჰყავს და 24 გირვანქა სჭირდება, ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასო— ჩაიქირქილებდა თურმე. ასე პირდაპირ გაეგო სიბრძნის აზრი, უფრო სწორად, სხვა გამოსავალი რომ ვერ მოეძებნა, თვითირონიით აქარწყლებდა მასზე გავრცელებულ აზრს, გაკოტრებულ ყოფას, ბორჩალოში მამულების დაკარგვას და ა.შ.

მონადირესაც ჰგავდა ამ სცენაში კოლა ორბელიანი, თვითონ წინ გაჭრილი, აქეთ-იქით მწევრებით გარშემორტყმული.

რევოლვერშემართული მიიწევდა სცენისაკენ, მიჰყვებოდნენ ხანჯლებზე ხელდადებულნი. იქიდან ხანჯალამოწვდილი ლელო ანდრონიკაშვილი მოქროდა, სწრაფად გამოირბინა გასარბენი და უცებ აღმოჩნდა ამათ წინ.

წამიც და შეეხლებოდნენ ერთმანეთს იარაღშემართულები. ეს იგრძნო დათა მიქელაძემ, ქანდარიდან გადმოეშვა და წინ აესვეტა კოლასა და მის გუნდს. ესენი მართლაც თამაშობდნენ, სახიობობდნენ, გამოზომილი ბიჯით მიიწევდნენ წინ, მაგრამ იქიდან წამოსული კაცი არაფერზე იყო უკან დამხევი, ეს განცდა იკითხებოდა დათას თვალებში, რომელმაც ნაპროკურორალს ტყვიაზე უფრო ძლიერი და სწრაფმოქმედი სიტყვა მიახალა.

— თქვენ, ბატონო, არ გცოდნიათ იარაღის ხმარება?!

იაკობ მანსვეტაშვილი, შემსწრე ამ ამბისა და მშვენივრად მომთხრობიც, წერს, რომ ეს იმდენად დამაჯერებლად, იმდენად არგუმენტირებულად იყო ნათქვამი, რომ კოლა უცებ შეცბა, შეჩერდა, გაოგნებულმა თავისიანებს მიაპყრო მზერა, რომლებიც ახლა თავჩაღუნული ჩაჩერებოდნენ ხმალ-ხანჯალს.

— თქვენ, ბატონო, არ გცოდნიათ იარაღის ხმარება... — ამ ფრაზამ შეაჩერა ერთი მხრივ ისედაც შემდოვრებული სწრაფ-

ვა და მეორე მხრივ — ადეევებული მარტოკაცი. მართლაც და, უცოდინარი კაცის გალაშქრებას ჰგავდა ამოდენა მანძილზე დამბაჩაშემართული სვლა, თეატრალიზებულობასაც ნამდვილობა ეკარგებოდა, ეს შენიშნა დუელებსა და სროლაში კარგად გამოჯეგილმა დათა მიქელაძემ, თქვა ის, რასაც ამ ამბებში ყველაზე უკეთ ჩახედული კაცი იტყოდა და დააშოშმინა ორივე მხარე.

—თქვენ, ბატონო, არ გცოდნიათ იარაღის ხმარება!

იქნებ ეს სიტყვები სხვასაც ეთქვა, ზუსტად მიენიშნებინა იგივე, მაგრამ მეველეს სიტყვას სხვა ფასი ჰქონდა, მას ხომ ამნაირ ამბებში გარკვეულ და ჩახედულ კაცად იცნობდნენ. ჩინებული მსროლელის თვალსა და გულს ისიც არ გამოპარვია, ვინ ყალბად და ვინ კიდევ ნამდვილად იყო დამტრიალებელი კაცთა კვლისა.

სიყალბე შეამჩნია, თამაში ამოიკითხა კოლა ორბელიანის ვითომ გულწრფელ გაჭიმვასა და წინ გავარდნაში, უთხრა მიზანში მოხვედრილი სიტყვა და შეაჩერა.

სიტყვასაც მიზანდაუმცდარად იტყოდა ხოლმე, ტყვიასაც დაუცდენლად ისროდა. ამიტომაც ხშირად იყო ამნაირ ამბებში გარეული.

კიდევ ერთი ამბავი გავიხსენოთ.

1894 წლის 10 დეკემბერს ქაშვეთის ეკლესიაში ალექსანდრე ყაზბეგის წლისთავის პანაშვიდზე დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. მათ შორის იყო უკვე ფოთის ქალაქის თავად დამტკიცებული ნიკო ნიკოლაძეც, რომელსაც ბებურ გურგენის ძე ბებურიშვილმა ხელი გაარტყა. დანამდვილებით არ ვიცით, რა მიზეზი ედო საფუძვლად, ყაზბეგს უკავშირდებოდა თუ ნიკო ნიკოლაძის სხვა საქმეებს, ერთი შეხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ყაზბეგს, რომელსაც სიცოცხლეში ნაკლებად აფასებდნენ, სიკვდილის მერე კი მოუმრავლდნენ თაყვანისმცემელნი. დიდი ნიკოც არ გახლდათ მოჩხუბარიძეზე კარგი აზრისა, კიდეც დაუწერია, უთქვამს... ალბათ ეს იცოდა

ბებურიშვილმა და ამიტომაც არ დაერიდა არც ტაძარს, არც იქ თავშეყრილ ხალხს, არც ნიკოლაძის დამსახურებას და ლეწა ყბაში:—ცოცხალს ვერ იტანდი და მკვდრის პანაშვიდს არ აცდენო,—დააყოლა მეორედ გარტყმის მოწადინემ. ეს ერთი ვარაუდი, მეორე მიზეზი შეიძლება თვითონ ბებურიშვილის მოღვაწეობას უკავშირდებოდეს. იგი გახლდათ მთარგმნელი, ფოლკლორისტი, რუსულად თარგმნიდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს და აქვეყნებდა იმდროინდელ რუსულ პერიოდულ გამოცემებში.

ბებურ ბებურიშვილმა 1884 წელს პეტერბურგში მისივე წინასიტყვაობით გამოსცა ქართული ხალხური ზღაპრები, 1889 წელს კი თბილისში—ქართული ხალხური ზღაპრები და თამაშობები.

ორივე კრებული რუსულ ენაზე გამოიცა და თანამედროვეთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. იქნებ ნიკო ნიკოლაძე არ გახლდათ მათზე ამგვარი აზრისა და ეს, შესაძლოა, სადღაც დაწერილი ჰქონდეს კიდეც, ან თუნდაც ეთქვას, რაც პატივმოყვარე ოზურგეთელ ბებურიშვილს გაანაწყენებდა და შემთხვევას არ გაუშვებდა, ანგარიში ფიზიკურად გაესწორებინა.

იმასაც ნუ გამოვრიცხავთ, ორივე ვარაუდი სიმართლე იყოს—ნიკო ნიკოლაძეს ყაზბეგის შემოქმედება რომ არ ეხატებოდა გულზე, ვიცით, იქნებ ბებურიშვილის ღვაწლზეც არ იყო მაღალი აზრისა და ამიტომაც იყარა ჯავრი იმან უკვე გაქალაქისთავებულ კაცზე. მე რომ მკითხოთ, უფრო ეს აზრი მგონია სარწმუნო და სიმართლეს მიახლოებული, თორემ სხვა რამეზე ანგარიშის გასასწორებლად სხვა ადგილს მოძებნიდა ბებურიშვილი და არ ატეხდა ვაიუშველებელს ქაშვეთთან.

შეურაცხყოფილმა ნიკო ნიკოლაძემ დუელში გამოიწვია ბებურიშვილი, თავის სეკუნდანტად პოეტი სიმბორსკი აირჩია... თუმცა დუელამდე არ მისულა საქმე.

ორი დღის შემდეგ ნიკო ნიკოლაძემ ასეთი შინაარსის წერილი მიიღო:

„ღრმად პატივცემულო ბატონო ნიკო!

წარსულ კვირას, ალექსანდრე ყაზბეგის წლის წირვის დროს, როდესაც თითქმის მთელი საქართველოს ინტელიგენცია, ქალი და კაცი, შეიკრიბა ჩვენი სასიქადულო ბელეტრისტის პატივის საცემად, თქვენ უღირსმა და უპატიოსნო პირმა შეურაცხყოფა მოგაყენათ, შეძრწუნებულნი ამ ამბით ვისწრაფვით, გამოვთქვათ თქვენდამი ჩვენი ღრმა და გულწრფელი პატივისცემა და თან საქვეყნოდ აღშფოთებულის გულით გამოვუცხადოთ ზიზღი და გულისწყრომა იმ ქვემძრომს არსებას, რომელმაც არ მიიღო მხედველობაში არც სიწმინდე ადგილისა, არც სახსენებელი საყვარლის წამებულის პოეტისა და არც თქვენი ერთგული და დაუღალავი შრომა სამშობლოს სასარგებლოდ და ისე უპატიოსნოდ, ბილწურად შეგახოთ თავის მურტალი ხელი, ხელი მძულევარებას და სიბილწეს მიჩვეული. ჩვენ გვჯერა და გვწამს, და იმედიც გვაქვს, დაგვეთანხმებით, რომ უპატიოსნო ხელით გამოსროლილი ტალახი თქვენამდის ვერ მოაღწევს და ვერ შელახავს თქვენს სპეტაკ შუბლს. ცოფიანს და გონებადაბნეულს არსებას არ ძალუძს არამცთუ თქვენ, არამედ თქვენზე ნაკლებ მოღვაწესაც მიაყენოს რაიმე შეურაცხყოფა. ამისთვის სულით და გულით გთხოვთ, ნურაფრად მიიჩნევთ კვირის ამბავს და კვლავინდებურად განაგრძოთ თქვენი ნაყოფიერი და სასარგებლო შრომა და მოღვაწეობა თქვენი საყვარელი პატარა სამშობლოს სასახელოდ.

ბატონო ნიკო! ჩვენ მოგვესმა, ვითომც თქვენ განგიზრახავთ სისხლით ჩამოიბანოთ ხსენებული შეურაცხყოფა და ვითომ სეკუნდანტებიც გაგეგზავნოთ. თქვენს განზრახვას ვეწინააღმდეგებით მთელის ჩვენის არსებით. ვფიქრობთ, რომ ასეთი თქვენი განზრახვა შეიძლება დიდად პატივსაცემი იყოს სხვა დროს და სხვა გარემოებაში, მხოლოდ ამ

შემთხვევაში კი მოკლებულია ყოველს საბუთს. თქვენ ვერ შეურაცხგყოფთ ის ხელი, რომელსაც უპატიოსნების მეტი არა ჩაუდენია რა, ამის გარდა, თქვენც, ღრმად პატივცემულო ნიკო, და თქვენი კალამიც ეკუთვნით სამშობლოს, რომელსაც დიდად ესაჭიროება თქვენისთანა მხნე და დაუღალავი მოღვაწეები და მცირე რამესთვის ასეთის ჩვენთვის მოჭირნახულეს დაკლება ერთი ათად-ასად დაჰკოდავს ჩვენს დაობლებულ გულს. ამისათვის სიყვარულით და წრფელის გულით გთხოვთ და გემუდარებით, უარი განაცხადოთ თქვენს განზრახვაზე და დამშვიდებულის გულით შეუდგეთ თქვენს ჩვეულებრივს ნაყოფიერს შრომას სამშობლოს საკეთილდღეოდ.“

წერილს ხელს ბევრი ადამიანი აწერდა, ცნობილი თუ ნაცნობი.

ნიკო ნიკოლაძისთვის ასეთივე შინაარსის, ოღონდ რუსულად დაწერილი, ქუთაისის თავადაზნაურთა წინამძღოლის სიმონ წერეთლისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა ხელრთვით დამშვენებული წერილი ქუთაისიდანაც გაუგზავნიათ. იგივე თხოვნა, გულისტკივილი იგივე: დავით წულუკიძე სულ სხვა რაიმესთან დაკავშირებით უგზავნიდა ფოთის ქალაქის თავს წერილს და ეს ინციდენტიც არ ავიწყდებოდა: „გულით ვწუხვარ, რომ ქუთაისის საზოგადოების სახელით გამოგზავნილ მიმართვაზე ჩემი ხელმოწერა შემთხვევითაა გამორჩენილი. ნიკოლოზ იაკობის ძევ, მინდა გჯეროდეთ, რომ სხვებზე ნაკლებ არა ვარ აღშფოთებული თავხედური და ურცხვი საქციელით ბებურიშვილისა, რომლისთვისაც, როგორც ჩანს, წმინდა ამქვეყნად არაფერი არსებობს.

სამწუხაროა, რომ მას პასუხი მოთხოვეთ, რისთვისაც თქვენს ძვირფას სიცოცხლეს საფრთხეში აგდებთ. მიეცით ნება თქვენს თაყვანისმცემლებს, გაასწორონ მასთან ანგარიში.“

ამ ამბავს იმოდენა რეზონანსი ჰქონია, რომ ნიკო ნიკოლა-

ძის იმ ხანებში მიღებულ თითქმის ყველა წერილში არეკლილა. გიორგი თუმანოვი ნიკოს უნიკოოდ დარჩენილი „ნოვოე ობოზრენიეს“ ამბებზე წერდა, თხოვდა თანამშრომლობას, ჰონორარსაც პირდებოდა, ახალ წელსაც ულოცავდა, მაგრამ არ ივიწყებდა ქაშვეთის ეკლესიასთან მომხდარ ფაქტს:

„ყაზბეგის პანაშვიდზე მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით გაზეთ „ნოვოე ობოზრენიესთვის“ დავწერეთ შენიშვნა, რომელშიც ის აზრი იყო გატარებული, რომ ეს არ გახლავთ კერძო შემთხვევა, რომ მთელი საზოგადოება უნდა აღელვდეს საზოგადო მოღვაწეთა მიმართ ასეთი ანგარიშსწორების გამო. ეს იმ პარტიათა (?) საქმეა, რომელთაც ლიტერატურის მოღვაწეებთან პოლემიკის სხვა საშუალებანი არ გააჩნიათ და ა. შ. (აქედანაც ჩანს, რომ ინციდენტი ლიტერატურულ ფაქტს შეეხებოდა და არა სხვა რამეს ე.თ.), მაგრამ ეს შენიშვნა ცენზურამ ამოიღო. ისიც არ ვიცით, რა ბედი ეწევა მომავალში.“

თბილისის ინტელიგენციის წერილის დაწერასა და ხელმომწერთა შეგროვებაზე კონსტანტინე ბაქრაძეს უზრუნია. წერილიც გაუგზავნა ნიკო ნიკოლაძეს, მასში გაამხილა მისი ფიქრი და გულისნადები:„...ხელის მომწერლებს ორი ამდენს ვიშოვიდი, რასაკვირველია, მაგრამ ერთი რომ ქაღალდი გაივსო და მეორეც ის არის, რომ ამდენი სირბილი მომწყინდა. მე მგონია, რომ შენ ეხლა დამშვიდებით უნდა იყო და არავითარ მნიშვნელობას არ უნდა აძლევდე იმ წუპაკის საქციელს. თუ გალახვა გინდა მისი, იმდენს ვურტყამთ, რომ ნაღველი ჩავუქციოთ და შენ რომ იმას თავი გაუყადრო, არათუ შენი, ჩვენი დამცირებაც იქნება სწორეთ“.

ხელისმომწერლებს უფრო მეტს შევაგროვებდი, მაგრამ ქაღალდიც გამომელია და ძალაც — დავიღალე ამდენი სირბილითო.

კონსტანტინე ბაქრაძე ყველაზე რადიკალურია ბებურიშვილის შეფასებაში —წუპაკს ეძახის და იქადნის კიდეც —

თუ მისი გალახვა გინდა, იმდენს ვურტყამთ, ნაღველს ჩავუქ-ცევთო. თუმცა ძირითადი თხოვნა იგივეა—არ გაუყადრო შეურაცხმყოფელს თავი, ამით ჩვენც დაგვამცირებ, შენს თავსაც დააკნინებო.

არ ვიცით, როგორ ხვდებოდა ნიკო ნიკოლაძე ამ წერილებს, რა განწყობა ეუფლებოდა თბილისელ-ქუთაისელთა ქაღალ-დზე გადატანილი აღშფოთების წაკითხვის შემდეგ, ბოღმა უქრებოდა, თუ პირიქით, უფრო უმძაფრდებოდა და ბებური-შვილთან შერკინებას გარდაუვალად მიიჩნევდა.

ალბათ უფრო მშვიდდებოდა, წყნარდებოდა, რაც მერე განვითარებულმა მოვლენებმაც დაამტკიცეს.

დავით წულუკიძე რომ წერდა, შენს თაყვანისმცემლებს მიანდე ბებურიშვილთან ანგარიშსწორებაო, მართლაც ასე მოხდა. დავით მიქელაძემ და ალექსანდრე ერისთავმა დუე-ლამდე მისული საქმე უდუელოდ გაასრულეს.

აი, მათი გაგზავნილი წერილი:

„ძვირფასო ნიკოლოზ იაკობის ძევ!

ამა წლის 12 დეკემბერს შენი დავალებით და შენივე სახელით პასუხი მოვთხოვეთ ბებურ გურგენის ძე ბებურიშ-ვილს იმ ინციდენტის გამო, რომელსაც ამასწინათ ჰქონდა ადგილი ქაშვეთის ეკლესიის ეზოში ყაზბეგის პანაშვიდის შემდეგ.

ბ-ნ ბებურიშვილმა დაფიქრებისათვის ორი დღე მო-ითხოვა, რომლის გასვლის შემდეგ ქედი მოიდრიკა და უარი თქვა ყოველივეზე.

გამომდინარე აქედან, ჩვენს მისიას ამოწურულად ვთვ-ლით.

მიიღეთ ჩვენი რწმუნება თქვენი სრული პატივისცემის ნიშნად.

თავადი ალექსანდრე ერისთავი.

თავადი დავით მიქელაძე.“

უნდა ვიფიქროთ, ბებურიშვილთან საქმის მოგვარება

ერისთავსა და მიქელაძეს მიანდო ნიკო ნიკოლაძემ, მათ კი მუხლი მოადრეკინეს შეურაცხმყოფელს...

დავით მიქელაძე ამგვარ ამბებში გამოცდილი კაცი იყო, ბუნებრივია, ნიკო შემთხვევითს არც ენდობოდა და არც საქმის მოგვარებას დაავალებდა. ენდო იმას, ვინც თვითონ იყო რაინდი, ვინც არასოდეს არავის არაფერს შეარჩენდა, თუნდაც სამ ადგილას დაჭრილიყო, შეკვდომოდა კიდეც, მაინც აღასრულებდა აღსასრულებელს, იქმოდა რაინდისთვის შესაფერ საქმეს. და მერე თუნდაც ჩიტირეკიად მოენათლათ, თვითონ ხომ უწყოდა, რომ შუა საუკუნეების რაინდთა მსგავსად იქცეოდა.

ნურც ალექსანდრე ერისთავის ღვაწლი გამოგვრჩება. მასაც არაერთხელ გაუმჟღავნებია თანამედროვეთათვის რაინდული სული, სისხლის წილ სისხლის მიგება, უფრო მეტიც, შეჭიდებულ ადამიანთა შუა დგომა და სისხლისღვრის აცილება.

იშუაკაცა ორივემ, ნიკო ნიკოლაძის სახელით იმოქმედეს და მათთვის სასურველ შედეგამდე მიიყვანეს სადუელო შერკინებისთვის გამზადებული დაპირისპირება.

ასეთი რამეები, იქნებ, სხვა დროსაც მომხდარა (ბოლოს-დაბოლოს, არც ის ორი დუელი და სეკუნდანტობის ამბავი ვიცით, „დროების“ წერილში რომ ამხელს), სადაც კიდევ ერთხელ გამოჩნდებოდა მეველის პრინციპული ხასიათი, შეუდრეკელი სული, ალბათ მოხდა, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რაც ვიცით, ისიც შთამბეჭდავია.

კისრისტეხით ბულვარის გადამრბენელ ბიჭს მეტი ეცოდინებოდა.

თავი მეოთხე

ათვალწუნებული ფელეტონისტი

ქვეყანაში ტრაგიკომედია თამაშდება, ხალხს ატყავებენ, ატყუებენ, ძარცვავენ, ღალატსა და შევიწროებას საზღვარი აღარ აქვს, ადვოკატებმა აიშვეს, რაც ნებავთ, აკეთებენ, მადა გაეზარდათ უსაშველოდ და უსამანოდ,—წერდა მეველე სერგეი მესხისაგან დაწუნებულ ფელეტონში „გაიმინდვრა ადვოკატმა“.

დასაწუნებელი არაფერი ჭირდა ფელეტონად მონათლულ სტატიას, მწვავე იყო, პირდაპირ, შეუნიღბავად ამხელდა ერთი პროფესიის ადამიანთა გაუმაძღრობას...

სერგეი მესხი კიდევ—ფელეტონების წერა მაგის საქმე არ არისო, დავით მიქელაძეზე ამბობდა. ვერ იტყოდი, ხელოვნურ, მოგონილ პრობლემას შეეხო პუბლიცისტი, არასწორი დასკვნები გამოიტანა, ტყუილუბრალოდ ამხილა და გაკილა ადვოკატებიო.

პრობლემაც მწვავე იყო, წერილიც მისდაგვარი.

ერთი მუჭა, ათიოდე ადვოკატი საზოგადოების წარმომადგენელთა ნაშრომს ისე „მოურიდებლად ექცევა, როგორც დამშეული მგელი თავის მსხვერპლსა ან შემპარავი ძაღლი გულალალ გამვლელს“.

ორნაირი დამოკიდებულება იკითხება ამ გამონათქვამში, პირველი—მგლები ხროვად, ჯგროდ შეკრავენ წრეს, შუაში მოიქცევენ მსხვერპლს, თანდათან შეავიწროვებენ რკალს, მგლური მტაცებლობითა და მოურიდებლობით დააცხრებიან ნადავლს და მეორე—კაცი წყნარად მიდის თავის გზაზე, ძაღლი კიდევ ეპარება...

გამოდის, ადვოკატები მგლებივითაც დაეძგერებოდნენ, ჩუმადაც ეპარებოდნენ მსხვერპლს.

სიკეთე და ბოროტება უერთმანეთოდ არც არსებობენ, სასიკეთო წამოწყებასაც დაჰყვება ხოლმე რაღაც ხინჯი, მაგრამ არავინ დაიჯერებს, რომ სიკეთე მთლად ბოროტებად იქცა. ასეთია ჩვენში ადვოკატობაო. ამ პროფესიის ხალხს ადამიანების დაცვა, მათთვის დახმარება და ხელის გაწვდენა ევალებოდათ, ხდება პირიქით, ხელის გაწვდენის მაგიერ ხელს ჰკრავდნენ და უფსკრულში აგდებდნენ ადვოკატები.

შეიძლება, საქმე სულ უბრალო ყოფილიყო, გარიგება— ორივე მხარისათვის სასარგებლო, მაგრამ ამნაირი დასასრული ადვოკატს არ აწყობდა—„იგონებს სხვადასხვა ოინებს, იტყუებს თავის დაგებულ მახეში საბრალო მომჩივანს“... ჰოდა, შეტყუებული ადამიანი მთლიანად მასზე ხდებოდა დამოკიდებული, ძალა და გონება ერთმეოდა, ვექილის ჭკუით მოქმედებდა, რომელიც საქმის წარმატებით დასრულების დროს ნახევარს ან, იშვიათად, მესამედს ითხოვდა ამონაგებისას. მესამედის მომთხოვნი მამა აბრამის ბატკანი იყო, უფრო ნახევრის მოთხოვნას ყაბულდებოდნენ. მეველისათვის ესეც ბევრს არაფერს ნიშნავდა, მისთვის, როგორც პუბლიცისტისათვის, ყველაზე უფრო ის იყო მიუღებელი, რომ ადვოკატებმა ზნეობა დაკარგეს, მოწინააღმდეგეს აბაზი არა, მაგრამ მანეთით მეტი რომ გადაეგდო, საგანგებოდ აგებდნენ პროცესს.

მათთვის მართალი და მრუდი საქმე ერთი და იგივე გახლდათ, მთავარია, ფული მიეღოთ. ვინც მეტს გადაუხდიდა, იქითკენ გადაიხრებოდნენ. ამიტომ, ხშირად, მომჩივანი უფრო მეტს ხარჯავდა, ვიდრე საჩივარი ღირდა.

ფელეტონში მოთხრობილი ამბავი გავიხსენოთ:

ქალი დაქვრივდა. ცოლ-ქმარს ერთმანეთი უყვარდათ, ქალმა განშორება ძლივს გადაიტანა. ისე უყვარდა, უიმისოდ სიცოცხლე ვერ წარმოედგინა, დღედაღამ ტიროდა,

დილით საფლავზე გავიდოდა, იტირებდა, ივიშვიშებდა, მერე სახლში აგრძელებდა გოდებას. თითქოს სიცოცხლეს აზრი დაეკარგა, უყურებდნენ ახლობლები, განიცდიდნენ, თანაუგრძნობდნენ.

ქმარმა მთელი ქონება სიცოცხლეშივე უანდერძა, მაგრამ ეს სულაც არ გახსენებია ცოლს, საყვარელი ადამიანის დაკარგვით, მისი გარდაცვალებით გაჩენილი ტკივილი ახრჩობდა.

ანდერძი მთავრობის დამტკიცების მერე შედიოდა ძალაში, დამტკიცება კიდევ გარდაცვალებიდან ექვსი თვის შემდეგ ხდებოდა, მანამდე მემკვიდრედ უახლოესი ნთესავი ითვლებოდა. ცოლს ეს ამბები არც გახსენებია, უქმროდ აღარც ქონება აინტერესებდა, ის კი არა, ხშირად თავის მოკვლაც უცდია, მაგრამ დარჩენილი პატარები წამოტივტივებია გონებაში და გადაუფიქრებია.

ქმრის უახლოესმა ნათესავმა ადვოკატს მიაკითხა, რომელმაც ფულის სუნი მსწრაფლ იყნოსა, მიმსვლელს საკმაოდ აართვა თანხა და ცოლისთვის ნაანდერძევი მთელი ქონება, პრისტავის მეშვეობით, თანამედროვე ტერმინით—დააყადაღა, მაშინდელით—დაატუსაღა.

ეს ამბავი, როგორც ვთქვით, იმ ფელეტონშია მოთხრობილი: დაქვრივებული ქალბატონი თურმე ჩაის მიირთმევდა, სამოვარიც და ჩაიდანიც იქვე იდგა—ჭიქაც წაურთმევიათ, ჩაიდანიც, სამოვარიც, ქალის ნამზითვი ნივთებიც დაუტუსაღებიათ.

ქმარგარდაცვლილი, ქმრისაგან მემკვიდრედ შერაცხული ქვრივი, ადვოკატთა გამოისობით, უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დარჩა. ერთი წუთის წინ ყოველივე მისი იყო, სახლიც, მამულიც, ავეჯიც, ის ფარატინა ქაღალდიც, რომელიც მთავრობისაგან დამტკიცების მერე, ყოველივეს მფლობელად და განმკარგავად ამ ქალბატონს აღიარებდა, მაგრამ საქმეში

ვექილი ჩაერია და ვითარება სათუო გახდა, მემკვიდრეობის დამტკიცებამდე ყოველივე დატუსაღდა. ქალმა აღარ იცოდა, ქმრის გარდაცვალება ეგლოვა და ევიშვიშა, თუ ის, რომ უქონელი და საპყარი შეიქნა.

დავით მიქელაძეც იმიტომ იხსენებს ამ ამბავს, რომ დაგვანახოს, ვექილთათვის ტყუილი და მართალი არ არსებობდა, მათთვის არსებობდა ფული და სიმართლეც იმის მხარესა იყო, ვისაც მეტი მოეძევებოდა ჯიბეში, ბევრის პატრონი ბლომად გადაიხდიდა და ის იქნებოდა მართალი. მტყუანს გაამართლებდნენ თუ დაჭირდებოდათ და მართალს გაამტყუნებდნენ ისევ და ისევ, თუ საჭირო იქნებოდა. მოკლედ, მეველეს ფიქრით, ქართველი ადვოკატების გამო სამართალი ყოველთვის ფულიანთა მხარესაა, იქითაა გადახრილი, სასწაული რომ მოხდეს და მეორე გახდეს უცებ ფულიანი, აქეთ გადმოიხრებაო.

ადვოკატობა, როგორც სოციალური მოვლენა, ამ პროფესიის ადამიანები, როგორც მხოლოდ სარგებელზე მოფიქრალნი, მართლაც გაჩნდნენ იმდროინდელ საქართველოში.

ვექილობა უნდოდა ბევრს, რამეთუ ამ საქმიანობით ბლომად ფულის ჩაჯიბვა შეეძლო. მამა ცდილობდა, შვილი ადვოკატი გაეხადა, ნათესავ-ახლობელნი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ მისიანის გაადვოკატებისათვის.

უამრავი ასეთი ფაქტები ვიცით, —წერდა მეველე იმ ფელეტონში, მაგრამ საზოგადოებას რომ არ მობეზრდეს, ხანგამოშვებით მოგითხრობთო, ერთი ქუთაისელი ადვოკატის თბილისელთან გაგზავნილი წერილი კი იქვე მოჰყავდა:

„დასწერე კასსაცია, თუ ვერ ნახო რაიმე საფუძველი და საქმის მოგება არ მოხერხდებოდეს, შენ მაინც შეთხზე რამე, სულ ერთია, ფულს ყოველ შემთხვევაში მივიღებთ“.

შეთხზული ფაქტებით იგებდნენ პროცესებს და ფულს იჯიბავდნენ. ამნაირი ადამიანების დასჯა საზოგადოებისათვის მიგვინდვია,—წერდა მეველე,—თუ არ დასჯით, ჩვენ

შემოგთავაზებთ საინტერესო პროექტს ვითარების გამოსასწორებლად—„მაშინ მაინც უშველეთ თავს, ბატონებოო!“

ფელეტონს საინტერესო გაგრძელება მოჰყვა. პირველად ნიკოლოზ ყიფიანი გამოეხმაურა დავით მიქელაძეს —ბარათში ნახსენები ქუთაისელი ადვოკატი, უფრო ზუსტად—ადვოკატები, დავით აბდუშელიშვილი და ლუარსაბ ლოლუაა, თბილისელი კიდევ მე გახლავართო—გაამჟღავნა.

გაირკვა—ტუსაღების—ნანეიშვილისა და ყვინჩილიას საქმეზე კასაციის დაწერა ჯერ ლუარსაბ ლოლუას უთხოვია ყიფიანისათვის, რომელსაც სამსაჯულო საქმის გაცნობის მერე საჩივარიც შეუთხზავს, პატიმრებიც გაუთავისუფლებიათ, სენატში და პალატაშიც იმედოვნებდა პროცესის მოგებას, მაგრამ „დროებაში“ გამოქვეყნებული წერილის შემდეგ გადაუფიქრებია. ნიკოლოზ ყიფიანმა გაუმხილა თავდაპირველად გაზეთის თანამშრომლებს ეს ამბავი. იქნებ ისიც იფიქრა, ყვინჩილიასა და ნანეიშვილის, რომელთაც შალიკაშვილის მოკვლა ბრალდებოდათ, გათავისუფლებას ჩემს თავზე ავიღებ, გაზეთში გამჟღავნებით ქუთაისელ ადვოკატებს ჩამოვიშორებ და ფულსაც მთლიანად ჩავიჯიბავო.

ყიფიანის სტატიის წაკითხვის მერე ეს აზრი გაგიჩნდება კაცს.

ქუთაისიდან მოსული წერილიც ვერსად ვიპოვე, თორემ მისი დასტამბვაც მინდოდა, მახსოვს, სერგეი მესხს ვათხოვე. დამიბრუნა თუ არა, ვერ ვიგონებ, მესხი კიდევ საზღვარგარეთაა—ეუბნებოდა „დროების“ მკითხველებს.

რომ ფიქრობდა, გაზეთში წერილის დაბეჭდვით ქუთაისელი ადვოკატები ჩამომცილდებიანო, ასე არ მოხდა. ფელეტონს იმოდენა ხმაური მოჰყვა, თვითონ დაფრთხა და შეშინდა—საერთოდ თქვა უარი ამ ამბავში გარევასა და საჩივრის შეთხზვაზე.

ესეც დავით მიქელაძის დამსახურება გახლდათ, მისთვის კერძო შემთხვევას იმდენად ედებოდა ფასი, რამდენადაც

მასში საერთო სენი ილანდებოდა. ამიტომ არც ქუთაისელი, არც თბილისელი ვექილები დაუნდვია, პირიქით, ყველას სახელგვარი ფარზე ამართა და მათ გამოსააშკარავებლად დაანახა საზოგადოებას, რასთან, რა საერთო სატკივართან ჰქონდა საქმე.

დავით აბდუშელიშვილმა „დროებაში" წერილის გაგზავნამდე კირილე ლორთქიფანიძესთან აფრინა უსტარი. სტატია იქნებ ერთ ნომერში დამიბეჭდოო, „მანდაური საზოგადოება არ მიცნობს და ამიტომ გამოვეპასუხეო", აქაურნი კიდევ ისე კარგად მცნობენ, ასი ათასი მეველე და ყიფიანი ვერ მოსპობენ ამ ნდობას. განურჩევლად ვკიდებ საქმეს ხელს, ყველა ხედავს, ვატყუებ თუ არა, მერე ერთი მეორეს ეუბნება ჩემს უანგარობაზე და ამიტომ მაქვს ნდობა ყველასთან დამსახურებულიო.

„ხალხი... კაცის მოქმედებას უფრო უჯერის, ვიდრე ხმელ ლაპარაკსო".

დავით აბდუშელიშვილის საპასუხო სტატია მართლაც „ხმელი ლაპარაკი" იყო, ერთადერთი, ფელეტონის ავტორს ლამანჩელი აზნაური უწოდა, თორემ სხვამხრივ ვერც თავი იმართლა, ვერც ზოგად სატკივარს მოჰფინა ნათელი. უფრო გაიმჟღავნა თავი, ვიდრე გაიმართლა. რაც მთავარია, მეველეს ფელეტონში მოხმობილი ბარათის არსებობა ვერ უარყო.

მეველემ აბდუშელიშვილის საპასუხოდ ჰაინეს სიტყვები გაიხსენა: „ყველას ნება აქვს, რომ სულელი იყოს", ჩემი ოპონენტი კი რამ გააკვირვა და გაასულელა, ვერ გამიგიაო.

ერთი საგულისხმო დეტალი გამოკვეთა:

„იქნება აბდუშელიშვილს სურს, რომ თავის მკერდი ჯებირად აუგოს მთელს საადვოკატო წოდებას! იყოს ნება მისი, ჩვენ არ ვუშლით, „მსგავსი მზგავსისა თანა განისვენებს"-ო.

მეველეს თავის ფელეტონში აბდუშელიშვილი არსად უხსენებია, არც რომელიმე ადვოკატი გაუკიცხავს, ერთი

ბარათის შესახებ ამცნო მკითხველს და ესეც იმის გამო, რომ ზოგადი შტრიხი ამ პროფესიის ადამიანთა უფრო ნათელი და მკაფიო ყოფილიყო.

არ უხსენებია, მაგრამ აბდუშელიშვილმა იცნო საკუთარი თავი, ჰოდა, ვინმემ რომ სარკე დაამსხვრიოს, ჩემს მახინჯ სახეს რად აჩვენებსო, განა მართალი იქნება—წერს გაღიმებული დავით მიქელაძე.

არც ის ავიწყდება, რომ მისთვის სულ ერთი გახლდათ, ვინ იყო ამ ბარათის ავტორი, ვინ კიდევ ადრესატი, მთავარია, იგი არსებობდა და არსებობდა იმ შინაარსით, რაც ადვოკატთა თავგასულობას, ხალხის აბუჩად აგდებასა და გაუმაძღრობას თვალნათლივს ხდიდა.

ლამანჩელი აზნაური ეწოდა-მეთქი, დავწერეთ ზემოთ.

მეველემ ამაზეც უპასუხა.

ლიტერატურულ პერსონაჟებთან ვინმეს მიმსგავსებას არ გირჩევ, რამეთუ ამისათვის უფრო მეტის ცოდნა და „ცოტა მომეტებული აზრის ჰქონაცაა გოგრაში“ საჭიროო, თორემ ის მაინც გეცოდინებოდა, რომ ლამანჩელი აზნაური, რომელსაც მადარებთ, კეთილშობილი კაცი იყო.

და კიდევ.

პატიოსნების დიპლომი კენჭისყრით რომ იყოს, განა რამდენი ადვოკატი მიიღებდაო?!

ამიტომ ურჩევდა აბდუშელიშვილს—ისევ საჩივრები და კასაციები ეწერა, მათ ხომ ლიტერატურის დიდი ცოდნა არ ჭირდება და საზოგადოებაც ვერ შეიტყობს თქვენს უმეცრებას და „დაბნეულ პარტყალსო“.

ხმელი ლაპარაკიც მშვენიერი ფრაზაა.

დაბნეული პარტყალიც...

რომელი რომელს ჯობია, ვერ იტყვი.

კიდევ ერთი ამბავი!

ბელიაევის მკვლელები, ათიოდე კაცი, ციმბირში გაგზავნა სამსაჯულომ, —წერდა „დროების“ ერთ ნომერში. მაგრამ მეველეს უფრო ის აწუხებდა, რომ დამნაშავენი საპყრობილეში

გაეცვნენ ერთმანეთს და იქვე შეადგინეს ბელიაევის მოკ-ვლის გეგმაც.

სატუსაღო დამშვიდების, გამოსწორების მაგიერ დამნაშა-ვედ აქცევს ადამიანს, საბოლოო ჯამში კი ხალხს მშრომელი აკლდება, ქვეყანას —დამცველი.

ერთ ბნელ ოთახშია შეყრილი მკვლელი და უბრალო ნივ-თის მომპარავი და ამიტომ მცირე დანაშაულის ჩამდენიც მკვლელი გამოდის იქიდან, „ცხოველად გადაიქცევა ისიც, ვინც დამწყდევამდე კეთილი და უბრალო იყო."

მეველე წერს, რომ განათლებულ ქვეყნებში ტუსაღს, შურისძიების მაგიერ, ასწორებენ, ზრუნავენ, რომ საზოგა-დოებისათვის ისევ სასარგებლო წევრად იქცეს. იქ დამნა-შავეებს ერთ სატუსაღოში კი არა,—დანაშაულის ხარისხის მიხედვით ათავსებენ და უკითხავენ ლექციებს, ზნეობის ასამაღლებელ წიგნებს, ასწავლიან ხელობას. ამნაირ ციხეში ხშირად სრულიად უცოდინარი მოხვდება, იქიდან კიდევ— მცოდნე და ცხოვრებაზე დაფიქრებული გამოვა.

ამიტომ ხშირად იმეორებდა.

„ერთ საუკეთესო საშუალებად, საზოგადოების ზნეობის ასამაღლებლად, რასაკვირველია, უნდა ჩაითვალოს საპ-ყრობილის რეფორმები".

სამართლის მეცნიერებას სამ ნაწილად ჰყოფდა: ერთნი დამნაშავეთა შეწყალებას ითხოვენ, მეორენი დასჯას, მესა-მენი კიდევ იმ მიზეზების აღმოფხვრას, რამაც პატიოსანი ადამიანი დამნაშავედ აქცია. თვითონ ამათ ენდობოდა უფრო, ესენი მიაჩნდა მართლებად, საქმის ჭეშმარიტ მცოდ-ნეებად.

კიდევ ერთი ამბავი ისევ ადვოკატზე, მის საქციელზე, უფრო სწორად, ვექილ პ-სა და მისი ცოლის საყვარლის კ-ს ამბავი.

ერთ მშვენიერ დღეს ადვოკატი პ. ცოლს წაჩხუბებია. გაბრაზებულს გადაუქოთებია ქალის ნივთები, გაუჩხრეკავს

მაგიდის უჯრები, სადაც უპოვნია წერილები, რომლებშიც მის ცოლს ვიღაც კ. სიყვარულს ეფიცებოდა. აუღია ისინი, საგულდაგულოდ შეუსწავლია კ-ს კალიგრაფია, შეუთხზავს ახალი წერილები, რომლითაც მტკიცდებოდა, რომ მისი ცოლი და კ. ვითომ სიკვდილით დასჯილ ანარქისტ რევაშოვს თანაუგრძნობდნენ.

ნაფიცმა ვექილმა პ-მ წერილები სასამართლოში მიიტანა და კ-ს პეტერბურგიდან გაძევება მოითხოვა. ასე იძია შური ცოლის საყვარელზე, სხვა რომ ვერაფერი მოუხერხა, ერთმანეთს რომ ვერაფრით დააცილა, შეთხზა ყალბი წერილები და ამით სცადა, მეტოქის გზიდან ჩამოცილება.

კ-მაც იჩივლა ადვოკატთა საბჭოში, სადაც საქმის განხილვის დროს აზრი ორად გაიყო. ერთნი მომხდარს შინაურ ამბად მიიჩნევდნენ, მეორენი თვლიდნენ, რომ ადვოკატმა სიყალბე არ უნდა მოიმოქმედოს, ვინმეს გასამტყუნებლად ან დასაჭერად საბუთები არ უნდა გადაასხვაფეროს, „ნაფიცი ვექილი ფრთხილი და მორიდებული უნდა იყოს თავის მოწინააღმდეგის გასამტყუნებლად“. ამიტომ ადვკოკატთა საბჭომ პ. თავისი რიგებიდან გარიცხა, რომელმაც მერე სამოსამართლო პალატაში იჩივლა, სადაც გაამართლეს.

მეველე თვლიდა, რომ „წმინდა საქმე წმინდა საშუალებით უნდა გადაწყვეტილიყო“. მართალია, ცოლი ქმარს ღალატობდა, რაც, ბუნებრივია, დანაშაულია, მაგრამ შურისძიების ის ფორმა, რაც ადვოკატმა კაცმა აირჩია, მეველესათვის სავსებით მიუღებელი გახლდათ.

ცოლებს ზოგიერთი ქმრები უდიერად ეპყრობიან, ცემენ, მათთვის მეუღლე ნივთია, როგორც სურთ, ისე მოექცევიან. კორესპონდენციებსაც აწვდიდა მკითხველებს:

—ერთ ახალგაზრდას ცხენიდან ჩამოუღია თავის მეუღლე და უცემია. ათი-თხუთმეტი ვირი („ლათინურად მამაცს ჰქვიან“) ახლდა თურმე ამ ქალს, მაგრამ არავინ მიშველებია.

ამა და ამ საპატიო კაცმა ერთი უბრალო შენიშვნისათვის თავისი ცოლი მათრახის ცემით დაასივა. ვილაც X-მა თავადმა ისე მიბრიგა თავის მეუღლე, ვეღარც წამომდგარა თავის ლოგინიდან.

ყველანი ამ წერილების დაბეჭდვას ითხოვენ, მაგრამ ყოველივეზე გაზეთში იყოს საუბარი, შეუძლებელიაო. ჩვენ უფრო ისეთ რამეზე გავამახვილებთ ყურადღებას, რაც საზოგადო ხასიათსაც ატარებს და მისგან თავდახსნის გზებსაც შევთავაზებთ მკითხველსო.

ძველ საქართველოში არავინ ცემდა ცოლს, შეიძლება, ქმარს მოეკლა მეუღლე, მაგრამ პასუხსაც აგებდა, თუმცა ადრე არც როზგს ხმარობდნენ, ახლა როზგი და განათლება სინონიმებად იქცნენ. კაცმა შეიძლება ცემოს ცოლი, მაგრამ მეორე წუთში ლოშნა და ხვევნა დაუწყოს—„რა საძაგლობაა! როგორი სიბინძურე და ზნეობითი დაცემაა!"-ო.

დედაკაცი არ გაჩენილა მხოლოდ თავშესაქცევად, გასართობ ნივთად და დასაჩაგრ არსებად.

მართლები იყვნენ ძველი ხალხები, როცა ოლიმპოს მთას ქალი ღმერთებით ამშვენებდნენ.

კანონს კაცი წერს, მაგრამ ზნეობას ქალი ქმნისო.

ქალი მარტო საჭმლის საკეთებლად, პირუტყვის და ბავშვების მომვლელად არ გაჩენილა. შეიძლება, მამაკაცის ასპარეზზე უფრო მეტად გამოეჩინა თავიო. ჰიუგოს სიტყვებსაც იხსენებდა—მეთვრამეტე საუკუნემ კაცი მონობისაგან გაათავისუფლა, ჩვენმა საუკუნემ ქალი უნდა გაათანასწოროს მამაკაცთანო.

ქალი თუ მამაკაცის თანასწორი არაა, იგივეა „მამალი ორბი ნადირობისათვის შექმნილა, დედალი კიდევ მის ფეხქვეშ გასართხმელადო." „განათლების ხარისხი იზომება იმით, თუ როგორი უფლებები აქვს მონიჭებული დედაკაცსო" და მისთანანი.

მეველეს ფელეტონს, ქმართაგან ცოლების უდიერად მოპყრობის გამო, ვინმე რ. ახ.-შათელი გამოეხმაურა. გაზაფხულის სითბო რომ გამოაღვიძებს და ფრთებს გააქნევინებს ღამურას, ასე გამოერკვნენ ჩვენი ცოლები, თავისუფლად მიიჩნიეს თავი, რასაც ათასი დავიდარაბა მოჰყვაო.

მეველესა და „დროებას“ თხოვდა:

დაწვრილებით დაგვიწერეთ მოვალეობა ცოლქმრობისა, შვილებისა და ოჯახობისაო. ისიც გვითხარით, როგორ დაისჯება ცოლი ან ქმარი, თუ ამ წესებს დაარღვევსო.

ბოლოს იმუქრებოდა კიდეც:

„თუ ამ ჩვენს თხოვნას უფ. მეველემ პატივი არ სცა, მაშინ იგი, უეჭველად, ჩვენ ცოლებისაგან გაწვალებულ ქმრებისაგან ცუდ რასმეს მოელოდეს“.

მეველეც არ დარჩენილა ვალში:

როცა მეტყვით, მაშინ გეახლებით და ღვთის შთაგონებით ვეცდები, თქვენსა და თქვენს მეუღლეს შორის დავამყარო საუკუნო თანხმობაო.

რაც შეეხება კანონებს, ჯერ პირობა მოგვეცით, რომ შეასრულებთ და ვინ ოხერი დაგამადლით, დაგიწერთო.

მიესალმებოდა რუსეთის სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებას, გამოეცათ კანონი, რომელიც მამის განუსაზღვრელ უფლებებს შეზღუდავდა. მანამდე არსებული კანონით შვილს არც მამის სიკვდილის მერე არ შეეძლო მიეღო წილი მშობლის მამულიდან, თუ იგი ისურვებდა და ანდერძით ყოველივეს სხვას დაუტოვებდა.

მეველე დაუფარავად ამბობდა—ძველ საქართველოში მამასა და შვილს შორის ასეთი ურთიერთობა დეტალურად იყო გარკვეული, ყოველგვარი ჩხუბისა და აყალმაყალის გარეშე იყოფდა მამა-შვილი მამულს, მაგრამ რუსული მმართველობის შემოღების მერე მხოლოდ გლეხები იცავდნენ ძველ წესებს, თავადაზნაურობა იმპერიული წეს-კანონით სარგებლობდა, რამაც ბევრი დანაშაული წარმოშვა.

ახალი კანონით, სადაც მამის უფლებები შეზღუდული იქნება, დანაშაულიც შემცირდება და სამართლიანობაც აღდგებაო.

რუსეთის სარეფორმო განზრახვიდან ის გადაწყვეტილებაც პროგრესულად ესახებოდა, რომლითაც ქალი და მამაკაცი სამკვიდრებლის მისაღებად თანასწორი ხდებოდა. ესაააო, _წერდა მეველე, ქალის გათანაბრება მამაკაცთან ნივთიერად, ეკონომიურად, რაც საბოლოოდ ქალისა და კაცის თანასწორობის საფუძვლად უნდა იქცესო.

ლმობიერი კანონების ერთგული დავით მიქელაძე ზოგიერთი სამართლიანი მოთხოვნის არსში ვერ ერკვეოდა. ემილ ზოლამ მოითხოვა, რუსეთსა და საფრანგეთს შორის სალიტერატურო ხელშეკრულება გაფორმებულიყო, მანამდე კი აეკრძალათ მისი ნაწერების ხელაღებით თარგმნა.

მეველემ_ეს ლიტერატურისადმი საქმოსნური დამოკიდებულებააო.

ვერ ჩაწვდა ღრმად, ვერ გაიაზრა ფრანგი მწერლის მოთხოვნის არსი.

სხვა დროს_პლატონ იოსელიანის ძმისწულს_ყარანგოზიშვილს, თვითონვე ესარჩლებოდა. მთლიანადაც მოიტანა მისი წერილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ ცნობილი ისტორიკოსის გარდაცვალების მერე მისი ხელნაწერები სათავადაზნაურო ბანკის სკოლისათვის ჩაუბარებიათ. მათ შორის ბევრი ისტორიული მასალა გამოუქვეყნებელი ყოფილა. პლატონ იოსელიანის ძმისწული ირწმუნებოდა, რომ ერთ-ერთი ნაშრომი ჯერ დიმიტრი ბაქრაძის ხელში აღმოჩენილა, მერე გამქრალა და ახლა შევიტყვე, ვიღაც მის გამოქვეყნებას აპირებსო.

ყარანგოზიშვილს წერილი „ნოვოე ობოზრენიეში“ მიუტანია, საიდანაც იგი სათავადაზნაურო ბანკის სკოლის ინსპექტორისათვის გადაუგზავნიათ. იქიდან მიუღიათ ზ. ჭიჭინაძის ცნობა, სადაც ეწერა, რომ მიღების დროს სხვა იყო ინსპექტორი, ჩემს დროს კი არაფერი დაკარგულაო.

მეველე ქართველებს მოაგონებდა—არსებობს ერთი უცხო სიტყვა—ინვენტარი, რომლის ჩაბარება ევალება ახალ მისულს, ძველს კიდევ გადაბარებაო.

ლიტერატურული ქურდობა ევროპაშიც ხდება, მაგრამ იქ ამგვარი რამ კანონით ისჯებაო.

„შესაძლებელია, იფიქროს ვინმემ: ვაი თუ სხვაგანაც, სადაც ჩვენი სხვადასხვა სიმდიდრეა შენახული, იქაც ასეთი წესია და ოდესმე იქნებ არც რამე დარჩეს იმ ძვირფას განძებსა და სამკაულისაგან, რომელიც დღეს გვეგულება?"-ო

ამ კონკრეტულ ფაქტსაც ზოგად ჭრილში ხედავდა: საზოგადოება უკანონოდ ვერ განვითარდება, მათი წევრების ურთიერთობა მტკიცე და შეურყეველ ნიადაგზე უნდა იქნეს დაფუძნებული, კანონი მართავდეს ცხოვრებას...

„ინგლისის ერი უწარჩინებულეს ერად ითვლება მთელ დედამიწის ზურგზე და ეს... სწორედ ამ ცხოვრებისა და კანონის ერთმანეთთან შეთანხმების წყალობით არის. იმ განათლების ხარისხზე, რომელსაც შენატრის დანარჩენი კაცობრიობა".

აი, რატომ ჩაეძიებოდა სამართალსა და სამართლის აღმსრულებლებს ასე გულისყურით.

ამიტომაც შეარჩია ტოლსტოის „მეუფება წყვდიადისა" სათარგმნელად.

ტულის გუბერნიაში გარჩეული სისხლის სამართლის საქმე უდევს სიუჟეტის საფუძვლად ამ დიდებულ დრამას, რომელშიც, ცოლისაგან ქმრის მოწამვლის გარდა, ყველაფერი სინამდვილიდანაა აღებული... თუმც „მეუფება წყვდიადისაში" მომხდარი დანაშაულის ზნეობრივი მხარეა უფრო საინტერესო, ვიდრე სამართლებრივი.

ფელეტონებს უწუნებდნენ, თარგმანი არავის დაუწუნია.

თავი მეხუთე

მენავისა და მგზავრების ამბავი

1893 წელია. მაისი. თბილისის ქალაქის საბჭოს არჩევნები კარსაა მომდგარი. ვერ იტყოდი, დაწყვიტეს კანდიდატებმა ერთმანეთი, წაიკიდნენ, ან კიდევ ვიღაც-ვიღაცეებს რაღაც-რაღაცეები გამოუძებნეს და გააშავესო. გარეგნულად მშვიდად, უფრო ქარიშხლის მომასწავებელი სიჩუმით მიედინებოდა წინასაარჩევნო ცხოვრება. იყო რამდენიმე, ხმის ჩახლეჩამდე რომ გაჰყვიროდა თავის სათქმელს, ამომრჩევლებს პირდებოდა შეუსრულებელს. მცირე ნაწილი, გულით რომ ყველაფერი უნდათ, მაგრამ განძრევა ეზარებათ, თუ მიართმევენ, უარს არ იტყვიან, სულაც არ ინძრეოდა. გავიდოდა საბჭოში?_ძალიან კარგი, თუ არადა, ამის გარეშეც ცხოვრობდა და იცხოვრებდა მომავალშიც.

კანდიდატთა საკმაოდ დიდ ნაწილს, სომეხ ვაჭრებს, სოვდაგრებს, მევახშეებს არც დღე ეძინათ, არც ღამე. მალულად ხვდებოდნენ ერთ, მეორე, მესამე და ა.შ. მცირე ჯგუფს ამომრჩეველთა, ზოგს სუფრას უშლიდნენ, ასმევ-აჭმევდნენ, ზოგს ფულს ჩუქნიდნენ, ბანკში დაგირავებული სახლისა თუ მამულის გამოსყიდვაში შველოდნენ.. მერე ამ ჯგუფს უჩნდებოდა მომხმარენი, ისევ იმ კანდიდატთა ფულებით რომ ივსებდნენ ჯიბეებს, ესენიც ნახულობდნენ თავისიანებს, ისინი შემდეგ თავის თავისიანებს ითრევდნენ საქმეში, მერე ჩათრეულები აბამდნენ სხვებს და ასე განუწყვეტლივ. იმდენი იყვნენ, ერთად რომ შეგეკრიბათ, ბრბოდ მოგეჩვენებოდათ. არადა, თვალში მოსახვედრად ორი-სამი კაცი თუ დაკინკილობდა ამ კანდიდატთა მხარდასაჭერად,

ის კი არავინ იცოდა, მათ უკან ნახევარ ქალაქზე მეტი რომ იდგა. უფრო შესამჩნევი რამდენიმე ქართველი კანდიდატი იყო, ქალაქის მოედანზე შემოკრებილ ათ კაცთან ხმააკანკალებული რომ ფხრენდა ჰაერს, იბერტყავდა გულის დავთარს, ყვიროდა, გეგმებს აცნობდა უფრო თვალის სასეიროდ მოსულებს, ვიდრე თავგადაკლულ მხარდამჭერებს. ეს ჩანდა, ისინი — არა. ამიტომ ხელჯოხიანიც და უხელჯოხოც ფიქრობდა, რომ ეს არჩევნებიც ჩვეულებრივად ჩათავდებოდა, თუმცა გულში მაინც გაკრავდათ ფიქრი, — მე რომ სომეხს უნდა მივცე ხმაო, მაგრამ თავს იმით ინუგეშებდნენ — ჩემი ერთი ხმა რას იზამს, შედეგს შეცვლის თუ რა?! ამის გამფიქრებელმა არ იცოდა, რომ ასე ფიქრობდა ბევრი და ამ ერთ ფიქრს უკვე ნულები ემატებოდა, ხდებოდა ათი, ასი, ათასი და უფრო მეტი.

გაზეთებშიც დაიბეჭდა კანდიდატთა გაკილვა-გაქილიკების ერთი-ორი ამბავი, მაგრამ გაგრძელება არ მოჰყოლია, არ ალაპარაკებულა ამის გამო მთელი ქალაქი, უცებ ჩაწყნარდა, ჩათბუნდა თავის სიმდოვრის მდინარებაში.

არჩევნების დღეს გაწვიმდა. წვიმა უცებ შეწყდებოდა, ისევ მალე დაუშვებდა, გადაკარებულში მზე აცხუნებდა, მაგრამ მოულოდნელად გამტვერისფერდებოდა ცა, ისევ წამოუშენდა. დილითაც წვიმდა, მერეც... მოქალაქეებს ვერ გაერკვიათ, რა ჩაეცვათ. ამიტომ ზოგნი სადარო, ზოგნი კიდევ—საავდრო სამოსში იყვნენ გამოპრანჭულები, ერთი ნაწილი მიიჩქაროდა, მეორე—ფეხათრევით მიზოზინებდა. მიდიოდნენ, ესალმებოდნენ ერთმანეთს, ზოგს გულიანად, ზოგს უგულოდ ართმევდნენ ხელს. მიდიოდნენ ახალგაზრდები, მოხუცები მიხანხალებდნენ, მაგრამ მიდიოდნენ ჯიქურ, იმის აღსასრულებლად, რაც განეზრახათ, ჩემი ერთი ხმა რას იზამსო, ამ ფიქრით და იმის იმედით, რომ მათ ნამოქმედარს ვერავინ შეიტყობდა, მიდიოდნენ თვალებში

ეშმაკჩასახლებული, საარჩევნოდ აცეტებული ბერიკაცები, მიიჩქაროდნენ უფრო ახალგაზრდა მოქალაქენი.

მოარული ამბავია—ღმერთმა ადამიანთა ჯგუფს, ცოდვების მიტევების სანაცვლოდ, ქვევრის ღვინით ავსება შესთავაზა. ერთმა იფიქრა, ღვინის მაგიერ წყალი რომ ჩავასხა, ვინ რას გაიგებსო, მეორესაც იგივე აზრი აეკვიატა, მესამესაც, მეასესაც... ერთი სიტყვით, ყველამ წყალი ჩაასხა იმის იმედით, რომ მაინც ვერავინ ვერაფერს შეიტყობდა.

გაივსო ქვევრი წყლით, ღვინით რომ უნდა ავსებულიყო.

ქართველებსაც ასე დაემართათ იმ არჩევნების დროს—სასომხოდ მიცემული ჩემი ერთი ხმა რას იზამს, ამათ ფულს მაინც ავართმევ, სხვები ხომ ქართველებს აირჩევენ და მორჩაო—ფიქრობდნენ.

ივსებოდა ყუთები სომეხთა ხმებით, ისე, როგორც ქვევრი წყლით.

შედეგები გამაოგნებელი იყო.

58 სომეხი ეროვნების ვაჭარი და მისთანანი აირჩა ქალაქის საბჭოში, 14 კიდევ—რუსი და ქართველი. ისიც არსად წერია, ამათ შორის რამდენი იყო ქართველი, რამდენი—რუსი, ერთად შეუკრებიათ, რუსიც ჩვენად მიუჩნევიათ ან პირიქით. ისინი—ყველანი სომხები, ერთი ერის შვილები, ერთი საქმით დაკავებულნი, ერთი მიზნით ატაცებულნი, ესენი, ნარევი, ისინი—ოთხჯერ და უფრო მეტი, ესენი—ოთხჯერ და უფრო ნაკლები.

არის ასეთი ანდაზა: „ან არ ვარგა ნავში ჯდომა, ანდა მენავესთან ბრძოლა", თუ ნავში ზიხარ, შენი ბედი მენავეზეა დამოკიდებული, ამიტომ არ უნდა წაეკიდო, თუ არადა, ნავშიც არ უნდა ჩაჯდე. ამ ანდაზაზე ააგო დავით მიქელაძემ „ივერიაში" დაბეჭდილი თავისი წერილი, 1893 წლის ქალაქის საბჭოს არჩევნების გამაოგნებელ შედეგებს რომ მიუძღვნა. ამ სტატიის მიხედვით მენავე ქართველობაა, ნავი—საქართველო, მგზავრები კიდევ სომხები. ჰოდა, ისე გამოვიდა,

სულაც აღარ ეკითხებოდნენ მენავეს, რა ხდებოდა, თვითონ წყვეტდნენ ყველაფერს.

წერილი მრავალი საგულისხმო მინიშნებითაა დატვირთული, უპირველეს იმით, რად უნდა სდომებოდათ სომეხ ვაჭრებს, სოვდაგრებს, ასე ქუდიან-კაციანად შეცვივნულიყვნენ ქალაქის საბჭოში? რა გაჭირვებოდათ ისეთი, რომ ეს გზა მიეჩნიათ ერთადერთ ხსნად და იმედად, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თუ იქ არ მოკალათდებოდნენ, ვეღარც ივაჭრებდნენ, ვეღარც იშუამავლებდნენ, ვერ იყიდდნენ და გაყიდდნენ. ქალაქის საბჭო ყოფილა თავი და თავი ყველაფრისა. იმას კი არავინ ფიქრობდა, ეს ქალაქი სხვა ერის დედაქალაქი რომ გახლდათ, სომხები კიდევ სტუმრები, არაქაურნი, რომელთაც ისე გაედგათ ფესვი აქაურობაში, რომ რაც ეწადათ, იმას იქმოდნენ—უნდოდათ, გაიმარჯვებდნენ, მენავეს სულაც არ დაეკითხებოდნენ, ისე მოკალათდებოდნენ ნავში.

მეველეს წერილისათვის სპორტული შინაარსის სათაური „სასტიკი დამარცხება“ დაურქმევია. მართლაც და, მარათონს დამსგავსებოდა ჭიდილი ვაჭართა და მევახშეთა, მათი მოქმედება ქალაქის საბჭოში მოსახვედრად უფრო ჟინს ჰგავდა, საფინიშო გამარჯვების წყურვილს, რომლის მიუღწევლად ყველაფერს ჰკარგავ, მიღწევით კი ჩემპიონდები. ჰოდა, გაჩემპიონდა ფინიშს გადამცდარი სომხობა, რომელთაც იმ დღეს, როგორც ვთქვით, 58 თავისიანი გაიყვანეს, ქართველებმა და რუსებმა—თოთხმეტი, რჩებოდა კიდევ 8 კაცი ასარჩევი (სულ 80 ხმოსანი უნდა ყოფილიყო), რომლებიც, თუნდაც ქართველები ყოფილიყვნენ, მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ორი მესამედი ისინი იყვნენ, იტყოდნენ, კენჭისყრაზე დააყენებდნენ, უპრობლემოდ გაიტანდნენ ნებისმიერ საკითხს, დარჩენილ ერთ მესამედს ვინღა დაეკითხებოდა.

მეველეს მოვუსმინოთ:

„...სომეხთა რიცხვი ტფილისში მესაბ[illegible]ზედ ცოტა მეტია. ამისთვის საბჭოში ისინი მომეტებულად იქნებოდნენ, ვიდრე ქართველნი ან რუსნი“.

მესამედი ისედაც იქნებოდნენ, რადგან ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში ამდენ[illegible]ომეხი ცხოვრობდა, და ისინი ქართველებივით ხომ არ გაცვლიდნენ ხმას ქეიფში, ფულში, ერთიანად თავისიანებს მიემხრობოდნენ, გაახმოსნებდნენ, ქართველები კი ამდენი არ იყვნენ, რუსების ან სხვა ეროვნების ხალხის არჩევით თუ გადაჯაბნიდნენ, თორემ სხვანაირად სომეხნი აღმოჩნდებოდნენ უმეტესნი. ერთი სიტყვით, რუსი საითკენაც გადაიხრებოდა, ის მხარე გაიმარჯვებდა, სომხებმა გაუნაღდებელი გაინაღდეს, ქართველების ხმები დაითრიეს და ერთი მესამედი ორ მესამედად აქციეს.

რატომ, რა მიზნები ამოძრავებდათ?—კითხულობს დათა მიქელაძე:

„... აზრი სომეხთა მოქმედებისა მაინც ვერ გაგვიგია. რა საჭირო იყო ქალაქის კეთილდღეობისთვის, რომ საბჭო მარტო სომეხთაგან ყოფილიყო შემდგარი; ქართველები და რუსები, ყანაში რომ აქა-იქ საჩრდილობელ თითო-ოროლა ხეს დასტოვებენ, ისე კენტად ყოფილიყვნენ წამომდგარი?“

გამოდის, თბილისის კეთილდღეობაზე სომეხთ უნდა ეზრუნათ, დაბადებიდან თავის თავზე ფიქრობდნენ, ნებისმიერ ქალაქსა თუ მხარეს საცხოვრებლად იმიტომ ირჩევდნენ, მეტი სარგებელი მიეღოთ, მის ხვალინდელ დღესა და სიკეთეს სულაც არ დაგიდევდნენ, თბილისში იყვნენ, აქაურს ჰყიდდნენ ოსმალეთის სომხობის დასახმარებლად და დიდი სომხეთის შესაქმნელად, სადაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიებსაც მიითვლიდნენ და ახლა ისე როგორ გამოკეთდებოდნენ, სათავისოზე უარი ეთქვათ.

თავში საცემად გახდომოდათ ქართველებს საქმე. მეველესაც რა საგულისხმო შედარება მოაქვს—ყანაში გლეხი საგანგებოდ დატოვებს ერთ-ორ ხეს, მუშაობისაგან დაღ-

ლილმა ჩრდილს რომ შეაფაროს თავი, ჰოდა, ამას ჰგავსო ქართველთა მცირე ნაწილის ყოფნა საბჭოში, სომხები კი ზღვასავით მღელავი ყანასავით ყელყელაობენ, იმ ხის ჩრდილშიც მშვენივრად დაივანებენ, და, თუ მოესურვებათ, სულხან-საბას იგავის ერთი პასაჟისა არ იყოს, ტოტებსაც დაამტვრევენ იმ ხეებს, გზასადევნებულებმა სიცხისაგან რომ დაიფარონ თავი.

საგულისხმოა, მეველეს წერილი ილიას „ქვათა ღაღადამდე" ექვსი წლით ადრე დაიწერა. თუმცა იქაც ბევრზე ბევრი ამბავია ამნაირი, სომეხთათვის ჩვეულებრივი, ქართველთათვის—თავში საცემი და სავალალო.

გაზეთ „Temps"-ის კორესპონდენტ კუტულს ჩრდილოეთიდან საქართველოში ფეხის შემოდგმისთანავე დახვდა ვიღაც შუშელი სომეხი ოფიცერი, რომელმაც პატივცემული სტუმარი „მშაკის" რედაქტორს გრიგოლ არწრუნს მიუყვანა. ჰოდა, ამან ჯერ სომხური ეკლესიები მოატარა, სომეხ ინტელიგენციას შეახვედრა, ქალაქის საბჭოში მიიყვანა, რომელიც პარლამენტად გაასაღა, სომეხი ხმოსნები—მინისტრებად, ასვა, აჭამა, ტყუილი საჭმელზე ასჯერ და ათასჯერ უფრო მეტი დააგემოვნებინა. კუტულს რომ გაუკვირდა, დიდცხვირიანები ყოფილხართო, „ეგ დიდცხვირიანები სულ ქართველები არიანო"—უთხრა. „რაც მეტი აქვთ, ის მაინც ჩვენთვის არა ჰშურთ, გულუხვად გვთავაზობენ"—წერს ილია.

ამის მერე არც იყო გასაკვირი ის, რაც საქართველოში ჩამოკუტულებულმა ფრანგულ გაზეთში დაწერა—პარლამენტი, სკოლები, ეკლესია—სომხებისაა, ფილოსოფოსებიც, კათალიკოსზე უფრო განათლებული ინტელიგენტებიც, ესენია, საჭმელი სომხურია, ლხინი, ცეკვა, ტანცი-მანცი ისევ ამათ იციან თუ იციან, ჰოდა, რა გასაკვირია, დასკვნაც ასეთი გამოეტანა:. „უთუოდ ედემი აქ, სომხეთში ყოფილაო". ერთი სიტყვით, საქართველო—სომხეთად მოაჩვენეს, თბილისი—სომეხთა დედაქალაქად, ქვეყნის ძირძველ მკვიდრად—

სომხები. ისე დაუმეგობრდნენ, ჩაეხუტნენ კუტულს, რომ იმათ ნათქვამს კორესპონდენტი უცილობელ ჭეშმარიტებად ცნობდა: ეტყოდნენ, დაწერდა, მთელ ევროპას გააგებინებდა — თბილისი სომხური ქალაქი რომაა, აქ ძირითადად ამ ეროვნების ხალხი რომ ცხოვრობდა.

მეტი გაუგებრობა შეიძლება?! სომხებს კორესპონდენტისათვის ისე აუბამთ თვალი, ისე დაუხშვიათ სმენა, ისე მოუქცევიათ, რომ ყველა წინადადებაში ქართველებს ლანძღავდა, სომხებს განადიდებდა.

თავიანთი დიდცხვირიანებიც კი ქართველებად გაასაღეს...

ეს ამბები მეველეს წერილის დაწერიდან თხუთმეტიოდე წლის უკან მოხდა, რა გასაკვირია, ამ ხნის განმავლობაში სომხებს კიდევ უფრო დაეხვეწათ ბრძოლის ტაქტიკა, ისეთი რამეები მოეფიქრებინათ, რომ ქალაქის საბჭოც დედაბუდიანად გაესომხებინათ.

ისევ მეველეს მივუბრუნდეთ:

„ამბობენ, სომხები ანგარიშის ხალხი არიან—და ყოველს მათ მოქმედებას ერთი რამ სარგებლობის ნიშანი ასვიაო. ამ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვხედავთ, სომხებს კარგად ეანგარიშოთ. გვგონია, რომ ნამდვილი თავისი მდგომარეობა დავიწყებიათ. სომხები, რამდენადაც ვიცით, ყოველგან საქართველოში და თვით ტფილისშიაც საზოგადოდ ვაჭარი ხალხია. ისინი ერთ იოტისოდენას არას უმატებენ ხალხის სიმდიდრეს თავის არსებობით, რადგანაც არაფერს არ აწარმოებენ, არამედ არიან შუამავალნი მყიდველსა და გამყიდველს შორის.“

არც არაფერს აწარმოებდნენ, დოვლათს, სიმდიდრეს არ ქმნიდნენ, მყიდველსა და გამყიდველს შორის შუამავლობით კი იმდენი დაეგროვებინათ, ერთიანად მოეთაფლათ სომხობაც და ქართველობაც, ქალაქის საბჭოშიც იმიტომ

გავიდნენ, რომ იქაც ისე მოეწყოთ საქმე—დოვლათისათვის დოვლათი დაემატებინათ.

მთელი ქართლ-კახეთის მოსახლეობას ჭირნახული თბილისში ჩამოაქვთ გასაყიდად და ვინ იქნება იმის გარანტი, რომ „სომხის საბჭო" მათ კაბალურ პირობებში არ ჩააყენებს, ისეთ დადგენილებებს არ მიიღებს, ისედაც შეჭირვებული ქართველობა კიდევ უფრო რომ შეჭირვდეს და დაგლახავდეს—კითხულობს წერილის ავტორი და პასუხსაც თვითონვე ცემს,—სწორედაც ამიტომ გავიდნენ ჯგროდ და ხროვად საბჭოში, რომ ამგვარები მოემოქმედნათო. ეს კი ომის გამოცხადებას ჰგავს ქართველთათვის სომეხთაგანო. ვერ გაამტყუნებ, ვერც წერილის პათოსს დაუწუნებ, რამეთუ სომხები ისე მოკალათებულიყვნენ ნავში, ისე ეგდოთ ხელთ მისი მართვის სადავენი, მენავეს სულაც არაფერს ეკითხებოდნენ, საკუთარ ნება-სურვილზე მიაქანებდნენ.

სომხები ადრეც ბლომად, ქართველებზე მომეტებულად იყვნენ ქალაქის საბჭოში, 1893 წლის არჩევნების დროს კი სულაც უქართველებოდ უნდოდათ დაეტოვებინათ ქალაქის თვითმმართველობა. მაშინ, როცა ჭარბობდნენ, დიმიტრი ყიფიანს ქალაქის თავობაზე ათქმევინეს უარი, ახლა კი გაცხარებაც აღარ დაჭირდებოდათ, ისე მიაღწევდნენ საწადელს.

ერთ ახლადარჩეულ სომეხ ხმოსანს ქალაქის საბჭოს სხდომაზე ფიცი უნდა დაედო, მივიდა მღვდლის თანხლებით და სომხურად დაიწყო ლაპარაკი. უსმინა ცოტა ხანს დიმიტრი ყიფიანმა, რომელსაც კანონი ავალდებულებდა სხდომაზე დასწრებას და, მერე უთხრა: სომხური არ ვიცი, სჯობს, რუსულად ილაპარაკოთ, ან კიდევ ქართულად, თბილისი ქართველების დედაქალაქია.

სომეხი მღვდელი გაცხარდა, აპილპილდა და ხმამაღლა დაუყვირა ქალაქის თავს:

—არც რუსულად და არც თქვენს ქართულ ენაზე საუბრის ნებას არ ვაძლევ, თქვენ ჩვენს ენას უგულვებელყოფთ.

დიმიტრიც ანერვიულდა:

—არც მე მოგცემთ უფლებას, იმ ენაზე მესაუბროთ, რომელიც არ მესმის...

მღვდელი გაიქცა, ხმოსანი გაეკიდა, დანარჩენებიც ბურდღუნ-ბურდღუნით გაჰყვნენ. დიმიტრი ყიფიანმა ქალაქის თავის ძეწკვი მოიხსნა, მაგიდაზე დადო და გაეცალა იქაურობას.

ასე გასრულდა თბილისქალაქისთავობა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკისა. თუმცა ეს ამბავი მეველეს წერილში აღწერილ მოვლენამდე თოთხმეტ-თხუთმეტი წლის წინათ მოხდა. მაშინ იბრძოდნენ, ცხარდებოდნენ, პროტესტს გამოხატავდნენ სომხები, ახლა ამგვარი აღარაფერი ჭირდებოდათ; იტყოდნენ, იქმოდნენ.

ისევ მეველე:

არც ტაქტი, არც თავაზიანობა რჩებოდა დავით მიქელაძეს მხედველობიდან და შეჯიბრში დამარცხებული მორბენლის გულისტკივილით წერდა:

„როდესაც ერთ-ნამცეცა ხალხი ისე არის მომწყვდეული უცხო ქვეყანაში, როგორც სომხები საქართველოში—რატომ ეს აღარ გაახსენდათ, რომ ამისთანა მდგომარეობაში ცოტა ტაქტისა და თავაზიანობის გამოჩენა ჰფერობდათ?!“

რაღა ტაქტი, რაღა თავაზიანობა, არჩევნების წინ, ქართველებს რომ არაფერი ეგუმანათ, ჩუმ-ჩუმად დაძვრებოდნენ, უხმაუროდ ითრევდნენ მომხრეებს თავიანთ მარაქაში, შედეგმაც არ დააყოვნა—მდგმურები გაბატონდნენ, სახლის პატრონმა გულ-ხელი დაიკრიფა.

„საქართველოს დედაქალაქში მოსულ ერთ მუჭა ვაჭრებისაგან ასე გაკადნიერება, არა გვგონია, გონიერი საქციელი იყოს!“—ვითომ ნამუსზე აგდებდა, თან გულისწყრომასაც არ

მალავდა, მაგრამ მოსახდენი უკვე მომხდარიყო, გამაოგნებელი შედეგებით დასრულებულიყო საარჩევნო მარათონი.

ფინალში მოაგონებს მეველე სომხობას იმ ანდაზას—არ ვარგა ნავში ჯდომა და ბრძოლა მენავესთანო, მაგრამ ისიც კარგად იცის, რომ ომი უკვე წაეგოთ... ახლა სხვა რამ იყო საფიქრი, თორემ სომხობა რომ ქართველის სასარგებლოდ არაფერს გადაწყვეტდა, მტკიცედ სჯეროდა.

ხმოსნობის კანდიდატი ქართველი კი არჩევნების დღესაც ხმაურით ელაპარაკებოდა წვიმის გამო ყაფანს თავშეფარებულ რამდენიმე კაცს, რომლებიც ზრდილობის გულისთვის უსმენდნენ, თორემ გულში არჩევანი გაკეთებული ჰქონდათ, სასომხოდ უნდა მიეცათ ხმა, რადგან ისინი წაეშველნენ, დაეხმარნენ და ამათაც, იმ იმედით, რომ მისი ერთი ხმა რას შეცვლიდა, სტუმრის გასაბატონებლად გადადგეს ნაბიჯი.

აკაკი რომ ამბობდა: „მოვიდა სომეხი, მოიტანა სხვა მეხი“—ზუსტად ასე იყო. სადაც ფეხი დაედგათ, ყველას ჰაიასტანად ნათლავდნენ, მაგრამ აკაკი რის აკაკი იყო, არწრუნზე დაწერილ ერთ სტატიაში გამოსავალიც არ შეეთავაზებინა თანამედროვეთათვის:

„წინდაუხედავათ რომ კაცი ფეხს გადაადგამს, ხშირად ეკალი ესობა ხოლმე ფეხის გულში: ის ეკალი, მაშინ, იმ დროს ძალაა, რასაკვირველია, მაგრამ იმ ძალას გამოიღებენ ხოლმე და ცეცხლში აგდებენ. თაგვი რომ სახლში გაჩნდება და დაუწყებს აქეთ-იქით ხვრას, ის მაშინ ძალაა, მაგრამ იმ ძალას კატებს გაუჩენენ ხოლმე“.

ამ ხატოვან გამონათქვამში ეკალი და თაგვი სომხობაა, ერთი—ფეხში შერჭობილი, მეორე კიდევ სახლში გაჩენილი და ყველაფრის დამხრავი, ერთიც და მეორეც ძალაა, ძალაა საშიში, მაგრამ ორივეს მოცილება შეიძლება. ბუნების კანონი ხომ ასეთია: ფეხში უეკლოდ, სახლში კიდევ უთაგვოდ უნდა იცხოვროს კაცმა.

ამნაირ შედარებებს მრავლად იპოვით ქართველ მოღვაწეთა ნაწერებში. აშკარად რომ ვერ ამბობდნენ, ალეგორიებით ელაპარაკებოდნენ მკითხველს, სომეხთა თავგასულობასა და მათგან თავდახსნის გზებს შედარებებით უხატავდნენ.

დავით მიქელაძის წერილი მამხილებელი ტონით გამოირჩევა.

იგი ერთი ამბავია თავგასულ სომხობასთან დამოკიდებულებისა, მეორეს ილია ჩიქოვანი (პონტელი) იგონებს. ამ დროს დათა მიქელაძე უკვე ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დირექტორი გახლდათ. ჰოდა, მისულა მასთან ერთი ტაბახმელელი სომეხი, ბანკში რომ მამული ჰქონდა დაგირავებული და ვადის გაგრძელებას ითხოვდა. ამბავს მემუარისტი ისე მოგვითხრობს, თუ კარგად არ დააკვირდი, ვერ ჩაწვდები დედააზრს, ვერ იგემოვნებ მეველის მახვილგონიერებას, უფრო მეტიც, გაუგებარიც დაგრჩება ის ძირითადი, რის გამოც მიქელაძემ ამგვარად წარმართა დიალოგი.

ბარემ ვიტყვით, სათავადაზნაურო ბანკს ქვეყნის ამაღორძინებელ დაწესებულებად თვლიდა. „დროების“ ერთ-ერთ პირველ კორესპონდენციაში წერდა:

„რამდენს ძვირფას განზრახვას, რამდენს ცხოველს იმედსა და ოცნებას სდებს ჩვენი დავახშიანებული თავადაზნაურება ბანკზედ.“

ქართველი თავადნი და აზნაურნი სწორედ სომეხთაგან იყვნენ „დავახშიანებულნი.“ ამიტომაც დავით მიქელაძეს ბანკი ამ ვითარების გამოსწორების ერთ-ერთ საშუალებად ესახებოდა, თუმცა იმასაც ეუბნებოდა იმავე წერილში მკითხველს, რომ ქართველმა წარჩინებულებმა „ძველებურ ფლანგვასა და დაუდევნელობას თავი უნდა დაანებონ, თორემ ერთი ამისთანა ღარიბი ბანკი კი არა, ათასი უმდიდრესიც ვერაფერს უშველის“. თუ კნიაზთა ჯიბეები ისევ იმ უძირო ქვევრებს დაემსგავსა, მაშინ არაფერი გამოგვივა, წარსული

ცხოვრება მაგალითი უნდა იყოს — ფულების ფლანგვას და გადაყრას თავი დავანებოთ, მამულისა და სახლის სომეხ ჩარჩთათვის მიყიდვასა თუ მიგირავებაზე თავი შევიკავოთო — წერდა. ეს იყო ადრე, როცა სათავადაზნაურო ბანკი იქმნებოდა, მაშინ ყველა გამოთქვამდა თავის შეხედულებას, ზოგი მცდარს, უმრავლესნი — სწორს.

ბანკის ქუთაისში დაარსების დროსაც წინასწარმეტყველებდა:

„ჩვენ გვგონია, რომ პირად დამოკიდებულებას, სიძულვილსა და სიყვარულს იმერლები ერთობ დიდ მნიშვნელობას აძლევენ ყოველ საზოგადო საქმეში, თორემ ბრძოლა რომ კაცის ნამდვილ ცოდნაზედ და ღირსებაზედ იქნეს, ეს, რასაკვირველია, მოსაწონი იქნებოდა ყოველი კაცისგან.“

თითქოს წინასწარ ხედავდა იმ მოვლენებს, ბარე ათი წლის შემდეგ ქუთაისის ბანკში რომ დატრიალდებოდა, როცა მარტო პარტიებად კი არ დაიყოფოდნენ, ათას ხრიკს, ოინს მოიგონებდნენ თავიანთი კანდიდატურის გასაძვრენად, ის სულაც ფეხებზე ეკიდათ, შეეძლო თუ არა მავანსა და მავანს, საქმეს გაძღოლოდა, მთავარია, ვიღაცის კაცი იყო, ის ვიღაც კიდევ ვიღაცისა და ასე შექუჩდებოდნენ მომხრეები, საბოლოოდ კი საქმეს იბარებდა ის, ბანკზე წარმოდგენა რომ არ ჰქონდა.

მეველეს ამ სიტყვებს რომ კითხულობ, უპირველეს, კალისტრატე ჩიკვაიძის მაქინაციები წარმოგიდგება თვალწინ, მაშინ მომხდარი „ქუთათური ოინები“ გაგახსენდება. ამ ამბებზე სხვაგან უფრო ვრცლად მოგითხრობთ.

საოცარია, დავით მიქელაძე ყოველივეს ბანკის დაარსებამდე ამბობდა — თუ ჩვენში საბანკო საქმის მცოდნეს ვერ ვიპოვნით, მაშინ, სჯობს, მოვიწვიოთ, მაგრამ იმას გული ნაკლებად ატკივდება ჩვენს გასაჭირზე, ამიტომ ისევ ჩვენებური კაცი უნდა გამოვზარდოთ, პეტერბურგში გავუშვათ,

იქაური ბანკები ნახოს, გაერკვეს და წესდების დამტკიცების საქმეც დააჩქაროსო.

მეველეს სხვა დროსაც არაერთი სტატია დაუწერია თბილისისა თუ ქუთაისის ბანკებზე, უთქვამს ის, რასაც ფიქრობდა, წუხილიც გაუმჟღავნებია ბანკობიას გამო, იქ დატრიალებული ფარსი საქვეყნო ტკივილად მიუჩნევია.

ეს ადრე იყო. მეველეს ბანკთან დამოკიდებულებაზე კიდევ მოგვიწევს საუბარი. აქ მოკლედ ვიტყვით— მერე კი, „ივერიასაც" რომ გამოეთხოვა და ქუთაისში გადმობარგდა, მასზე უკეთესს ვის იპოვნიდნენ საბანკო საქმეთა აღმსრულებლად. ასე რომ, თუ ახალგაზრდობაში კალამს ანდობდა ფიქრებს, შემდეგ სულაც თვითონ გაუხდა ის აზრები ცხოვრებაში გასატარებელი.

ქუთაისის ბანკში დავით მიქელაძის დირექტორობის დროს მომხდარა ილია ჩიქოვანის მოთხრობილი ამბავიც. „ივერიაში" დაბეჭდილ წერილში სომხებზე, მათ მზაკვრულ ზრახვებზეა საუბარი, აქ მხოლოდ მეველე და ერთი სომეხი შეყრილან.

კაბინეტს ვერც დაარქმევდი, უფრო საკუჭნაო ოთახს ჰგავდა, აქეთ-იქით ფიცრით გადატიხრულს, ტიხარს იქით სხვა იჯდა, ტიხარს აქეთ ეს — დირექტორი, გამხდარი, ხმელ-ხმელი კაცი, სიმაღლე ჯდომის დროსაც ეტყობოდა, მაგიდაზე გადმომხობილი მარცვლავდა კრიალოსანს, თითებით ჩამოჰქონდა მძივები, მიყვებოდა თანმიმდევრობას აკინძულისა. თვალებით ანიშნა სომეხს, დაბრძანდითო,—ისიც დაჯდა და რომ ეგონა, კრიალოსანს გვერდზე გადადებს და მომისმენსო, ამან უფრო აჩქარებით გააგრძელა ჩამომარცვლა. სომეხი იჯდა, თვალს არ აშორებდა მასპინძელს, რომელიც სადღაც ჭერში იცქირებოდა. უცდიდა, რაიმეს მეტყვის ან შემეკითხებაო, ის კრიალოსანს ჩაგულისყურებოდა. ერთი-ორი წუთი საუკუნედ მოეჩვენა ტაბახმელელს და რომ დარწმუნდა, სჯობს, ვთქვა, ვინემ დაველოდოო, მეველემ უფრო ჩქარა ჩა-

მოყარა კოჭები, აათავა, ხელზე გადაიხვია და ისევ თავიდან დაიწყო. კრიალოსანი ძველებურს ჰგავდა, მძივები მსხვილი და ლამაზად ჩამოქანდაკებული იყო. ეს კრიალოსნობდა, ის წრიალებდა, ნერვიულობა დირექტორსაც ეტყობოდა, ჩქარ-ჩქარა მარცვლავდა, თითქოს რაღაც საიდუმლო აზრი უნდა ამოეცნო ამ ჩამოთითოებაში კრიალოსნისა.

სომეხი იმას ფიქრობდა, მამულის გამოსყიდვის ვადას კი გადამიწევენ, მაგრამ უნდა ვეცადო, რაც შეიძლება იქით გადავდო, დრო მოვიგო — ერთ წელს მეტყვიან, ორზე დაველრიჯო, ორს შემომთავაზებენ, სამზე დავევაჭროო და მისთანანი. ამგვარ ფიქრებში ბორიალებდა კრიალოსნით გართულ მეველესთან და ვერ გაეგო, როგორ მოქცეულიყო. ბოლოს უთხრა სათქმელი, აუხსნა, მამული რომ ჰქონდა დაგირავებული და ვადის გადაწევას ითხოვდა.

დათამ მშვიდად მოუსმინა, აცალა სათქმელ-სათხოვრის ჩამოწიკწიკება, მერე თვალები მოწკურა, გამჭოლი მზერით გახედა ტაბახმელელს, კრიალოსანი დინჯად ჩამოათითოვა და ის რომ ელოდა, რაღაც ვადას დამისახელებსო, ბაგეზე გამკრთალი ღიმილით შეეკითხა:

— თქვენში, ბატონო, მწყერები ბევრია, მიმინოთი იჭერთ?!

სომეხი დაიბნა, ვერ გაიგო, რა უთხრეს. მეველემ გაუმეორა:

— ბლომადაა თქვენსკენ მწყერები?! — ჩამომარცვლა არ შეუწყვეტია.

— პერეპელ, კნიაზჯან,— ქართული მშვენივრად იცოდა, ტაბახმელაში რუსულად და სომხურად ვერავის ელაპარაკებოდა, მაგრამ მაინც შეამოწმა ცოდნა.

—ჰო, მწყერები...—თვალი თვალში გაუყარა.

—რა მწყერი, — ხელისგულები გადააბრუნ-გადმოაბრუნა სომეხმა და დაბნეულმა ისე ჩაქინდრა თავი, გეგონებოდა, საკაცობრიო პრობლემებს შეუწუხებიაო. იჯდა პატივცემული

თავადის წინ, რომლისგანაც აბსოლუტურად განხვავებულ პასუხს ელოდა, უთხრეს დიამეტრალურად სხვა, ისეთი, უცებ რომ ძნელად აღიქვამ და გაისიგრძეგანებ კაცი. დახვედრაც უცნაური იყო, საქმიან კაცს ელოდა, კრიალოსნით მოთამაშე დახვდა. ისიც გაიფიქრა, რაღაც პრობლემები უნდა ჰქონდეს, ნერვებს ამით იმშვიდებს, იქნებ ბანკის შემოსავალ-გასავალს თვლის, აქეთ ჩამოათითოვებს — ხარჯს, იქით — მოგებას, მაგრამ რა ბედენაა, მარცვალი ხომ ყოველთვის ისევ იმდენი იქნება, ქართველების ბუღალტერიაც ესაა, ისე, უვიცი არ ჩანს, ალბათ, უფრო ნერვებს აწყნარებს, მე ჩემი მოვაგვარო, კისერიც უტეხიაო, — ფიქრობდა დამფრთხალი მწყერივით მობუზული ტაბახმელელი.

მეველემ გაუმეორა:

— ბევრია ხომ მწყერი ტაბახმელაში, მიმინოც გეყოლებათ მოშინაურებული?!

— აბა მწყერი, აბა მიმინო....—დაბნევა ვერ დამალა სომეხმა, აიჭრა, ანერვიულდა და სახეწამოწითლებულმა ხელმეორედ ჩაილუღლუღა:

— რა მწყერი, რა მიმინო, მამულის გირაოს სროკს გადამიწევთ?!

— ვერ გამიგეთ, გეკითხებით—მწყერი ბევრია თუ არა თქვენსკენ?—დაუკონკრეტა მეველემ, რომელიც გონებაში იმას გულისხმობდა, რომ სომხები ქართველებს მწყერებად თვლიდნენ, მიმინოსავით დააცხრებოდნენ მათ ქონებას და ნება-ნება გლეჯდნენ. კრიალოსნის მარცვლებივით ითვლიდნენ და ითვისებდნენ. მეველის ამ ფიქრს თუ ვერ ჩაწვდები, ისე ნათქვამს აზრი ეკარგება.

იქნებ ამ საუბრის დროს 1893 წლის არჩევნებიც გაახსენდა და მაშინდელი ბრაზი ტაბახმელელზე გადმოაპირქვავა. ან გაახსენდა, ან — არა. სულაც ასეთი იყო მუდამჟამს, ფიქრის დაურიდებლად გამმხელელი, სიტყვის პირში მიმხლელი.

— მწყერი, მიმინო!—გონს ვერ მოსულა სომეხი.

— ხომ იცით, მიმინოს ჯოხზე დაბმული ბელურით იჭერენ. დაინახავს თუ არა მტაცებელი ფრინველი ბელურას, დააფრინდება, ისე დააცხრება, ვერაფერს გებულობს და ადვილად იხელთებენ. მერე ასე დაჭერილ მიმინოს დაგეშავენ და მწყერზე ნადირობენ მისი მეშვეობით. ბელურით მიმინოს, მიმინოთი მწყერს. — ხალისიანად განუმარტა მიქელაძემ და ნება-ნება ჩამოწია კრიალოსნის თვლები.

— რა ბელურა, რა მიმინო, ტაბახმელაში არაფერი იციან, მამული მაქვს, კნიაზჯან, დაგირავებული, ვადის გადაწევის თხოვნით გეახელით,—ხმას ოდნავ აუწია სომეხმა.

— მაშ, ტაბახმელაში მწყერს მიმინოთი არ იჭერთ?!

— რა მემწყერება, მამული მაქვს დაგირავებული...

— ჩვენ გვემწყერება, მწყერები ვართ ისედაც... დაიჭერენ მიმინოს, მერე მიმინოს მწყერს მიუსევენ...

— კნიაზჯან, მიმინო რა საჭიროა, განა ბელურა ვერ დაიჭერს...

ეს თქვა სომეხმა და ისედაც თვალებგაფართოებულ მეველეს სახე მოერღვა, ისე ახარხარდა, გეგონებოდა, კედლები გადი-გამოდიანო. ეს ხარხარებდა, კრიალოსანს მაგიდაზე უხათქუნებდა. დაბნეული სომეხი აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, ვერ გაეგო, რა ხდებოდა, რატომ ბჟირდებოდა ბანკის პატივცემული დირექტორი, რატომ აიხირა მწყერი, ბელურა, მიმინო...

მეველე ხარხარს უმატებდა, სომეხი სულ უფრო და უფრო იბნეოდა, ისიც გაიფიქრა — სხვაგან ხომ არ შემოვედიო, მაგრამ კარგად ახსოვდა, ბანკის აბრა გარკვევით რომ წაიკითხა, აქაც არაფერი შეცვლილიყო, ძველი ახსოვდა, ახლანდელი იგივე იყო. ამიტომ გაფიქრებისთანავე უკუაგდო ეს ფიქრი.

— რა მწყერი, რა მიმინო, — უბრუნდებოდა სომეხი ერთსა და იმავეს, ვერაფრით ამოეხსნა, რა ხდებოდა.

მეველე ხარხარებდა. კრიალოსანი რაწკუნებდა მაგიდაზე.

ბოლოს, როგორც იქნა, დამშვიდდა და ონისიმე სვანიძეს, ბულალტერი რომ გახლდათ ბანკისა, გასძახა:

—ონისიმე, პატივცემულ სოვდაგარს არც მწყერი ცოდნია, არც ბელურა, არც მიმინო, ხა, ხა, ხა, ხა... ჩვენ კიდევ მწყერები ვართ, მწყერები ამათ ხელში. ხომ იცი, სად გაგონილა ქართველის დუქანი, სომეხის გუთანი, მწყერი გგონივართ ხომ, ხა, ხა, ხა...

— რა მწყერი... გადამივადებთ თუ არა მამულის გამოსყიდვას! — სიმტკიცე გაურია ხმაში ტაბახმელელმა.

— ვერა, ბატონო, ვერა! — მოკლედ მოუჭრა მიქელაძემ.

— რატომ?

— აღარ ვართ მწყერები, აღარ. ონისიმე, ერთი აუხსენი ამ კაცს, რომ ვადას ვერ გადავწევთ, მამული საჯაროდ უნდა გაიყიდოს.!

— აბა, მწყერიო?—უნებურად წამოცდა სომეხს.

— საქმეც მაგაშია, ჩემო ბატონო, აღარ ვართ მწყერი, აღარ, ამიტომ ბელურასაც ნულარ დატანჯავთ, მიმინოზეც ნულარ გაირჯებით.

სომეხი წამოდგა, ვერ გაერკვია, წასულიყო თუ დარჩენილიყო.... ბოლოს წასვლა ამჯობინა. მიდიოდა გზაში და ფიქრობდა— რა მწყერი, რა მიმინო, რა ბელურა, რაღაცას მატყუებდნენ, კრიალოსნით მაჯადოებდნენ?! ვერ გავიგე... მამულის გამოსყიდვის ვადის გაგრძელება ვითხოვე, ამან კიდევ მწყერიო, მიმინოო, ბელურაო...

მიდიოდა და ფიქრობდა.

თვითონაც არ იცოდა, რას ფიქრობდა.

სამი სიტყვა ერთმანეთთან ვერაფრით დაეკავშირებინა და ტანჯავდა...

რა მწყერი, რა მიმინო...

რა მწყერაობა აუტყდათ ამ პატიოსან და კრიალოსნით მოთამაშე ქართველებს?!

თავი მეექვსე

გაწბილებული აშიყის ლანდი

1852 წელს გააკეთეს გადასასვლელი რიონზე და მაშინდელი იმპერატორის პატივსაცემად ნიკოლოზის ხიდი დაარქვეს. სამი წლის მერე ნიკოლოზი გავიდა მარილზე და თვრამეტი წლის შემდეგ მისი სახელობის ხიდიც მიიყოლა, რიონის ტალღებმა წაიღო. უფრო დიდხანს იყო ნიკოლოზი მეფე, ოცდაათ წელზე მეტი მოათია იმპერატორობაში, ხიდმა ოციც ვერ გაძლო, მდინარემ ჩაითრია სტომაქში. ხალხს ხიდიც, ნიკოლოზიც დაავიწყდა, ძველებურად ცოდვილობდა, მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე ძველი ხიდებით გადადიოდა.

1870 წელს ქუთაისის მმართველობამ ფული ისესხა და არქიტექტორებს—ზეზელმანსა და პერეპს იგივე ადგილზე ხიდის ასაგებად პროექტის შედგენა დაავალა. მათაც გააკეთეს ნიკოლოზის ხიდის ადგილას ახალი ხიდის ნახაზი და საქმეც მალე დასრულდა: აიგო ხიდი ნახიდარზე, ნასესხები ფულით, ზეზელმან-პერეპის გეგმით, წინაზე უფრო ფართო, საგანგებოდ დაცულ-გამაგრებული.

პერეპს ელი რომ დავუსართოთ, მწყერი გამოვა ქართულად, მის გვარში პერ, ჩვენს ენაზე ალბათ გადა ზმნისწინი აქტიურობს, ალბათ ზეზელმანზე უფრო მან იმუშავა და ამიტომაც ეს ხიდი, ყოველ შემთხვევაში მისი ძირითადი ნაწილი, სამუდამოდ შემორჩა ქუთაისს.

რიონზე გაჩნდა ახალი ხიდი, რომლის ასაგებად დახარჯული ფული გასასტუმრებელი იყო. ამიტომ ხიდის ყურსა და თავში მებაჟეები დააყენეს და ისინი ტრანსპორტით მდი-

ნარეზე გადამსვლელებს ფულს ართმევდნენ. აკრებილი თანხით ქალაქს ვალი უნდა გაესტუმრებინა, გაისტუმრებდა და ბაჟი გაუქმდებოდა, მიმოსვლა ნებისმიერი ტრანსპორტისა უფასო გახდებოდა.

იდგნენ მებაჟეები თეთრად მოქათქათე ხიდის თავ-ბოლოში, იდგნენ წვიმაში, თოვაში, თაკარაში... ნისლი იცოდა ამ ადგილას, ხიდის აქეთ-იქით შემდოვრ-შემკვრივდებოდა, მერე ცხენის სიმაღლეზე აიკრიფებოდა, ზევით აზიდული, აქა-იქ მზის სხივებით აელვარებული, აყალყულ თეთრ ცხენს ჰგავდა. ნისლითა და ხიდის თეთრად შეღებილი მოაჯირებით ჩამოწოლილ რძისფერში მდინარეც არ ჩანდა. თვალის მისაწვდენზე გაბლანტული თეთრი ცარცისფერი გეცემოდა სახილველში. ამიტომ ხიდიც თეთრ ხიდად მონათლეს. იქნებ იფიქრეს, იმპერატორის სახელმა არ გაამართლაო, მაშინდელი მეფე ალექსანდრესათვის აღარ უციათ პატივი, მოაჯირებითა და ნისლით გათოვლისფერებულ გადასასვლელს თეთრი ხიდი დაარქვეს.

იდგნენ თეთრ ხიდზე ჯმუხსახიანი მებაჟეები, უფულოდ არავის ატარებდნენ, ჯერ ქალაქის, თუ არ გაჭრიდა, იმპერატორის ერთგულებას მოიშველიებდნენ და, ვითომ ამათ გამოისობით, არავის არაფერს პატიობდნენ. თოლიები დაფრინავდნენ უნებართვოდ. გამყინავი ხმით ერთმანეთს რაღაცას ეუბნებოდნენ, არც მებაჟეებს ესმოდათ მათი, არც თოლიებს მებაჟეების. ესენი იდგნენ და ელოდნენ მომსვლელს, აქეთ შუქუჩული ჯმუხსახიანები იქით გადამსვლელს, იქითა მხარეს დაყუდებულნი კიდევ—აქეთ გადმომსვლელს. აქედან მისულებს ბაჟს ესენი ართმევდნენ, იქიდან მომდგარს, —ისინი, გადასვლაშიც, გადმოსვლაშიც იხდიდა ტვირთიანი კაცი ფულს. მოძრაობა ორმხრივი იყო, აქედან ბაზარში მიდიოდნენ, ბაზრიდან გამოსულები ხიდის თავში მისცემდნენ ფულს მებაჟეებს და თავისუფალი იყვნენ, ბოლოში აღარაფერს თხოვდნენ, გადმოივლიდნენ ხიდს და დაადგებოდნენ გეგუთ-

მესხეთ-ფარცხანაყანევის და ა.შ. გზას. ზოგი მიდიოდა, ზოგი მოდიოდა, ქალაქში შემოდიოდნენ, გადიოდნენ, საყიდლად, გასაყიდად, ფულის დასახარჯად, ჩასაფულიანებლად...

ვანელი ჩალვადრები (ღვინის ვაჭრები) ხიდის თავში იდგნენ. ორი წითელსახიანი, ჩოფურა, გაბუშტულცხვირიანი მამაკაცი ცალ-ცალკე ამოდგომოდა თავ-თავის ცხენს გვერდით, პირველი, ერთობ ჩასქელებული, ხელისგულით ცხენს საოფლეს უსინჯავდა, ზურგი არ გადაეტყავოსო, ფრთხილად აცლიდა ფოთოლსა და ბირკებს. ცხენი ფრუტუნებდა.

მეორეს, გამხდარსა და წოწოლაქუდიანს, ლაგამი მაგრად ეჭირა ხელში. მისი ცხენი დროდადრო შეხტებოდა, გაიწევდა, თავს აიქნევდა, პატრონი აღვირში დაქაჩავდა, ძალას აგრძნობინებდა. ცხენიც ნებდებოდა...

ერთი იქით, მეორე აქეთ ამოდგომოდნენ ღვინიანი კასრებით დასაპალნებულ ორთვალებს.

ორივეს ერთნაირი რუხი ფერის სამოსი ეცვათ, იღლიებში ოფლისაგან გამოთეთრებული, ფერნაცვალი ზოლები უჩანდათ.

იდგნენ და ხელების ქნევით მებაჟეებს ეღრიჯებოდნენ.

—ბაზარში ღვინის მუშტარი გველოდება, გადმოვალთ, გადაგიხდით...

—ჯერ გადაიხადეთ!—სახის შემოუბრუნებლად პასუხობდნენ.

—არა გვაქვს, უნდა გვენდოთ.

მებაჟე თავის მოუბრუნებლად გაასავსავებდა ხელებს, მზერას ზეცას სტყორცნიდა და ხელებაპყრობილი წაიდუდუნებდა:

—ღმერთია მოწამე, არ შეგვიძლია, აქეთ ქალაქი, ზევით მეფე, ყველა ჩვენ შემოგვყურებს... ერთი შეგვეშლება და ულუკმაპუროდ დაგვაგდებენ.

ჩალვადრები ისევ ეაჯებოდნენ.

ხვეწნა-მუდარას მებაჟეთა დამარწმუნებელი საუბარი მოჰყვებოდა—უსამართლო იყო თხოვნა, შეუბრალებლობაც გასაგები.

ამ ამბავს ბევრი მემუარისტი იხსენებს. სერგო ჭეიშვილმა სულაც მოთხრობა მიუძღვნა. „ვამეხ გურგენიძე" ჰქვია თხზულებას, სადაც ეს ამბავია აღწერილი. მოგონებათა ავტორები პიროვნებებს არ ასახელებენ, უბრალოდ, ამბავს ჰყვებიან, მოთხრობაში მონაწილეებიცაა სახელდებული.

ჰოდა, იდგნენ ვანელი ჩალვადრები თეთრი ხიდის ბოლოში და უფულობის გამო თავში გადასვლის ნებას არ აძლევდნენ მებაჟეები. ნისლიანი იყო ის დილა, რძისფერ სითეთრეში მეტრს იქით არაფერი ჩანდა. მებაჟეები თვალებს აცეცებდნენ, უფულოდ არავინ გაგვეპაროსო, ფიქრობდნენ. ჩალვადრებს გაპარვა არ უცდიათ, იდგნენ კუთხეში მიკუნჭულები. დროდადრო ჩასქელებული შავი წერტილივით ამოძრავდებოდა, მებაჟეს მიუახლოვდებოდა, რაღაცას ეტყოდა, ისევ დაბრუნდებოდა.

გათენდა, გარეთ არაფერი ჩანდა, რიონზე მკვრივად გაწოლილი ნისლი კიდევ დიდხანს ათეთრებდა და აბუნდოვანებდა ირგვლივეთს. მამლის პირველ დაყივლებაზე მოადგნენ ხიდს, მეორედ, მესამედაც გაფხრიწა ცა დეზებიანმა და იქვე იდგნენ. ელოდნენ მსჯავრს მებაჟეთა, ეხვეწებოდნენ—აქეთობისას გაგვიშვით, იქითობისას ორივეს გადაგიხდითო.

წოწოლაქუდიანი თავბედს იწყევლიდა, დროდადრო ლაგამით დაკავებულ ცხენს ჩაარტყამდა თავში, ცხენი ფრთხებოდა, ფრუტუნებდა, მაგრამ პატრონს მტკიცედ ეჭირა და თავის გაქნევის მეტს ვერაფერს ახერხებდა.

—ბედი უნდა ყველაფერს,—მებაჟეთა გასაგონად ამბობდა წოწოლაქუდიანი, —ხიდთან მოვედით თუ არა, ფულით სავსე ქისა ამ სამგლემ დაითრია, ვეცი, მაგრამ ვერ წავართვი, კინაღამ მაჯა მომაჭამა...

მებაჟეებს ეცინებოდათ, არ სჯეროდათ. ჩალვადრები

მათ სახეზე გადაკრულ იქედნურ ღიმილს ვერ ამჩნევდნენ, თორემ გაბრაზდებოდნენ, შეიძლება იქითაც შეეტიათ—რას ჰქვია, ჩვენსას არ იჯერებთო.

—იღბალი უნდა ყველაფერს,—ისევ იტყოდა ცქმუტა ცხენის პატრონი და თითქმის იგივეს გაიმეორებდა.

—დაგვიჯერეთ,—აყვებოდა სქელუა, —მართლაც ასე მოხდა, ჩემი ფულიც მაგას ჰქონდა მიბარებული.

მებაჟეები იდგნენ ძეგლივით გაქვავებულნი და მათ თხოვნა-მუდარას ყურადღებას არ აქცევდნენ.

—იღბალი უნდა ყველაფერს, ღვინის მუშტარი გამოჩნდა, გვეგონა, ავშენდით, რაც უნდა მოვიგოთ, ამ სამგლემ გადაყლაპა,—იტყოდა პირველი და მეტი დამაჯერებლობისათვის ცხენს ისევ მუშტს ჩაარტყამდა თავში.

მზე შუბის კი არა, ხმლის ტარზე ზემოთ ამოიწია, და გაალღო ნისლი. გამოჩნდა გამოსაჩენი. ხიდზე გამვლელ-გამომვლელებმაც შეამჩნიეს მახვეწარი ჩალვადრები.

ამ დროს მოვიდა ვამეხ გურგენიძე.

ვამეხ გურგენიძე—ბეჭმსხვილი და კუნთებდაძარღვული, მაღალი, შავგრემანი, შავწვერულვაშიანი, ბრდღვიალა თვალებით მზირალი, არშინიანი ნაბიჯებით მოდგომია ხიდის ბოლოს. მოდიოდა და მოჰქონდა ყველაფერი, მკლავებს ისე მოიქნევდა, თითქოს ტვირთს ეძებს, რაღაცას უნდა ხელი დასტაცოს და ცისკენ აზიდოსო.

მოვიდა ხიდთან, უფრო სწორად, ორი ნაბიჯით გათელა მებაჟეებამდე მისასვლელი. მოვიდა და რას ხედავს, ჩალვადრები ტირიან, მებაჟენი გაკერპებულან. ფართო ახალუხის ჯიბეები მოიჩხრიკა ვამეხმა, მაგრამ უზალთუნი ვერ იპოვა. არადა, არც მოწუწუნე ვაჭრების ყურება შეუძლია, არც გაჯიქებული მებეჟეების, რომლებსაც ვერც ვაუკაცობას დაუწუნებდი, ეტყობოდათ, ღონეც ერჩოდათ, ვაგლახად ვერავინ შებედავდა.

ამათთან ძალით ვერაფერს გავხდები,—გაიფიქრა.

გაუშვით და ერთ საათში ამათ ბაჟს ბიჭს გამოვატან,—კი არ თქვა, უფრო დაიბუბუნა.

მებაჟეებმა, უარის ნიშნად, ხელები გადააჯვარედინეს.

ზორბა ვამეხი უცებ მოსწყდა ადგილს, სქელუას ორთვალას მივარდა, თვალის დახამხამებაში გამოხსნა ცხენი, მსწრაფლ მოიგდო ზურგზე.

ყოველივე ისე უცებ მოხდა, ვერც ცხენი, ვერც მისი პატრონი მოვიდა აზრზე. ცხენმა შუა ხიდზე დაიწყო ფეხების ფართხალი, გაუძალიანდა ზურგზე ცხენმოკოტრებულ ვაჟკაცს, მაგრამ ვამეხს დევისხელა მარჯვენ-მარცხენა ისე მტკიცედ შემოეჭდო მისთვის, რომ თავი ვერაფრით დაიძვრინა.

მიდიოდა, უფრო ჩქარი ნაბიჯით გარბოდა დევისტოლა კაცი ხიდზე ზურგზე მოგდებული მოფართხალე ცხენით.

მებაჟეები გაშტერდნენ. ცნობისმოყვარე ხალხის ტალღა მოადგა ხიდს.

„კაციც შენ ყოფილხარ და ქუდიც შენ გხურებია, ძმაო!“— უთხრა გაკვირვებულმა ესებუამ (ერთ-ერთმა მებაჟემ) ვამეხს და მხარზე ხელი დაჰკრა. შემოტრიალდა, მოჯარული ხალხი გაარღვია და ხიდი სწრაფი ნაბიჯებით გაიარა, გაღმა დარჩენილ ცხენთან მივიდა, საპალნე ჩამოხსნა და კეხიანად, თავის კეხიანად მოიგდო მხრებზე, ერთი ღრმად ამოიქშინა და სულ ჩინდრიკით გაარბენინა ხიდზე, ვამეხის გაყვანილ ცხენს გვერდით მოუყენა და შვებით ამოისუნთქა.

...ხალხის გუგუნსა და ხრიალში სახტად დარჩენილი ვამეხ გურგენიძე ჯერ დაიბღვირა, მერე შუბლი გახსნა და ესებუას გადაეხვია“.

ეს უკვე სერგო ჭეიშვილია, ამ ამბის ხატოვნად აღმწერი, განცვიფრების ინტონაციაც, სიამაყის კილოც იკითხება მის თხზულებაში. ყვება და უხარია, დევგმირის შესაშური ძალღონე და გულიანობა ახარებს.

ისევ სერგო ჭეიშვილი:

„ტვირთი ძნელაძის ეტლით გამოზიდეს. ჩალვადრებმა დამფრთხალი და შეშინებული ცხენები სასწრაფოდ აკაზმეს, დაასაპალნეს და ვამეხ გურგენიძისადმი ლოცვა-კურთხევით ბაზრისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ“.

ასე გაიარეს ვანელმა ჩალვადრებმა უბაჟოდ თეთრი ხიდი, რომლის აღდგენა 1872 წელს გასრულდა. მეველემ ერთი წლის მერე დაწერა წერილი „ქუთაისის დამცირება“, სადაც თეთრ ხიდზე ბაჟის აკრეფის ამბავიც გაიხსენა.

დავით მიქელაძე რადიკალურია იმდროინდელი ქუთაისის შეფასებაში. მისი წერილის წაკითხვის მერე ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ყველაფერი გამქრალა, ყოველივე აღგვილა მიწისაგან პირისა: იყო ქალაქი და აღარ არის ქალაქი, იყო ქალაქი, სადაც იყო ვაჭრობა, ხელოსნობა, იმ დროს კი ჩამკვდარა და ჩადუმებულა, ერთ დროს ხმაურიანი ქუთაისი ჩუმ და უხმაურო ნაქალაქარად გადაქცეულა.

ქალაქის მეურნეობაც არ რჩება უყურადღებოდ—„ქალაქის ოჯახობა ხომ სულ კიდევ უსაშინელესს გაჭირვებულ ხარისხზეა“—წერს. უსუფთაო და ბნელ ქუჩებში რომ ღამით გაიაროს კაცმა, იფიქრებს, შემოსავალი არაფერი აქვს ალბათ ქალაქს, თორემ ასე მიყრუებული როგორ იქნებაო.

არადა, დავით მიქელაძემ მშვენივრად იცოდა, რომ იმდროინდელი ქუთაისის შემოსავალი 70 ათას მანეთზე მეტი იყო, რაც სულაც არ გახლდათ პატარა თანხა.

მაგრამ მთავარი:

„ეს ფულები დღეს ერთმა მხოლოდ უფალმა ღმერთმა უწყის, სად ან რისთვის იხარჯება“...

სწორედ ამ დროს გაიხსენებს ახლად გაკეთებული თეთრი ხიდის ამბავს, მასზე დაყენებულ მებაჟეებს, რომელთაც ხიდისათვის აღებული ვალის გასტუმრების მერე, ბაჟის აკრეფა უნდა შეეწყვიტათ, მაგრამ „თქვენ არ მომიკვდეთ“—ამბობს მეველე,—ხალხი დადის, ფულს იხდის, ვალი გასტუმრდა თუ

არა, ეშმაკმა უწყის, ქალაქს ის ურჩევნია, ნასესხები ერთი სამად ამოიღოსო.

მართალი იყო, სესხის დაფარვის მერეც კარგა ხანს იდგნენ მებაჟეები თეთრ ხიდზე, კრეფდნენ გადასახადს, ქალაქში შემომსვლელსაც, გამსვლელსაც ფულის გადაუხდელად არ უშვებდნენ.

დავით მიქელაძე ქუთაისის დაცემას უმთავრესად იმას უკავშირებს, რომ ეს ქალაქი ფოთი-თბილისის რკინიგზამ გვერდზე დატოვა. ამ ამბავს „ტფილისის მოამბე" გამოხმაურებია, მას კიდევ მეველე ეხმიანება. მიზეზებზე არცერთი არ საუბრობს, შექმნილ ვითარებას უსურათხატებენ მკითხველს და გამოსავალს ქალაქის ერობაში, თვითმმართველობის შემოღებასა და ქალაქის რკინიგზასთან დაკავშირებაში ხედავენ.

რკინიგზის აცილებასთან დაკავშირებით შლის ფრთებს მეველე, როგორც მწერალი და პუბლიცისტი, არ ერიდება მხატვრულ შედარებას მომხდარისა—ქუთაისს იმ ავადმყოფს ამსგავსებს, რომელსაც ადრე თავს დასტრიალებდნენ, ხედავდნენ, ანუგეშებდნენ, რამეთუ მათი მისახედი ტანმრთელიც იყო და მშვენიერიც, მაგრამ მერე ისეთი სნეულება აღმოაჩნდა, რომ მიკარებაც ვეღარ გაუბედავთ.

„გათავდა, გათავდა, შენი მეფობა, ჩემო მშვენიერო, ეუბნება მას განწირულ აშიყის ლანდი".

აბრაზებს კიდეც: არაფერი მჭირდა შენი დასაწუნი, თვალადიც ვიყავ და ტანადიც, ფერხორციანი და ყელყირმიზა, მაგრამ ჩემი სიმშვენიერე ვერ დააფასე—„ვერ მოსწვდი ჩემს ძალას და გავლენას, გულზედ ხელი მკარი, ვერ შემითვისე და ეხლა თუ ზარალში ხარ, თითონ შენ თავს დააბრალე ჩემო ლამაზო!"

დრამატულ მონახაზში ქუთაისი და მისი აშიყი ერთმანეთს სცილდებიან, ქალაქს ტოვებს მისთვის მლოცველი, მასზე ღამეების მათევარი, ძილ-ღვიძილშიც მზრუნველ-მოფიქრალი შეყვარებული.

რჩება ქუთაისი უსიყვარულოდ...

აკაკის ხატოვნად ნათქვამი გავიხსენოთ:

ქუთაისი „მართლაც ისეთი უბედურია, რომ რაც მისთვის სასარგებლო და საკეთილდღეოა, ის აშორებით გვერდს აუვლის ხოლმე და რაც საჭირბოროტოა, ის კი შუაგულში ეტანება და აღარ შორდება“.

მიზანში მოხვედრილი ნათქვამია.

მეველესთვისაც ამაზე ფიქრი მწარე იყო, მწარე და ტკივილიანი, იმდენად მძაფრი, რომ არ ერიდებოდა მხატვრულ გამონაგონსაც, სულაც დრამატული ესკიზი შეიტანა წერილში, რითაც უფრო გააღრმავა ის ჭრილობა, რაც იმდროინდელ ნამდვილ ქართველთა გულში გაჩენილიყო.

გააღრმავა და გააფართოვა განასერი.

უჭირისუფლოდ და უაშიყოდ დარჩა ქუთაისიო. ასეთი ყოფილა „საწყალი ქუთაისის ბედი“.

„რა უჭირდა რკინის გზას, რომ არ ასცილებოდა ქუთაისს? დაშავდებოდა რამე რომელიმე მხრით ან თვითონ გზისთვის ან ქვეყნისათვის, ან მთავრობისათვის! რასაკვირველია, რომ არა!“

პირიქით, დაშავდებოდა კი არა, უკეთესი იქნებოდა ქვეყნისთვისაც, მთავრობისთვისაც, მაგრამ მეველე თვლიდა, რომ იმ დროს საქვეყნო სურვილით კი არ ფიქრობდნენ, პიროვნული ინტერესებით სჯიდნენ—მავანსა და მავანს რამდენად გამოადგებოდა და არა ქალაქს და ქვეყანას, რომელთა ინტერესები, უფრო კანცელარიულად რომ ვთქვათ, განვითარების პერსპექტივა ფეხებზე ეკიდათ.

გადასახადებისა და ხიდზე ბაჟის აკრეფით დამარქაფებულ ქალაქის ხელისუფალთ სულაც გამოეპარათ, რკინიგზამ ქუთაისი გვერდზე რომ დატოვა—ჩიოდა დავით მიქელაძე.

გაუსაძლის ყოფას გაეჩინა ტკივილი, მისგან კიდევ ჩივილის გრძნობა დაბადებულიყო.

ჩიოდა, მაგრამ ისიც იცოდა, გამოსწორება ერთი ხელის

დაკვრით შეუძლებელი იქნებოდა. იქნებ ერობა შემოვიღოთ, თვითმმართველობა დავამკვიდროთ, ქალაქი კიდევ რკინიგზის მაგისტრალს ახალი ხაზით დავაკავშიროთ...

„ქუთაისის დამცირების“ გამოქვეყნებიდან ერთი წლის მერე მეველემ „დროების“ მკითხველებს ამცნო, რომ ქუთაისში საქალაქო თვითმმართველობის შექმნისაკენ პირველი ნაბიჯი გადადგმულა—უფალ გუბერნატორს, გრაფ ლევაშოვს მოუწოდებია მცხოვრებთათვის, აერჩიათ სამოცდაექვსი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელნიც ფაქტიურად საქალაქო თვითმმართველობის წევრები იქნებოდნენ, იმსჯელებდნენ ქუთაისის საჭიროებაზედ, რაც ერთი წლის მერე საქალაქო გამგეობის არჩევასა და მათი ამოცანების გაგებაში დაგვეხმარებაო.

„მაშ, გაისათ ეღირსება ქუთაისს თვითმმართველობა. ესეც კარგია, მანამდე კი, ამ თორმეტ თვეს, რეპეტიციებით შეიქცევენ თავს და იმედია, მოქალაქეები ნამეტნავადაც განვითარდებიან თავის მომავალი ასპარეზისათვის“.

ერთი წლის ვარჯიში არავის არაფერში ჭირდება, ჩვენი ხალხი იმდენად კია გათვითცნობიერებული, რომ მშვენივრად უწყის, როგორ მიიღოს ქალაქმა შემოსავალი და მერე რაში დახარჯოს იგიო.

იმას, რასაც სხვაგან ერთი ხელის დაკვრით აკანონებენ, ჩვენ ჯერ სავარჯიშოდ გვთავაზობენ—ისევ გულით ჩიოდა დავით მიქელაძე.

თუმცა მომხდარიც პროგრესულად ესახებოდა. ერთი წლის მერე მაინც, როცა ქუთაისს საქალაქო გამგეობა ეყოლებოდა, „მაშინ მას ექნებოდა სრული ნება, რომ ისეთი მხარეები ქალაქის გასავლისა, რომელშიაც არაფერი არ იხარჯება, ანდა, თუ იხარჯება, არავითარი სარგებლობა არ მოაქვს მცხოვრებთათვის, ღობეს გადაღმა გადისროლოს, მას ადვილად შეეძლება იქონიოს საქალაქო სკოლა, ბანკი, საავადმყოფო, განათებული და წმინდა ქუჩები და სხვა“.

ქუთაისზე სხვა დროსაც არაერთი წერილი დაუწერია, საქალაქო თვითმმართველობის შემოღებამაც ვერ უშველა ქალაქს, ვერც რკინიგზასთან მიერთებამ, ვერც ბანკის დაფუძნებამ...

სკოლა და საავადმყოფოც გაიხსნა, ქუჩებიც კეთილმოეწყო, გასუფთავდა, წინანდელთან შედარებით ქალაქი ქალაქს დაემსგავსა, მაგრამ მეველეს არც ეს აკმაყოფილებდა. მისთვის ქუთაისი—ქვეყნის მეორე ქალაქი იყო და აქაურობაც დედაქალაქის მერე საუკეთესოდ უნდა ყოფილიყო მოწყობილი.

ერთ ფელეტონში მოთხრობილი ამბავიც მოვიგონოთ, ქუთათურთადმი მეველეს დამოკიდებულება აშკარად რომაა ცხადყოფილი.

ერთი ლაქია მეორე ლაქიას შეხვედრია. პირველს უთქვამს —ჩემი ბატონი რუსეთში წასვლას და იქ სამუდამოდ დარჩენას აპირებს, ვერ შეეგუა აქაურობას, ქუთათურებმაც ვერ გაუგეს. მეც უნდა წავყვე, მაგრამ რა მეშველება?! სამოცდაათი კასრული და 200 მისი საწმენდი ჭინჭი როგორ წავათრიო?! მერე კიდევ, ბატონს ბეჭი უყვარს, ყოველდღიურად შეექცევა, რუსეთში ძროხებს ბეჭიც აქვთ, თეძოც, მაგრამ ჩვენებური ბეჭის, მითუმეტეს სუკის მწვადების შოვნა შეუძლებელიაო.

მეორე ლაქიას ეს ამბავი თავისი ბატონისთვის უთქვამს, მას კიდევ მთელი ქალაქისათვის მოუდვია.

მეველე ერთი წინადადებით ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას,—ხალხო, დავეხმაროთ, ეს ბატონი მალე „რომ განშორდეს ცნობისმოყვარეობით აღვსილს ქუთაისლებსო“.

კიდევ ბევრი რამის გახსენება შეიძლება მეველეს წერილებიდან ქუთაისსა და ქუთაისლებზე, მაგრამ ზოგს სხვაგან შევეხებით, მწერლის დამოკიდებულების გასამჟღავნებლად რაც მოგითხრეთ, საკმარისი გვგონია.

საერთოდ, დავით მიქელაძე პიროვნებებს დიდ როლს აკისრებდა, ფიქრობდა, რომ დამონებული ქვეყნის პირობებშიც,

მავანთა და მავანთა ძალისხმევით, ბევრი რამის გაკეთება იქნებოდა შესაძლებელი.

გურიის მაზრის უფროსად ალშიბაია დანიშნეს. მეველემ— ამ მხარეში მმართველები დიდხანს ვერ ძლებენ, რადგან მართვის გამოცდილება არ გააჩნიათ, იმედია, ეს გამოცდილი კაცი გურულების ხელმძღვანელობას მათრახით არ დაიწყებს, რამეთუ ამ კუთხის ადამიანებიც ისეთივენი არიან, როგორც სხვები. მთავარია, უკეთესობის განწყობილებით მოვკიდოთ საქმეს ხელიო.

1893 წელს აღესრულა დონდუკოვ-კორსაკოვი—მთავარ-მმართებელი კავკასიისა. საინტერესოა მეველეს აზრი მისი ღვაწლის შეფასებაზე.

სხვა გაზეთებს დონდუკოვ-კორსაკოვის ბიოგრაფია სრულად არ გამოუქვეყნებია. ამიტომ ბევრს ვერაფერს ვიტყვით... თითქოს თავს არიდებს, სათქმელის აშკარად გამჟღავნებას უფრთხის, მაგრამ წერისა და აზროვნების ამგვარი სტილი უცხო გახლდათ მეველისათვის და მაინც იძულებული ხდება, თქვას ის, რასაც ამ კაცზე ფიქრობდა.

ბულგარელებს კონსტიტუცია შეუდგინა, მათ მეფის კანდიდატურადაც კი დაასახელეს, საქართველოში ვერაფერი გააკეთა სახეირო, მეგობრობდა ქართველებთან, იცოდა მათი ჭირი. ესაა და ეს. მისი წინამორბედი ვორონცოვის პოლიტიკა ანაქრონიზმად მიიჩნია, რაც, დათა მიქელაძის აზრით, უდიდესი შეცდომა გახლდათ.

ვორონცოვსა და ვორონცოვშინასაც დადებით მოვლენად სახავდა, ვერ წვდებოდა მისი მზაკვრული განაზრახის არსსა და საფუძვლებს. დონდუკოვ-კორსაკოვმა კიდევ მისი კურსი არ გააგრძელა და შეცდაო, ფიქრობდა თვითონ შემცდარი და ამით უძებნიდა ახსნას დონდუკოვ-კორსაკოვის მმართველობის უგერგილობას: იგი რომ საქართველოში ჩამოვიდა, „ხალხში ჯერ კიდევ ცხოველი იყო ათასგვარი შემთხვევა და მაგალითი, რომელიც ამტკიცებდა ვორონცოვის უმაღლეს სახელმწიფო ნიჭს, იმის სიბრძნეს,

მზრუნველობას ქვეყნისათვის და იმის სიყვარულს ქართველ ერისას“.

ამ ამონაწერიდან ბევრ რამეში შეიძლება დავეთანხმოთ დავით მიქელაძეს,—ვორონცოვი მართლაც გამორჩეული სახელმწიფო ნიჭის კაცი იყო, სიბრძნეც არ აკლდა, იმპერიის ინტერესებისათვისაც შეუნიღბავად ზრუნავდა. ქართველი ერის სიყვარულზე კი რა მოგახსენოთ, ყოველი მისი ნაბიჯი გარკვეული აუცილებლობით, უპირველეს კი საქართველოში რუსთა დამკვიდრების ინტერესებით იყო ნაკარნახევი...

უყვარდა იმდენად, რამდენადაც რუსთა გაბატონებისათვის იყო საჭირო. მათი დაფუძნებისა და აქ ყოფნისათვის ყველაფრის გამღები, ქართველი ერის სიყვარულსაც ჩემულობდა.

რუსეთთან დამოკიდებულებასაც ხან ამჟღავნებდა, ხან —ვერა. თუ მოახერხებდა, მკვეთრი და პირდაპირი იყო ნათქვამი დამპყრობელზე, უფრო ხშირად შენიღბული, სტრიქონებს შორის ნაგულისხმევი.

დაწერდა და მკითხველს უნდა ამოეცნო, ამოეკითხა ავტორის გულისნადები. თუმცა ცენზურა რომ არა, ყოველთვის სათქმელის აშკარად გამჟღავნება ერჩია.

ალექსანდრე პირველის მანიფესტი თბილისის მთავრობამ მარმარილოს ქვაზე ოქროს ასოებით ამოტვიფრა და ახლადაგებულ დიდუბის ტაძრის კედელზე გამოაკრა.

მეველეს გაეხარდა:

მთავრობა ამით გვეუბნება, რომ ქართველები „თქვენის ნებით შეჰკედლებიხართ რუსეთის მეფეთა საფარველს, რომ თქვენ დაპყრობილი როდი ხართ სხვა დამონებულ ეროვნებასავით და მაშასადამე, გულ დამშვიდებული შეგიძლიათ იყოთ თქვენის ეროვნულის თვისებათა შესახებ“.

ეროვნულ თვისებაში რას გულისხმობდა, არ იკითხავთ?!

ეროვნული თვისება ისაა, რითაც ერთი ერი მეორისაგან განსხვავდება. რა გამოდის, დაპყრობიდან ერთი საუკუნეც

არ გალეულიყო, ეს ამბავი 1894 წელს მოხდა და, ქართულ ეროვნულობას საფრთხე დამუქრებოდა, დაპყრობილი კი არა, ჩვენი ნებით შევეკედლეთ თქვენს საფარველს, თქვენ კიდევ დაპყრობილივით გვექცევით, ლამის ეროვნულობაც წარგვტაცოთო.

ასე სტრიქონ-სტრიქონ უნდა იგულისხმო დათა მიქელაძის ფიქრი, თორემ ზემოთნახსენები პუბლიკაცია სულაც დამპყრობლისადმი აშკარა ერთგულების გამომხატველად მოგეჩვენება.

დამპყრობელზე უარესად იქცეოდა მტერი და, პუბლიცისტი მანიფესტის ყბადაღებულ შეერთებას ფარად ხმარობდა. ამ მანიფესტის კედელზე გამოფენით დასტურდება, რომ „რუსეთის მეფენი არასოდეს არა სთვლიდნენ საქართველოს დაპყრობილ და ძალით აღებულ მხარედ. დარწმუნებულნი ვართ, ეს თვალთახედვის ისარი ჩვენის რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ, შემდგეშიც არ შეიცვლება“.

მონობის ბორკილების დამსხვრევა ასე უფრო ადვილად წარმოედგინა, დაპყრობილსა და დამონებულს ადვილად არ შეელევიან, იქნებ ნებით მათ საფარველქვეშ შეყუჟულად ჩაგვთვალონ და სასურველი მომენტის დადგომისთანავე გამოვიხსნათ თავიო.

თუ მეფენი ასე თვლიან, ქვეშევრდომნი, მით უმეტეს, მისი ნების აღმსრულებელნი უნდა იყვნენო. მეფის სასხვათაშორისოდ ნათქვამის—„ჩემთვის ჩემი სამეფოს ყველა ეროვნება ერთნაირად ძვირფასიაო“—საქართველოსთვის მორგებას ცდილობდა. აშკარად არ ამბობდა, მაგრამ გულისხმობდა, გარუსების კოლონიურ პოლიტიკას, გიჯობთ, თავი დაანებოთ, ხომ ხედავთ, მეფე როგორ ფიქრობს?!

არადა, მის თვალწინ ჩინიანდებოდა მორუსულე ქართველობა, წყდებოდა ფესვებს, უცხოვდებოდა.

დათა მიქელაძე კიდევ სტატიის ბოლოში მისებურად ასხვაფერებდა მეფის ნათქვამს, ქართველობა მისი სამეფოს

მკვიდრ ეროვნებად არ მიაჩნდა, ამიტომ ფრაზას აი, როგორ სახეს აძლევდა:

„ამის თავდებია სიტყვები ჩვენის ახალგაზრდა მეფისა, რომელმაც ბრძანა: ჩემთვის თანასწორად ძვირფასია რუსეთის ყოველი ქვეშევრდომიო“.

განსხვავებული აზრი იკითხება წინანდელში, გადასხვაფერებული მერმინდელში. ქვეშევრდომობა სხვაა, სამეფოში შემავალი ეროვნება სულ სხვაა. ამიტომაც გადააპერიფრაზა მისთვის სასურველად.

ქვეყნის საშინაო ცხოვრების წვრილმანებშიც ახედებდა მკითხველებს:

„ივერიამ“ დაბეჭდა მამისთვალის წერილი—ფოთის ნავსადგურისათვის მომავალ წელს ოთხი მილიონი მანეთი დაიხარჯებაო—წერდა. მეველე მიხვდა, დაკვეთით იყო შეთხზული სტატია—არჩევნები ახლოვდებოდა და ძველ ხმოსნებს, ბუნებრივია, ისევ არჩევა სურდათ. ისიც სავარაუდოა, მათთვის ნიკო ნიკოლაძის კანდიდატურა მიუღებელი ყოფილიყო. დათა მიქელაძემ ამის საშიშროებაც იყნოსა. ამიტომ გაეპასუხა მამისთვალს. იმ დროისათვის ჯერ კიდევ უცხო რამ—დაკვეთით წერილების წერა—უზნეო საქციელად მონათლა.

თავიდან მამისთვალს გაზეთით მოთხოვა ეცნობებინა, საიდან მოჭორა რიცხვები?

მამისთვალმაც არ დააყოვნა, ტყუილს ტყუილი დაუმატა: პეტერბურგიდან ჟარონცევი და ლუკინკოი (ეს უკანასკნელი აქედან გაბრუნებისას ხომალდ „ვლადიმირთან“ ერთად დაილუპა) ჩამოვიდნენ. მათ ჩამოიტანეს ნამდვილი ამბავი, მომავალი წლის გაზაფხულზე ნავსადგურმა მუშაობა უნდა დაიწყოსო; თეკლათის მეპატრონეებისათვის, რომელთაც უნდა ზიდონ ქვა ნავსადგურის ასაშენებლად, სახელმწიფო ბიუჯეტში 600 ათასი მანეთია შეტანილიო და ა.შ.

მეველემ ყველა ეს ინფორმაცია საარჩევნო ხრიკად მონათლა: ჯერ ერთი, ლაპარაკია სამ და არა ოთხ მილიონზე. ეს

ინფორმაცია პირველად იონა მეუნარგიამ იანვრის პირველ რიცხვებში გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში" გამოაქვეყნა. 20 იანვარს ფოთის მოურავს ირჩევდნენ და ამიტომაც დაყარა მოურავობის კანდიდატმა ცრუ ხმა სამ მილიონზე. მერე კიდევ ნავსადგურის საკითხზე პეტერბურგიდან ჩამოსულთაგან ერთი დაიხრჩო, მეორეს აქაური იქით არაფერი უთქვამს და მამისთვალი თუ ამტკიცებს ნავსადგურის პროექტებს, გამაგებინეთო. ღმერთმა ქნას, მომავალ წელს ფოთის ნავსადგურის რომელიმე პროექტი მთავრობამ დაამტკიცოს, ეს იქნება საშვილიშვილო საქმეო.

და კიდევ: ოთხს კი არა, ნეტავ ერთ მილიონს გამოყოფდნენ გაისად, ერთ მილიონს, რომელიც ფოთის ნავსადგურის მშენებელ მეიერს კბილის საჩიჩქნელად თუ ეყოფაო.

გაუთვითცნობიერებელ მკითხველს, იგივე ამომრჩეველს, შეიძლება ეს ფულიც დიდად მოჩვენებოდა, მაგრამ ნავსადგურისათვის რომ არაფერს ნიშნავდა, კარგად იცოდა მეველემ, ამიტომ თავისი ცოდნა სხვებს გაუზიარა, წერილის ნამდვილი მიზანი დაანახა, გააქარწყლა მითი მილიონებზე.

ქართველებს ხშირად ჭირდებოდათ ამგვარ ნიუანსებში ჩახედვაც, რამეთუ მავანს თეთრი შავად ან პირიქით არ გაესაღებინა, საბოლოოდ კი აშიყი კიდევ უფრო არ განბილებულიყო.

თავი მეშვიდე

ბაიკის ბაიკოვი

ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორის თანაშემწე, ხელისუფალთაგან პატივდებული გვამი—ბაიკოვი—ზამთარ-ზაფუხულ თბილი ტანსაცმლით დაიარებოდა. არ ვიცით, რატომ იყო ცივ და ცხელ ტაროსში ერთნაირად ჩაფუთნული, არა გვგონია, გვარის გამო იქცეოდა ასე. უბრალოდ, მისმა ჩაფუთვნამ ჩვენში ეს ასოციაცია გამოიწვია...

ბაიკის ბაიკოვი...

ზამთარ-ზაფხულ საგულდაგულოდ ჩაფუთნული პროკურორის თანაშემწე გადაჭრიდა წითელ ხიდს, გაივლიდა კათოლიკეთა უბანს და მივიდოდა სამეფო ბაღში მდებარე საოლქო სასამართლოში. იქედან სხვა გზით ბრუნდებოდა, აქედან სხვით მიდიოდა, არც ის გვგონია მართალი, ვინმეს უბნევდა გზა-კვალს. მიდიოდა წითელი ხიდიდან, ბრუნდებოდა ჯაჭვის ხიდიდან. ერთიდანაც, მეორედანაც ჩათბუნული, გადახედავდა რიონს. ერთ ხიდთან, მეორესთანაც ზაფხულში გრილოდა, ზამთარში ციოდა, ეს ერთნაირად ჩაცმულ-დახურული დადიოდა. დრო იცვლებოდა, ბაიკოვის ბაიკის ტანსაცმელი არა, ძველს გაცვეთდა, ახალს ყიდულობდა ისევ ბაიკისას, თბილსა და საოფლოს.

ჩაფუთვნის გარდა, ტანად მაღალი, გამხდარი, წითელსახიანი, თვალებჩაწითლებული დამახსოვრებიათ იგი თანამედროვეებს. ქართველები არ უყვარდა, არ მალავდა, სასამართლოშიც ხშირად უთქვამს—ავაზაკების მშობელ ერად გავუსაღებივართ, პასუხი არავის მოუთხოვია. ამბობდა, იმეორებდა ხშირად, თანდათან ამძაფრებდა და ამძაფრებდა,

უფრო მეტ გესლს ანთხევდა. ზამთარ-ზაფხულ გაოფლილი მოდიოდა სასამართლოში, იქიდან გასავათებული და ოფლად გაღვრილი ბრუნდებოდა უკან. გესლიანი მოდიოდა, უკან გესლდანთხეული ბრუნდებოდა. სად ცხოვრობდა, არავინ იცოდა, ხედავდნენ წითელ და ჯაჭვის ხიდებთან, მერე სადღაც მიძვრებ-მოძვრებოდა და სასამართლოს ეზოში მოჰკრავდნენ თვალს. უკან კიდევ არავინ გაჰყოლია, რომ გაეგო, სად ბინადრობდა, უფრო ბუნაგობდა ჩათფუნული ბაიკოვი.

დათა მიქელაძესაც დაანახეს რამდენჯერმე. უთხრეს, რასაც ამბობდა. პროკურორის თანაშემწე არც კაცად მოეწონა, ნათქვამმაც გააღიზიანა, მაგის დასაცინიც გავმხდარვართ, ვაი, ჩვენი ბრალი—ჩაილაპარაკებდა და მერე სულაც ავიწყდებოდა წითელსახიანი, აწონილი პროკურორის თანაშემწე.

ამას ავიწყდებოდა, იმას—ქართველები—არა, გეგონებოდა, ჩაბუნაგთბილებული ქართველთა საძაგებელზე ფიქრობს, დაალაგებს, დააწყობს, მიდის სასამართლოში, იტყვის, დაიცლება, წავა, აივსება, მოვა....

დადიოდა თავაღერილი, ცას მიშტერებული მზერით, რამეს როგორ არ ეჯახებაო,—უკვირდათ.

საქართველოში მომხდარი თითქოს სხვაგან არსად მომხდარიყო, თითქოს იმპერია კი არა, სულაც დედამიწა დანაშაულისაგან გათავისუფლებულიყო, აქ კლავდა კაცი კაცს, რაც ველურობის და ჩამორჩენის ნიშანი გახლდათ, აქ ქურდობდნენ, ოდითგან ასეთნი ყოფილან ქართველები, აქ წამებდნენ ცილს—ესეც ეროვნული თვისება ივერიელთა... ერთი სიტყვით, ადამის მოდგმის ყველა დანაშაულს სათავე საქართველოში დაედო, აქ დაბადებულიყო, აღმოცენებულიყო, აქედან გავრცელებულიყო დედამიწის ნებისმიერ ადგილას, მერე იქ მოსპობილიყო, აქ ისევ დარჩენილიყო, ბაიკოვის აზრით, ამ ველურ და გაუნათლებელ ქართველებში.

დადიოდა, გვლანძღავდა...

იცოდნენ, უსმენდნენ, პასუხი არავის გაუცია. მშვიდად მიდიოდა ჩაფუთნული, ასევე ბრუნდებოდა უკან. აქედან იქით წასულს კიდევ ერთი ცილისწამება ჰქონდა ნათქვამი ქართველებზე, თითქოს სულაც იმისთვის დაბადებულა, იმისთვის მოძრაობდა წითელი ხიდიდან სასამართლოსაკენ და იქიდან ჯაჭვის ხიდის გავლით თბილ ბუნაგში, ქართველობა რომ ელანძღა უპრაგონოდ და უსაბუთოდ.

ერთ ხიდთან, მეორესთანაც ჩერდებოდა კარგა ხანს, გადაეყრდნობოდა ერთის მოაჯირსაც, მეორისასაც და იდგა ასე საათზე მეტი. ხალხი მიდიოდა, მოდიოდა, მიჰქონდა, მოჰქონდა, ცილდებოდნენ, აცილებდნენ და ა.შ. ეს იდგა მონუსხული, რიონის ხან მღვრიე, ხან კიდევ კამკამა ტალღებს ჩაშტერებული, იდგა გაუნძრევლად, მდინარისკენ გადახრილი, გადაყუდებული. თავიდან ეგონათ, ჩათბუნულს წყალში უნდა ჩახტომაო, მაგრამ ზამთარშიც რომ იგივე სურათი იხილეს, მიეჩვივნენ, ჩვეულებად აღიქვეს დილით და სამხრობის მდინარეს გადამხობილი პროკურორის თანაშემწე.

რიონი მიდიოდა დგაფუნით, მირიონობდა ქვებზე ტალღების ტყლაშუნით, შეხლით, შემოხლით, გვრემით, მიდიოდა ხან ადევებული, ყველასა და ყველაფრის წამლეკავი, მოძალებული, ღონედქცეული სტიქიონი, ხან კიდევ დამდოვრებული, ჩაწყნარებულ-ჩაჩუმებული.

რიონი სვლა-გეზსაც იცვლიდა ხანდახან, სისწრაფესაც, სიჩქარესაც, პროკურორის თანაშემწე იგივე რჩებოდა, ის— მდინარე,—მიდიოდა, ეს იდგა გაუნძრევლად, ძეგლივით, კარგა ხანს, მერე თითქოს ფეხი აიდგაო, ამოძრავდებოდა თბილტანსაცმლიანი წითელი ძეგლი ბაიკოვი.

ამ ქვეყნად ყველაფერი იცვლებოდა და იცვლება, დრო, ადგილი, ბუნება, ქვეყანა, მდინარე... ბაიკოვი უცვლელი რჩებოდა—ქართველი ერის ლანძღვას უმატებდა და უმატებდა, რიონს გადამხობილი მოიფიქრებდა, როგორ დაე-

წამებინა ცილი, რა მოეგონებინა ახალი, იქნებ რიონის გაჩერებაც ჩაედო გულში, წყევლიდა და ანათემას უთვლიდა გამჩენს ასეთი ლამაზი მდინარის ამ „ცოდვილ ქვეყანაში" მოვლენისათვის. უთვლიდა, მაგრამ არავინ უსმენდა—ყოველ მეორე დღეს უფრო ლამაზი ეჩვენებოდა რიონი.

დათა მიქელაძე ბაიკოვის ცილისწამებებს „ივერიიდან" გამოეპასუხა. ხშირად შეგვხვედრია მცდარი აზრი, უფრო მეტიც, დამამცირებელი ნათქვამი „მოგზაურთა" თუ „დამკვირვებელთაგან" ქართველობაზე, ჩვენს ნიჭსა და გონებაზე, მაგრამ ყურადღებაც არ მიგვიქცევია, რამეთუ ეს შეხედულებანი ამ ხალხს იმ დროს გაუჩნდათ, რკინის გზით ჩვენს ქვეყანაში რომ გაიარეს, ვაგონიდან არ გამომძვრალან და უკეთესი აზრი რანაირად შეექმნებოდათო—წერდა. გაივლიან, რაღაცას თვალს მოკრავენ, ან სულაც გაიგონებენ და მორჩა—ქართველთა ზნეც იციან, ხასიათიც, წარსულიც, აწმყოც და სავარაუდო მომავალიცო.

მოგზაურები და დამკვირვებლები კიდევ არაფერი, მეველეს აზრით, ზოგჯერ ისეთ სამეცნიერო ლექსიკონში ნახავ საგულისხმო აზრს, რომელსაც დამწერი ოდნავ მაინც რომ დაკვირვებოდა, უმალ მიხვდებოდა, რა უაზრობასაც ჯღაბნიდა.

„სომეხთა კათალიკოზი არარატის მთაზე დგას და ყოველმა სომეხმა უნდა ინახულოს თავისი პატრიარქი სწორედ ამ მთაზედაო"—სწერია ერთ სამეცნიერო რუსულ ლექსიკონში. ჯერ, თავგადაკლულ მოგზაურთაც კი უჭირთ არარატის მთაზე ასვლა და მოხუც მღვდელთ-მსახურს რა აიყვანდა იქ?"—კითხულობს დავით მიქელაძე და პასუხობს კიდეც—ამის დამწერი არც არაფერს უფიქრდება, არც უკვირდება, თორემ არარატის მთაზე გოლოვინის პროსპექტზე ადვილი რომ არაა არც ასვლა, არც სიარული და, მით უმეტეს, იქ მიწყივ დაყუდება, ამას დიდი განათლება არ სჭირდება.

ეს ერთგვარი პრელუდიაა, მკითხველს ამზადებს უარეს უხერხულებათა მოსასმენად.

სენაკის ფოსტას დაესხნენ თავს და გაიტაცეს ფული.

ეძებეს და მიაგნეს მძარცველებს—რამდენიმე ახალგაზრდა თავადაზნაურს მოეხდინა ეს საქმე, რომელთაც დაჭერის მერე აღიარეს კიდეც—ჩვენ დავესხით, ჩვენ გავძარცვეთო.

ჩათბუნულმა ბაიკოვმა გამოუტანა მსჯავრი ბრალდებულებს. მსჯავრი უშეღავათო გახლდათ, მაგრამ მეველისათვის ეს არ იყო მთავარი—უფალ ბაიკოვს, რიონის, დილით სხვა, საღამოთი სხვა ხიდს გადამხობილი რომ იდგა ხოლმე სასამართლოში მიმავალი და იქიდან მომავალი—განუცხადებია.

დანაშაული ეროვნების, საზოგადოებრივი ვითარების, კულტურისა და სხვა მოვლენების გარეშე არ უნდა განვიხილოთ. კავკასიაში ძარცვა, ავაზაკების თარეში ჩვეულებრივი მოვლენაა, აქ მოწმესაც ვერ იპოვნი, პირიქით, ცრუმოწმეობაა ფესვგადგმული, ყაჩაღებიც იმალებიან, მალავენ, იფარებენ და ა.შ. ყოველივე ქართველი ერის ბუნებისა და ხასიათის გამო ხდებაო.

თითქოს სხვაგან არც ავაზაკობა ხდებოდეს, არც ცილისწამება, დამნაშავეებიც მარტო აქ ემალებოდნენ სამსჯავროს, რამეთუ ქართველები ყოფილან ასეთნი—ქურდები, ავაზაკები, ცრუმოწმეები...

იქნებ სწორედ ეს ფიქრები უტრიალებდა ხოლმე თავში თბილად ჩაცმის მოტრფიალე ბაიკოვს, ხან წითელ, ხან ჯაჭვის ხიდზე რომ გადაემხობოდა კარგახნობით, იქნებ მაშინ აყალიბებდა აზრებს... შედარებით სოციოლოგიაზე, ქართველთა ბუნებით დამნაშავეობაზე...

მეველე ასეთ საგულისხმო შემთხვევას უპასუხოდ როგორ დატოვებდა. პროკურორი მოლაპარაკე მსაჯულია, რომელსაც უპირველეს ის ევალება, რასაც იტყვის, რა აზრსაც განავითარებს, იმის დამამტკიცებელი საბუთიც გვიჩვენოსო.

„ჩვენ მოველოდით, რომ პატივცემული წარმომადგენელი სამართლისა თავის აზრს შეურყეველს საბუთებზე დაამყარებდა, რომ იგი მოიყვანდა შედარებით სტატისტიკურ ცნობებს სხვადასხვა ქვეყნებისას, დაამტკიცებდა, რომ ჩვენში უფრო მეტად არის გავრცელებული ავაზაკობა, უფრო მეტად არის ცრუმოწმეობა, უმეცრება, უგუნურება და სხვ.“

დავით მიქელაძე ამბობს, რომ ფრიად პატივდებული გვამი უფალი ბაიკოვი ასე არ მოიქცა—უსაბუთოდ გალანძღა მთელი ერი. უნდა ვიფიქროთ, რომ დამამტკიცებელი საბუთები პორტფელში არ ელაგა ან კიდევ—საჭიროდ არ ცნო მათი თქმა, ისედაც ყველამ იცისო.

„ჩვენის აზრით,—წერდა მეველე,—ორივე ანგარიში შემცდარია, თუ საბუთები არ ჰქონდა, მაშინ არც გამამტყუნებელი ოქმის შედგენა უნდა ენებებინა მთელის ერისათვის და თუ ამისთანა საბუთები ჰქონდა და შეინახა, ესეც შეცდომაა, რადგან ჩვენს დროში ლიტონ სიტყვას არავისას აღარ იჯერებენ“.

ამნაირებზე წერდა აკაკი:

„მართალს ამბობდეს ენა,
სწორედ ისმენდეს ყური,
რომ არ დაჩაგროს ტყვილად
გარეშემ შინაური.“

ბაიკოვის ბაგეებს სიმართლე კი არა, მასთან მიახლოებული არაფერი დაცდენია, გარეშე იყო, შინაურს ჩაგრავდა, უპრაგონოდ ლანძღავდა, ცილს წამებდა. მთელი ცხოვრება, უფრო ზუსტად, ქუთაისში გატარებული წლები უსაბუთოდ ადგენდა ქართველთა გამამტყუნებელ ოქმს, ათას სისულელეს ჩმახავდა, როშავდა და სენაკის გაძარცვაზე ბრალდებული ახალგაზრდების გასამართლებაზე რაღა გამოასწორებდა. საშუ-

ალება მიეცა და კიდევ ერთხელ გადმოანთხია გესლი, შინ მიმავალი ზევით და აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, ხის კენწეროზე რაღაცას ეძებსო, გეგონებოდა, უფრო ჩაბაიკებული მიფართხუნებდა საბაიკოვოსკენ.

სხვადასხვა ქვეყნებში ათასგვარი დანაშაული მომხდარა, მაგრამ ეს სრულიად არ იძლევა იმის თქმის საშუალებას, ამ ქვეყნის მკვიდრთ „ზოგადი ბრალი დავდოთ" და ათასგვარი ბინიერება დავწამოთო.

„პანამის საქმის" გამო ფრანგი ერისთვის შეურაცხყოფა არავის მიუყენებია,—წერდა მომდევნო წერილში.

ავაზაკები იტალიაშიც ბლომადაა, რუსეთშიც, ესპანეთშიც, ამერიკაშიც, ფოშტა კი არა, ბანკიც გაუქურდავთ ამ ქვეყნებში, მაგრამ ერის მახასიათებელ თვისებად იგი არავის აღუქვამსო. განა შეიძლება ვთქვათ, რომ „მთელი ევროპა, ამერიკა და რუსეთი დაღუპული ქვეყანაა, რომ იქაური ხალხი ქურდია, ავაზაკია და სხვა?"

მოჰყავდა მაგალითები და აქარწყლებდა ბაიკოვის აზრს, თუმცა მისთვის ძალიან ადვილი იყო, აეხსნა ამ კაცის ფიქრები—დამპყრობლის პოზიციიდან, ვითომდა კულტურული ერის თვალთახედვიდან უყურებდა ეს ვიგინდარა ქართველობას, მისგვარად მოფიქრალთა დარად უსაბუთოდ გვლანძღავდა და ამას იმის გამო აკეთებდა, რომ ერთხელ, მეორედ, მესამედ შეარჩინეს ქართველებმა.

მეველეს ყველაზე დიდ ცოდვად მსაჯულისაგან წინასწარ, ყოველგვარი გამოძიების გარეშე გამოტანილი მსჯავრი მიაჩნდა. თვითონ ქართველთა ნაკლის მამხილებლისათვის, სავსებით სამართლიანად, ბაიკოვი მხოლოდ ცილისმწამებელი, ერის ღირსების შეურაცხმყოფელი იყო.

ასეთ დროს მეგობარსაც არ ინდობდა.

რეკლიუს „მსოფლიო გეოგრაფიაში" უამრავი შეცდომა, ქართველთათვის დამამცირებელი აზრია გატარებული, ზო-

გი—უცოდინარობის, ზოგი კიდევ—სხვა ერთა დამცრობა-დაკნინების სურვილის გამო. მეველე იხსენებს თვით რეკლიუს სიტყვებს: კავკასიაზე ჩემი ნაშრომის „ერთი ნაწილი სიამოვნებით გადაათვალიერა ბ-ნმა მეუნარგიამო". ნეტავ, რომელი გადაათვალიერა, სად ვერ შეამჩნია შეცდომა, სად კიდევ შეურაცხმყოფელი აზრი არა მარტო ქართველებზე, საერთოდ კავკასიელებზე, რომლებიც რეკლიუს აზრით „ნაკლებ ნიჭიერად ითვლებიან"-ო.

არ გადაუთვალიერებია და შედეგიც სახეზეა. ან კიდევ: რეკლიუ ცრუობს, როგორც ჩვევია, ყურმოკრულსა და გაგონილს ერთად ახვავებს, მთელ მხარეზე ამბობს ტყუილს და მეუნარგიას დასწამოს ცილი, რად უნდა გვიკვირდესო.

ხან მეუნარგიას დაუდევრობას აბრალებს „მსოფლიო გეოგრაფიაში" კავკასიაზე დაწერილ მცდარ აზრებსა და შეხედულებებს, ხან არც იმას გამორიცხავს, რომ ავტორიც, შესაძლოა, არ დათანხმებოდა გულდასმით წამკითხველსა და უამრავი შენიშვნის გამომთქმელს.

ზოტოვის „მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაც" უამრავ აბდაუბდათა კრებული უფროა, ვიდრე სხვადასხვა ხალხების მწერლობათა ჭეშმარიტი წარმოჩენაო.

ფლორენციაში „ლიტერატურის ენციკლოპედია" გამოდის და, ვგონებ, ისიც ასეთი შეცდომებით იქნება შეთხზულიო.

უშეცდომო არაფერია, ხშირად მთელი ერისთვის, მხარისათვის შეურაცხმყოფელი აზრებია გატარებული ამგვარ წიგნებში.

რუსულ გაზეთებსა და მათ პუბლიცისტებსაც ხშირად ამხელდა.

ბევრი ვახსენეთ, ბევრს კიდევ გავიხსენებთ.

ისევ ბაიკოვს მივუბრუნდეთ.

დავით მიქელაძე არ წერს, ქუთათურებმა ყურადღება რომ მიაქცევინეს ჩაცმითა და მოქცევით უცნაური პროკუ-

რორის თანაშემწისათვის, რა უთხრეს, ალბათ, უპირველეს ის,—ქართველთმოძულეობით გამოირჩევა, ცილს გვწამებს, შემთხვევას არ უშვებს ჩვენს სალანძღავად ხან ერთს, ხან მეორე ხიდს გადმომხობილი ბაიკოვიო.

ან უთხრეს, ან—არა.

პროკურორის თანაშემწე ბაიკოვსაც ნეტავ, რად აეკვიატებინა რიონის ცქერა წითელი და ჯაჭვის ხიდებიდან.

იქნებ მართლა წყევლა-კრულვას უგზავნიდა გამჩენს ასეთი საოცარი მდინარის „უბედურ ქვეყანაში" გაჩენისათვის.

თავი მერვე

ურწმუნოს ხორცის მჭამელი

დავით მიქელაძეს, სულაც რომ არაფერი დაეწერა, „დროების“ თანამშრომელიც არ გამხდარიყო, მეგობართა და ახლობელთა გამოისობით „მამები“ მაინც „შვილების“ თაობას მიაკუთვნებდნენ. მსოფლმხედველობით, რწმენით მთელი ცხოვრება ილიას ერთგული გახლდათ, ჰოდა, რა გასაკვირია, გრიგოლ ორბელიანმა მეველეც რომ არ დატოვა მოუხსენებელი „პასუხი შვილთაში“: „ცრუ-ლიბერალნი, პატრიოტები, მესხი, მეველე, მელიქ-აღები“.

დავით მიქელაძე მხცოვან პოეტს არ მორიდებია, არ შემდრკალა მისი ქუხილიანი სახელ-გვარის წინაშე და „დროებაში“ დაბეჭდა „საჭირო განმარტება“, სადაც ბევრ კითხვას უპასუხა.

სანამ ცალ-ცალკე გვლანძღავდნენ, ოდენ ჩვენს პიროვნებას ეხებოდნენ, ხმა არ ამოგვიღია, მაგრამ როცა ეს საყვედური მხატვრულად გაფორმდა, პოეზიაში აისახა, ახლა გაჩუმება შეუძლებელია, უთქმელობა დანაშაულის ტოლფასია—წერდა წერილის შესავალში და ამის მერე ჩამოთვლიდა ყოველივეს, რასაც „მამები“ „შვილებს“ საყვედურობდნენ.

გვსაყვედურობენ, თითქოს „ძველს ცხოვრებას არავითარს პატივს არ ვსცემდეთ,“—ჩვენამდე რაც ყოფილა, უარყოფითად მიგვაჩნდეს, —„ძველი კაცი, ძველი ჩვეულება, ძველი ხასიათი: უკეთა ვსთქვათ, მთელი ძველი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება დევნული იყოს ჩვენგან“.

მეველეს თქმით, არც ძველში იყო ყოველივე უარსაყოფი და არც ახალში ბრმად და უკითხავად ასაღიარებელი. როგორ

შეიძლება წარსული, ძველი საქართველო და ქართველობა, რაინდების სამშობლოსათვის თავგანწირვა უარვყოთ და დღევანდელი „ანგარებით, მუდმივ სასყიდლით გატაცებული“ ქართველობა გულში ჩავიხუტოთ. ძველშიც ბევრია კარგი და ახალშიც—ჩვენი ვალია, ერთიც გამოვაჩინოთ, მეორეც დავანახოთ საზოგადოებას. მეველე იმასაც არ მალავდა, რომ ხალხს ცუდი წარმოდგენა ჰქონდა ახალ თაობაზე და ეს იმიტომ, რომ მუდმივ უკიჟინებდნენ—„შვილები“ მათ საზოგადო ასპარეზზე გამოსვლამდე არსებულს არა ცნობენო. იმას კი არავინ ამბობდა, ნებისმიერ დროს ნებისმიერ ქვეყანაში ახალთაობა საზოგადოების პროგრესის, მისი განახლებისა და წინსვლის წინამძღვარი რომ იყო და იქნება ყოველთვის. ახალთაობა ვერ ეგუება ძველ გადმონაშთს, ახლებურად სჯის, წყვეტს, რაც საზოგადოების განვითარების განმაპირობებლად იქცევა...

მაგრამ ახალ თაობაშიც არიან „გაფლიდებული“ განათლების მქონენი, უფრო ხატოვნად მათ, „ჯიბისმტენელებსა“ და „ჯამიტლეკია“ განათლებულებს ეძახდა, ისინი საზოგადოების წინსვლას ასუსტებენ და ამდოვრებენო.

ყველას, ვისაც „კოთხოს ქუდი ახურავს და სერთუკი აცვია, განათლებული არ არისო“. ამიტომ ახალთაობას ურჩევდა, საზოგადოება დაერწმუნებინა მათ უანგარობაში, „ყალბი ახალთაობის“ დევნით თავიანთი სახე უკეთ ეჩვენებინა ხალხისათვის, რომელიც მსწრაფლ იწამებდა მათს უკეთესობას და ცილისწამებაც განქარდებოდა.

ასეთი პრინციპული იყო დავით მიქელაძე ახალთაობის სულისკვეთების წარმოჩენასა და ძველისა და დრომოჭმულის უარყოფაში.

წერდა კიდეც:

„რა ნაყოფს მოუტანს ქვეყანას, თუგინდ დიდად განათლებული ახალგაზრდა, უკეთუ მისი იდეალი კაცისა და ქვეყნის სიყვარული არ არის?“

მეველეს წერილს იმ დროს ცხვარში მწყემსად წასული, ჟენევის უნივერსიტეტდამთავრებული დ. ქადაგიძე გამოეხმაურა, რომელმაც იმის მაგიერ, ნათელი და მკაფიო გაეხადა წერილის ავტორის მოსაზრებანი მკითხველისათვის, თავისი რადიკალური პოზიციით ჩრდილი უფრო მიაყენა მას: „სასირცხვილოა თქვენი შვილობა, ძმისწულობა, ბიძაშვილობა, მაგრამ რა ჰქნას კაცმაო". გვრცხვენია, მაგრამ ღმერთმა ასე ინება, თქვენი შვილები, ბიძაშვილები და ძმისშვილები ვართ და რა ვქნათო.

ასეთი სიმკვეთრე „მამებთან" დაკავშირებით მეველეს არ გამოუჩენია, პირიქით, თვლიდა, რომ მათ მოქმედებაშიც ბევრი რამ იყო საგულისხმო და გასათვალისწინებელი, თუმც პროგრესი და განათლება მხოლოდ ახალი თაობის ხვედრი გახლდათ.

ჩვენს მამებსა და პაპებს ვძრახავთ და „ამის ზემოთ აღარ მივდივართო"—თითქოს მართლაც მათ მამა-პაპებს შეენელებინოთ განვითარება ქვეყნისა, უფრო შორეულ წინაპრებს კი აეყვავებინოთ, მხოლოდ მამა-პაპები გამოირჩეოდნენ „გასვრილი მოქმედებით", „გარყვნილი ზნეობით", „ტალახიანი სინდისით". მეველე აქებს ძველებს და არა მამა-პაპებს, მკითხველს ურჩევს, ამ წერილზე ნუ გაიცინებთ, ხანმოკლე იქნება თქვენი მხიარულება,—ძვირფასნო მამა-პაპანო, „ნიადაგ-ძმარსა და ძირმწარეს უნდა გასმევდეთ კაცი, იქნებ თქვენს სიმსუქნეს ამით ცოტა მაინც მოაკლდესო".

ბრალმდებელიც იყო:

„რით დაიმსახურებენ ჩვენი მამა-პაპები და მათი დროის კაცები შეწყნარებას? მამულის სიყვარულით? მისთვის მზრუნველობით? ხალხის განათლებით? თუ მემამულეთა დასმენით და მტრებთან ენის მიტანით?" მეველე ასეთ მკვეთრ მიჯნას არ ავლებდა „ძველებსა" და „ახლებს" შორის. მას მამულის მოყვარული, მისთვის თავის გამწირავი ძველ საქართველოშიც ეგულებოდა და იმჟამინდელშიც,

მტრებთან ენის მიმტანებიც არ აკლდა არც ძველ და არც ახალ დროებას. ამიტომ ცილისწამებათა კორიანტელი უადგილოდ მიაჩნდა. მისთვის მთავარი ის იყო, ახალთაობას თავისი უპირატესობა ქვეყნის უანგარო სიყვარულით დაემტკიცებინა ხალხისათვის და მერე ისტორია იტყოდა—ვინ წასწია, ვინ კიდევ უკან მოქაჩა განვითარებას ქვეყნისას.

დავით მიქელაძემ, მიწყივ ამ აზრით მოქმედმა ჟურნალისტმა და პუბლიცისტმა, დატოვა „დროება", როცა მის ადგილს, მისი აზრების უკეთ გამოთქმის საშუალებას ვერ ხედავდა რედაქციაში. ასევე მოიქცა „ივერიაშიც", რომლის ფაქტიური რედაქტორიც იყო.

„ივერიაში" მომხდარი ერთი შთამბეჭდავი ფაქტი გავიხსენოთ.

რედაქციაში ვაჟას სტუმრობა ზეიმად გადაიქცეოდა ხოლმე. ყველას უყვარდა, ილიას დამოკიდებულებასაც ანგარიშს უწევდნენ, უმთავრესად კი ხიბლავდათ მთიდან ჩამოსული ხურჯინიანი კაცის ბაასი, მისი საკვირველი თხრობა, არაჩვეულებრივი, მოკვდავთაგან განსხვავებული აზროვნება. ჩამოვიდოდა და იმდენ რამეს ჩამოიტანდა, სარედაქციო მასალებზედაც აღარ ჭირდებოდათ ბევრი ფიქრი და ტვინის ჭყლეტა, ხურჯინი მთის პეიზაჟივით მსუყე და ფერადოვანი თხზულებებით იყო სავსე.

იშვიათად ჩამოდიოდა, ჩამოსვლა ზეიმად გადაიქცეოდა.

ერთ მშვენიერ დღესაც მოადგა „ივერიის" კარებს „გველის მჭამელითა" და სხვა ლექსებით ხურჯინდამშვენებული. ამ დროს გაზეთს ფაქტიურად დავით მიქელაძე განაგებდა, ილიამ მას მიანდო ყოველდღიური ჭაპანის წევა „ივერიისა". ვაჟა შევიდა, მიესალმა, მოიკითხა. ფაქტიურმა რედაქტორმა კიდევ საყვედურით დაიწყო:

—სად დაიკარგე, რა ამბავია, რომ გაგვიძულე, რატომ აღარ გვწყალობ... —ბევრჯერ უთქვამთ ვაჟასთვის მსგავსი სიტყვები, ადრე გულწრფელ ნათქვამად მიაჩნდა, მერე ისე

ხშირად უმეორებდნენ, სულაც სიყალბეს ხედავდა ამ ფრაზებში—სად დაიკარგე, რად აგვიძულე და მისთანანი. ჰოდა, სიყალბე და ხელოვნურობა რომ გაექრო, იუმორით პასუხობდა: დევებს ვყავდი დატყვევებულიო—ეტყოდა, ან კიდევ: სანადიროდ წასულს ჩამეძინა და ახლა გამოვიღვიძეო.

ესენი ერთსა და იგივეს უმეორებდნენ:

—სად დაიკარგე, რისთვის აგვიძულე, რად არ მოდიხარ...

ვაჟა სხვადასხვა რაიმეს მოიფიქრებდა და შეხვედრაც უფრო ხალისიანი ხდებოდა.

მეველემაც იგივე უთხრა:

—სად დაიკარგე, რად აგვიძულე, რამ შეგაყვარა ასე შენი ჩარგალი?!

—რა ვქნა, ბატონო დავით, ხომ იცით, „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი“... პოემა ჩამოგიტანე—„გველის მჭამელი“ ჰქვია, ხევსური მინდიაა მთავარი გმირი ამ თხზულებისა, ისიც და მეც მშვენივრად ვგრძნობთ თავს ჩარგალში, მინდიამ პოემაში, მე კიდევ სინამდვილეში, გველის ხორცი ვჭამეთ და ამან ახალი სული ჩამიდგა, გულითაც ვხედავ უკვე, სხვანაირად მესმის, მესმის რას ჟღურტულებენ და ჭიკჭიკებენ ფრინველები, რას ეუბნებიან ერთმანეთს მცენარეები და ცხოველები. ერთი სიტყვით, ბედნიერი ვარ ამნაირი ყოფით.

მეველეს ყურთასმენას, როგორც კი გველის ხორცის ჭამა მიწვდა, თავი დახარა, მანამდე ვაჟას თვალებში მიშტერებოდა, ახლა ტყაპუჭებს უმზერდა მხოლოდ, გველის ხორცს ვჭამო, ამის მერე არაფერი მოუსმენია, გააძაგძაგა, კანკალი დააწყებინა, ტყაპუჭებს მიშტერებულმა თვალები დახუჭა, გუნებამოშხამულმა გვერდზე გააფურთხა და თავაუწევლად, კანკალშეპარული ხმით შესძახა.

—რას ამბობ, კაცო, ურწმუნოს ხორცი რამ შეგაჭამა! ვის გაუგონია, ქრისტიანი გველის ხორცს ჭამდეს.

—ასეთი გემრიელი არაფერი მიჭამია.—მშვიდად უპასუხა ვაჟამ.

—კაი, ერთი... უხსენებლის ხორცი?.. გადამრევს ეს კაცი... ვილაც ჩვენ ძვირს ამბობს,—ისევ თავდახრილმა, ოღონდ ახლა ჩიფჩიფით ჩაილაპარაკა და გადააფურთხა.

—გარწმუნებთ, ბატონო დავით, გველის ხორცი იმერულ საცივად მშვენიერი იქნებოდა.

ეს კი ველარ მოითმინა დავითმა, გვერდზე გაიწია და მათ უკან მდგომ არტემ ახნაზაროვს შესძახა:

—არტემ, გეთაყვა, ეს გველისმჭამელია თუ რაღაც ოხრობა, შენს უჯრაში შეინახე, მე ვერ მოვკიდებ ხელს.

ხშირად ახსენებდნენ დავით მიქელაძეს ამ ამბავს. მეგობრები შეიკრიბებოდნენ და საცივში გველის ხორცი როგორიაო—ეკითხებოდნენ, ეს კიდევ—ვაჟას ჰკითხეთო—პოემა დიდებულია, რა ვიცოდი, რაზე იყო საუბარი, იმერელ კაცს იუმორით ფშაველმა როგორ მაჯობაო—წყენანარევი ხმით ჩაილაპარაკებდა.

ისინი ისევ უმეორებდნენ.

ადრე ვაჟას ეუბნებოდნენ, უფრო საყვედურობდნენ—სად დაიკარგე, რად აგვიძულეო, მერე დავით მიქელაძეს უხსენებდნენ და უხსენებდნენ იმდღევანდელს.

ფშაველმა იუმორით დამჯაბნა—წყდებოდა გული, თუმცა ამ გულწყვეტასა თუ სინანულში ვაჟა-ფშაველათი აღტაცება, მისი შემოქმედებით აღფრთოვანება უფრო ჭარბობდა, ვიდრე ვინმესგან დაჯაბვნით გაჩენილი წყენა.

მეველეს ერთი უცნაურობა ჭირდა—ხშირად ყველასათვის ადვილად გასაგები და აღსაქმელი მისთვის გაუგებარი და აღუქმელი რჩებოდა. მაგრამ რასაც გონების ქურაში გაატარებდა, იმას ისე გაცხრილავდა,—პირიქით, იქით გააქილიკებდა მავანსა და მავანს.

მისი საყვარელი მწერლისაგან, თანაც გენიალური შემოქმედისაგან (ასეთად თვლიდა ვაჟას), გველის ხორცის

ჭამა ვერაფრით წარმოედგინა. პოემაზე არც მას და არც სხვებს იმ დროს წარმოდგენა არ ჰქონდათ და მოტყუვდა. თუმცა ეს მოტყუებაც, ვაჟასგან გაქილიკებაც ხიბლავდა, თორემ ამ ამბის გამხსენებელს ერთხელ თქმის მერე ხმას არ ამოაღებინებდა, ჩაადუმებდა და ამბავსაც დაავიწყებდა თანამედროვეებს.

დავით მიქელაძეს უნდოდა, რაც შეიძლება ბევრს გაეგო მისი უნიათო გაშტერებისა და გენიალური მთიელისაგან იუმორით დაჯაბვნის ამბავი.

უნდოდა და ბევრმაც შეიტყო. ჩვენ კიდევ ილია ჩიქოვანისაგან (პონტელისგან) ვიცით, მის საინტერესო მოგონებებში სამი ამბავია დავით მიქელაძეზე, ერთ-ერთი ესაა—ყველაზე მართლად დახატული, სიტუაციის გათვალისწინებით მოთხრობილი.

თეატრსა და ლიტერატურაზეც ხშირად გამოუთქვამს აზრი ქრისტიანისგან გველის ხორცის ჭამით შემცბარ დავით მიქელაძეს.

ერთ წერილში ლიტერატურის, საერთოდ, ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობას ეხება. პასუხობს იმათ, ვისაც „ქართული ლიტერატურა ევროპულის ტოლფარდად არ მიაჩნდა", მათი აზრით, ჩვენი მწერლობა ვერ ასახავდა საზოგადოების უმთავრეს ნაკლს და ა.შ.

მეველეს აზრითაც ევროპაში „ყველა უმთავრესი ცხოვრების შესახები საგნები ჯერ ლიტერატურაში გადაწყდება. იქ გაზეთი ნივთიერი და გონებითი ძალაა. საკმაოა, რომ რომელიმე გავლენიანმა ჟურნალმა ორიოდე სიტყვა დაბეჭდოს და ჰხედავ, ურიცხვი ლეგიონები გაჩნდებიან ერთ წამში, რომლებიც საკუთარ ყოფა-ცხოვრებას, ცოლ-შვილს და სიცოცხლესაც არ დაიშურვებენ, რომ საკუთარი გაზეთის რჩევისაებრ მოიქცნენ".

ჩვენში, მართალია, სიტყვას ამოდენა მნიშვნელობას არავინ ანიჭებს, მაგრამ დამკნინებელთა საპასუხოდ ერთ ანდაზას

მოაგონებს მკითხველებს: „როდესაც თავგატეხილი შეგხვდეს, სანამ თავგამტეხელიც არ ნახო, სამართალს ნუ გადასჭრიო“.

ევროპელ მწერალს თავისუფლად შეუძლია ილაპარაკოს ნებისმიერ საგანზე,—ეს მიაჩნია ერთ მიზეზად იმისა, თუ რატომ აქვს იქ საოცრად დიდი გავლენა მწერლობას და მერე—ჩვენი საზოგადოებაც არაა ევროპულად განათლებული. იქ იციან სიტყვის ფასი, ენდობიან და მიჰყვებიან მას. აქ მწერლობა ხელფეხშეკრულია „სხვადასხვა გარემოებათა გამო“. არ აკონკრეტებს, თორემ აშკარაა, დამპყრობლისაგან დაწესებულ ცენზურას, აკრძალვას, ხშირად თავისუფალი აზრის გამოთქმის შეუძლებლობას გულისხმობს.

იქაური განათლებისა და თავისუფლების პირობებში ქართული ლიტერატურაც არანაკლები გავლენის იქნებოდა საზოგადოებაზეო.

მეველე იყო პირველი, რუსთაველის ძეგლის საკითხი რომ დასვა. გენიალური შემოქმედი, საკაცობრიო იდეებით გაჟღენთილი პოემის ავტორი გვყავს, მისით უნდა გაგვიცნოს მსოფლიომ, „ვეფხისტყაოსანი“ ამკობს და ამშვენებს ქართველის ოჯახს, ქართველის ლხინს, ქართველის სულსა და გულს. ჩვენ კიდევ რუსთაველის ძეგლი არა გვაქვს, ვერ მოგვირხერხებია ყველაზე დიდი ქართველი მწერლის სახე გამოვაქანდაკოთ, მაშინ, როდესაც სხვა ერები „აჭი-ბაჭია მწერლებითა“ და მათი ძეგლებით ამაყობენო.

რუსთაველის ძეგლი საქართველოს სახე-სიმბოლოდ ესახებოდა, მასში უნდა არეკლილიყო ვინაობაც და რაგვარობაც ქართველთა, სულიც და ხორციც ივერიელთა.

„ვეფხისტყაოსნით“ უნდა ვამაყობდეთ, ზოგიერთი ავტორისა, მათი დახვავებული წიგნებისა კი გვრცხვენოდეს, მათ, დამწერს გარდა, „თავზე ხელის შემომრტყმელი არავინა ჰყავთ“.. ჰოდა, იბადებიან უდღეური წიგნები უდღეურ ხელოვანთაგანო. მეველეს აზრით, მწერალი ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი უნდა იყოს, სიბეჯითე,

შრომისმოყვარეობა ნიჭს ვერც მოუმატებს, ვერც მოუკლებს, ყველა დარგში შეიძლება იხეიროს ამნაირმა ადამიანმა, მწერლობაში ნაკლებად, რამეთუ აქ მაინც ნიჭია განმსაზღვრელი და განმაპირობებელი ყოველივესიო.

კოცებუმ რუსთაველის ძეგლის ასაგებად შეწირულება გამოგზავნა „ივერიაში", რამაც გაახარა და აღაფრთოვანა დავით მიქელაძე. წერილით გამოეხმაურა ამ ფაქტს და ქართველობას მოუწოდა, უცხოელისაგან გამოჩენილი გულისხმიერება გადაეღოთ.

სულ მალე გაჩნდა ცნობა—იაკობ გოგებაშვილი თავისი ოცდაათი წლის ნაშრომს გამოსცემს და შემოსავალს მთლიანად რუსთაველის ძეგლის ასაგებად შესწირავსო.

მეველე ამ ამბითაც იყო გახარებული, ქართველი მამულიშვილის სანიმუშო ქცევად ესახეპოდა დიდი იაკობის ნაფიქრი და განზრახული.

ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან საქართველოში გადმოსვენებას ერთ-ერთი პირველი დავით მიქელაძე გამოეხმაურა. მის წერილში ჩანს ბარათაშვილის პოეზიის მცნობი და შემფასებელი ადამიანი, იმ ყოფის გამგები და გულშემატკივარი, რომლის გამოც გენიალურ პოეტს მხოლოდ ახლობელთა ვიწრო წრე იცნობდა, სამშობლოში სამსახურიც ვერ იშოვნა და უცხოობაში დაღია სული.

დავით მიქელაძეს სავსებით სამართლიანად მიაჩნდა ნიკოლოზ ბარათაშვილი მომავლის პოეტად. მისი აზრით, ღმერთი მისთვის მლოცველ ერს არასდროს წირავს, განსაცდელის ჟამს მოუვლენს ხოლმე გენიალურ შემოქმედს, შეიძლება ამ ადამიანის არც გვარი, არც სახელი იცოდნენ თანამედროვეებმა, მაგრამ იგი არასოდეს დაიკარგება, დამბადებელი ყოველთვის მოძებნის საუკეთესო შვილს, მის წიაღში დაიბრუნებს და საკადრის პატივს მიაგებს.

ახლობელთაგანაც მივიწყებული ბარათაშვილის შემოქმედებას ასე აფასებდა: „ერს, რომელსაც ბარათაშვილის მსგავ-

სი მგოსანი გამოეზრდება, თამამად, გაბედვით შეუძლიან თვალი გაუსწოროს მომავალს". ასეთი გახლდათ საბოლოო მსჯავრი მეველისა, მისთვის ყოველი გენიოსი ხელოვანი ერის წინსვლის, მისი აღორძინებისა და განახლების პირობა გახლდათ, ყოველი უხეირო კიდევ—დამცრობა და დაკნინება მისი მშობელისა.

დავით მიქელაძე დიდად დაამწუხრა ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალებამ. მისთვის მოჩხუბარიძე მარტო მეგობარი არ იყო, მან კარგად იცოდა ფასი იმ თხზულებებისა, რომელთაც მომავალში ელოდა უფრო დიდი დაფასება და აღიარება. თვლიდა, რომ XIX საუკუნის მწერალთაგან ალექსანდრე ყაზბეგ'ს უფრო მეტი მკითხველი არავის ჰყოლია. მას კითხულობდა ყველა, წერა-კითხვის კარგად და ზერელედ მცოდნე... კითხულობდნენ „გულაკანკალებული, თვალებზედ ცრემლმორეული და აღელვებული". აქედან გამომდინარე გამოჰყოფს მეველე ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებათა ერთ თვისებას—ისინი ყველასათვის გასაგებნი იყვნენ, რამეთუ „მოძღვრის" ავტორმა თანასწორად იცოდა საიდუმლო თავადისა და გლეხისა".

დაბოლოს: დავით მიქელაძის დროისაგან გაუხუნარი შეფასება: „ყაზბეგი იყო ჩვენის დროის უპირველესი ქართველი ბელეტრისტი, რომელმაც ნამდვილის ქართულის ფერადებით შეამკო და ცოცხლად წარმოგვიდგინა თვალწინ ჩვენის ერის სულისკვეთება, შეუდარებელის კალმით დაგვიხატა ჩვენის ქვეყნის გასაოცარი სიტურფენი და ზოგისაგან აბუჩად აგდებაც".

დავით მიქელაძე არც რომელიმე ქართველი მწერლის მთელ შემოქმედებას სწავლობდა, არც ცალკეულ თხზულებებს, მაგრამ მის საგაზეთო პუბლიკაციებში კარგად ჩანს ამა თუ იმ ხელოვანის მთელი ნაღვაწის გამგები და შემფასებელი, სხვანაირად აზრები, მისგან გამოთქმული, მწერლებსა და მწერლობაზე, უდღეური იქნებოდა.

ქართულ თეატრზეც ბევრს ფიქრობდა.

„სამ კვირაში სამი წარმოდგენა გაიმართაო"—წერდა. წარმოდგენათა სიმრავლე იმის დასტურად ესახებოდა, რამდენად უყვარდათ ქართველებს თეატრი, რაოდენ ელტვოდნენ ახალ სპექტაკლებს. ჰოდა, სამი წარმოდგენა იმის ნათელყოფაა, რომ ქართველებს მოსწონთ ხელოვნების ეს დარგი, „თეატრის მოყვარულები" კიდევ ნიჭსა და ენერგიას არ ზოგავენ, ოღონდ თეატრს როგორმე უშველონ, ფულიანი კერძო პირები მზად არიან, დახმარების ხელი გაუწოდონ. ერთი სიტყვით, მეველეს აზრით, ყველა ელემენტი თეატრის დასაარსებლად მომართულია, რჩება ერთი, ერთი კაცი, რომელიც ამ საქმეს ითავებს და საკუთარი მხრებით შეეცდება მძიმე ჭაპანის თრევასო. „ისეთი კაცი, რომელმანაც შეკრიბოს, შეათანხმოს ეს სხვადასხვა მოძრავი ძალა და წინ წარუძღვეს ქართული თეატრის დაარსებას".

დავით მიქელაძეს თეატრი „ზნეობისა და გონების ამამაღლებელს დროს გასატარებელ ადგილად" მიაჩნდა. ამბობდა, რომ უცხოეთში უამრავი თეატრია, კლუბია, საზოგადოებაა. მათ შეუძლიათ, იქ გაატარონ დრო, ქართველებს მხოლოდ მამაპაპურად ღვინის სმით შეგვიძლია ჩავკლათ წუთისოფელი. ესეც კარგია, მაგრამ თეატრიდან სხვა ზნეობა იღვრება, გონებაც სხვაფრივ მაღლდებაო.

მაგალითად მოჰყავდა:

1852 წელს, ვორონცოვის დროს, გიორგი ერისთავის თავკაცობით, ქართული თეატრი რომ დაარსდა, მთელი წლის განმავლობაში 500 თუმნით ნაკლები გაიყიდა სათამაშო ქაღალდი, ვიდრე 1851 წელს. ლოთობამ და დანაშაულმაც საგრძნობლად იკლოო.

თეატრი უცილობელ უნდა დაარსებულიყო მეველეს აზრით, თანაც იგი ქართული უნდა ყოფილიყო, რამეთუ დედაქალაქში ძირითადად ქართველნი და ქართულ ენაზე მოსაუბრე

არაქართველნი ცხოვრობდნენ. რუსული, ჯერ ერთი, ენაც ძალიან ცოტამ იცოდა და მეორეც, არსებობდა ასეთი თეატრი, რომელსაც, ამ პრობლემების გამო, მაყურებელი ნაკლებად ჰყავსო—ასკვნიდა ბოლოს.

1894 წელს დაიწვა ქუთაისის თეატრი. დაიწვა ყველაფერი, რაც კოტე მესხს წლების მანძილზე დიდი რუდუნებითა და თავგადაკლული შრომით შეეგროვებინა. მეველემ მთელ საზოგადოებას მოუწოდა, დახმარებოდნენ დიდებულ არტისტს, —აღსადგენი აღედგინათ, მოსაძიებელი მოეძიათ, რომ ქართული ხელოვნების გამორჩეული კერა, —ქუთაისის თეატრი, —კვლავ ქართველთა სულიერი სიმხნევისა და ზნეობრივი გაკეთილშობილების სამსახურში ჩამდგარიყო.

უაზრო და გახეხილი მორალის სპექტაკლები არ მოწონდა, მკითხველიც რომ დაერწმუნებინა თავისი ნაფიქრის სიმართლეში, უპირველეს, თეატრის მნიშვნელობაზე ესაუბრებოდა:

„თეატრი შეიძლება შეედაროს სარკეს, როგორც სარკეში დაინახავს კაცი თავის სახეს, ისე სცენაზედ უყურებს საზოგადოება თავის გამოხატულებას. რამდენად კარგია სარკე, იმდენად სწორედ და ნამდვილად დაგანახებს ის თითოეულ თქვენს სიკეთეს ან ნაკლოვანებას. ასეა თეატრიც“.

თვლიდა, რომ სცენაზე სინამდვილიდან აღებული ამბავი უნდა თამაშდებოდეს, მაგრამ მოქმედება ისე მიმდინარეობდეს, რომ სიყვარულს ან სიძულვილს ბადებდეს მაყურებელში.

არიან დრამატურგები, რომლებიც „კაცობრიობის თვისების განხილვაში შესულან“—შექსპირი, მოლიერი, ჰიუგო და სხვები. ისინი ერთნაირად გასაგებად ესახებოდა ყველა ერის მაყურებლისათვის და კიდევ, იყვნენ ისეთები, რომლებიც თავიანთი საზოგადოების, ერის, ტომის ნაკლზე წერდნენ, —ისინი იმ ერის შვილთათვის გასაგებია, სხვებისთვის—არა; რამეთუ კონკრეტული პრობლემა განზოგადებული არაა

ასეთად გოგოლი და ოსტროვსკი მიაჩნდა. მათგან დახატული სინამდვილე მხოლოდ რუსი მაყურებლისათვის იქნება გასაგებიო. ერთი სიტყვით, მხოლოდ მარადიულ გრძნობებზე შეთხზულ ნაწარმოებებს სთვლიდა ყველა ერისათვის გასაგებად, მაგრამ თუ სხვა პრობლემა რომელიმე მწერლისაგან განზოგადებულად და მაღალმხატვრულად იყო დასურათხატებული, ეს მხოლოდ ცალკეული ერის მაყურებლისათვისაა აღსაქმელიო—წერდა.

დრამატურგს ექიმს ადარებდა—ექიმი გელაპარაკებათ თქვენს სენზე, გიჩვენებთ მისგან განკურნების საშუალებებს, მაგრამ თუ ერთ ქვეყანაში მხოლოდ გული ტკივათ და ამის მკურნალნი არიან, მეორეში კიდევ ციება აწუხებთ და ამის შემატყობარნი იშოვებიან, რა გამოვა, გულის ექიმმა ციებიანს უმკურნალოს და პირიქით. ერთი სიტყვით, თეატრი დავით მიქელაძეს კონკრეტული ერის, საზოგადოების ჭირისა და ლხინის გამომსახველ დაწესებულებად და არა „სალაყბო და სატიკტიკო მოედნად“ მიაჩნდა.

კიდეც იყო სიმართლე ამ აზრში და კიდეც არა. მართალია, ყოველი თეატრი ამა თუ იმ ერის კუთვნილებაა, მაგრამ ჭეშმარიტ ხელოვნებამდე ამაღლებული სპექტაკლი ერთნაირად გასაგებია ყოველი ერისათვის.

მეველეს სწავლა-განათლება ქვეყნის გადამრჩენად მიაჩნდა. მხოლოდ განათლებული ქართველობა თუ დადგებოდა ევროპელთა გვერდით. ამიტომ წერდა თითქმის ყოველ წერილში ახალგაზრდობის ცოდნის შეძენის აუცილებლობაზე.

განათლების მიღებას სათანადო პირობები ჭირდება. დავით მიქელაძე ერთ-ერთი პირველი ქართველი მოღვაწე და პუბლიცისტი გახლდათ, ჩვენში უნივერსიტეტის დაარსებას რომ მოითხოვდა.

აუცილებლობასაც სათანადო არგუმენტებით ასაბუთებდა:

ქართველები ჩრდილოეთის ჰავას ვერ იტანენ, მიდიან და

იქიდან განათლებულის მაგიერ ჭლექიანები გვიბრუნდებიანო.

და კიდევ: მისი აზრით, ქართველი თავადაზნაურობა ეკონომიურად ისე იყო შეჭირვებული, რომ შვილების გაგზავნა უცხოეთში კი არა, რუსეთშიც უჭირდათ. ჰოდა, ამათ გამოისობით ასაბუთებდა უმაღლესი სასწავლებლის დაფუძნების აუცილებლობას ჩვენს ქვეყანაში. პატარა დანიაში, მილიონნახევარი მცხოვრებიც რომ ჰა და ჰა არის, ორი უნივერსიტეტი, ოცდაორი გიმნაზია და უამრავი სპეციალური სასწავლებელია—ჩვენთან, დანიაზე მრავალრიცხოვან და დიდი კულტურის სახელმწიფოში, არც ერთი უნივერსიტეტი, ორადორი გიმნაზიაა და სპეციალური სასწავლებელიც არა გვაქვს.

კაიდანოვმა 1894 წლის 8 თებერვალს პეტერბურგის უნივერსიტეტის 75 წლის სადღესასწაულო სადილზე კავკასიის უნივერსიტეტის დაარსების საკითხი წამოჭრა და იქ მყოფთ მოაგონა, რომ ამ საქმისათვის განკუთვნილი 10 ათასი მანეთი უკვე გაიზარდა და შეიძლება იმდენიც კი იყოს, რომ მოებას თავი ამ დიდებულ საქმესო. მეველე წერილით გამოეხმაურა ამ ფაქტს—თანამემამულეებს კიდევ ერთხელ შეახსენა უნივერსიტეტის აუცილებლობა, ქართველთა ნიჭიერება და განათლებისადმი სწრაფვა და ის მიზეზებიც კიდევ ერთხელ ჩამოთვალა, რომელთა გამოც ეს უმაღლესი სასწავლებელი მაინც და მაინც საქართველოში, კერძოდ, თბილისში უნდა დაფუძნებულიყო.

ზოგ საუკუნეს ალექსანდრე მაკედონელი, ზოგს—კოლუმბი, ზოგს—ლოუ, ზოგს—ლინკოლნი, ჩვენს საუკუნეს კი ყოველ სფეროში და ყველგან სჭირია სწავლით შეიარაღებული ადამიანი.

მეველე მაშინაც, როცა მშობელს შვილისათვის დაწყებითი განათლების მიცემა არ სურდა, პოულობდა გამოსავალს. იმ დროში მართლაც ბრძანდებოდნენ ადამიანები, რომელთაც არც სურდათ და ვერც გაეგოთ მომავალი თაობის განათლების

აუცილებლობა, იძულებით სწავლება კი მშობელთა უფლებების დარღვევად მიაჩნდათ. ვნახოთ, როგორ დასაბუთებულად უტევდა ასეთებს—არც ისე შორეული საუკუნეების წინ იყვნენ მშობელნი, შვილებს რომ ჰყიდდნენ, ვინმეს რომ მათთვის ეს საქციელი დაეშალა, ისინიც იგივეს იტყოდნენ,—ჩვენი უფლებები ირღვევაო, მაგრამ დღეს სულ სხვა ვითარებაა—არც ვკლავთ, არც ვყიდით შვილებს, მაგრამ განათლებას რომ არ ვაძლევთ, ეს ნაკლები ველურობა ნუ გგონიათ, ბატონებო.

ის კი არა, თუ მმართველობა აღუთქვამს ხალხს, რომ სწავლა სავალდებულო და უფასო იყოს, ხომ კარგი, თუ არადა, ჩვენვე უნდა ვიზრუნოთ მათ განათლებაზეო.

„სანამდის არ გვექნება ვალდებულებითი და მუქთი სწავლა, მანამდის დარწმუნებული უნდა ვიყოთ, ჩვენი დაცემული ზნეობა ისევ დღევანდელ საზარელ მდგომარეობაში დარჩება“.

ზნეობის დაკარგვას, „პირის წყლის წარხდენას“ გაუნათლებლობას აბრალებდა.

სხვა წერილში,—განათლების საჭიროება შევიგნეთ, მაგრამ ამის მერე პრაქტიკული ნაბიჯებია საჭიროო,—გაჰყვიროდა. გიმნაზიის პირველ კლასებში უამრავ ქართველს შეხვდებით, ზევით და ზევით კი თანდათან კლებულობენ. თუ პირველში ნახევარზე მეტი ქართველობაა, მეხუთე და მეექვსე კლასებში ეს ნახევარი განახევრებულია, საბოლოოდ მეათედი ძლივს განასრულებს. რა უნდა იყოს მიზეზი ამისა,—კითხულობს. რა და ის, რომ ქართულ ენაზე არ მიმდინარეობს სწავლება, რაც იწვევს იმას, რომ შემოდგომის მიწურულის თბილი დღეებივით კლებულობენ გიმნაზიის ზემო კლასებში ქართველები.

სწავლას იწყებენ უცხო ენაზე, იზეპირებენ ყველაფერს და ძალაუნებურად უწყობენ ფეხს ენის მცოდნე თანაკლასელებს, მაგრამ სანამ შეიძლება იზეპირო, იზუთხო, დამახსოვრებასაც საზღვარი აქვს და მომდევნო კლასებში მოსწავლე რწმუნ-

დება, რომ მისი გონება უკვე ველარაფერს დაიტევს, ველარ იმახსოვრებს ათას უაზრო დავიდარაბას, რომელთა მნიშვნელობა არც ადრე ესმოდა ენის უცოდინარობის გამო, ვერც მერე გაიგებს და იძულებულია, შეწყვიტოს სწავლა.

დაიწყო ხალისით, გიმნაზიის კარი უხალისოდ გაიხურა.

მართალია, ისეთებიც იყვნენ, რომლებიც ბოლომდე ძლევდნენ, ასრულებდნენ გიმნაზიას, მაგრამ „ზეპირობის დაღი" მთელი ცხოვრება მიჰყვებოდათ.

ქართულ, მშობლიურ ენაზე ვასწავლოთ და კითხვას— არიან თუ არა ქართველები ზარმაცები და უნიჭოები—აზრი დაეკარგებაო.

არც ქალთა განათლება ავიწყდებოდა.—ქალთა სასწავლებლის გახსნას მოითხოვდა.

სამაზრო მზრუნველობის სკოლების აუცილებლობაში ვერავინ დაარწმუნა, ვერც მოგვარე ვლადიმერ მიქელაძემ, ვერც ვინმე პ-მ. ერთხელ დაწუნებული და მცდარად მიჩნეული სულ ასეთივე ეგონა და ყველა საპასუხო სტატიაში ერთსა და იგივეს იმეორებდა: „თუგინდ დამახრჩონ, ვერ დავიჯერებ, რომ ქართველი ერის სულიერი და ხორციელი საჭიროებანი თავს მოიყრიან სოლოლაკის პირას ეკლესიაშიო".

ჯერ პ-მ წამოჭრა სამაზრო მზრუნველობის სკოლების საკითხი, მეველე პირველი მას გამოეპასუხა, მერე მის მოწინააღმდეგეს ვლადიმერ მიქელაძეც მიემხრო, მაგრამ „ივერიის" პუბლიცისტი ვერავინ გადაარწმუნა.

ამ ამბებს აკაკიც გამოეხმაურა.

პოლემიკის ნიმუშად გამოდგება მისი სტატია „ცალყბა პასუხი", სადაც დავით მიქელაძე არსადაა ნახსენები.

„ივერიაში" დასტამბულ წერილშიც—„გაზვიადებული პრეტენზია" არც მეველე ასახელებს აკაკის.

ერთიც წერს, მეორეც, უფრო ზუსტად, ერთიმეორეს ეკამათებიან,—აზრსა და პოზიციას უწუნებენ, მაგრამ შეუ-

რაცხყოფას კი არა, გვარ-სახელსაც არსად გააჭაჭანებენ თავიან წერილებში.

აი, როგორ უნდა იწერებოდეს პასუხი, თუ გნებავთ, პასუხის პასუხი.

აკაკიმ—„ივერიაში" დაბეჭდილ წერილს პასუხი არ უხერხდება, მისთვის წინააღმდეგობის გაწევა ისეთივე ძნელია, როგორც ხელფეხშეკრული კაცის ბრძოლა იარაღში ჩამჯდარ რაინდთანო. ალბათ იმას გულისხმობდა—„ივერია"—გამანადგურებელი იარაღი, ფაქტიურად დავით მიქელაძის ხელში რომ იყო. ამიტომაც წარმოედგინა იგი თავით ფეხებამდე იარაღასხმულ რაინდად, გაზეთის გარეშე დარჩენილი საკუთარი თავი—ხელფეხშეკრულად.

აკაკის სამაზრო სკოლის კრებაზე სიტყვაში უთქვამს, რომ ეს სკოლები დიდ სარგებლობას მოუტანდა იმდროინდელ ქართველობას, ამიტომ ვინც მას იწუნებს, მოყვარე კი არა, მტერია ქვეყნისაო.

მტრებში განსხვავებული აზრის მქონეთ შაჰ-აბასი, ლანგ-თემური და იუდაც უგულისხმიათ. აგორებულა გუნდა, რომელიც უკვე ზვავად ქცეულიყო, აკაკის „ცალყბა პასუხი" რომ იწერებოდა.

დავით მიქელაძე სკოლის კრებას არ დასწრებია, დაესწრო სხვა, რომელიც მეველეს აზრს იზიარებდა, მეველეს იქ მომხდარი ამბავი შეატყობინა კიდევ სხვამ, ანუ თვითმხილველისაგან მესამე პირმა, მოკლედ, იქ მყოფი ერთს მოუყვა, იმან მეორეს მოუთხრო, მეორემ მესამეს და ამ უკანასკნელმა დავით მიქელაძეს.

ბუნებრივია, ამბავი გადასხვაფერდებოდა, თოვლის გუნდასავით გადიდდებოდა, მეორე მთხრობელი რაღაცას მიუმატებდა, მესამე კიდევ საკუთარ ვერსიას შეთხზავდა და ასე მივიდოდა ადრესატამდე. მთხრობელები მტერთა რიცხვსაც გაამრავლებდნენ, პირველი ლანგ-თემურით დაკმაყოფილდებოდა, მეორე შაჰ-აბასს დაუმატებდა, მესამე იუდასაც

დაურთავდა პირველი-ორის აზრს და საბოლოოდ დავით მიქელაძის სტატიაში „ვინც“-ში ნაგულისხმევ მტრებში სამივე ერთად გახმიანდებოდა.

ერთ რიგიან კაცს უთქვამს—საზოგადო საქმეს საპირადოში ნუ აურევთ, ხომ გახსოვთ ანდაზა: აქლემები წაიკიდნენ და კოზაკი შუაში გამოსრისესო. აკაკი კითხულობდა „ცალყბა პასუხში“, მაშ, რატომ აქლემად არ წარმოიდგინეს თავი, ამ კაცმა ხომ აშკარად აქლემი უწოდა „ვინც“-ის მათებური გაგებითო.

სხვაც ბევრი რამ ითქვა იმ კრებაზე, მაგრამ ისეთი აჟიოტაჟი არ გამოუწვევია, როგორც „ვინც“-ს.

აკაკი ეჭვობდა, ამ ნაცვალსახელში ვიღაც მეთაურები იგულისხმეს და ამან გააჯავრათო.

მსჯავრს მარადიული შედარებით ანზოგადებდა:

„ჩვენ, ყველა, როგორც მათი მეთაურები, ისე ჩვენიც, ხის ფურცლებად მიგვაჩნია!.. გინდ დიდი იყოს, გინდ პატარა, წრეულ დაცვინდებიან და გაისს სხვა გამოვა მათ ნაცვლად. ხე კი ისევ ხეთა რჩება და ჩვენც იმის ძირსა და ფესვებს მივჩერებივართ“.

ბევრისმთქმელი სიტყვებია.

თუმც აკაკის ამ წერილში მაინც დამოკიდებულებაა თვალსაჩინო და ყურადღებამისაქცევი—მეგობრისა და ახლობლის აზრს არ იზიარებს, სულაც მცდარად მიიჩნევს, მაგრამ მაინც უფრთხილდება მის სახელს, კი არ აბიაბრუებს, ეკამათება, როგორც ტოლფარდ მოღვაწესა და პიროვნებას. მშვენივრად ვიცი, ამ სკოლიდან მეცნიერნი და ფილოსოფოსნი რომ ვერ გამოვლენ, მაგრამ წერა-კითხვა რომ ისწავლოს რამდენიმემ, განა, ეს ცოტაა?

განათლების საჭიროებას რომ გაჰკივით, აი, ამით დავიწყოთ, ვნახოთ...

დავით მიქელაძე სამაზრო სკოლების საჭიროებას ვერ ჩასწვდა.

სხვა საგანზე დაიწყებდა მსჯელობას და უპირველეს ქართველთა განათლების საჭიროებაზე იტყოდა. სწავლების ქართულ ენაზე განხორციელების მოთხოვნასაც მუდამ იმეორებდა—ვასწავლით, მაგრამ რას ვასწავლით, ვერ გებულობენ, ქართულით დავიწყოთ, საფუძვლიანად შევათვისებინოთ და მერე ნებისმიერი ენის დაუფლებას შეძლებენო.

ჩიოდა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოთა სიმცირეზე და საუკეთესო სახელმძღვანელოს ავტორისათვის გასამრჯელოს დაწესებას მოითხოვდა.

საფრანგეთი გერმანიამ იმით დაამარცხა, რომ უკეთესი სასწავლებლები ჰქონდა—ეუბნებოდა თანამედროვეებს და ხშირად, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტსაც, სპეციალურ წერილს უძღვნიდა, რამეთუ კარგად უწყოდა—განათლების საკითხში უმნიშვნელო არაფერი არსებობდა. ექვთიმე თაყაიშვილის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორად დანიშვნას მეველე წერილით გამოეპასუხა. სიხარული ვერ დამალა, ასეთი განათლებული, ქართველი ერის სიყვარულით გულგასენილი, მცოდნე და გულშემატკივარი ადამიანები განანათლებენ ჩვენს ერსო.

უხაროდა წვრილმანიც...

სასიხარულოზე სიხარულს, საწუხარზე წუხილს ვერ მალავდა.

***

გიორგი ლასხიშვილმა გაამხილა „ივერიიდან" დავით მიქელაძის წასვლის მიზეზი. მისი მონათხრობიდან აშკარად ჩანს მეველეს პრინციპულობა, ეროვნული სულისკვეთება, იმდროინდელი „ახალი მიმართულებისადმი" სკეპტიკური დამოკიდებულება. ილიაც ხომ ამგვარად ფიქრობდა, არც ჯეროდა და არც სწამდა იმ ახლებისა, რუსეთის რევოლუციას რომ გაფართოებული თვალებით შესცქეროდნენ, საკუთა-

რი სამშობლოს ყოფა დიდად არ ანაღვლებდათ, ოღონდ იქ და აქ რევოლუცია აბობოქრებულიყო.

თავიდან ჩემს წერილებს თავისუფლად ბეჭდავდა, მაგრამ, მათში გამჟღავნებული რადიკალიზმის გამო, მალე მაგრძნობინა, „ივერიაში" სტუმარი რომ ვიყავი,—წერს გიორგი ლასხიშვილი.

ჩეხთაგან ავტონომიის მოთხოვნას არ თანაუგრძნობდაო—არ ავიწყდება მცდარი აზრი მეველისა მემუარისტს.

მეორე ამბავთან დაკავშირებითაც მართალი ჰგონია თავი, სინამდვილეში მიქელაძის პოზიცია გახლდათ მართებული. ჩინეთ-იაპონიის ომთან დაკავშირებულ წერილში დავწერე—აღმოსავლეთი გამოიღვიძებს და ამაში ამ ქვეყნებს ევროპული დემოკრატია და მუშათა მოძრაობაც წაეშველებათო. დათა აღმოსავლეთის გამოღვიძებაში დათანხმებია—ევროპული დემოკრატია, განსაკუთრებით მუშათა მოძრაობის დახმარება, ხელოვნურად მოჩვენებია, ის დატოვე, ეს ამოიღეო—სავსებით სამართლიანად მოუთხოვია თანამშრომლისათვის. გიორგის უარი უთქვამს და ისიც განუცხადებია ფაქტიური რედაქტორისათვის, რომ ახალ სინამდვილეში—ახალ დემოკრატიასა და მუშათა მოძრაობაში ვერ ერკვეოდა. რას იზამ, იმას საყვედურობს გიორგი ლასხიშვილი, რაშიც მეველე აშკარად მართალი გახლდათ. ეს ახალი სინამდვილე, ევროპული ახალი დემოკრატიაც და მუშათა მოძრაობაც აღმოსავლეთისა და მისი მშობელი ქვეყნისთვისაც დამღუპველად მიაჩნდა.

ილიაც ხომ წინასწარმეტყველივით უარყოფდა. ჰოდა, მეველე სულაც რომ არ ყოფილიყო დარწმუნებული რაიმეში, ილიას ენდობოდა, მისი აზრი გასაზიარებლად კი არა, მიწყივ ᲡᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ პროგრამად მიაჩნდა.

გიორგი ლასხიშვილს უთხრა ის, რასაც ფიქრობდა—ევროპული დემოკრატია და მუშათა მოძრაობა აღმოსავლეთის,

კერძოდ, ომწაგებული ჩინეთის გამოღვიძებაში თითიდან გამოწოვილი აზრი გახლდათ, თუმცა იმჟამინდელ ლასხიშვილელთა ნაფიქრალიდან რომელი იყო ბუნებრივი და მოვლენათა განვითარების კანონზომიერებით ნაკარნახევი?! ყოველთვის ყურით მოთრეულსა და ხელოვნურს ერთგულებდნენ.

გიორგი ლასხიშვილს რედაქტორისაგან წერილის დაწუნება ეწყინა, ოდნავ შეამოკლა და მის დაუკითხავად გაგზავნა სტამბაში. გაგზავნა და დაიბეჭდა კიდეც. ამაშიც იყო თავხედობის ელემენტი. დავით მიქელაძეს სულაც აღარ დაეკითხა, ისე დაბეჭდა მისგან დაწუნებული წერილი.

ადრე დაწუნებული წერილის დაჟინებით დაბეჭდვას ითხოვდა ხოლმე ლასხიშვილი და მეველე ყაბულდებოდა, მაგრამ მერე და მერე ეს დაჟინებები და დაწუნებები გახშირდა. ერთი იწუნებდა, მეორე იჟინებდა, ორივეს უნდოდა, თავისი გაეტანა—ლასხიშვილმა კარგად იცოდა, რომ მეველეს ვერაფრით გადაარწმუნებდა და გვერდს უქცევდა, თვითონვე მიჰქონდა მისგან დაწუნებული წერილი სტამბაში.

საკმარისია „აღვნიშნოთ, რომ თვით ბელადი ამ თაობისა, ილია ჭავჭავაძე აღიარებდა წოდებათა ურთიერთობის დარჩენის საჭიროებას, ვერ ხედავდა თანამედროვე სოციალურ წესწყობილებაში ძირითად ეკონომიურ წინააღმდეგობას"— წერდა გიორგი ლასხიშვილი, რომლისთვისაც მეველეს იგივე შეხედულებაც მიუღებელი იქნებოდა. მასაც მის ბელადთან გააიგივებდა. დავწერეთ, იყო მის მოქმედებაში რევოლუციური თავხედობაც, ფაქტიური რედაქტორის დაწუნებული წერილი სტამბაში მიიტანა და დააბეჭდვინა. ამგვარ ყოფაში იქნებ დავით მიქელაძესაც აღარ გაეძლებოდა, თუ მის მოსაზრებასა და საფუძვლიან შენიშვნას პატივს არ სცემდნენ, უფრო მეტიც, ყურსაც არ აპარტყუნებდნენ მის გამოსასწორებლად, მაშინ ერჩივნა, გაცლოდა იქაურობას.

ლასხიშვილი და მისნაირნი კიდევ იმაზე ფიქრობდნენ, როგორ დაერწმუნებინათ ილია და „ივერია“ ეგდოთ ხელთ.

ერთი იწუნებდა, მეორე აინუნშიც არ აგდებდა.

გიორგი ლასხიშვილი მეგობრებს—კიტა აბაშიძესა და ილია ნაკაშიძეს გაენდო, გადაწყვიტეს, ილიასთვის გაზეთის რედაქტორობა ვთხოვათ, გამოცემასაც ჩვენ მივხედავთ, თუ ბანკის განცხადებებს არ წაგვართმევთო.

ლასხიშვილი გვეუბნება, მეველეს ზურგს უკან ლაპარაკი რომ არ გამოგვსვლოდა და ჩვენს მოქმედებას ინტრიგის ხასიათი არ მიცემოდა, დათასაც „განვუცხადეთ ჩვენი განზრახვაო“. კი განუცხადეს, მაგრამ მეველემ რა უთხრა, არ წერს, მოუწონა თუ დაუწუნა ნაბიჯი თანამშრომლებს, იქნებ სჯეროდა, ილია მაინც უარით შეხვდებოდა მათ სურვილს და მიუშვა ნებაზე. ესენიც მივიდნენ, ესაუბრნენ ილიას, რომლის პირველი სიტყვები ასეთი ყოფილა: „რაშია საქმე? გაზეთი ისედაც თქვენს ხელშია, რისთვის-ღა გინდათ ასეთი ტვირთის აღება?“

ლასხიშვილსა და მის თანამოაზრეებს უთქვამთ დავითთან უკმაყოფილების ამბავი, რომ შეუძლიათ ფული იშოვონ და ახალი თანამშრომლები დაიქირავონ, რომ სურდათ, გაზეთისათვის „ახალი მიმართულება“ მიეცათ.

ლასხიშვილი არ მალავს, ილიამ ხელი ჩასჭიდა ამ ახალ მიმართულებას და დაიწყო საუბარი, რომელმაც თითქმის გათენებამდე გასტანა.

მისულთაგან რომელიმეს აზრი რომ მოსწონებოდა, მოხიბვლას თავი დავანებოთ, ოდნავ მიზანშეწონილად მაინც მიეჩნია მათი ნააზრევი, ბუნებრივია, გათენებამდე არ ილაპარაკებდა. უნდა ვიფიქროთ, ყველაფერს ეცადა, „ახალი მიმართულების“ უბედურება დაენახვებინა მათთვის, ნათელეყო და უეჭველი გაეხადა ის საშიშროება, რასაც ამგვარი თეორიებისადმი ერთგულება გამოიწვევდა. ეცადა, მაგრამ

ვერ გადაარწმუნა, ერთხელ გონებაში ჩაჭედილი ვერ გადაათქმევინა.

პირველად ლასხიშვილს დატაკებია: შენ არ იყავი, რომ წერდი, პარტიებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჩვენშიო, უნდა შევერთდეთ და ერთიანი ძალით მივიტანოთ იერიში, მეც მანდა ვარო.

ლასხიშვილმა, სავარაუდოა, სულაც არაფერი უპასუხა, მოგონებებში კი წერს, წოდებრივ განსხვავებებზე მივუთითეო.

ილიას უთქვამს:

ამ ცოდვილ წუთისოფელში უცვლელი არაფერია, შეიძლება ორასი, სამასი წლის მერე წოდებრიობა მოისპოს, სოციალიზმიც დამყარდეს, მაგრამ მე უფრო ახლო ვიხედები და მჯერა, წოდების წოდებაზე, კლასის კლასზე ამხედრება კარგს არაფერს მოუტანს ჩვენს ხალხს.

მართალი იყო, მაგრამ მარქსიზმის სენშეპყრობილ თანამშრომლებს რას გააგებინებდა. გათენებამდე საუბრის მერეც ის უთქვამს: ნუ აიკიდებთ ამოდენა ტვირთს, ეცადეთ, დავითთან მოაგვაროთ საქმეო. მეორე დღეს კიდევ მიქელაძემ „ოტსტავკა" მოითხოვა, დავიღალე, აღარ შემიძლია გაზეთის გაძღოლაო და ასე მოულოდნელად აღმოჩნდა „ივერია" მიქელაძით უკმაყოფილოთა ხელში.

წერილი დაწერა—„ჩვენებური იეზუიტობა" დაარქვა

რატომ უნდა გახსენებოდა იეზუიტთა ორდენი და მათი მორალური კოდექსი?! უპირველეს, იმის გამო, იმ ხანებში წარმოქმნილმა დასებმა მისთვის მიუღებელი ზნეობრივი ნორმების დამკვიდრება რომ განიზრახეს, მიზანი ამართლებს საშუალებას—სამოქმედო პრინციპად აქციეს. მეველემ ამნაირი ქმედების საწყისები იეზუიტობაში მოძებნა და ვრცლადაც მოუთხრო თანამედროვეებს, რომ მათ დროებაში ზოგიერთებს იეზუიტებისდროინდელი კანონების გადმოღება და დამკვიდრება მოესურვებინათ.

იეზუიტები თვლიდნენ—კეთილი საქმისათვის ყველაფერი დასაშვებია. გულჩვილობის, ჰუმანურობის, სიბრალულის გრძნობით გამსჭვალული ადამიანის ადგილი მათ რიგებში არ იყო. ისინი აკეთებდნენ ყველაფერს, რაც სასურველ შედეგთან მიიყვანდა.

სადაც ასეთი თავგანწირული დამოკიდებულებაა ნებისმიერი საქმისადმი, იქ მდგომარეობა სანუკვარი უნდა იყოს—წერდა მეველე. ერთი შეხედვით, მართლაც ასე უნდა ყოფილიყო. თუ კეთილი მიზანი დაესახათ და ამის აღსასრულებლად ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ, მაგრამ ეს კეთილიც ხომ, უმეტესწილად, ცოდვიანი გზით ხორციელდებოდა—ბოროტებით მომკილი სიკეთეც ბოროტებაა,—არწმუნებდა დავით მიქელაძე თანამედროვეებს.

მართლაც და, როდის შეამჩნია ქართულ სინამდვილეში გაჩენილი, ჩვენი ხასიათისათვის უცხო, სხვათაგან გადმოღებული ეს პრინციპები, რომელთა უადგილობასა და ხელოვნურობაზე არაერთხელ უთქვამს მოდასეთათვის, მათ კიდევ ლასხიშვილივით—თანამედროვე მოვლენებში კარგად ვერ ერკვევითო,—უპასუხნიათ.

იეზუიტთა ორდენის წევრებს საკუთარი მე არ გააჩნდათ, ისინი ატყუებდნენ, ცბიერობდნენ, ქურდობდნენ, ძარცვავდნენ, ყიდდნენ, კლავდნენ კიდეც, მხოლოდ და მხოლოდ ორდენის სახელით. ამიტომ „იეზუიტების ისტორია ერთი უბნელესი და უსასტიკეთ ფურცელთაგანია კაცობრიობის ისტორიაში“.

იეზუიტთა ორდენის წევრები პირადი სურვილისთვის არაფერს აკეთებდნენ, მაგრამ მეველეს ეპოქაში გაჩენილიყვნენ ადამიანები, რომელთაც იგივე მორალური პრინციპები საპირადო დროშაზე ამოექარგათ.

ასეთნი იყვნენ მედასენი, რომელთა საქმიანობის გარეგნული მხარე საქვეყნო და საზოგადო, სარჩული კიდევ—საკუ-

თარი კეთილდღეობისა და საზოგადოებაში დამკვიდრების ჟინატანილი სურვილით იყო განმსჭვალული.

დავით მიქელაძის დროებამ სამნაირი დამოკიდებულება წარმოშვა—ერთნი აღიარებდნენ, რომ „ყოველი საშუალება სამართლიანია საზოგადო ბედნიერებისათვის“ ანუ „გაახლებული იეზუიტები“, მეორენი კიდევ ფიქრობდნენ, კეთილი საქმის მისაღწევად საშუალებაც კეთილი უნდა ეხმარათ, მესამენი იმის მიხედვით მოქმედებდნენ, რამდენად საზოგადო იყო ის საქმე, რისთვისაც უნდა გაეღოთ ყოველივე.

ცალ-ცალკე ახასიათებდა ამ მიმართულებებს, რომლებიც, ფაქტიურად, იმჟამინდელი საზოგადოების ჯგუფებად დაყოფის ანარეკლს წარმოადგენდნენ. წერდა იმაზე, რომ იმ სამიდან მხოლოდ იეზუიტობა „სრულ დღესასწაულობაში გაფურჩქვნულიყო“. ზოგიერთებს საზოგადოებაში დამამკვიდრებელი იეზუიტური მორალი სამოქმედო პრინციპად ექციათ,—ყვლეფდნენ, ძარცვავდნენ, ფულს ივჯიბავდნენ, მაგრამ რომ შეკითხვოდნენ, „დაგავიწყდა განა, რომ შენ ქვეყნის სამსახურს და შველას აპირებდი? მაშინ ეს გადარჯულებული კაცი წარბშეუხვრელად გიპასუხებსთ: დიაღაც იმიტომ ვშვრები ამდენ ბოროტებას, იმიტომ ვაღარიბებ ხალხს, რომ შესანიშნავი ქველის მოქმედება რამე მოვახდინო“, ე.ი. ბოროტებით მოვიმკოთ სიკეთეო.

გიორგი ლასხიშვილს, კიტა აბაშიძესა და ილია ნაკაშიძესაც ასე ეგონათ, ილიას „ივერიის“ გაძღოლის სურვილით რომ ეახლნენ. გავიდა რამდენიმე თვე და ნათლად გამჟღავნდა მათი ზრახვანი—რის და ვის სამსახურში უნდოდათ ჩაეყენებინათ „ივერია“, რას ერთგულებდნენ...

დავით მიქელაძე ჩამოიშორეს და ხელ-ფეხი გაეხსნათ.

„ივერიაც“ დახურვისაკენ დაექანა.

ტყუილად კი არ უწინასწარმეტყველია, იეზუიტური მორალის დამღუპველობა!

***

მეველე ღარიბულად ცხოვრობდა

ღარიბ კაცზე იტყოდნენ—მისი ჯიბე არაოდეს გაკერილაო. მართლაც არასდროს გაკერილა დათა მიქელაძის ჯიბე. მის სახლში საბჭოდ და სამსჯელოდ თავმოყრილი ხალხი რომ ენახა ვინმეს, თან იმ ნადიმსაც შესწრებოდა, მწერლობაზე მუსაიფის მერე რომ იმართებოდა ხოლმე, მდიდარი ეგონებოდათ. მაგრამ თანამედროვეებმა კარგად იცოდნენ, რა დანაზოგებს ხარჯავდა, შემოსავალი საიდან ჰქონდა, სულით მდიდარსა და არისტოკრატს ოღონდ ჰქონოდა, არავისთვის არაფერი ენანებოდა. ხელგაშლით არ უცხოვრია, ღარიბი იყო, თუმც ღარიბულ ყოფაზე არასდროს დაუჩივლ-დაუწუწუნია. პირად წერილებში მეგობრებს თხოვდა, ეხვეწებოდა, ემუდარებოდა, დამეხმარეთო.

მცირე ნაწილი ეხმარებოდა, ზოგს გულით ეწადა, გაემართა ხელი, მაგრამ, თვითონ უქონელს, სხვისი დახმარება რანაირად შეეძლო?! დათა მიქელაძე გასესხებულის დაბრუნებაზეც ეხვეწებოდა ზოგიერთს—კირილე ლორთქიფანიძეს ათი წლის წინათ მისესხებული თანხის მიცემას ეაჯებოდა. ეტყობა, ბევრჯერ შეახსენა, ხშირად სხვისი მეშვეობითაც შეუთვალა, უთხრა, მომეცი ათი წლის წინანდელი მოცემული, მაგრამ იმან,—კირილემ, არ ვიცით, ვალის ხანდაზმულობის ან კიდევ უქონლობის გამო, ვერ შეუსრულა მოთხოვნილი, ან სულაც, ყურიც არ გააპარტყუნა, ათი წელია ელის, კიდევ ელოდოს ცოტა ხანსო—გაიფიქრა. დრო გადიოდა, მისესხებული უფასურდებოდა, დათა მიქელაძის სხვისგან ნასესხები იმატებდა, და იმატებდა, მისი კუთვნილი მცირდებოდა, ცოტა ხანში მარტის თოვლივით გადნებოდა, დაილეოდა, მისი აღებული ვალი კი დევად იქცეოდა—თვალსა და ხელს შუა მატულობდა. ამიტომ სულ უფრო ძნელად გასასტუმრებელი ხდებოდა. დათაც კიდევ—პროცენტებს ფარავდა, ძირითადი თანხა იგივე რჩებოდა, ხშირად პროცენტსაც ვერ ისტუმრებდა, თავნს თავნი ედებოდა...

ბევრი შეხსენება-შეთვლის მერე, ახლა უკვე წერილით თხოვდა კირილეს ნასესხების გასტუმრებას.

—კაცი ვარ, ნუ გიკვირს, „გამაჩნია ხორციელი მოთხოვნილებანი", მინდა ჭამა, სმა, ჩაცმა, დახურვა,—შენ ჩემი ვალი გაქვს, მე კიდევ სხვისი. ამიკლეს იმათმა, დღეში ათჯერ მაკითხავენ. თუ ნასესხებს ვერ მიბრუნებ, მაშინ ჩემი ვალები გადაიწერე. შენ მოგაკითხავენ, ჩემს მაგიერ შენ მოგთხოვენ პასუხს და ოდნავ ამოვისუნთქავ. ქუთაისში ვარ, კარები ამიტალახეს, თბილისში მიდეპეშეს, რაჭაში დავიმალე, მომაგნეს. ცოტა ხანს მაინც შემეხიდე, შე კაი კაცო, მე დავისვენებ და შენ შეწუხდები, თავიდან იქნებ მოგერიდონ კიდეც, ჯიქურ არ დაგეტაკონ, ჩემი უკვე აღარაფერი სჯერათ, იციან, ვატყუებ, არ მერწმუნებიან, სხვას ვეუბნები, სხვას ფიქრობენ, ხათრის ნატამალი შერჩათ თორემ, ნადირივით გამგლიჯავდნენ. თუმც რა ენაღვლებათ, პროცენტზე პროცენტს უმატებენ, ერთს ათასად აქცევენ. შენთვის მოსესხებული უპროცენტოა, ჩემი ნასესხები—პროცენტიანი, მიშველე, გადაიწერე, შეუთანხმდი ამათ და დიდად მადლობელი დაგრჩები...

ამას დაწერდა და კირილეს ხასიათი გაახსენდებოდა. არისტიდედ სახელდებული უსტარს საგულდაგულოდ შეინახავსო—გაივლებდა გონებაში,—დაფიქრდება, იატაკს ჩააშტერდება, იქნება ასე კარგა ხანს, მერე მდორედ აიზლაზნება, ქოლგით ხელში გაივლის და გამოივლის რამდენჯერმე, ერთ მხარეს წასული უკან დაბრუნდება, ჯვარს გამოსახავს სიარულით, ივლის ხმაგაკმენდილი—ბოლოს მშვიდად იტყვის რაღაცას. თეთრ, გაფითქინებულ პერანგს გაისწორებს, იქაურობას მიმოათვალიერებს, თითქოს მტვერს ეძებდეს, სისუფთავის ავადმყოფურად მოყვარული, ისევ დაიწყებს წაღმა-უკუღმა სიარულს, სიარულით ჯვრების გამოსახვას... რისი გამსტუმრებელია, ვალებს რომ გადაიწერდეს, ვინ ოხერი. მერე „თანადროებელთან" შეტევის სურვილი აიტაცებდა:

—შენი ხასიათი რომ ვიცი, არც არავის შეხვდები, არც ჩემს ვალებს დაიწერ კისერზე, რა გენაღვლება, მე მაწუხებენ, მაფორიაქებენ, ამათ ჯიბგირი და ყაჩაღი ვგონივარ, შენ კიდევ,—მართალი და უპატიოსნესი კაცი. ასეა, ძმაო, კირილეო იტყვის ვინმე და, იმწამს არისტიდესაც მოაყოლებენ, ყველასთან მართალს და სამართლიანობისათვის მებრძოლს ჩემთან რატომ გეშლება მაინცდამაინც. თუმც ესეც იღბალია—ბამბის რიგშიც რომ ვიდგე, ჩემს ჯერზე გათავდება. ისე ჩემს ვალებს თუ არ გადაიწერ, რაც უფრო საფიქრალია შენგან, ყოველთვიურად ხელფასიდან 60-60 მანეთი მაინც მომეცი, როცა იქნება, ხომ გამისტუმრებ, მოვისვენებ, მევალეებიც დამშვიდდებიან, ფერფური დაუბრუნდებათო.

ხელფასი თვითონ არ ყოფნის—გაახსენდებოდა „დროებაში“ მუშაობის წლები,—ერთისგან ისესხებდა, მერე მეორეს გამოართმევდა და ნასესხებს ამით დაფარავდა. სესხულობდა, ისტუმრებდა. ყოველთვის ჰყავდა „დროების“ ფაქტიურ რედაქტორს შერჩეული სავარაუდო გამსესხებელი. იმას გამოართმევდა, წინა მსესხებელს მიცემდა. პირობას იცავდა, სიტყვის კაცად იცნობდნენ. იტყოდა, ასრულებდა. დათა მიქელაძეც ამიტომ ენდო, სიტყვაგაუტეხელი და პირობის ერთგული დამცველი კირილე თუ მასთან შეირცხვენდა მაინცდამაინც თავს, როგორ იფიქრებდა? ფულის სესხებიდან ერთი თვე გავიდა, იფიქრა, ალბათ ხელი შეეშალაო, პირველ თვეს მეორე, წელს წელი დაემატა და ასოცი თვეც რომ გავიდა და კირილეს ვალი ისევ დაუბრუნებელი ჰქონდა, იფიქრა, წერილით მაინც მოვთხოვ, წვრილად ავუხსნი ყველაფერსო.

—ამასწინათ მითხარი, ბანკიდან სესხს გამოვიტან და გაგისტუმრებო, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს კაი ხანს არ იქნება. ერთი სიტყვით, მე ვერ მოვესწრები, შენ ღმერთმა დიდხანს გამყოფოს, ფულიც ბლომად გამოგატანინოს, შეგატან-დაგაბრუნებინოს კიდეც. ძმა თუ ხარ და მეგობარი, სხვა მევალეებივით ნუ მიმაგდებ ბოლოში. იმათი იქნებ ბევრი

გმართებს, ჩემი ცოტაა, მე გამისტუმრე და მერე სხვებს მიხედე.

ტყუილად ვეხვეწები—დაიწყებდა ისევ ფიქრს,—არც ბანკიდან ფულის გამომტანია, არც ვალების გადამწერი, ათი წლის წინათ ისესხა და იქნებ ფიქრობს კიდეც, რომ ვაჩუქე. ამდენი ხანი თუ არ მთხოვდა, ახლა რამ გადარიაო, არ გადავრეულვარ, კირილ ბეჟანიჩ, უბრალოდ, მევალეებმა შემომიტიეს. ისინი მე, მე კიდევ შენ გიტევ, ორივენი უშედეგოდ ვირჯებით.

სარკმელში გაიხედავდა. მკათათვის პაპანება იდგა გარეთ. ქუთაისში რომ იხუთებოდა და, მევალეების გამო, რაჭაში ვერ ისვენებდა, ესეც აღიზიანებდა. ყველა სადღაც იყო წასული, მევალეები—დარჩენილი. ან სულაც ვალის დაბრუნების შესახსენებლად ჩამოდიოდნენ, ეტყოდნენ, დაამუნათებდნენ და ისევ გრილ და საამო ადგილს მოძებნიდნენ. ეს იხუთებოდა ქუთაისში. სარკმლის იქით სიცხის თაკარება იხატებოდა, სარკმელს აქეთ ოდნავ გრილოდა, სულს ცოტათი მოიბრუნებდა კაცი. თუმც მევალეებს არც სიცხე, არც ყინვა, არც ქარი, არც ქარაშოტი აკრთობდათ.

იჯდა სარკმელთან და იმაზე ფიქრობდა, როგორ შეეგდო ნამუსზე კირილე ლორთქიფანიძე, რომ ათი წლის წინანდელი მისესხებული მოებრუნებინა.

გარეთ, სიცხეში ბელურის ბარტყი დახტოდა. გადახტებოდა, თაკარაში მოადენდა ზღართანს, აჟივჟივდებოდა და ისევ ჩრდილში გადასკუპდებოდა, მერე მეორე მხარეს გაუტევდა, იქაც თაკარა შეაწუხებდა და ისევ უკან დაბრუნდებოდა. გადახტებოდა წინ, მობრუნდებოდა უკან, ისევ ადგილს დაუბრუნდებოდა და მერე—პირიქით. მეც ასე ვირჯები,—გაიფიქრა სარკმლიდან მაცქერალმა მეველემ,—ხან ვეხვეწები, ხან ვემუქრები, მაგრამ ვალს არავინ მიბრუნებს. კირილეც, ჩემი წერილების წაკითხვის მერე, ამ ბარტყივით დადის წინ და უკან ზურგზე ხელებდაწყობილი.

კირილეც და მეველეც ჰგავდნენ ბარტყს რაღაცით და რაღაცნაირად.

ხან იმასაც ფიქრობდა, ნამეტანი ვეხვეწები, კაცი იფიქრებს, მე მმართებდეს მისი და არა მას ჩემიო, ამიტომ პირდაპირ მიახლიდა,—რომ ვიცოდე, ჩემი ვალის გასტუმრება არ შეგიძლია, გავჩუმდებოდი, არ მოგთხოვდი. სოფელშიც გვარიანი შემოსავალი გქონია მამულიდან, დღედაღამ მუშაობ, ჯამაგირს არ უჩივი. ან გამისტუმრე ან კიდევ ის მაინც მომწერე, რას მიპირებ, რომ მე და ჩემმა მევალეებმა ვიცოდეთ, როგორ მოვიქცეთ.

კირილე ლორთქიფანიძემ წერილის წაკითხვის მერე მართლაც ბევრჯერ გადახაზ-გადმოხაზა ნაბიჯით გრძელი ოთახი. კარადის უკანაც ხშირად გადაიხედა, მაგიდის ქვეშაც გააპარა მზერა მტვრის მაძებარმა. ბოლოს მიაგნო გამოსავალს, ვექსილი გამოართვა ქანანოვს და დათას ვალის გასტუმრების საქმე უსიამოვნების გარეშე მოილია.

ალბათ მეველეც ძალიან იყო მევალეებით შეწუხებული, კირილესაც ბლომად ესესხებინა სხვებისა და სხვებისაგან, თორემ ასე სახვეწარი და გულმოსასვლელი მათ ურთიერთობაში სხვა არაფერი მომხდარა. დათა მიქელაძეს უფრო ამ შინაარსის წერილები უფრენია ხოლმე კირილესთან:

„ძმაო კირილე, თუ დღეს კიდევ სასტუმროში აპირობ ყოფნას, სადილად ისევ ჩვენთან ჯობია მოხვიდე... ორ საათზე გელით“... ამნაირი წერილები მეველეს მეგობართა არქივებში ადვილად შეიძლება მოიძიო, მაგრამ მოდით, ახლა სხვებიც გავიხსენოთ. უფრო გულითად ახლობლებთან საქმიანი მიწერ-მოწერაც ჰქონდა. ნიკო ნიკოლაძეს ყველაზე ხშირად ფულით დახმარებასა და სამსახურის შოვნას ეხვეწებოდა:

ერთი თვე რაჭაში ვიქნები და „ძალიან სიკეთეს მიზამ, ერთ ადგილს რომ დაიჭერდე ჩემთვის როტშილდის სავაჭრო სახლშიდ“. საქმის ერთგულება რომ მჩვევია, კარგად იცი,

არც ჩემგან გამოჩენილი სიბეჯითეა შენთვის უცხო, რად უფრო გამოვდგები, ესეც თვითონ გადაწყვიტე, ისე კარგად მიცნობ, ადვილად გამომიძებნი რაღაც საქმესო.

ნიკო ნიკოლაძეს, ტყიბულის ქვანახშირის ერთ-ერთი მეპატრონე რომ გახდა, პარტნიორობასაც თავაზობდა: ოდესაში ნახშირის გაყიდვის ან ამ ქალაქიდან მისი სადმე გაგზავნის საქმე მე მომანდეო,—ეუბნებოდა. ყიდვისა და გაგზავნის პირობებსაც აყალიბებდა: ოდესაში რა რაოდენობის ნახშირიც არ უნდა მივიღო, მათი ღირებულების ნახევარს, თუნდაც ეს თანხა მილიონი იყოს, მაშინვე გადაგიხდი, დარჩენილს გაყიდვის მერე. ოღონდ გაყიდული ნახშირის 2% უნდა მომცე და დეპოს ქირა ამინაზღაუროო.

არ შემდგარა ეს გარიგება დათა მიქელაძესა და ნიკო ნიკოლაძეს შორის. სავარაუდოა, ამ უკანასკნელს არ მოეწონა შეთავაზებული პირობები და ან დუმილით ან კიდევ ისე უთხრა უარი.

გიორგი შარვაშიძე და დავით მიქელაძე ერთად ნადირობდნენ. მწყერის სეზონისთვის ემზადებოდნენ, ერთმანეთს აცნობდნენ, ვის როგორი ძაღლი ჰყავდა ან კიდევ რანაირი მიმინო. მათი წერილები გარეგნულად სახალისო, სინამდვილეში ცუდ დროებაზე სავალალო და სადავიდარაბო განწყობილებისაა. ესმოდათ ურთიერთის სურვილი და მიზანიც ერთი ჰქონდათ, იცოდნენ, რა უჭირდა მათ სამშობლოს და დამპყრობთაგან გამოხსნის გზებს თავაზობდნენ თანამედროვეებს.

ოდესიდან ერთი კვირის წინათ ჩამოსულ გიორგის დათა ენატრებოდა: ქუთაისში შეხვედრა, შენთვის ცნობილ მიზეზთა გამო, არ მინდა, ამიტომ ან შენ ჩამოდი სოხუმამდე ან სადღაც შუა გზაზე შევიყაროთო,—წერდა.

ზოგს შუა გზაზე ხვდებოდა, ზოგი აქეთ მოდიოდა, ზოგს კიდევ თვითონ ესტუმრებოდა ხოლმე. ბევრი მეგობარი და

გულის მესაიდუმლე არ ჰყავდა, ვინც იყვნენ, მართალი გულისა და ნაღდი სულის პატრონები გახლდნენ სუყველანი.

ილიასა და აკაკისაც ემეგობრებოდა. ლაკონურად რომ ვთქვათ, უფრო მათი იდეებისა და სურვილების გუშაგად მიაჩნდა თავი...

მათდამი სიყვარულსა და კრძალვას უფრო თავის ლიტერატურულ სალონში ამჟღავნებდა. პირდაპირ ვიტყვით— მემუარისტები ქუთაისში დავით მიქელაძის სახლს ლიტერატურულ სალონად მოიხსენიებენ. აქ იკრიბებოდნენ, იხილავდნენ, აფასებდნენ. იშვიათად მწერალთან შეხვედრით კმაყოფილდებოდნენ—წააკითხებდნენ ავტორს ლექსებს და მორჩა, უფრო ხშირად, უკამათნიათ, უმსჯელიათ არაოდენ ლიტერატურაზე, უფრო ქვეყნის საჭირბოროტო ამბებზე, პიროვნებებზე, პოლიტიკოსებზე, უმეტეს—ქართველთა სავალალო ყოფაზე...

შეიკრიბებოდნენ ლექსების მოსასმენად და პოლიტიკური ამბებით განასრულებდნენ ან პირიქით,— ქვეყნის მდგომარეობის მიმოხილვით დაიწყებდნენ და ლექსების ან სხვა თხზულებების განხილვა-შეფასებით დააბოლოვებდნენ.

ხან ასე, ხან ისე.

იყო ლიტერატურული სალონები იმდროინდელ ქუთაისში, სადაც პოლიტიკაზე კრინტსაც არ დაძრავდნენ, ნიკო ნიკოლაძის დებთან, ქორქაშვილებთან, ბეჟანეიშვილთან და სხვებთან ქვეყნის ამბებზე არაფერი ითქმებოდა, მარტო ლიტერატურა აინტერესებდათ, მეველესთან კი .პირიქით, მწერალსაც სახელმწიფო მოღვაწედ აქცევდნენ, ლექსებსა და სხვა თხზულებებსაც პოლიტიკური ელფერით მიმოიხილავდნენ—აქ ამას ხომ არ გულისხმობთ, იქ იმას გუმანობთ ალბათ — შეეკითხებოდნენ და, თუ მათი ვარაუდი გამართლდებოდა, უხაროდათ, გამოვიცანით მწერლის გულსნადებიო.

დავით მიქელაძე იყო ასეთი, მის სალონშიც მისნაირებს

მოეყარათ თავი, უფრო პოლიტიკური შეფერილობის თხზულებები აინტერესებდათ.

აკაკი მიდიოდა ხშირად.

გრძელწვერა მელიას ეტლი მეველეს სახლთან დადგებოდა თუ არა, უმალ იცოდნენ, ვინ იყო სტუმრად. წელში მოუხრელად, დინჯად ჩამოდგამდა აკაკი კოფოდან ფეხს, მეეტლეს ფულს ღიმილით გაუწოდებდა და მასპინძელიც ჭიშკარს გარეთ იყო უკვე.

უხაროდათ აკაკის სტუმრობა.

სხვას უწუნებდა, თორემ თვითონ—დავით მიქელაძე და აკაკი ხშირად თამაშობდნენ ჭადრაკს. მეველე უგებდაო, ვერ ვიტყვით, ხან ერთი ჯაბნიდა, ხან მეორე, თანაბარი დონის მოთამაშენი იყვნენ—გვეუბნებიან თვითმხილველნი, რომელთაც ისიც არ ავიწყდებათ, რომ მათი შერკინება ხშირად გვიან ღამემდე გრძელდებოდა. აკაკის ჩვეოდა, ერთი-ორი პარტიის მოგება-წაგებით არ კმაყოფილდებოდა, დაიწყებდა და სულ უნდოდა ეთამაშა. ბანქოს, ფულის გათავების გამო, ანებებდა თავს, აქ კიდევ ვინ ჰყავდა დამშლელი, თამაშობდა და თამაშობდა, იგებდა, აგებდა; მოგებულიც აგრძელებდა, წაგებულიც მთელი შემართებით ერკინებოდა.

ხშირად უხუმრიათ, ლიტერატურული კი არა, საჭადრაკო სალონიაო. აკაკი და დათიკო თამაშობდნენ, თან აზრებს უზიარებდნენ ერთმანეთს, ჭადრაკს თამაშობდნენ, მწერლობაზე ლაპარაკობდნენ, ხან ეს, ხან ის იტყოდა რაღაცას, იშვიათად, მაგრამ მაინც ერთმანეთს უწონებდნენ ან შეუქებდნენ ნათქვამს, უფრო თვალების მოჭუტვითა და ჩაღიმილებით გამოხატავდნენ ერთმანეთისადმი კმაყოფილებას.

—გახსოვს, საახალწლო გამოცანებში რომ გაგვაშარჟე?—ეტყოდა დათა.

აკაკი თვალებს მოწკურავდა, მოსაუბრეს ღიმილით გახედავდა და მოკლედ უპასუხებდა:

—მახსოვს!

დათა გააგრძელებდა:

„ივერიამ“ აგვირია
ყველას გზა და კვალი,
აღარ ვიცით, სად მივყავართ,
ვაი, ჩვენი ბრალი!
წინამძღოლად გამოსულან
„ფირუზა“ და „ლალი“,
ერთი ბრმაა, ერთი კოჭლი!
ვაი, ჩვენი ბრალი!
„ნახირ-ნახირ“ იძახიან
„მეველე“ და „ნალი“,
მოედანიც იმათ რჩებათ,
ვაი, ჩვენი ბრალი“!

ლექსის ამ ნაწილს ჩაათავებდა თუ არა, გამომცდელი თვალებით შეეკითხებოდა:

—ფირუზა რომ ილიას ფსევდონიმი იყო, როგორ არ იცოდი?!

—ჩემო დათიკო,—ქადრაკის დაფას დაშტერებული ეტყოდა აკაკი, —შენ გგონია, ფსევდონიმების დამახსოვრების მეტი საქმე არა მაქვს, ილიასიც იყო, ვოლსკისიც, ჰოდა, იმ ლექსში ვოლსკი ვიგულისხმე.

—ცუდი მახსოვრობა გქონია!—გაკენწლავდა დათა.

—მშვენივრად მახსოვს, შენი წინადადებით საადგილმამულო ბანკმა 1500 მანეთი რომ დამინიშნა პენსია. კი დამინიშნეთ, მაგრამ რათ გინდა, არ მაძლევდით...

—ათასხუთასი მანეთი დიდი ფული იყო, ამდენივეს იღებდა ბანკის დირექტორი...

—დიდსა და აუღებელს პაწიაზე პაწია მირჩევნია.

—თუ აიღებდი, ფანტავდი, ხან სტუდენტებს ეხმარებოდი, ხან ვის და ხან ვის.

—„უფულენციას ინლუენცია“ სჯობია.

ამას იტყოდა თუ არა, დათა მიაყოლებდა:

„ეს ორი სენი ყველასთვის,
სწორედ მუნი და ქეცია,
„უფულენცია“ ალრჩობს ზოგს
და ზოგსაც „ინფლუენცია“,
მე კი გადავრჩი იმ ძველ სენს,
დანიშნული მაქვს პენცია,
მაგრამ სანამდე მომცემდნენ,
გამგუდავს „უფულენცია“.

—გამგუდა და ეგაა—, დანანებით იტყოდა.

აკაკიმ 1912 წელს ბანკის კრებაზე წარმოთქვა და მერე გაზეთ „თემშიც“ დაბეჭდა სიტყვა, რომელიც მთლიანად პენსიის ამბავს მიუძღვნა.

1889 წელს ბანკის დირექტორს ირჩევდნენ. გამგეობის წევრებს მოულოდნელად აკაკიზე შეუჩერებიათ არჩევანი, მაგრამ მას უარი უთქვამს, არა იმიტომ, რომ დირექტორობა გაუჭირდებოდა, უფრო იმის მომიზეზებით, ორი საქმის ერთად კეთებას ვერ შევძლებ, არ მინდა, ერთ ხელში ორი ნესვი მეჭიროს, ჩემი პოეტობით აქამდეც უანგაროდ გემსახურებოდით, მომავალშიც ასე ვაპირებო.

ამ სიტყვების მერე დავით მიქელაძე წამომდგარა და განუცხადებია გამგეობის წევრთათვის—უფალ აკაკის დირექტორობას ნუ დავაძალებთ, მაგრამ უმადურნიც ნუ ვიქნებით, დირექტორის ხელფასი—1500 მანეთი—მთელი სიცოცხლე დავუნიშნოთ პენსიად.

ამ ამბავს დიდი აღფრთოვანება გამოუწვევია, ქართველთმოძულე გაზეთ „ნოვოე ვრემიასაც“ მოწონებია, მთავრობაც კმაყოფილი დარჩენილა.

გავიდა ერთი თვე და აკაკიმ პენსიის ასაღებად მიაკითხა ბანკს.

—პენსია წლიურად დაგენიშნათ, ბატონო, ამიტომ დეკემბრის ბოლოს უნდა მობრძანდეთ.— უპასუხეს.

სხვა რა გზა ჰქონდა, დაელოდა წელიწადის გასრულებას და ისევ მიაკითხა.

—თქვენი პენსია მევალემ აიღო, ბატონო.

მეტი მევალე არ მყავდა და იმით ვინუგეშე თავი, გაისად ხომ მაინც ავიღებო,—წერს აკაკი.

გაილია კიდევ ერთი წელიწადი. ახლა უკვე მესამედ მივიდა პენსიად დირექტორის ხელფასდანიშნული აკაკი ბანკში.

—გამგეობის წევრთა გადაწყვეტილებით, პენსია მევალემ აიღო,—უპასუხეს ისევ.

აკაკი ჩაფულიანებას ელოდა, ისინი ცივ წყალს ასხამდნენ, პენსიით პოეტის რამდენიმე მევალეს ისტუმრებდნენ.

საქმე სამსჯავრომ ე.ი. სასამართლომ განიხილა. გაირკვა, გამგეობის წევრები არასწორად იქცეოდნენ—მევალისათვის პენსიის ორ მეხუთედზე მეტის მიცემა არ შეეძლოთ, თანაც ერთ-ერთს ყალბი ვექსილით ჩაეჯიბა აკაკის ნალოდინევი პენსია.

ამის შემდეგ 13 წელიწადი არაფერი მიუციათ. მართალია, ჰქონდა დანიშნული პენსია, მაგრამ არ, ან ვერ აძლევდნენ, მევალენი ჩამდგარიყვნენ რიგში.

პენსიას არ მაძლევთ, თქვენს ბანკში დაგირავებული მამული მაინც გამომიხსენით,—თხოვა ბანკს აკაკიმ.

გამოუხსნეს, ე.ი. დაუბრუნეს.

ეს ამბავიც თოვლის გუნდასავით აგორდა და ზვავად იქცა.

ხალხში ხმა გავრცელდა—ჩიოდა აკაკი,—თითქოს ბანკებს ვძარცვავდე, ჯერ ერთში დავაგირავებ მამულს, ავიღებ ფულს, შევეხვეწები, უსასყიდლოდ გამოვახსნევინებ, მერე მეორე ბანკში იგივეს გავაკეთებ და ა.შ. მართალია, ერთხელ დამეხმარნენ, მაგრამ მამული პენსიის სანაცვლოდ დამიბრუნეს, შვიდას თუმანში ათას ორასი თუმანი ჩაითვალესო.

დავით მიქელაძისგან ბანკის კრებაზე თქმულიდან და ყველასაგან მოწონებული ამბიდან 23 წელი გასრულებულიყო. აკაკი ისევ პენსიას ითხოვდა, თუ მაძლევთ, მომეცით, თუ არადა, ის მაინც თქვით, პენსია კი არა, „ენუქას ანდერძი" იყოო.

არც ბანკი იყო მართალი, არც აკაკი, რომელსაც იმდენი მევალე ჰყავდა, რომ მათ გასტუმრებას კიდევ ერთი პენსიაც არ ეყოფოდა, ამიტომ ყველანი ბანკის მოხელეებს თხოვდნენ, როგორმე პენსიიდან დაეფარათ პოეტის ნასესხები ...

ერთი რამ შეიცვალა აკაკის ცხოვრებაში—ფულს ადვილად სესხულობდა, პენსიის ხსენება საკმარისი იყო გამსესხებლის მოსათაფლად.

გარეგნულად მართლა „ენუქას ანდერძად", ცარიელ სიტყვად ჩანდა აკაკის პენსია, სინამდვილეში ვალების ბლომად აღება შეეძლო უკვე. ისესხებდა და ბანკიც აგერ იყო, თუმცა მერე პენსიაც მოუნდებოდა და მევალეზე უფრო მე მჭირდებოდაო,—ამუნათებდა ბანკის მოხელეებს.

მეველე უყვარდა, მევალე—არა.

პენსია კი არა, ენუქას ანდერძია,—ხშირად უთქვამს დათასთვის.

—მაინც კარგია, მევალეს ხომ ისტუმრებ,—შეეპასუხებოდა მეველე.

—კიდეც მაქვს და არც მაქვს, ამას გაღმა ქონა-ყოლაც არ ჰქვია,—გააგრძელებდა აკაკი.

პენსიაზე მუსაიფის მერე ისევ ჭადრაკის ფიგურებს ჩააშტერდებოდნენ, მცირე ხნით ჩაჩუმდებოდნენ.

თამაშობდნენ, არ იღლებოდნენ, არც თამაში, არც მუსაიფი ბეზრდებოდათ.

აკაკიც იმ დროს მოისურვებდა ჭადრაკის თამაშს, თუ შინ მარტო დათა დახვდებოდა, სხვა დროს დამხვდურებს ებაასებოდა, ზოგს აქილიკებდა, მცირეს აქებდა, უმრავლესს აძაგებდა. მოსწრებულ სიტყვა-პასუხს უცვლიდნენ ერთმანეთს, იტყოდა, ეტყოდნენ, პასუხს პასუხი მოსდევდა,

ძნელი იყო, რომლის ნათქვამი გახლდათ უფრო ბასრი ან კიდევ რომელი უფრო გესლიანი და მახვილგონივრული.

შეჯიბრი გეგონებოდათ მოსწრებული სიტყვა-პასუხის მიგებაში...

აკაკის სტუმრობისას განსაკუთრებით ფაღავები და მიქელაძეები აქტიურობდნენ. ხანდახან თვითონვე ქმნიდნენ სასაცილო სიტუაციას, საკუთარ თავს ამასხარავებდნენ, ამით აიყოლიებდნენ სხვებს, ჩაითრევდნენ საუბარში და მერე ისეთ სარმას გამოსდებდნენ, რომ...

ხან ფაღავები ჯაბნიდნენ ნიკოს მეთაურობით, ხან კიდევ მიქელაძეები დათიკოს თავკაცობით. აკაკის თანდასწრებით ენად გაიკრიფებოდნენ, თუმც მგოსანს ხშირად ისე გაუკენწლავს ერთნიც და მეორენიც, რომ უმალ გაკრთომიათ პასუხის მიგების სურვილი.

პიპინია მიქელაძისა და სერგია ერისთავის ოხუნჯობებზე სიცილს ვერ იკავებდნენ, ჩაბჟირებამდე ხარხარებდნენ, ხარხარებდნენ გულიანად, მადიანად... ჩათავდებოდა სიტყვა-პასუხი და კოკინია მიქელაძე შემოსძახებდა პირველს: ლეკებმა რომ დამიჭირეს, დამდეგ იყო მკათათვისა, —მეორეს ბონდო მიქელაძე მიაგებებდა, მერე კოტატი შუბლაძე და მინა ბოლქვაძე გაუტევდნენ, მაგრამ რას გაუტევდნენ, გეგონებოდა, სახლს ჭერი აეხდება, ცაში აიჭრება ამათი მღერითო.

მღეროდნენ ლაღად, კოტატი—ბონდოს, მინა—კოკინიას ჩაშტერებოდა თვალებში. გეგონებოდა, მზერით ერთმანეთს რაღაცას ანიშნებენო. მერე მისამღერის დროს თვალებს ხუჭავდნენ და გალობდნენ მზერადახშულნი, თითქოს სმენას დაეპყრო მთელი სხეული და ამის გამო მზერა აღარ გახლდათ საჭირო, ხელსაც უშლიდა.

მღეროდნენ, გალობდნენ...

აკაკიც ხშირად უსმენდა...

მეველეს ლიტერატურული სალონი ამითაც განირჩეოდა სხვათაგან.

ნებისმიერი თავყრილობა ლხინით სრულდებოდა, ენაკვიმატობდნენ, სვამდნენ, მღეროდნენ...

მეველე იყო თამადა, სუფრაზე დენდი—უმაღლესი რანგის არისტოკრატი—ხშირად გრიგალივით სიტყვად და ბგერად გარდაისახებოდა ხოლმე.

კოლაუ ნადირაძის სიტყვებია:„საქართველოში დენდიზმის ისტორია, მე ვფიქრობ, ალექსანდრე ჭავჭავაძით უნდა იწყებოდეს, ხოლო ჩემი დროის ქართული დენდიზმის წარმომადგენლებად შემიძლია დავასახელო: კონსტანტინე ერისთავი, ულამაზესი კაცი დათიკო მიქელაძე...“

იდგა ულამაზესი დათიკო მიქელაძე სულითა და ხორცით ულამაზეს თავადებში და ამბობდა მტრების დაქცევისა და მოყვრების აშენების სადღეგრძელოს.

შიგადაშიგ კოკინია შემოსძახებდა: ლეკებმა რომ დამიჭირეს, დამდეგ იყო მკათათვისა... იღვრებოდა საუცხოო ხმები... ლეკებმა რომ დამიჭირეს, დამდეგ და ა.შ. და ა.შ. თამადობდა ულამაზესი კაცი, დენდი—დათიკო მიქელაძე.

ერთ ლიტერატურულ საღამოს ნიკო ლორთქიფანიძე იგონებს.

იმ დღეს მეველესთან თავშეყრილთა შორის ბავშვებიც ბლომად ყოფილან. ზოგს წაკითხული ჰქონდა თურმე უფროსების თხზულებები, ზოგს კიდევ მოესმინა ან გაეგონა. ისმენდნენ ბავშვები აკაკისა და სხვათა ისეთ ლექსებს, რომელშიც სამშობლოს რუსთაგან თავდახსნის იდეა იყო გამძაფრებული, ასეთ თხზულებებს უფროსები ჩუმი ნაღველითა და ამოხვნეშით კითხულობდნენო...

წაიკითხავდნენ და გულსაც ამოაყოლებდნენ, აგრძნობინებდნენ მსმენელს დედააზრს თხზულებისა, დაარწმუნებდნენ ქვეყნის თავისუფლების აუცილებლობაში, ხანჯლის შებმის საჭიროებაში, ოსმალთაგან თავდახსნაში რუსეთს ამოაცნობინებდნენ.

უფრო აკაკი კითხულობდა, გურიელიც-ხშირად ენაცვლებოდა თურმე: „გაფაციცებით ვისმენდით მ. გურიელისაგან

წაკითხულ „ალავერდის“ ან ალ. ყაზბეგისაგან წარმოთქმულს—„სამშობლო ხევსურისას.“

მამია გურიელის ხმა ზუსტად და ზედმიწევნით ჩარჩენია ხსოვნაში. ნიკო ლორთქიფანიძე მოგონებას კარგა ხნის მერე წერს, მაგრამ ისეთი შტრიხით გამოკვეთს ფაზელის ხმას, რომ, როგორც ეტყობა, ისე შთამბეჭდავად და ხატოვნად ჩაეკირა გონებაში, მიწყივ ახსოვდა—„ლაპარაკობდა თავისებური სიდინჯით, თითქოს სიტყვები სხვა ქვეყნიდან მოდისო.“ ასეთ ხმაში თავადური სიდინჯეც, სიდარბაისლეც, მთავრული სევდაც იკითხება, თითქოს იმ საუკუნის კი არა, გურიელთა ერთ-ერთი მემკვიდრე, წინა ეპოქების გაცოცხლებული პიროვნება ელაპარაკებოდეს ბავშვებს, ელაპარაკებოდეს ისე დანანევრებით, რომ ამათ სხვა ქვეყნიდან წამოსულად მიაჩნდეთ მისი სიტყვები.

მოქმედებაც გასული საუკუნისაა—იმ დროში ბავშვებს მკლავს არავინ უსინჯავდა, უმეტესად ქვეყნის თავდამხსნელს კი არა, იმპერიის ერთგულს ზრდიდნენ. ჰოდა, ბავშვებისათვის მკლავის მსინჯავი და ახლომყოფთათვის „დახე, რა მკლავი აქვს... ვერ გასწევს კახაბერობას!“ მთქმელი შორეული საუკუნეების მოჰიკანს ჰგავდა.

ნიკო ლორთქიფანიძე-ბავშვსაც ისეთი შთაბეჭდილება ჩარჩენია, უფრო შორეულ, მითიურ არსებათათვის მიუმგვანებია—წვრილი, გამხდარი, სახემოქუფრული და მოღუშული, გრძელთითებიანი და მოუქნელყვითელფრჩხილებიანი მამია ბოროტ სულად მოჩვენებია.

ჰგავდა ბოროტ სულს და ამიტომაც გვეშინოდა მისი—მოჩხუბარიძის სახეც არ იყო მიმზიდველი, მასაც მამიას დარად აღვიქვამდითო.

სამაგიეროდ აკაკი ხიბლავდათ—ღვთიური სახე, კეთილი გამომეტყველება, მიმნდობი და გულუბრყვილო იერი, მეგობრული საუბარი, ტკბილი და გულში ჩამწვდომი სიტყვები მგოსნისა კიდეც ხიბლავდა და კიდეც აღაფრთოვანებდა

ბავშვებს. ვილაცას აკაკისათვის მისი ლექსი „ქართველი უცხოეთში“ წაუკითხავს, მას კიდევ ფაზელისთვის უთქვამს: „შეხედე, ამათაც იციან!“ ორნაირად შეიძლება გავიგოთ ნათქვამი: დიდებს გარდა, ბავშვებმაც იციან ეს ლექსიო და კიდევ, ამათაც უწყიან ცუდისა და კარგის გარჩევაო. აკაკი ისე აღფრთოვანებულა ლექსის მოსმენით, რომ მთელი საღამო ბავშვებთან დარჩენილა.

ვილაცას უთქვამს კიდეც მგოსნისათვის:

„—რა ბედნიერი ხარ, რომ ბავშვებს აგრე უყვარხარ“.

„—წამოიზრდებიან თუ არა, ზურგს შემომაქცევენ“,—უპასუხნია ოდნავ დაღვრემილს.

მგრძნობიარენი არიან დიდი ადამიანები, რაც უნდა უზომო სიყვარული გაამჟღავნო მათდამი, მაინც ეჭვის თვალით უყურებენ ყოველივეს—დაასკვნის ნიკო ლორთქიფანიძე.

ეს ერთი ლიტერატურული ან შეიძლება სულაც რაღაც სადღესასწაულო სტუმრობა უნდა იყოს მეველის ოჯახში. ამ ამბავში სახლის პატრონი არსად ჩანს, მაგრამ იგი აკაკის და ფაზელის უფრო მეტად პოლიტიკურ სარჩულიანი ლექსების წაკითხვის დროსაც უნდა ვიგულისხმოთ, ბავშვების თამაშის ჟამსაც, ერთი სიტყვით, ყველგან, რამეთუ დათა მიქელაძის სახლში ხდებოდა ეს ამბავი, იგი იყო ყველაფრის თავი და ბოლო.

ლიტერატურული თუ სხვა თავყრილობები „უშგულით“ სრულდებოდა.

დასჭექდა კოკინია, აყვებოდნენ სხვები, ოდნავ ბახუსმორეული დათა მიქელაძეც მისცემდა ბანს, გამორჩეულად უყვარდა ეს სიმღერა და თანამეინახენი მისი დაგუგუნებით იშლებოდნენ. მიდიოდნენ მღერით, სვანური გვრინით, მიჰქონდათ ხმები, ფიქრი,—ქვეყნის გადარჩენის ფიქრი.

დენდის—დათიკო მიქელაძის ბანიც სადღაც იკარგებოდა.

თავი მეცხრე

ყავახანაში მოთხრობილი ამბავი

პარიზში, ყავახანაში ყავას მიირთმევდა, თან იქამდე ჩაღწეულ „დროებას“ ათვალიერებდა. მივიდა ვიღაც კაცი, ჩამოუჯდა მაგიდასთან და ჰკითხა:

—ქართველი ხარ?

—დიახ, ქართველი გახლავართ, თქვენ?

—მე, შვილო, ოსმალოს საქართველოდან ვარ—თქვა და დაიწყო თავგადასავალის თხრობა.

დავით მიქელაძეს უნდა, მოთხრობილ ამბავს მეტი დრამატულობა შესძინოს. ამიტომ ხდება იგი უცხოეთში, თურქეთის ქართველთა ამბავზე ჰყვება იქიდან საფრანგეთში გადახვეწილი ქართველი კაცი. ეს აქედან—საქართველოდან იქით წასული, ისიც ძველი საქართველოდან ფრანგთა ქვეყანაში ჩასაფრანგეთებული ერთმანეთს შეხვდებიან და გაუბამენ მუსაიფს.

ოსმალოს საქართველოს, თურქეთის საქართველოს და მისდაგვართ, ფრაზებს, სტატიაში რომაა გამოყენებული, ჩვენც პირობითად ვხმარობთ, თორემ მეველეს მსგავსად კარგად გვესმის ისტორიულად მათი საქართველოსთვის კუთვნილების საკითხი.

ყავახანის ამბავს მივუბრუნდეთ.

აქეთ დაპყრობილი და იქით მიტაცებული საქართველოს ბედი ჰგავს ერთმანეთს. აქაც, იქაც დამპყრობელი ბატონობს, ქართველთა ნებისაებრ არც აქ, არც იქ არაფერი ხდება.

ამიტომ შესაძლებელია იმ კაცის თავგადასავალი სულაც მისტიფიკაცია იყოს,—რამეთუ მასში აშკარად აქაურობაც

და იქაურობაც იგულისხმება ერთდროულად, თუმც ამბავი შეიძლება კონკრეტულია, კონკრეტულ დროსა და სივრცეში განფენილი, მაგრამ, ვიმეორებთ, სიმბოლურად აქეთ-იქითობის ამრეკლავი. რაც შეეხება მოქმედ პირებს, ისინი გამოგონილია: ყაზილარ-ფაშა, ახმახ-ფაშა, მელა-ფაშა და სხვები ისტორიული პიროვნებანი არ არიან, თუმც იმდროინდელი ისტორიული პირებიდან პროტოტიპი ეყოლებოდათ—ყაზილარ-ფაშას ყაზილარობით, ახმახ-ფაშას ახმახობით, მელა-ფაშას კიდევ მელაკუდას მსგავსი ცბიერებითა და ეშმაკობით გამორჩეული.

ამბავის სიმბოლურობას წერილის შესავალიც აფიქრებინებს კაცს—არავინ იცის, რა ისტორიულმა უბედობამ მოწყვიტა საქართველოს მისი კუთვნილი მიწა-წყალი. ისიც ცოტამ უწყის, რომ იქით ასი ათასზე მეტი ქართველი ცხოვრობს და კიდევ, მათი ბედი ხომ უცნობზე უცნობია ჩვენთვისო.

ისტორიული ამბების მცოდნეებს მშვენივრად მოეხსენებოდათ, რა უბედური ვითარების გამო დაიკარგა საქართველოს ძირ-ძველი მიწა-წყალი, ისიც არ უნდა ყოფილიყო უცხო, რა ხდებოდა იქითა საქართველოში?! მაგრამ მეველეს ამბის გაზვიადება ერჩივნა, რუსთა ხელში საქართველოს სამომავლო საუბედურო ყოფა რომ დაეხატა ქართველთათვის.

უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ოსმალთა ბატონობის აქცენტირება, მათგან თავდახსნა, რუსთა ბორკილების მსხვრევასა და განთავისუფლებას ნიშნავდა. იმჟამინდელი ოსმალო საქართველოს ცხოვრების დასურათხატებით კი მომავალ უბედურებას უწინასწარმეტყველებდა რუსთა ხელში ქართველობას წერილის ავტორი.

თქვენი იმედი გვაქვს, უნდა შევერთდეთ, გვიშველოთ, ჩვენი გული თქვენი სიყვარულითა და ერთგულებით ძგერს, ოსმალო საქართველოს თქვენზედ აქვს სასოება და ცისქვეშეთში, თქვენს გარდა, იმედის თვალით არავის შესცქერის.

ღმერთმა ნუ ქნას, რომ ერთმანეთს სამუდამოდ დავშორდეთ—ეუბნება ყავახანაში შემოსული ქართველი დავით მიქელაძეს.

საქართველოს თავისი თავისთვის ვერ ეპატრონა, დიდი ხნის წინათ მოკვეთილი ღვიძლი ნაწილიც შველას თხოვდა. და მაინც, იმ ტირადაში, რაც ოსმალოს ქართველმა მეველეს უთხრა, უმთავრესი საერთო ენის გამონახვა და აქეთ-იქითა ტკივილის შეერთებისკენ სწრაფვის წადილია. აქვე ვიტყვით, დავით მიქელაძის ფიქრით, მონობა შესაძლოა საუკუნეებიც გაგრძელდეს, მაგრამ მთავარია, ერი არ გადაგვარდეს და მოსალოდნელ თავისუფლებას მზადმყოფი შეეგებოს, აქეთურნი—რუსთაგან, იქეთურნი კიდევ თურქთაგან განთავისუფლებას. ამიტომ ერთობას თავისუფლების სამზადისისათვის უპირველეს ინსტრუმენტად სახავდა. განსხვავებასაც ხედავდა აქეთურ და იქეთურ ყოფაში. იქეთურებს მოციქულებრივი განზრახვით უნდა ემოქმედათ, აქეთ კიდევ ბრძოლის სხვა საშუალებაც არსებობდა, ოღონდ ერთსულოვნება გაჩენილიყო. თორემ აქაური იქაურ ქართველს დაემგვანებოდა, რომელთა დიდ ნაწილს აღარც ენა ახსოვდა, არც წეს-ჩვეულება, პირიქით, სხვებსაც სათურქოდ განაწყობდა.

მეველესთან მოსაუბრე კაცი ყაზილარ-ფაშას მარწუხებს გამოქცეოდა—მერე სხვადასხვა ქვეყნის თავისუფლებისათვის იბრძოდა, ევროპაში თუ რომელიმე ერი დამპყრობლის წინააღმდეგ ხმას აიმაღლებდა, იმ წამს მათთან გავჩნდებოდიო, ამით სტატიის ავტორი ამბობს, ქართველებში თავისუფლების სული არ ჩამკვდარა.

თურქეთის ქართველებსაც ჰქონიათ რაღაც უფლებები. შეეძლოთ სანდო კაცების არჩევა, რომლებიც ფაქტიურად შუამავლები იყვნენ პირველ ვეზირსა და იქაურ ქართველებს შორის. სანდო კაცები ეტყოდნენ გასაჭირს ქართველებისა, რომელთაგან ზოგი სრულდებოდა, ზოგი—არა. მთქმელზეც ბევრი იყო დამოკიდებული, შემსრულებელზეც. ყოფილან

ისეთნი სანდო კაცნი, რომელთაც უგვანო და უჯიათ ხონთქრებთანაც მოუხერხებიათ სათავისო საქმის კეთება, ისეთებიც გამორეულან, ხელი რომ შეუშლიათ.

სურვილი ჰქონდათ, სანდო კაცები გამხდარიყვნენ, დაპირებებს დაახვავებდნენ. აირჩევდნენ და მერე სათურქო საქმეს უფრო აკეთებდნენ, ვიდრე ქართველთათვის საჭიროსა და სასარგებლოს.

ისეც მომხდარა, მათთვის სასურველი ვინმე ვერაფრით აურჩევიათ, ვინც სულთანს აწყობდა, ის გამხდარა სანდო კაცი.

ნიმარ-ბეი ამოვირჩიეთ—ყვებოდა ოსმალო საქართველოდან გადახვეწილი,—გვეგონა პაპის ცოდვებსაც გამოისყიდდა, სულ ქართველთა საქმისათვის იზრუნებდა, მაგრამ მწარედ მოვტყუვდით.

„რაც გინდა კეთილი რამ იყოს, ბოროტი ადამიანის ხელში სულ წინააღმდეგ ნაყოფს მოიტანს“. ჰოდა, რომ ფიქრობდნენ, ნიმარ-ბეი ყმაწვილია, ბოროტებას მის გულში ბინა არ დაუდევსო—პირიქით მოხდა—პურ-ღვინოს მოყვარულმა და ტკბილად მოსაუბრე ყმაწვილმა ქართველთა საზიანო საქმეებით გაითქვა თავი. მთავრობამაც წყალობა არ მოაკლო, სიმდიდრით კისრამდე აავსო,—ჯილდო ჯილდოზე უბოძეს.

ოსმალო ქართველებს სანდო კაცების არჩევა შეეძლო, გადარჩევა—არა. „წარმოიდგინე, სანამდის მიაღწია ნიმარ-ბეის სიძულვილმა თავის ქვეყნის შვილებზედ და მთავრობასთან დამსახურების სურვილმა! ერთხელ ვეზირს მისწერა, რაც ჩვენში გამოჩენილი და ქვეყნის ერთგული კაცები იყო, მათზედ: „თუ ესენი აქედგან არ გადაასახლეთ, ისე აქ მშვიდობა არ იქნებაო“.

მართალია, ხონთქარს არ მოწონებია ქართველთაგან არჩეული სანდო კაცის განაზრახი, მაგრამ ესეც არაა მთავარი. ეს ამბავი უფრო სიმბოლურ მნიშვნელობას უნდა იძენდეს და აქეთ საქართველოზეც მიგვანიშნებდეს. ხომ იყვნენ ისეთი

რუსი მოხელენი, ქართველების მშობლიური მიწა-წყლიდან აყრასა და გადასახლებას რომ თხოვდნენ მთავრობას და ქართველებშიც იყვნენ რუსის ისეთი მოერთგულენი, ამნაირ გადაწყვეტილებას წინააღმდეგობის მაგიერ, დუმილით რომ ეგებებოდნენ.

განა, რუსთა გამოისობით ცოტა ხალხმა დატოვა თავიანთი ნავსაყუდელი, დედაწულიანად აიყარა და გადასახლდა. ერის გამორჩეულ შვილებს ხომ მუდამ იქ ისტუმრებდნენ, საიდანაც დაბრუნების შანსი მცირეზე მცირე იყო.

ისევ ოსმალო ქართველის მონათხრობი:

ნიმარ-ბეის გადარჩევის ჟამმაც მოაღწია. ბევრი ეცადა, ფულით მოთაფვლაც მოინდომა იქაური ქართველებისა, დაშინებაც, მაინც ვერაფერი გააწყო—მის მაგიერ ისკანდერ-ბეი აირჩიეს. მერე ყაზილარ-ფაშამ დაუწყო მას ცუდად ყურება და ტკივილს ტკივილი დაემატა—ახლა უკვე სანდო კაცის ცუდად მაცქერალი და ქართველთაგან „მუტრუკად სახელდებული" ყაზილარ-ფაშა და მისი დამქაშები არ აძლევდნენ მოსვენებას იქაურებს. ნიმარ-ბეის აწიოკება ყაზილარ-ფაშამ გააგრძელა უფრო მეტი სისასტიკითა და მძვინვარებით: „ჩვენს დედამიწაზედ არიან იმისთანა პირები და სამწუხარო ის არის, რომ ესრეთი პირები ხშირად ხალხის მმართველები ხდებიან, განაგებენ მის ბედსა, რომელნიც, თუ ყოველ მათ სურვილზედ არ დაეთანხმნენ, თითონ საიდუმლოების შეგინებად მიაჩნიათ ეს! თუ წელში გამართული იქენით და ფეხქვეშ არ დაეგეთ მათ, განიზრახავენ, რომ ცისქვეშეთში აღარაფერს პატივს არა სცემთ, მაშასადამე მავნებელი წევრი ხართ სახელმწიფოსი".

ასე ახასიათებს დავით მიქელაძესთან მოსაუბრე ქართველი ყაზილარ-ფაშას. ყველა სულთანს ერთი მიზანი ჰქონდა, იქაური ქართველების გადაგვარება—ერთ მათგანს, როცა გაუგია, ქართველები თამასუქის მაგიერ ულვაშის ღერს აძლევდნენ, უთქვამს—ჩვენს სიახლოვეს ესენი ისე გადაგვარ-

დებიან, რომ ულვაშის ღერით კი არა, ხელწერილითაც აღარ ენდობიან ერთმანეთს, გაირყვნებიან და დაიკარგება მათ შორის „ყოველი დარწმუნება და დანდობაო“.

მართლაც ასე მოხდა.

ყაზილარ-ფაშას დროს ოსმალო საქართველოში არსებული ერთადერთი სასწავლებელი, სადაც ქართველები ქართულად წერა-კითხვას სწავლობდნენ, დაიხურა, ისიც არაფერს ნიშნავდა იმდენი ხალხისათვის, მშობლებს ხშირად მიჰყავდათ შვილები, მაგრამ უადგილობის გამო, მოძღვრები უარით ისტუმრებდნენ, ესეც აიკრძალა...

„ქართველები დრტვინავდნენ, მაგრამ რა უნდა ექნათ? დათვი რომ მოგერიოს, ბაბა დაუძახეო“.

ისკანდერ-ბეის გადარჩევის დროს ყველაფერი იღონა ფაშამ. ბუნებრივია, არ უნდოდა, რომ იგი ხელმეორედ ამოერჩიათ. თავის ქვეშევრდომი ბეგები მოიხმო და თუ ისკანდერის არჩევას შეეწინააღმდეგებოდნენ, ჯილდოს დაპირდა. განაცხადა კიდეც—მისი ამორჩევა ხონთქრის წინააღმდეგ გალაშქრებად ჩაითვლებაო. ფულებიც ბევრი დაარიგეს, ნათესავებიც მოქრთამეს, მაგრამ ქართველობა დაირაზმა, ერთი სურვილით გაერთიანდა—ისკანდერ-ბეი ხელმეორედ ამოირჩია, მისი მოწინააღმდეგე კი „ისე გააშავა, როგორც ყორანი“.

ესეც იმას ნიშნავდა, რომ ერთსულოვნების შემთხვევაში მიუღწეველის მიღწევაა შესაძლებელი, იქაურ ქართველებს არც გავლენა ჰქონდათ, არც ფული, არც ნათესავ-ახლობელნი, რაც მთავარია, არც ძალაუფლება, ყაზილარ ფაშას ძალასა და შეძლებასთან ოდნავ მიახლოებულიც კი, მაგრამ ერთად ყოფნით მათთვის სასურველი ამოირჩიეს, ფაშასთვის საჭირო გააშავეს.

ბუნებრივია, ოსმალოს ქართველები გამარჯვებას ზეიმობდნენ, ყაზილარ-ფაშა კიდევ „არც მკვდარი იყო, არც ცოცხალი“. ერთადერთი გზა დარჩენოდა—ძალა გამოეყენებინა

და არჩევნებით მიღწეული ამ საშუალებით მისაღწევი გაეხადა.

ასეც მოიქცა, სულთანს თხოვა და ხალხისგან არჩეული ყველა სანდო კაცი გადააყენებინა, ვითომ იმის მომიზეზებით, რომ ისინი მმართველობის აშკარა წინააღმდეგნი იყვნენ. არჩეულები დაითხოვეს, მათთვის სასურველნი აურჩევლად დანიშნეს. „...საზოგადოება ირეკდა და ღელავდა ამგვარ უსამართლობაზედ. ხონთქარსაც მოახსენეს, მაგრამ ყველაფერმა უქმად ჩაიარა“.

იქაურმა ქართველობამ კიდევ ერთი არასასურველი სანდო კაცი იგუა მომავალ არჩევნებამდე, რომლის გადარჩევის დროსაც—ყვებოდა ოსმალო ქართველი—ყაზილარ-ფაშას ვეახელით და ვუთხარით, თუ ჩვენს სურვილს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, გვიბრძანე, ვინ ავირჩიოთ და დაგყაბულდებითო. ფაშას გახარებია, უფიქრია, ჭკუა ვასწავლე გაჯიქებულ ქართველებსო, მაგრამ კანდიდატის დასახელების დროს ქართველები რომ ახარხარებულან და არავითარ კენჭისყრაში მონაწილეობას არ მივიღებთო, უთქვამთ კარგა ხნის ხარხარის მერე, ამას სულ გადაურევია და წონასწორობიდან გამოუყვანია ქართველთმოძულე ფაშა, რომელსაც მყარად განუზრახავს—ყველანი დაეპატიმრებინა.

მისულები ამისთვისაც ყოფილან მზად: ფაშას გონს მოსვლამდე გაუქუსლავთ და სხვადასხვა ქვეყნებში გადახვეწილან:

„ჩემს სამშობლოში აღარ მიმესვლებოდა. ვიფიქრე: სხვაგან მაინც ვიბრძოლებ თავისუფლებისათვის, იქნება ჩემს ქვეყანას ღვაწლად ჩაეთვალოს-მეთქი... იტალიაში, საბერძნეთში, საფრანგეთში ყველგან თავისუფლების ბაირაღის ქვეშ ვიდეგ და მინდოდა შემეწირა ჩემი სიცოცხლე ჭეშმარიტებისათვის“.

დავით მიქელაძე ფიქრობდა, რომ სხვადასხვა ქვეყნებში თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველები ზნეობრივი

მაგალითი იყვნენ დანარჩენი ქართველებისათვის, არ შეიძლებოდა მათ გმირულ სულსა და ნებისყოფას აღტაცება არ გამოეწვია აქაურებში, მათი ცხოვრება და რაც მთავარია—თავისუფლებისათვის მსხვერპლშეწირვა, მისაბაძად არ ქცეულიყო, ღვაწლი საორკეცო და უფრო მეტიც არ გამხდარიყო...

ოსმალო ქართველი ბევრგან იბრძოდა, ყველგან უვნებელი დარჩა—„იქნება ჩემი ქვეყნის უფრო ბედნიერ დროს მოვესწრო და ამისათვის არ გამწირა ბედმა. ვინ იცის?“

აი, ბოლო სიტყვები, ოსმალო ქართველს რომ ათქმევინებს წერილის ავტორი.

მეველეს თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანები, უცხოეთში მრავალ ბრძოლაგამოვლილი გმირები მშობლიური ქვეყნის ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის საბრძოლველად ჭირდებოდა.

ამიტომაც გამოიგონა ყავახანაში ვითომ ოსმალო ქართველის მოთხრობილი ამბავი.

თავი მეათე

წყაროს წყალივით ლოდებს შემსკდარი და განტოტვილი

მეველე ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის გამგეობის წევრად და მერე დირექტორად რომ აირჩიეს, გიორგი შარვაშიძის უსტარმაც არ დაახანა:

„დიდი ხანია წერილის მოწერა მინდოდა შენთვის, მაგრამ ის საგანი, რაზედაც უფრო ვფიქრობდი შენთან ბაასს, მადლობა ღმერთს, კარგად გათავდა, ე. ი. არჩევნების საქმე. მითხრეს, თუ მართალია, ბევრნი ინტელიგენტთაგანი თურმე წინააღმდეგი ყოფილან შენის არჩევისა? ეს თუ მართალია, სწორეთ უნდა გითხრა, ხელი არ უნდა ჩამოართვას მაგათ კაცმა! ერთობ დაგლახავდა გონებით ეს ჩვენი ახალი თაობა, მტერს და მოყვარეს რომ ვეღარ არჩევენ, რაღას უნდა მოელოდე მათგან.“

მეველეს ბანკში არჩევას თავდაპირველად მართლაც არ ემხრობოდა ბევრი. მიზეზად ასახელებდნენ, ბანკთან შეხება არასოდეს ჰქონია, გამოცდილება არ აქვს, ბარემ ყველა მწერალი ბანკში დავასაქმოო და მისთანანი.

ეს მეორე კენჭისყრა გახლდათ ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის დირექტორობაზე. წინათ, სულაც დაარსების დროს, 1876 წელს, თავადაზნაურებმა, სხვებთან ერთად, ისიც დაასახელეს. ზოგიერთმა კიდევ თვითონვე დაისახელა საკუთარი თავი, მაგრამ წამოდგა დავით მიქელაძე და განაცხადა:

„თუმცა იმდენათ არ დავიმდაბლებ თავს, რომ ზოგიერთ ჩაწერილ პირებზე რასშიმე უარესათ და ნაკლებათ მიმაჩნდეს ჩემი თავი, მაგრამ უნდა გავტყდე, რომ ბანკისთვის მე მომზა-

დებული არა ვარ და სხვებსავით თამამად ვერ გავბედავ, ვიკისრო ეს მძიმე თანამდებობა. ამის გამო უმორჩილესად გთხოვთ, კენჭის ყრისაგან გამათავისუფლოთ".

დირექტორობის კანდიდატებს დიდად არც გახარებიათ, არც მოწონებიათ მეველის ნათქვამი, ბევრნი კი აღტაცებით შეხვედრიან.

ადრე თვითონვე თქვა უარი—ამ საქმისათვის მზად არ გახლავართო, ეს დაიმახსოვრეს და როცა ორ ათეულ წელზე მეტი ხნის მერე გაბედა და დირექტორობაზე კენჭის ყრა გადაწყვიტა, საბანკო საქმე ადრე თუ არ იცოდა, ახლა საიდან ისწავლაო,—აჩურჩულდნენ.

ქუთაისის ბანკის („დაბადებამდე რომ აწვალეს უხეირო ბებიებმა"—ს. მესხი) დაარსებისათვის დ. მიქელაძეც ზრუნავდა. ის და ს. მესხი ყოველნაირად ეხმარებოდნენ ბესარიონ ღოლობერიძეს, მაგრამ სადაც კი ეს ორი ადამიანი გამოჩნდებოდა, რუსეთუმეთა დაფრთხობაც არ აყოვნებდა—ეუბნებოდნენ ბესარიონს—მაგენი მთავრობისაგან შენიშნული საშიში კაცები არიანო.

ადრე, ქუთაისის ბანკის დაარსებამდე, საშიში იყო, მერე—საბანკო საქმე არ იცისო, ამბობდნენ. იმას კი არ აქცევდნენ ყურადღებას, რომ თუნდაც ამ საგანზე წერილის დაწერას გარკვეული ცოდნა ჭირდებოდა, რომელიც დავით მიქელაძეს უცხოეთის ქვეყნების საბანკო ცხოვრებიდანაც შეეთვისებინა, წაკითხვითაც ბევრი წაეკითხა და იმათზე არანაკლებ მეტი იცოდა, ვინც ბანკში ათენ-აღამებდა.

გიორგი შარვაშიძე თავის გულისტკივილს გამოხატავდა და მისთვის ჩვეულ პროტესტის ფორმას არ ღალატობდა, მაგათ ხელი არ უნდა ჩამოართვას კაცმაო. გავიხსენოთ, აფხაზეთის მთავრის მემკვიდრეს უნდოდა დაეარსებინა საზოგადოება, რომელშიც ის ხალხი გაწევრიანდებოდა, რუსეთის სამსახურში მყოფ დიდგვაროვნებს და ჩინ-მედლებზე გადაგებულთ ხელს რომ არ ჩამოართმევდნენ, ეს იქნებოდა

პროტესტი მათდამი, დაეუბრ̇ებოდნენ, დაემდურებოდნენ, თითქოს არც არსებობდნენ. ამიტომ მეგობარსაც ამას ეუბნებოდა, ვისაც შენი არჩევა არ სურდა, მაგათ ხელი როგორ უნდა ჩამოართვას კაცმაო.

საერთოდ, გიორგი შარვაშიძე და დავით მიქელაძე რაინდისა და თავადის საფერი ძმური სიყვარულით ეპყრობოდნენ, მეგობარზე უმეტეს ძმებივით კითხულობდნენ ერთმანეთის ამბავს. მათი წერილებია ამ ახლობლობის გამომხატველი: სოხუმიდან წამოვალ და სადღაც შუა გზაზე შევხვდეთ, მიმინო იქნებ დააგეშინო ვინმეს და მწყერზე ერთად ვინადიროთ, ან კიდევ—ძაღლი მინდა გაჩუქო, მწყერზე დავგეშოთ... —წერს ხშირად გიორგი დათას. ყოველივე ეს დასტურია საოცარი ურთიერთნდობისა. ამიტომაც იყო ბანკის არჩევნების წინა პერიოდზე გაბრაზებული, შენ თუ არ გირჩევენ, აბა, ვის ამჯობინებენ, მაგათ არ უნდა ჩამოართვას კაცმა ხელიო...

დავით მიქელაძე ბანკში, რაც ნათქვამი და დაწერილი ჰქონდა ამ დაწესებულებაზე, ცდილობდა, პრაქტიკულად განეხორციელებინა, უფრთხილდებოდა თითოეულ კაპიკს, თავადაზნაურობას ჩასჩიჩინებდა —ნუ ფლანგავთ, თუ შეძლება არა გაქვთ, ხელმომჭირნედ იცხოვრეთ, თორემ ყველაფერს დაკარგავთ, ქონებასაც, ძალასაც, გავლენასაც, ავტორიტეტსაც...

საბანკო საქმე არ იცისო,—ჩურჩულებდნენ არჩევნების დროსაც და მერეც... არადა, ამ საკითხზე იმდენი დაეწერა, ერთი დიდი ტომი გამოვიდოდა, შეგონებებით, სურვილებით, მოსაზრებებით გაჯერებული ვრცელი ტომი.

მცირეზე მცირე გავიხსენოთ.

თბილისში სათავადაზნაურო ბანკის ერთ-ერთი კრების თავმჯდომარედ თავადი ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი აურჩევიათ, სწორედ ამ დროს განიხილებოდა თურმე საკითხი— ორატორებს სცენიდან თუ თავიანთი ადგილებიდან წარმოეთქვათ სიტყვა. ამჯერადაც ორად გაყოფილან, ერთნი

იჟინებდნენ, ადგილიდან სიტყვის თქმა რა ბედენაა, მთქმელი, სჯობს, სცენაზე ავიდეს და იქ გაამჟღავნოს გულისნადები, სახეზეც შევხედავთ, დავიმახსოვრებთ, იმასაც ხომ მნიშვნელობა აქვს, რა გამომეტყველებით ამბობს მავანი და მავანი ამა თუ იმ აზრსო,—აუხირებიათ თავიდან ყარანგოზიშვილსა და ყაზბეგს, რომელთაც მერე სხვებიც მიმხრობიან და ასე წარმოშობილა თანამოაზრეთა ერთი ბანაკი.

მეორენი, პირიქით, ორიოდე სიტყვის სათქმელად სცენაზე რატომ უნდა გავიდეს კაცი, ამოდენა მანძილი გაიაროს, თქვას ის, რაც სურს და ისევ უკან დაბრუნდეს. ამიტომაა, კვირაობით რომ ვუნდებით საქმის გასრულებას, ვსხედვართ აქ, არაფერს ვაკეთებთ, იქ კიდევ საქმე გვიფუჭდება, აქ ვმცონარობთ, იქ, ჩვენს მამულში, ჩვენი არყოფნისა გამო, სხვები მცონარობენ,—ეს აზრი დავით კეზელს წარმოუთქვამს თავდაპირველად და მერე მასაც გასჩენია თანამოაზრენი.

ორად გაყოფილან...

საბოლოოდ იმაზე შეთანხმებულან, რომ ორატორი ვრცელი სიტყვის სათქმელად სცენაზე უნდა ასულიყო, ორიოდე ფრაზა ადგილიდან ეთქვა. მაგრამ ამის მერე ისევ გაჩენილა თავსატეხი—როგორ გავარკვიოთ, ვინ ისაუბრებს ვრცლად, ვინ კიდევ მოკლედ?! მეველე, რომელმაც ამ ამბავს საგანგებო წერილი უძღვნა „ივერიაში", წერს, რომ აქ კრების თავმჯდომარემ, ნიკოლოზ ანდრონიკაშვილმა იმარჯვა და განაცხადა—მე გავარკვევ, ვინ ორიოდე სიტყვას ან კიდევ ვრცლად საუბარს აპირებსო და ამით ჩააშოშმინა მონაწილენი, თორემ ამ ამბის განხილვას შეიძლება ორი დღე და მეტიც მონდომოდნენ.

ვინ საიდან თქვას სიტყვა? ხანდახან ამგვარ წვრილმანზეც უწევდათ მსჯელობა, მეველეს საბანკო საქმის ეს მცირე ნიუანსიც არ რჩებოდა მხედველობიდან, წერილს უძღვნიდა, მართალს ამართლებდა, მტყუანს ამტყუნებდა.

იმავე კრებაზე ექიმ გაბაშვილს უთქვამს—კრების თავ-

მჯდომარედ, სჯობს, ჩვეულებრივი მონაწილე და არა საზედამხედველო კომიტეტის წევრი ავირჩიოთ, რამეთუ ეს უკანასკნელი, შესაძლოა, რომელიმე დასის წევრი აღმოჩნდეს, ობიექტურობამ უღალატოს და იქით გადაიხაროსო. მეველე პასუხობს: გაბაშვილს რა გარანტია აქვს, რომ რიგითი წევრი რომელიმე დასის მხარეს არ აღმოჩნდება, „სამართლიანი კაცი ყოველთვის სამართლიანია", ქუთაისში კიდევ კრებას ყოველთვის საზედამხედველო კომიტეტის წევრი ხელმძღვანელობს და ამით არაფერი შავდებაო.

ასე ღრმად იყო ჩახედული საბანკო საქმეებში, რომელმაც ბევრი თავსატეხი გაუჩინა იმდროინდელ ინტელიგენციას. განსაკუთრებით ქუთაისში მიიღო ბანკობიამ ცუდი ხასიათი, საქმის რეალური განსჯა, უფრო მეტიც, ნამდვილი და შესაფერი მსჯელობა ამა თუ იმ საგანზე შეუძლებელია—წერდა ხშირად ახლა თვითონვე ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის დირექტორი დავით მიქელაძე.

ვის საიდან უნდა ეთქვა სიტყვა?!—იმიტომ გავიხსენეთ, რომ დაგვენახვებინა მკითხველთათვის, ხანდახან როგორ კნინ საკითხზე ხარჯავდნენ დროსა და ენერგიას, წვრილმანს ჩაკირკიტებდნენ, მთავარი გვერდზე რჩებოდათ. დავით მიქელაძე სწორედ იმ უმთავრესის განხილვასა და გაანალიზებას მოითხოვდა, რომელიც საფუძველშივე მიზნად დაესახა ქართულ ბანკს—კერძოდ, ქვეყნის წარმმართველი ფენის—თავადაზნაურობის ეკონომიური მოძლიერება და არა მისი საბოლოო გაკოტრება.

ანდრონიკაშვილი თავმჯდომარეობდა იმ კრებასაც, ივანე მაჩაბელმა ილიას ბრალდებები რომ დააპირქვავა—„სამართალში გამოვითხოვე და არ გამომყვაო". ილიამ კიდევ—ამაების გამოსარკვევად კომისია შევქმნათ, იმან გაარჩიოს მტყუანი და მართალიო. ამ წინადადებას აღტაცებით მიეგებნენ მონაწილენი კრებისა, ვაშაც შემოძახეს, ტაშიც დასცხეს: „თავადი ივანე მაჩაბელი ბრძანდებოდა პირველი, რომ კი-

ნაღამ ხელები დაიმტვრია ტაშის ცემით, როდესაც ილია ჭავჭავაძემ კომისიის დანიშვნა მოითხოვა კრებისაგან"—წერდა მეველე, მაგრამ ფარულ სიმპათიას მაინც ამჟღავნებდა ილიასადმი, მომხდარი ამბავიც ამის საშუალებას აძლევდა. ივანე მაჩაბელმა ბრალდებანი დაასახელა, ილიამ—კომისიამ გაარკვიოს მაგენიო, რამაც აღაფრთოვანა მოწინააღმდეგე, მაგრამ მერე თვითონვე უარყო აღფრთოვანებითა და ტაშის ცემით მიღებული აზრი. საბუთად მოიტანა: „საზოგადო კრების მიერ ამორჩეულს კომისიას მე ვერ ვენდობიო". ტაშის-ცემით ხელების დამტვრევის დროს ენდობოდა, მერე—არა. ამდგარა ამის შემდეგ თეთრ სამოსში გამოწყობილი ვიღაც ქალბატონი და განუცხადებია:

—ჩემი ღირსებისათვის შეუფერებლად მიმაჩნია და თავს ვანებებ სკოლის კომიტეტს, რომლის თავმჯდომარის ამხანაგადაც საზოგადო კრებამ ამირჩია.

ილია წინამძღვრიშვილსაც იგივე უთქვამს.

ახლა მართლა დაუმტვრევიათ კრების მონაწილეებს ხელები ტაშის ცემით, ჩაუხლეჩიათ ხმა ვაშას ძახილით.

1894 წელს ბანკისა და ქალაქის საბჭოს არჩევნები ერთსა და იმავე დროს იყო დანიშნული, რაც გარკვეულ დაბნეულობას იწვევდა ხალხში, იშუამდგომლეს მთავრობასთან და ბანკის არჩევნები გადაიდო.

მეველე წერდა, რომ არჩევნების გადადება არაფრად ეჭაშნიკა კირილე ლორთქიფანიძის მოწინააღმდეგე დასს: „მომზადებული შუშხუნა მთლად ერთიანად დაუწვავს ბატონს ჩიკვაიძეს და ეჭვობენ, რომ ხელმეორედ შესაძლებელი იყოს საომარი მასალის დამზადება." ასე რომ, მშვენივრად უწყოდა, რა ხდებოდა ქუთაისის ბანკში, თბილისში ცხოვრება და საქმიანობა ხელს არ უშლიდა, საფუძვლიანად ჩახედული და ჩაგულისყურებული ყოფილიყო აქაურ საბანკო ამბებში.

საერთოდ, საბანკო თუ ნებისმიერი არჩევნების დროს

დასებად დაყოფის მომხრე გახლდათ. თვლიდა, რომ ამით ამომრჩევლებს საშუალება ეძლეოდათ, გაერჩიათ თეთრი და შავი და ამის მიხედვით მოეხმარათ თეთრი ან შავი კენჭი. უცხოეთში, არჩევნების დროს, კანდიდატთა მომხრეებიც გამოდიან და მოწინააღმდეგენიც, ერთთაც და მეორეთაც თავ-თავიანთი არგუმენტები გააჩნიათ, მაგრამ ისინი ნამდვილია და არა ყალბი.

მაგალითიც მოჰყავს:

საფრანგეთში როზბერის გასაშავებლად ვერავინ იტყვის— ამას აღარაფერი შეუძლიაო და ხელს ვერ გაიშვერს მოხუცი გლადსტონისაკენ. ამნაირი რამ არ მოხდება, რამეთუ ყველამ იცის, ვინ რისი მქნელი და შემძლეა.

დავით მიქელაძეს კი ამგვარი რამ ჩვენში ჩვეულებრივ ამბად მიაჩნია. განსაკუთრებით ქუთაისური საბანკო ცხოვრების მიმოხილვისას ასკვნიდა ხოლმე—სხვას ასახელებენ, სხვაზე ფიქრობენ, წერით კიდევ მესამეზე მიუთითებენ, ამ ვითარებას „სული წრფელი და გული წმინდა“ თუ უშველის, თორემ ევროპული გამოცდილება, ბუნებრივია, ასე უცებ არ დამკვიდრდება ჩვენშიო.

მარტო ხელთათმანებისა და შლაპების ტარებით კი არ უნდა მივბაძოთ ფრანგებს, არამედ საზოგადო საქმისადმი მათი დამოკიდებულებაც გადმოვიღოთ,—წერდა ერთგან.

იქ თუ მთავრობა არ ან ვერ აფინანსებს ქვეყნისათვის საჭირო რომელიმე საქმეს, გაზეთები იწყებენ ხელმოწერას და ამისათვის საჭირო ფული უცებ გროვდება: „თუ გვსურს მომავალში ნათელი ცხოვრება, თათქარიძობას, რუსეთუმეობას, გაიძვერობას და ყალბ განათლებას უნდა დავანებოთ თავი საუკუნოთ“.

მეველეს აზრით, ყოველი ერის ცხოვრებაში დგება ჟამი, როცა ისტორიის ობიექტური კანონზომიერება მონობიდან მის განთავისუფლებას უცილობელს ხდის—„იქნებ სწორედ ეს ჟამი უდგას ეხლა ქართველობას და დაგვიანებით და ქარ-

თველური სიზანტის გამო, ისეთ ორმოში არ ჩავვარდეთ, საიდანაც ვეღარ ამოვალთ".

ერთი ორმო ზოგიერთ ქართველთაგან ცუდად გაგებული ბანკი და საბანკო ცხოვრება გახლდათ.

ქუთაისური საბანკო ცხოვრება თაღლითური, მაქინაციური ხრიკებით გამოირჩეოდა. ყოველივე კი ერთ კაცს — კალისტრატე ჩიკვაიძეს უკავშირდებოდა, რომელზეც უამრავჯერ უთქვამთ, დაუწერიათ, მაგრამ შედეგი ის იყო, რომ კირილე ლორთქიფანიძე მარცხდებოდა, კალისტრატე იმარჯვებდა.

ნიკო ნიკოლაძე კალისტრატეს კი არა, მამამისსაც გადაწვდა—აქაოდა, ამოდენა ვენახები რომ გააშენე სოფელ ალისუბანში, ყოველწლიურად ათასობით მანეთ მოგებას რომ იჯიბავ, ფილოქსერით დაავადებული პლანტაციების საპატრონოდ სამი შვილიდან ერთი აგრონომი გამოგეზარდა, სამთავე რომ გააიურისტეო.

პროფესიის არჩევაში მამის დამსახურება ალბათ აშკარა და გამოკვეთილი გახლდათ, თორემ ასე საქვეყნოდ ვერ დაძრახავდა, ხომ შეიძლებოდა, შეკამათებოდნენ—ვისაც რა სურდა, იმ საქმეს მოჰკიდა ხელი, მოდად ქცეული ვექილობის გამო, ყველა გაიურისტდა და ჩემი რა ბრალიაო,—დაიჩივლებდა კალისტრატეს მამა, სამართლიანადაც დაიჩივლებდა.

დავისა და კამათის დროს ვინმესთვის ხელჩასაჭიდი იშვიათად დაუტოვებია ნიკო ნიკოლაძეს, აქ, ერთი შეხედვით, შეიძლებოდა შედავებოდნენ, მაგრამ მან მშვენივრად უწყოდა, რა წვლილიც მიუძღოდა მამას შვილების გაიურისტებასა და გავექილებაში. ამიტომაც არ ერიდებოდა.

დახასიათებითაც რა ხატოვნად ახასიათებდა: „იგი (ჩიკვაიძე) თუ გამოჩენილი არა, ყოველ შემთხვევაში იმერეთის ერთ-ერთი „უგამოჩენილესი" ადამიანია იმ თვალსაზრისით მაინც, რომ ცხოვრებაში ერთხელ არ გაუშვია ხელიდან შემთხვევა, წინ გამომხტარიყო, ეყვირა, გაცხარებულიყო... არ

შემდგარა არცერთი კრება, არც ერთი არჩევნები, არ დასმულა არც ერთი „საკითხი“ ამ ცქვიტი და დაუდეგარი კაცის მყვირალა, მუდამ მჭახე ხმა არ დარხეულიყო, მას მთლიანად მიესადაგება როშფორის კლასიკური გამოთქმა: „petit mais rageur—პატარაა, მაგრამ მძვინვარე“.

მეტი ხატოვნება რაღა გინდა!

ბუნებრივია, 1889 წელს დაწერილი და „ნოვოე ობოზრენიეში“ დაბეჭდილი ეს წერილი კალისტრატე ჩიკვაიძეს არ მოეწონებოდა, პირიქით, განრისხდებოდა, აღშფოთდებოდა, სამაგიეროს მიზღვის ჟინით აინთებოდა. არადა, რა ზუსტადაა ნათქვამი—არ გაუშვია შემთხვევა ხელიდან, „წინ გამომხტარიყო“, „ეყვირა“, „გაცხარებულიყო“, ყველა თავყრილობას ესწრებოდა, აწყობდა, აჩალიჩებდა სათავისოდ საქვეყნო საქმეებს, ფიქრობდა საკუთარ თავზე და არა ქვეყანაზე.

მეტი რაღა გინდათ—ამ პერიოდში გაჩნდა ფრაზები—კალისტრატიზმი, კალისტრატატეს პარტია... ბუნებრივია, ამათ რაღაც საფუძველი გააჩნდა, შემთხვევით არაფერი ინათლება, სახელი არ ერქმევა.

ამ მხრივ განსაკუთრებით 1890 წელია საინტერესო. ეს ის დროა, როცა კალისტრატე ჩიკვაიძე ლაპარაკიდან საქმეების ჩაწყობაზე გადადის, ქუთაისური ბანკობია კლასიკურ სახეს ღებულობს, აქაური ზუთხობია ისხამს ფრთებს. თითქოს მოსავლის აღების ჟამია, წინა წლებში საფუძველჩაყრილსა და გაიმასქნებულს ახლა იმკის ბანკის დირექტორობაზე პრეტენზიის მქონე კალისტრატე ჩიკვაიძე.

ქუთაისური ბანკის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე „ნოვოე ობოზრენიეს“, უფრო ზუსტად, ნიკო ნიკოლაძეს ქუთაისში ამფითეატროვი მოუვლენია კორესპონდენტად, გამშუქებლად, შემფასებლად იმ ამბებისა, აქ რომ ხდებოდა.

გაზეთში გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე უფრო ნიკოლაძისადმი გაგზავნილი პირადი წერილია საინტერესო, პირადი წერილი, რომელიც ნათლად აირეკლავს ქუთაისის ამბებს.

აქ დატრიალებულ ბანკობიადისდროინდელ შეხლა-შემოხ-ლას.

შენი მოსახვედრი წკეპლა კი არა, კაი დოყათიანი ჯოხი მე მხვდება ზურგზე,—წერს ამფითეატროვი ნიკოს. ბუნებრივია, კალისტრატე და მისი მომხრენი მომზადებული იქნებოდნენ მონინააღმდეგეთა დასახვედრად, განსაკუთრებით ნიკო ნიკოლაძე ჰყოლიათ ამოღებული მიზანში, იმიტომ, რომ მან და მისმა გაზეთმა დაუფარავად თქვა ის, რასაც აქაურ, უფრო ზუსტად, კალისტრატული ფერუმარილით მიმდინარე არჩევნებზე ფიქრობდა.

მიზანში ამოღება ფიზიკურ განადგურებას არ ნიშნავდა, არც გამორიცხავდა. იგივე ამფითეატროვი ნიკოლაძეს ატყობინებს: პოლიცმეისტერმა მიმანიშნა, რომ შენი ჩამოსვლა სასურველი არაა, სიკვდილით არ მოგკლავენ, მაგრამ სკანდალებს ვერ აცდებით და, სჯობს, არ ჩამოხვიდეთ. ნიკოს კი არა, ქუთაისში იმ დღეებში „ნიკოს კაცად“ მონათლულ ამფითეატროვსაც უჭირდა ყოფნა და ნიკოლაძეს რომ ფიზიკურად გასწორებოდნენ, სულაც არაა გამორიცხული. სხვა რა გზა დარჩენოდათ, სხვანაირად ვერ ჩააჩუმებდნენ, კარგად იცოდნენ, რომ უკიდურეს შემთხვევაში იმ ერთადერთი საშუალებისთვის—ფიზიკური ლიკვიდაციისათვის უნდა მიემართათ.

ისევ ამფითეატროვს მოვუსმინოთ:

„ნიკოს კაცის იარლიყის ტარება რამდენად მოსახერხებელია დღეს ქუთაისში, შეიძლება წარმოიდგინო იმის მიხედვით, რომ სამშაბათს, ერთ-ერთ თავყრილობაზე, გარდაცვლილი მალაქია ბაქრაძის ნათესავი ხანჯლით მიეჭრა აკაკი წერეთელს, შენ ეგონე და იმიტომ“.

როგორც ჩანს, კალისტრატისტები ნიკო ნიკოლაძესაც ელოდებოდნენ ქუთაისში და თუ ჩამოვიდოდა, ისიც იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. იქნებ მოკვლა არ სურდათ, მაგრამ მოქნეული ხანჯალი ვის მოუზომია.

შეეშალა, აკაკის მივარდა, ნიკოლაძე ეგონა. ვისაც დაეტაკა, ისიც მათი მოწინააღმდეგე გახლდათ, მაგრამ მასზე არ იყვნენ ისე აღშფოთებული, როგორც ნიკოზე, რომელიც სულაც მათი წარუმატებლობისა და დამარცხების გამორჩეულ ფორფოსტად ესახებოდათ, სხვები ან დაეშინებინათ, ან მოეკლათ, ან მიემხროთ, ან გაეჩუმებინათ, რჩებოდათ რამდენიმე ადამიანი, რომელთა შორის ერთ-ერთი, ყველაზე დიდი გავლენისა და ავტორიტეტის კაცი, ნიკო ბრძანდებოდა.

მალაქია ბაქრაძის ნათესავი კალისტრატესა და მის მიმდევრებს მშვენივრად ცნობდა, იცოდა, ვინ ვინ იყო—აკაკისა და ნიკოს—ვერა, თორემ წარმოუდგენელია, ერთმანეთში არეოდა ფიზიკური აღნაგობით სავსებით განსხვავებული ორი ადამიანი. ჰოდა, იმ თავყრილობაზე აკაკის მაგიერ ნიკო რომ ყოფილიყო, ვინ უწყის, რა მოხდებოდა.

ფრანგებს როზბერი გლადსტონში ან პირიქით არ აერევათო, ქართველებს აკაკი ნიკოში და უკულმა ერეოდათ.

ის ნაკვესი გავიხსენოთ, სადაც დამგზავრებული კაცი აკაკის მისსავე ლექსებს ზეპირად უყვება და აკაკიდ აცნობს თავს. ამ ამბავს გარკვეული უხერხულობის იერი დაკრავს, იფიქრებ, როგორ შეიძლება აკაკის პოეზიის ზეპირად მცოდნეს აკაკისავე ფიზიკურობაზე არანაირი წარმოდგენა არ ჰქონოდა, მაგრამ, როგორც ეტყობა, იმ საუკუნეში იყვნენ ადამიანები, აკაკის ნიკოსაგან რომ ვერ განარჩევდნენ და პირიქით, საბოლოოდ ვერც ერთს და ვერც მეორეს ცნობდნენ, კალისტრატე ჩიკვაიძის კი სახლიც იცოდნენ, კარიც, ვარცხნილობაც, ჩაცმულობაც, მიხვრა-მოხვრაც...

იყვნენ ასეთებიც...

საბანკო არჩევნების წინა დღეებში ვითარება რომ დაძაბული ყოფილა, ამას ისევ ამფითეატროვის წერილი ადასტურებს: „ბატონი კეზელი ბრძანდებოდა სიმონ წერეთელთან (ამ უკანასკნელისგან შევიტყვე). იგი მას ეახლა, როგორც

ჩიკვაიძის დეპუტაციის მეთაური. წარმოთქვა სიტყვა და სიმონი სისხლისღვრის მოწყობით დააშინა. „თუ თქვენ არ შეასრულებთ უმრავლესობის მოთხოვნას და კრებას არ გახსნით ისეთს, როგორიც არის, ანუ შემოწმების გარეშე, მაშინ დაიღვრება სისხლი, მოხდება ხოცვა-ულეტა და ამაში თქვენ იქნებით დამნაშავე".

ამასაც „პრესის წარმომადგენელი" ჰქვია, უკომენტაროდ არ ტოვებს ამფითეატროვი ნიკოსათვის კეზელის ნამოქმედარს. ასე რომ, ვითარება ერთობ დაძაბული ყოფილა, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებოდნენ ერთმანეთს—ყველაზე მეტად შენ ვერ გიტანენ—წერს იგივე ამფითეატროვი ადრესატს.

მაგრამ ეს ამბები ასე ვრცლად მარტო იმისათვის, რა ელოდა ნიკო ნიკოლაძეს, თუ ქუთაისში ჩამოვიდოდა, არ გაგვიხსენებია. ჯერ ერთი, იმავე წერილით ვგებულობთ, რომ მიქელაძე, ნაზაროვი, ზდანევიჩი, მეუნარგია კალისტრატესთან მისვლასაც გეგმავდნენ, მაგრამ მერე, ამფითეატროვისთვის „ნიკოს კაცის" იარლიყი რომ მიუკერებიათ, ვერ მოუხერხებიათ, ვერ შეუღწევიათ მტრის ცენტრში, სადაც იგეგმებოდა კალისტრატეს გამარჯვება და იფუშებოდა მოწინააღმდეგეთა ჩანაფიქრი.

უფრო მეტიც:

„დავით მიქელაძეს კეზელთან ბულვარში ჰქონდა სკანდალი"—წერს ნიკოს ამფითეატროვი. ესაა და ეს, ერთი ფრაზა, ერთი წინადადება, მორჩა და გათავდა. სავარაუდოა, მეველეს არ მოეთმინა, აღშფოთებულიყო კეზელის ნამოქმედარის გამო და ფიზიკური ანგარიშსწორებაც განეზრახა. იგი ხომ, როცა სიტყვით ვერაფერს ხდებოდა, მუშტითაც ცდილობდა, შეუგნებლისათვის შეეგნებინა მისი საქმიანობის მავნებლობა. ჰოდა, უნდა ვიფიქროთ, მიეჭრა კეზელს დათა და პასუხი მოთხოვა ყოველივე იმაზე, რაც მან მოიმოქმედა,

თუნდაც სიმონ წერეთლისათვის—თავადაზნაურთა წინამ-ძღოლისთვის ნათქვამზე, რამეთუ ამ წერილით კეზელიც ერთ-ერთი ბობოლა კალისტრატისტი ყოფილა.

როგორ გათავდა ეს სკანდალი, არ ვიცით. საფიქრალია, დათა მიქელაძე უპასუხოდ არაფერს დატოვებდა, არაფერს შეარჩენდა, სიტყვითაც და მუშტითაც გასცემდა საკადრის პასუხს. ალბათ ასეც მოხდა. არჩევნები კი ჩიკვაიძემ მოიგო და, კვირა დღისათვის ამფითეატროვი ან მკვდრულ სიჩუმეს რომ წინასწარმეტყველებდა ქუთაისში, ან კალისტრატეს მომხრეთა მაშხალებით სირბილს ქალაქში, ახდა—ზუთხობიამ გაჭრა და ქუთაისური ბანკობიადა ახალ ფაზაში შევიდა, როცა საქვეყნო საქმეზე უმეტეს პირადული ამოტივტივდებოდა. ასე გაგრძელდა ბარე ათი წელიწადი, ვიდრე კალისტრატიზმი არ გაქრა ქუთაისური ცის თავანიდან, მისი მომხრე ლუარსაბ ლოლუაც არ გადააყენეს ქალაქის თავობიდან და კალისტრატეც მის კვალს არ გაუყენეს.

ზემოთაც ვთქვით, დავით მიქელაძეს ბანკი თავადაზნაურთა ეკონომიკური ყოფის შემამსუბუქებელ და არა დამაკნინებელ ორგანიზაციად ესახებოდა. ქვეყანაში ოცი ათასი თავადაზნაური უბინაო და გაჭირვებულიაო, წერდა. იმასაც ამხელდა, აქედან შეიძლება ორი ათასი დარჩეს ძველ ნაფუძარზე, 18 ათასს კი აყრა მოუწევს, რამეთუ მათი მამულები ვერც ბანკის სესხს ფარავენ, ველარც მებატონისათვის იძლევიან სარგებელს. უფრო შორს მიდის და აცხადებს: საერთოდ, არსებული მამულების ერთი მესამედი ბანკშია დაგირავებულიო.

გვეგონა, თავადაზნაურთა ყოფას გამოვაკეთებდით, პირიქით მოხდა, დავამძიმეთ—ამიტომ მოწონდა აგრონომ ლუბარსკის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც გლეხებს უნდა გამოესყიდათ მებატონეთა მიერ ბანკში დაგირავებული მამულები და დაესაკუთრებინათ ისინი. ამისათვის მათ უნდა მიცემოდათ მცირეპროცენტიანი სესხი, ამ ღონისძიებით,

ფიქრობდა, მებატონეც მოიგებს, ბანკიც და გლეხიც, რომელმაც შეიძლება ნახევარ ფასში იყიდოს მიწა.

მემამულეც მოიგებს, ბანკიც, გლეხიც...

აი, ოცნება, რომელსაც მთელი სიცოცხლე ერთგულებდა. მისთვის ერთი წოდების, ფენის კეთილდღეობა ქვეყნის სიკეთესა და სიმდიდრეს არ ნიშნავდა და ამიტომ წერდა და გაჰყვიროდა! ბანკიც მოიგებს, მემამულეც და გლეხიც თუ ლუბარსკის მოსაზრებით ვიმოქმედებთო.

90-იან წლებში სიმინდის ფასმა ერთიორად დაიკლო. მემამულე ხარჯს ეწეოდა, მოჰყავდა მარცვლეული, ჭირნახულის აღების დროს კი ისე დაბლდებოდა ფასი, დანახარჯსაც ვერ ფარავდა. რა უნდა ექნა? იძულებული იყო, სიმწრით მოწეული მუქთად დაეთმო ჩარჩ-ვაჭრებისათვის, რადგან აქეთ ბანკის ვალი აწვა მხრებზე, იქით—მომუშავეთა გასამრჯელო. ერთი სიტყვით, ხეირობდა ის, ვინც არაფერს ხარჯავდა, მუქთად ყიდულობდა, ინახავდა და სულ მცირე დროის გასვლის მერე მამასისხლად ჰყიდდა.

მეველემ „ივერიაში“ სპეციალური წერილი მიუძღვნა ამ ამბავს: მოსავლის პატრონს მივცეთ სესხი, რომ მან ხარჯები დაფაროს, გაისტუმროს ბანკი, გასცეს გასამრჯელო, შეინახოს და დააბინაოს ჭირნახული, რომელსაც ფასის აწევის მერე გაჰყიდის და დაფარავს სესხს. მოგებული დარჩება მწარმოებელიც, ბანკიც და მიწის მუშაც... „თუ კაცს საქონელი აქვს, იმას ფულიც ადვილად ენდობა ამ საქონელშიო“—წერდა და გაზეთის მკითხველებს, უფრო მთელ საზოგადოებას, ურჩევდა—დროულად, სიმინდის მეპატრონეთა გაკოტრებამდე, გაეცათ სესხი, თორემ მომავალში შეიძლება სახელმწიფო ელევატორებიც დაარსდეს, ან სასოფლო ბანკები შეიქმნას, რომელთა საქმე ამგვარი ვითარებისათვის წამლობა იქნებაო.

ასე ესმოდა ქვეყნის ეკონომიკა, იცავდა მწარმოებელს, ქვეყნის ძირითად ფენას, თავადაზნაურობას, რომლის სილა-

რიბე სხვა წოდებათა მატერიალურ შეჭირვებასა და საერთოდ, ქვეყნის პოლიტიკურ სიძაბუნეს გამოიწვევდა:

საინგილოში 7 მანეთი ღირს აბრეშუმი, სამეგრელოში—15, ხოლო იქ, სადაც იყიდება—7 თუმანი. ასეთ დღეშია მწარმოებელი, რომელსაც ორი გროშიც არ რჩება მოგება, ხოლო ჩარჩ-ვაჭარი ნაყიდს ათჯერ ძვირად ჰყიდის და რა გასაკვირია, ჯიბეში ფული უჩხრიალებდეს, სასახლეში ცხოვრობდეს... მეველეს აზრით, სანამ ქვეყანაში მწარმოებელი ასეთ მდგომარეობაში იქნება, მას არაფერი ეშველება. „ევერიის" მკითხველებს ეუბნებოდა—ერთი საქონლის ყიდვა-გაყიდვის ამბავი მოგახსენეთ, სხვებიც ამგვარადაა და მოდით, დათვალეთ, რამდენს ჰკარგავს ყოველ საქონელზე ჩვენი დუხჭირი ქვეყანა, მისი გაუბედურებული ხალხი, რომელნიც შრომობენ, წვალობენ, არაფერი აქვთ, ისინი კიდევ, უფრო სომეხნი, იყიდიან, მომენტს შეურჩევენ, იაფად დაცინცლიან და ისე ძვირად გაჰყიდიან, რომ სიმინდისა თუ აბრეშუმის პატრონი იმდენ ფულს სიზმარშიც ვერ ნახავს.

მითუმეტეს, პრეცედენტიც არსებობს ამისა, რუსეთის მთავრობამ, ჭირნახულის ფასის დაკლების გამო, ყუბანის მხარის სოფლებს ნახევარი მილიონი ასესხა. თვითონ მოსავალი დააგირავეს, სარგებელიც ას მანეთში სამი მანეთი დაუწესეს, სესხად ჭირნახულის ფასის მესამედს აძლევდნენ, რომელიც ცხრა თვის მერე უნდა დაეფარათ. მაგრამ ეს მოხდა რუსეთში, ჩვენთან განა, ასეთი რამ აწყენდა ჩვენს გაუბედურებულ თავადაზნაურობას?—კითხულობს მეველე და თვითვე პასუხობს: რაც ძალიან ადვილია რუსეთში, შეუძლებელია საქართველოში, რამეთუ მთავრობას სწორედ იქაური მოსავალი აინტერესებს, იქაური მომყვანი და მყიდველი ადარდებს, აქაური თუნდაც სულაც დამშეულა, ველ-მინდორიც ხრიოკად და უდაბნოდ ქცეულა. იქ ამგვარ ამბებს ერობა წყვეტს, რომელშიც ყველა წოდების წარმომადგენელი შედის, აქ ერობა არაა, თავადაზნაურობას ჰყავს წინამძღო-

ლი, რომელიც, ფაქტიურად, შუამავალია მთავრობასთან, გლეხობას—არა, მაგრამ მამასახლისებმა მაინც დასვან საკითხი—სახელმწიფო ბანკიდან გლეხებისათვის სესხის მიცემაზე, იქნება გატყდეს ნავსი და გამოვიდეს რაიმე,—წერს ამ ამბავს ჩაგულისყურებული.

სამეურნეო საზოგადოების სხდომაზე ახვლედიანის წინადადება განუხილავთ „მეყველეებთ ქარხნის" დაარსების თაობაზე. დავით მიქელაძე დეტალურად მიმოიხილავს იქ გამომსვლელთა აზრებს—მოსაწონს იწონებს, უარსაყოფს უარყოფს. ამ ქარხნისათვის ძროხები უნდა ეყიდათ ან კიდევ სოფლებს დახმარებდნენ, რომ იმათ რძით მოემარაგებინათ ქარხანა. დავიდოვიჩს უთქვამს, რომ არ შეიძლება გამორჩევით დაეხმარო რომელიმე სოფელს, რადგან ყველას შეწევნა არ ძალგვიძს. ამიტომ, სჯობს, თავი შევიკავოთო. მეველე პასუხობს: დავიდოვიჩი რომ გემის კაპიტანი იყოს და ზღვაში დაღუპულ ხომალდსა და წყლის სიღრმეში ჩასანთქმელად განწირულ მგზავრებს წააწყდეს, იმის გამო, რომ ყველას ვერ გადაარჩენს, განა, ვისი წყლიდან ამოყვანაც შეეძლება, იმას დახმარების ხელს არ გაუწვდის?!

იმ სხდომაზე ბევრი რამ თქმულა:

ილიას განუცხადებია:

„თუ გლეხები თვითონ არ შეიყვანა კაცმა ახალ მუშაობებში და მოგებებში, ისე ის ვერაფერს გამოიყენებსო. მაგალითად მოიყვანა ნემცების კოლონიები და გვერდით ქართული სოფლები. პირველები მდიდარი, კმაყოფილი და მილიონების შემძლე არიან, მაშინ, როდესაც მეზობელი სოფლები ისევ იმ ადამის დროის სიღარიბეში და უმეცრებაში დარჩენილანო".

დავით მიქელაძეც ამას უხსნიდა მკითხველებს—საქმის გონიერი წარმართვით შეიძლება ბევრი სასიკეთო წამოწყება სასიკეთოდ დაგვირგვინდეს: ასეთად თვლიდა უფალი ახვლედიანის აზრსაც ყველის ქარხნის დაარსებაზე.

ოძისის ბანკის დაფუძნებასაც მიესალმებოდა. უკვირდა, სხვა სოფლებმაც რად არ წაბაძეს, რად არ გამოუჩნდა ამ მეტად საჭირო საქმეს განმგრძობნი და განმაახლებელნი.

900-იან წლებში, როცა რუსეთში მოსავალი ძალიან შემცირდა და მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილობდა, მთავრობამ მეურნეობის სამინისტრო დააარსა, რაც დავით მიქელაძეს პროგრესულ ნაბიჯად მიაჩნდა. თვლიდა, რომ ამ სამინისტროსთვის სხვადასხვა უწყებებს წინადადებანი, მოსაზრებანი უნდა მიეწოდებინათ, რათა მძიმე წლები ადვილად გადაეტანათ, ქვეყნის მეურნეობის უკეთ მოწყობაზე ეფიქრათ.

მერე, როცა მეურნეობის მინისტრს ელოდებოდნენ საქართველოში, გაზეთის მკითხველებს ურჩევდა—ეთხოვათ მისთვის რამდენიმე ფერმის დაარსება, სადაც გლეხთა და თავადაზნაურთა შვილები შეისწავლიდნენ მეურნეობის ამა თუ იმ დარგს: „ყოველი დღე გვარწმუნებს, რომ თავადაზნაურთა ახალგაზრდობას დროზე უნდა მიშველება, ის ძალა და ენერგია, რომელიც ამ წოდებას უთუოდ აქვს, საჭიროა სახეიროდ ქვეყნისა და სახელმწიფოსათვის იქნეს მოხმარებული და არა მავნებლად და საზარალოდო“—წერდა.

ერთ მემამულეს თავის მამულში ვერცხლის მადანი აღმოუჩენია, სად უნდა წაეღო ან რა უნდა ექნა ამ წიაღისეულისთვის, რომელიც მიწის ქვეშ მყოფი არაფერს წარმოადგენდა, მიწის ზევით კიდევ ძვირფასი გახლდათ. ამიტომ მემამულისათვის მადანის დასამუშავებლად მთავრობას 800 მანეთი მიუცია სესხად. დავით მიქელაძე მიესალმა ამ ამბავს და მადნის აღმოჩენაზე უმეტეს მთავრობისაგან სესხის გამოყოფამ გაახარა.

ღმერთმა ქნას, საქართველოშიც ხდებოდეს ამგვარი რამ, რამეთუ ჩვენი ქვეყანა ყოველგვარი წიაღისეულითაა მდიდარი, გვაქვს იშვიათი ბუნება, აქ ხარობს იშვიათი ჯიშის ხეები, იზრდება ფრინველი და პირუტყვიო,—წერს.

მიწის ქვეშ და მიწის ზემოთ მართლაც უამრავი რამ გაგვაჩნია, მაგრამ ქართველი კაცი მაინც გაჭირვებით ცხოვრობს. რატომ?—კითხულობს მეველე. იმიტომ, რომ ზარმაცია,—აგრძელებს ფიქრს:

„თუ ქართველს ვერ გადაუდგამს ჯერ ნაბიჯი უმჯობესის ცხოვრებისაკენ, ისეთის ცხოვრებისაკენ, რომელიც განათლებულ ევროპელს დაამსგავსებდა, ეს ქართველი ერის ბუნების ბრალი კი არ არის, არამედ იმათი დანაშაულობაა, ვინც ხალხს ნაყოფიერის შრომისა, ცოდნისა და განვითარების მაგალითი უნდა დაანახვოს, იმათი, რომელთაც ამა ქვეყნის მართალთ და გზის მაჩვენებელთ უწოდებენ“.

ერის განვითარებას, ევროპულ გზაზე დაყენებას, გეზის ჩვენება რომ სჭირდება, ეს ძალიან კარგად ესმოდა, ესმოდა, რომ გამორჩეული ადამიანები მოქმედებით, აზროვნებით, ცხოვრების წესით უნდა ყოფილიყვნენ სხვათათვის მისაბაძი მაგალითი.

ქართველ კაცს გაჭირვების დროს ენერგიაც აღმოაჩნდება და გამჭრიახობაცო,—წერდა, მიესალმებოდა ჭიათურის შავი ქვის წარმოების დაწყებას და კახეთის ვენახის მეპატრონეთა ამხანაგობის დაარსებას. ამათ საზოგადოების ნდობა უკვე მოიპოვეს, ხალხი იმედით შეჰყურებსო. ასევე საჭიროდ მიაჩნდა „მოსამსახურეთა დამფარველი საზოგადოების“ დაარსება, უნდა შეედგინათ მისი წესდება, ხოლო საზოგადოების მმართველ ორგანოში დასაქმებულ ხალხისთვის ხელფასი დაქირავებულისა და დამქირავებლისაგან გაღებული გადასახადის მიხედვით ეძლიათ.

ასეა სხვაგან, კარგი გადმოვიღოთ, ცუდი უკუვაგდოთ.

დავით მიქელაძეს მისმა სეხნიამ—დავით გვახარიამ ბანკის სახლების და საპირფარეშოების გაწმენდის ანგარიში მიუტანა. ერთ ფარატინა ქაღალდზე აღენუსხათ ჩვეულებრივი, აუცილებელი ხარჯი დაწესებულებისა. სხვა არც დაფიქრდებოდა, ისე მოუწერდა ხელს, ადრე ზუსტად ასე იქცე-

ოდნენ, იცოდნენ, რაც იყო, მოაწერდნენ ხელს და ქაღალდს მომტანს დაუბრუნებდნენ.

დავით მიქელაძე ამ თანხამაც დააეჭვა:

—რატომ ამდენი?—თავი ასწია და თვალი თვალში გაუყარა მოსულს.

—რა, ბატონო?—აზრზე ვერ მოვიდა ადრესატი.

—რადა, ამოდენა თანხა რა საჭიროა?

—როგორ თუ რა საჭიროა, შარშანაც ასე იყო, შარშანწინაც, იმის წინაც,—გამოცოცხლდა თვითონაც არანაკლებ ენაკვიმატი გვახარია.

—სხვა დროს რა იყო, არ დავეძებ, დიდი თანხაა, მე და ჩემმა ღმერთმა.

—შარშან და იმის წინ თუ ამდენს იხდიდით, ახლა მოიშლიდა ხალხი ფეხის ადგილში სიარულს თუ რა?—ღიმილი გადაეკრა სახეზე გვახარიას.

—მაგ არაა ჩემი საქმე, თანხაა დიდი.—გაიმეორა დავითმა.

—თანხა სამუშაოს შესაბამისია, ბატონო!

მეველე მიხვდა, გვახარიას ასე უცებ ვერაფრით გადაარწმუნებდა, ამიტომ გვერდით მჯდომ პიპინია მიქელაძეს, მოგვარესა და არანაკლებ ენამოსწრებულ თანამშრომელს ბანკისა, გასძახა:

—პიპინია, დღეში რამდენჯერ შეიძლება კაცი გავიდეს ფეხისადგილში?!

პიპინია დაიბნა, ვერ გაიგო, რას ეკითხებოდა მისკენ ვედრების გამომხატველი თვალებით მაცქერალი მოგვარე დირექტორი და მხრები აიწურა.

—არა, მაინც რამდენჯერ შეიძლება დღეში ერთი კაცი შევიდეს ფეხისადგილში?

—გააჩნია, ბატონო, კაცს, თუ მუცელი ტკივა, ყოველს წამს, თუ არადა, ჯანმრთელი მაგ საქმეს ორჯერ მეტად არ უნდა იჭირვებდეს.

—ჰოდა, ეგენი დღეში სამჯერ, ზოგჯერ ოთხჯერაც წმენ-

დენ თურმე ჩვენი ბანკის სახლების საპირფარეშოებსა და სანაგვეებს.

—ისემც უცხონდათ მაშვალი, ნეტავ სამ დღეში ერთხელ აკეთებდნენ, ვინ ოხერი დაამადლით ფულს.

—შარშანაც ამდენს იხდიდით, შარშანწინაც.—ძველებურად გაიძახოდა გვახარია.

ბანკის თანამშრომლებს ღიმი დაეტყოთ სახეზე, განსაკუთრებით პიპინიას გაბადვროდა თავ-პირი, უნდოდათ, გულიანად ეხარხარათ, მაგრამ არ იცოდნენ, მეველეს ეწყინებოდა თუ გაეხარდებოდა, ამიტომ პირმოკუმულნი ქირქილებდნენ ულვაშებში, მერე დათას გამეხებულ მზერას მოჰკრეს თვალი და გაჩუმდნენ:

—აი, რატომ გვეძახიან ქართველებს ბედოვლათებს, საპირფარეშოთა გაწმენდის თანხაშიც კი გვატყუებენ, ზედმეტს გვახდევინებენ.—უფრო მომშვილდა წარბები და კოპებიც შეიკრა.

—როგორ გეკადრებათ, ბატონო, შარშანაც ამდენი გადაიხადეთ.

—წელს აღარ გადავიხდით.—მოკლედ მოუჭრა მეველემ და უკან დაუბრუნა ის ფარატინა ქაღალდი.

ზოგმა ბანკის დირექტორის ახირებულ ხასიათს მიაწერა იმდღევანდელი ქცევა, ზოგმა იუმორად მიიღო, ზოგს სულაც არ მიუქცევია ყურადღება. დავით მიქელაძესთვის კი ნიუანსსაც მნიშვნელობა გააჩნდა, ამით ცდილობდა, ევროპული მომჭირნეობა ქართველთათვის ჩვევად და ხასიათად ექცია—ფანტვიდან ეკონომიური ხარჯვისაკენ მოეწოდებინა.

არ ვიცით, როგორ მოიქცა გვახარიას გვარის კაცი—შეუმცირა თუ არა მეველეს გადასახდელი ფული, სავარაუდოა—კი, სხვაგვარად ძნელად დაითანხმებდა ერთხელ ნათქვამის იშვიათად გადამთქმელ ბანკის მოხელეს.

ახირებული ხასიათის კაციაო—ამიტომაც წერენ თანამედროვენი, უფრო ისინი, მაშინაც რომ ვერ ჩამხვდარიყვნენ

მეველეს აზრსა და განწყობილებას. ილია ჩიქოვანიც ასე მონათლავს, ამგვარ დასკვნას გაუკეთებს იმდღევანდელ ნამოქმედარს ბანკის დირექტორისას და დავით გვახარიას უკან გასტუმრებას.

მეველის ცხოვრებისა და ღვაწლის სრულად შეცნობა კი იმაშიც დაგვარწმუნებს, იშვიათად, მაგრამ მაინც საუცებო დასკვნაც გაუკეთებია, დაჟინებით უმტკიცებია აკვიატებული აზრი.

დავით მინგრელსკიმ ჭადრაკში გამოიჩინა თავი, ქვეყანა ასახელა, როზენტალს მოუგო, გაეხარდა უმრავლესობას ქართველ თავადთა თუ აზნაურთა, ერის გამარჯვებად აღიქვეს მომხდარი ამბავი. მეველემ პირიქით—„დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილში იქით დაამუნათა თავადობა: ღმერთმანი, კარგია ჭადრაკის თამაში, მეც სიამოვნებით ვიქცევ ხოლმე თავს, მაგრამ ქართველი თავადობა ამას არ უნდა გადაყვეს, გასართობი საქმედ არ უნდა აქციოს, ესღა გვაკლდა, ისედაც თვალსა და ხელს შუა გვეცლება ქვეყანა, გვართმევენ მამულებს, არ ეგების დღეღამ ჭადრაკის თამაში მამულიშვილთაგანო.

მართალიც იყო და არც იყო. უფრო წუხილი ჩანს მის ამ სიტყვებში, ვიდრე ზერელე ფიქრი. მართალია, მინგრელსკისთვის ჭადრაკის თამაში საქვეყნოდ სხვას არავის დაუწუნებია, თუმცა სამთავრო საქმეები მიატოვა, თავადობა და აზნაურობა ისე აირდაირია მის სამფლობელოში, ვეღარ გაარჩევ, ვინ ნამდვილია, ვინ ყალბი, ეს კიდევ ჭადრაკის თამაშით ირთობს თავსო, უფრო უთქვამთ, ვიდრე დაუწერიათ, მაგრამ მათი აზრი ახირებულად არავის ჩაუთვლია, სიმართლედ მიიჩნიეს, რამეთუ თვითონაც იგივეს ფიქრობდნენ...

„დროების“ წერილი გავიხსენოთ.

პარიზში განთქმული მოჭადრაკე როზენტალი ჩასულა ჭადრაკის სათამაშოდ. ერთდროულ სეანსში თურმე ოცდარვა ადამიანი ერკინებოდა დიდოსტატს, რომელიც ერთ სვლაზე,

ფრანგთათვის მიცემული პირობისამებრ, წამზე მეტს არ უნდა დაფიქრებულიყო.

რესპუბლიკური გაზეთები ოხუნჯობენო,—წერს მეველე,— როზენტალის მოწინააღმდეგეთა ამქარში მონარქისტთა თავგადაკლული მომხრე და თაყვანისმცემელი ბატბიც ჩაერთო. „ჰოდა, სასიამოვნო იქნებოდა იმისი ყურება, როგორ ეტყვის უფალი ბატბი ქიშ მეფესაო!!!“

ოცდარვიდან ოცდაექვსისათვის როზენტალს მოუგია, ორთან, მათ შორის თავად მინგრელსკისთან, დამარცხებულა.

„დროების“ იმ წერილში რამდენიმე სტრიქონია გამოტოვებული (ცენზურისაგან დაწერტილებულს ვეძახი ასეთ ადგილებს). იქნებ იქ გამოთქვამდა მეველე უფრო პრინციპულად თავის აზრს ჭადრაკსა და მინგრელსკიზე. ფინალში კი ფრთხილი საყვედურნარევი კილოთი კმაყოფილდება:

„მე სხვებსავით არ ვფიქრობ, რომ ჭანდრაკის თამაში საძრახი საქმე იყოს, მაგრამ ბევრად უფრო სასიამოვნო იქნებოდა, რომ რაიმე სამშობლოს სასარგებლო მოქმედებით გაითქმოდენ სახელსა ჩვენი თავადები“.

რატომ იყო ამის დამწერი ახირებული ხასიათისა, არ ვიცით. ისიც უცნობია ჩვენთვის, მოუწია თუ არა უფალ ბატბის „ქიშ მეფეს“ წარმოთქმამ, ან იქნებ სულაც ისე უცებ წააგო, ერთხელაც არ მიუტანია იერიში მოწინააღმდეგის მეფეზე. მას ხომ ერთნაირი სიყვარულითა და თაყვანამდე დასული ერთგულებით უყვარდა ყველა მეფე—თეთრებისაც და შავებისაც, მისიც და სხვისიც.

ქიშ მეფეს! ფრთხილად, უფრო ჩურჩულით ან საერთოდ არ იტყოდა.

მეველემ კიდევ ჭადრაკით გართობას, სჯობს, უფრო სხვა რამით ასახელოთ თავადებმა სამშობლო, უპირველეს, მამულს მოუაროთ, მიხედოთო...

გვახარიას რომ უკან გაუბრუნა ფარატინა ქაღალდი, ფაქტის შემსწრე და მერე ბანკის დერეფანში მობაასე ორმა თანამშრომელმა მაშინ გაიხსენა ეს ამბავი.

—რას ერჩოდა იმ პატიოსან კაცს?—იკითხა ერთმა.

—რა ვიცი, კი დაამუნათა და... საწყალი აწი ბანკისკენ აღარ იზამს პირს, მეველე რას დაეძებს, აქოთებული სანაგვეები ჩვენ შეგვაწუხებს!—უპასუხა მეორემ.

—ხო,—წაიჩიფჩიფა პირველმა,—კვირაში ერთხელ ან ორჯერ შემოირბენს ბანკში და ისეთს ახირებულს რამეს იზამს, ვერაფერს გაიგებ, უცნაურობით ცდილობს გამოიჩინოს თავი.—ეს თქვა და ისეთი მედიდური გამომეტყველება მიიღო, მოსამართლე რაა, ქვეყნის ავანჩავანიც თითქოს მას ეკითხებოდა, ყველაფრის გამრკვევი იყო და პატივცემული ბანკის დირექტორი რატომ არ შეეკითხა, თითოეული სიტყვა მასთან რატომ არ შეათანხმაო, იფიქრებდა უცხო და საქმეში ჩაუხედავი კაცი.

—ახირებული კაცია, გახსოვს, მინგრელსკის ჭადრაკით გატაცებას რომ უწუნებდა?!

—მახსოვს, აბა, არა, ქვეყანა კაცს თვალებში შესცინებდა, ქართველობა ასახელაო, ფიქრობდნენ, ეს კიდევ ჯიქურ უტევდა, ჭადრაკი გასართობია და ამან არ უნდა გაიტაცოს ჩვენი თავადობაო.

—იმას უწუნებდა, თვითონ მშვენივრად თამაშობს, ხშირად დილიდან დაღამებამდე ერკინება მეტოქეს, ჭამაც აღარ ახსოვს, აგებს, იგებს, წაგებულს დასცინის, თავის დაცინვას ვერ იტანს,—წაუსისინა მეორემ.

—ჰო, მასეა, სხვას შეიძლება დასცინო, გააპამპულო, მაგრამ შენ როცა შეგეხებიან, თუნდაც თავაზიანად მიგანიშნებენ ნაკლზე, იწყინო და გადაირიო.

—რას იზამ, ჩემო კარგო, ჩვენ არც ბანკში გვინდოდა აგვერჩია, მაგრამ ვინ დაგვიჯერა,—თქვა მეორემ, მხარზე ხელი დაჰკრა მოსაუბრეს და მათკენ მომზირალ პიპინია მიქელაძეს ფარისევლურად გაუღიმა.

მეორე ხედავდა, დერეფანში ყალიონის გასაფუილებლად გამოსული ბანკის ბუღალტერი მათკენ რომ აპარებდა ხანდახან მზერას, ხედავდა და არაფერს იმჩნევდა, ესაუბრებოდა ისე, თითქოს მათ გარდა დერეფანში არავინ ყოფილიყო, ეხატა სახეზე იქედნური ღიმილი, უფრო სწორად, ცალი ყბით მათკენ მაცქერალს უღიმოდა, ცალით მის წინ ასვეტებულ ჩიფჩიფით მოლაპარაკეს.

—ნიკოლოზის გამეფება რომ უხაროდა?..

—აბა რა, ეგონა, ქვეყანას ააყვავებდა, ქართველებს ძველ დიდებას დაუბრუნებდა, მაგრამ მწარედ მოტყუვდა.

—მასე კითხე, „ივერიის“ ის ნომრები რომ დაუწყო წინ, სადაც იმპერატორის გამეფებას სიხარულისა და აღტაცების სიტყვებს უძღვნიდა, უმალ იუარებს, არ დამიწერიაო.

—ისე, ხშირადაც არ გადაუთქვამს რაიმე, თუ იტყვის, აღასრულებს კიდეც.—სიმართლის ნატამალი გაკრთა პირველი მოსაუბრის გონებაში.

—რას იტყვის და რას მოიმოქმედებს, ესაა მთავარი, —გაუქარწყლა მეორემ და ისევ იქით გაიხედა, სადაც პიპინია მიქელაძე იდგა და აფუილებდა.

—მაგას მართლა ვერ ამოიცნობ, რას იტყვის და რას იზამს.

—ახირებული ხალხი გვაკლდა ჩვენ?!

—აბა, ზოგი ქალაქიდან გასასვლელად მთელი წელიწადი ემზადება, ეს კიდევ ბუზივით დაფრინავს.

—იფრინოს, მაგ ბუზსაც მალე დაცვივდება ფრთები.— თქვა და ისევ გააპარა მზერა ბანკის ბუღალტერისაკენ, რომელიც ხან ამათკენ იხედებოდა, ხან კიდევ ყალიონის კვამლს აყოლებდა მზერას.

მოსაუბრეთაგან ერთი, პიპინიასაკენ მზერის გამპარებელი მიხეილ დარახველიძე იყო, მეორე კოწია წერეთელი. იდგნენ კიბის თავში და არჩევდნენ ბანკში მომხდარს, აძაგებდნენ მიქელაძეს, მაგრამ მალე გაუქრათ ხალისი კილვისა. ჯერ მიხეილ

დარახველიძე დაეშვა კიბეებზე, მერე თითქოს მის წასვლას ელოდაო, მათკენ მაცქერალმა პიპინია მიქელაძემ ააჭრაჭუნა ხის საფეხურები, ბოლოს კოწია წერეთელი წალასლასდა.

პირველი მოსაუბრე პიპინიას წინ მიდიოდა, მეორე უკან დარჩენილიყო, უნდოდა, ან პირველს დაწეოდა ან მეორეს დალოდებოდა, რომ შეეტყო მათი იდუმალი მუსაიფის მიზეზი. მაგრამ პირველი ისე ჩქარა მიდიოდა, ვერ ეწეოდა, მეორე კიდევ მიზოზინებდა.

ვერც პირველს დაეწია, ვერც მეორეს დაელოდა.

მიდიოდა ერთი წინ, მეორე—უკან, შუაში ბულალტერი, რომელსაც ბანკის ხის კიბეების ჭრაჭუნი გულს უღონებდა ხოლმე, ცუდ ხასიათზე აყენებდა. ალბათ გვახარიას ესარჩლებოდნენ, ერთი იცავდა, მეორე კილავდა, თავი დაიმშვიდა პიპინიამ და აღარც დაწევა უცდია, აღარც დალოდება.

მიხეილ დარახველიძეს ძველი წყენა ალაპარაკებდა. მას შემდეგ, მართალია, დიდი დრო გასულიყო, მაგრამ წინანდელი ბოღმა გულს უკლავდა. სამაგიეროს მიზღვის საშუალებაც არასდროს მიეცა. უნდოდა, არჩევნებში დამარცხებულიყო და პირში ჩალაგამოვლებული დაეტოვებინა დირექტორობის მოსურნე პუბლიცისტი, მაგრამ ეს გეგმაც ჩაეფუშა—ბევრი ქსელი დახლართა, სულაც მოწინააღმდეგეთა ლიდერად იქცა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. რომ ფიქრობდა, გავაშავეთო, პირიქით მოხდა—დარახველიძისათვის პირობამიცემულებმაც მეველეს ჩაუგდეს თეთრი კენჭი.

უნდა დამარცხებულიყო, მაგრამ გაიმარჯვა,—ეს ბანკის არჩევნების დროს. ადრე მიხეილ დარახველიძემ აჯობა მეველეს, მაგრამ ეს ჯობნება სულაც დამარცხების, გაკილვის სადარი შეიქმნა, რომ ფიქრობდა, ჩემი გავიტანე, ჭკუა ვასწავლე თავგასულ მიქელაძესო, ისე შებრუნდა საქმე, რომ თავი საწყევრად გაუხდა. მეველემ ჰუმანურობის გამომხატველი სიტყვით ფარზე აზიდა მისი სახელი, დარახველიძემ კი დააკნინა და დაამცრო სახელი თვისი.

მაშინდელი ინციდენტიც თავიდან ახირებად ჩაუთვალეს დათა მიქელაძეს, მაგრამ მერე მიხვდნენ, რომ ახალგაზრდა თავადმა არა მარტო გაიმარჯვა, სამარცხვინო ბოძზეც გააკრა მოწინააღმდეგენი. დამარცხდა, მაგრამ ისე გაიმარჯვა, გახსენებაც აღარ უნდოდათ იმდღევანდელი ბჭობისა. საზედამხედველო კომიტეტმა ქუთაისის ბანკისამ ორასი მანეთი დავხარჯეთ, ორი გლეხკაცის შვილი უმაღლეს სასწავლებელში გავაგზავნეთო. ყველას ჩვეულებრივად უნდა მიეღო ეს ამბავი, გახარებოდა კიდეც, გლეხის შვილებს ისე ემარჯვათ, რომ რუსეთში სწავლობდნენ.

მოხდა პირიქით.

წამოდგა „ნაადვოკატევი და ისევ გაადვოკატებული“ აზნაური მიხეილ დარახველიძე და ქარს გაატანა სურვილი კომიტეტისა, აქაოდა, კეთილშობილთა ფულები გლეხის შვილებზე დაგიხარჯავთ, ჩვენი ქისა დაგიცარიელებიათ, დაგვჭირდება და რომელი გლეხი ჩაგვიჩხრიალებს ფულებს ჯიბეში?! „კეთილშობილების ამ ჭახაჭუხს“ ბევრი მომხრე გამოჩენია, მათაც აუტაცებიათ, ვითომდა მაღალი წოდების დაცვისა და გადარჩენისათვის დარახველიძის პირით ნათქვამი, გაუკილავთ კომიტეტი, ბანკიც, ჯერ რატრატს მოჰყვა დარახველიძეო, —წერს „დროება“,—შემდეგ მის რატრატობას კულასაებრ რაკრაკით მისცა ბანი საზოგადოებამ, გაგულისდნენ, გაკაპასდნენ, გაჯიქდნენ, მაგრამ თავადი დათა მიქელაძე წამომდგარა და პირში მიუხლია აზნაურ დარახველიძისა და მის მომხრეთათვის:

„ჩვენ გვრცხვენია, ბატონებო, გვრცხვენია, რომ ამისთანა საყვედური წარმოითქვა ამ ჩვენ კეთილშობილ საზოგადოებაში მიხეილ დარახველიძისაგან, რომელიც ასე დაუფიქრებლად თანაუგრძნობს თავად-აზნაურობას, ორასი მანეთის თაობაზედ, რომელიც მას მიუწოდებია ორიოდე გლეხკაცის შვილისათვის, რომელთაც დაჭირვებიათ ამგვარი შეწევნა სწავლის შესასრულებლად იმ მაღალ სასწავლებელ-

ში, სადამდინაც იმათ მიუღწევიათ ბეჯითობითა და შრომით—სირცხვილია, ბატონებო, ეს! ათასი წელიწადი მუქთად გვემსახურებოდა, მუქთად გვარჩენდა ჩვენ ეს გლეხკაცობა თავისი ოფლითა, და თქვენ, კეთილშობილნო, ასე დასტირით იმ ორას მანეთსა, რომელიც მთელი ჩვენი საზოგადოების მხრით დახარჯულია ამ გლეხკაცის შვილზედ... სირცხვილია ეს, ბატონებო, სირცხვილი ჩვენი საზოგადოებისათვის".

დავით მიქელაძის ეს სიტყვა უფრო განაჩენს ჰგავდა, განაჩენსაც და შერცხვენასაც. იგი, დარახველიძეზე უმეტეს წარჩინებული, ილაშქრებდა იმ უაზრო ქცევისა და სურვილის წინააღმდეგ, სხვა წარჩინებულებსაც რომ გასჩენოდათ უნებურად და ამ ამბის გამო უფრო გამძაფრებოდათ. ბასრი ისარივით მოხვდათ გულში მეველის სიტყვები და უფრო გამეტებით გაილაშქრეს—ვინც ახალგაზრდა თავადს ემხრობით, გარიცხვას იმსახურებთ ბანკის წევრობიდან, ამიტომ წესდება უნდა შევცვალოთ, ასეთი რამ მეორედ რომ არ მოხდესო.

—კენჭმა გაგვასწოროს, კენჭმა გაარჩიოს მტყუანი და მართალი!—ადანდგარებულა ბანკის კრებაზე შეკრებილი საზოგადოება

კენჭმა გაგვასწოროს, კოლოფი სტოლზედაო, კენჭი თეფშზედაო,—ყვიროდნენ.

ვინც დამბრუნებელი არაა, სესხებაც აეკრძალოსო.

ოღონდ გლეხის შვილს, თანაც ყველას კი არა, ორიოდ კინკილას ორასი მანეთი არ მიცემოდა და მზად იყვნენ, წესდებაც შეეცვალათ.

ასეც მოიქცნენ, კენჭისყრაზე დააყენეს წესდების შეცვლის საკითხი. თავმჯდომარე კრებისა ჯერ უარობდა, ეგ უწესობააო, ამბობდა, მაგრამ მოყაყანე ხალხთან რომ ვერაფერი გააწყო, თვითონ დამორჩილდა ამ უწესობას—კენჭით გაარკვიეს თეთრი და შავი და დარახველიძის მომხრეებმა სამასით ორმოცი

დაამარცხეს მიქელაძის თანამოაზრენი, თავისი გაიტანეს, საწადელს მიაღწიეს.

მართალია, მომდევნო დღეებში თვითონაც მიხვდნენ, ასეთი გაკაპასება რომ არ ივარგებდა, ერთი ამბის გამო წესდების შეცვლა სირცხვილი და თავსლაფდასხმა გახლდათ წარჩინებულთათვის, ამიტომ დაყაბულდნენ, წესდება აღარ შეუცვლიათ, იმ ორმოციდან ერთმა, კირილე ლორთქიფანიძემ იმარჯვა, იმდენი ილაპარაკა, უფრო ქადაგად დავარდა, უჩიჩინა და უხსნა იქაურებს, რომ როგორც იქნა, დაარწმუნა, წესდების შეცვლა სამომავლოდ გადაადებინა.

მიახვედრა ისინი, რომ „ბანკის საძირკვლიდგან იმისთანა მთავარი ქვების გამოღებით, როგორებიც იმან განიზრახა, თუ მთელი შენობა არ დაირღვეოდა, ამ შენობის ერთი მთავარი კედელი მაინც ჩაიქცეოდა“.

იქადაგა და წესდების შეცვლა გადააფიქრებინა.

სიმართლის დაჟინებით მტკიცებას დავით მიქელაძესა და მისნაირებს თანამედროვენი ახირებად უთვლიდნენ, თვითონ კი „უპრაქტიკო ყოფაქცევას“ ეძახდა სხვათაგან ახირებულად მონათლულ მის ხასიათს. ნიკო ნიკოლაძეს წერდა: „ჩემი უპრაქტიკო ყოფაქცევით იქამდე მივიყვანე საქმე, რომ ქუთაისში მოწყობას თავი დავანებოთ, ვგონებ, ჩემი ოთახიდანაც ველარ გამოვიდე. სითამამით შემიძლია ვსთქვა: თუ ერთი ვინმე დამზგავსებია გარეგნული შეხედულებით ჩვენს წინაპარს,—ადამს, მეც უკანასკნელთ რიცხვში არ ვიქნები“.

„უპრაქტიკო ყოფაქცევით“ მართლაც გამოირჩეოდა, არასდროს უფიქრია, საიდან რა სარგებელს მიიღებდა, ქვეყნისათვის როგორც თვლიდა საჭიროდ, ისე ჭრიდა და კერავდა.

„უპრაქტიკო ყოფაქცევა“...

ახირებული კაცი...

დროება წერდა:

„თუ ნაძრახ სიცოცხლესა სჯობიაო სახელოვანი სიკვდილი, მიხეილ დარახველიძის სასირცხო გამარჯვებას ათასჯერ

უფრო უნდა სჯობდეს და კიდეც სჯობია დავით მიქელაძის სახელოვანი დამარცხება“.

სერგეი მესხმა საგანგებო წერილი მიუძღვნა თავადაზნაურთა მსგავს დამოკიდებულებას გლეხებისადმი. თბილისისა და ქუთაისის ამბებიდან ორგვარი დამოკიდებულება გამოკვეთა: ერთნი ფიქრობენ, რომ თავადს ჭირი გლეხისა თავისად მიაჩნია, ლხინიც ასევე და პირიქით; მეორენი პირუკუ—გლეხის გასაჭირს თავის ლხინად აღიქვამენ და ეს უკანასკნელნიც ასევე. არც ერთია მართალი, არც მეორე—ჭეშმარიტება ამ ორ აზრს შუა ძევსო—ირწმუნებოდა „დროების“ რედაქტორი და მიაჩნდა, რომ მიუხედავად ჩამომავლობითი არისტოკრატიული მედიდურობის არარსებობისა, თავადი მაინც იშვიათად უყადრებს თავს გლეხს, იგი ცოდნით ოდნავ მაინც მაღლა დგას ამ წოდებაზე და მთლად ზემოდან თუ არა, მომაღლო მდგომარეობიდან მაინც დაჰყურებს ამ წოდებასო.

ქუთაისში მომხდარი, უფრო სწორად, მიხეილ დარახველიძის—„ღოლობერიძეების პარტიის მყვირალა კაცის“—დატრიალებული ამბავი სასირცხვოდ მიაჩნდა:

სასირცხვოდ იმიტომ, რომ გლეხებსაც გაუმართავთ სკოლები, მაგრამ თავადთა და აზნაურთა შვილების სკოლაში მიღება არასდროს უთაკილიათ.

სასირცხვოდ იმის გამო, რომ ორი ათასი წელი გლეხობა არჩენდა თავადობას და აზნაურობას და ამგენმა კაპიკზე ატეხეს ვაი-უშველებელი.

სასირცხვოდ იმიტომ, რომ განათლებული გლეხობა თავადაზნაურობასაც წაადგებოდა და პირიქით. ერთი სიტყვით, ჩამოთვლიდა და ჩამოთვლიდა სერგეი მესხი იმ მიზეზებს, თუ რატომ იყო ქუთაისის კრებაზე მომხდარი სახელის შემბღალველი და სასირცხვო თავადაზნაურობისათვის.

ორი ყიფიანი, ერთი ცნობილი და სახელგავარდნილი—დიმიტრი ყიფიანი, მეორე კიდევ უცნობი, მაგრამ თავისი ნააზ-

რევითა და საქმიანობით ერთობ საინტერესო კაცი—კონსტანტინე ყიფიანი გამოეხმაურა დათა მიქელაძის სათავადაზნაურო ბანკის კრებაზე „დამარცხების“ ამბავს.

სამი წლის შემდეგ, 1882 წელს, დიმიტრი ყიფიანს აუგის თქმაც არ გაჭირვებია მეველეზე, სასტუმრო „ლონდონში“ დაბინავებულმა სრულიად უცხო ვინმესთან, იქაურ თანამშრომელთან გაკილა: ჩიტირეკია ქართველი თავადიშვილები ქალის გულისთვის დუელებს მართავენ, სასიკვდილოდ იმეტებენ ერთმანეთსო,—უთხრა.

დათა მიქელაძეს წულუკიძესთან დუელს უწუნებდა. საერთოდ, უკვე ვთქვით, დუელიანა უაზრობად მიაჩნდა. ამიტომ მონაწილეებს არ ინდობდა, ამუნათებდა. ბანკის კრებაზე გამოსვლა კი ახალგაზრდა თავადიშვილისა არა მარტო მოწონდა, უფრო მეტი, ამ წოდების ღირსების აღდგენის მცდელობად ესახებოდა.

„მართალია, ძველთაგან არის ნათქვამი: ძალა აღმართს ხნავსო, მაგრამ მე ვსწუხვარ გამარჯვებულთათვის: ძმანნი არიან ჩვენნი—მეცხრამეტე საუკუნეს დამლევის შვილნი და რით დაემართათ ასეთი რთული წინდაუხედავობა“.

ერთი კაცი გაბრაზდა, გაფიცხდა, გადაირია, ორი, სამი, ათი, დასაშვებ რაოდენობას ჩამოთვლიდა დათასთვის გაგზავნილი წერილის ავტორი, მაგრამ სამასი კაცი ისე რამ გააკერპა და გააჯიქა, რომ გონება დაკარგეს, ქნეს ის, რაც მთელი წოდებისთვის შემლახველი და შემბღალველი იყო. და მერე, ვითომ ამით მამულიშვილობა გამოიჩინეს?—არა. ქრისტიანული ღვთისმოსავობა?!—არა, მისთვის ჩვეული სიდინჯით ჩამომარცვლავდა კითხვა-პასუხს დიმიტრი ყიფიანი.

ნუგეშად ისღა დარჩენოდათ ყიფიანებს—იმ გაკერპებულმა სამასმა კაცმა იქნებ დაინანოს მაინცო...

მოხუცი თავადები ამ ამბავმა კიდეც დაგვაღონა, კიდეც აღგვაფრთოვანა—იმეორებდა ერთსა და იგივეს ორივე.

დიმიტრის სამოქალაქო ვაჟკაცობად მიაჩნდა ორმოცის სამასთან შებმა.

„გვეყოლოს თქვენის აზრისანი სხვანიცა“—ნატრობდა რაჭის სოფელ ტოლადან „დროებაში“ წერილის გამგზავნი კონსტანტინე ყიფიანი, რომელმაც კონკრეტულ ფაქტს ზოგადი ახსნა მოუძებნა—საზოგადოების წინსვლის პირობა ამოიკითხა მასში:

„აი, კაცი მოყვარული თავისი უნცროსი თანაძმისა, აი, კაცი-მეთქი, რომელსაც აქვს სიყვარული ერთობისა, რომელიც არის წყარო საზოგადო კეთილწარმატებისა და ხალხის წინ ფეხის წადგმისა-მეთქი“.

დათა მიქელაძისა და სხვების—ორმოცი კაცის გალაშქრება და სიმართლის პირში მიხლა სამასისათვის ერთობისაკენ გადადგმულ ნაბიჯად ესახებოდა, ერთობა კიდევ—საზოგადოების წინსვლის წყაროდ.

გლეხობა ყოველი წოდების საძირკველიაო.

„გლეხები არიან ყოველის წოდების კაცის მზრდელი, ისინი არიან ჩვენი ძმები და ძმის შემწეობა საღმრთო ვალად აძევს ყოველ კაცს.“

დიმიტრი ყიფიანის წერილი დათა მიქელაძეს უყურადღებოდ არ დაუტოვებია, გული მოულბო საქვეყნოდ ცნობილი თავადისა და მამულიშვილის სიტყვებმა, მის ბაგეთაგან ნათქვამს სხვა ფასი ედო. სწორედ ეს ახარებდა, აღაფრთოვანებდა:

დღეს დავმარცხდით, იქნებ ხვალაც იგივე მოგველის, მაგრამ ადამიანთა ურთიერთობის უმაღლესი და უკეთილშობილესი პრინციპი ჩვენს მხარესაა.

თავის თავსაც იქებდა:

თუ საზოგადოებას ამგვარი გზადაბნეულობის ჟამს ერთი-ორი კაცი მაინც არ ეყოლება ისეთი, რომელიც ეტყვის, შემცდარხართო, „ასეთი ქვეყანა ჯოჯოხეთად გადაიქცეოდა და ხალხი შიგ მცხოვრები მხეცებად“.

თქვენ აღმოჩნდით იმ წოდების გამომაფხიზლებელი, რომლიდანაც წარმოსდგებით, და იქნებ თქვენი ხმის წინაშე სამუდამოდ დაინგრეს ის კედელი, ხელოვნურად რომ აღმართეს ჩვენსა და იმ სამას გაკერპებულს თავადაზნაურს შორისო—ეუბნებოდა დიმიტრი ყიფიანს და თვლიდა, რომ ამ სულმოკლეობის დაგმობა, ძმათათვის ძმურად ხელის გაწვდენა, თვითონ თავადაზნაურობისათვის იქნებოდა უკეთესი, მათი სული დამშვიდდებოდა, საქმე გამოკეთდებოდა, ქვეყანა წინ წავიდოდა.

***

გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში" გამოქვეყნდა ცნობა—რაჭაში, ხვანჭკარელ უშვილო თავადს კონსტანტინე ყიფიანს (ეს და ის კონსტანტინე ყიფიანი ერთი და იგივე უნდა იყოს) თავისი მამულების გლეხთათვის დარიგება განუზრახავსო. მეველე გაახარა, არა ოდენ ამ ამბავმა, არამედ უფრო უმეტეს იმან, რომ მისი და მისთა მსგავსთა მოსაზრებას კიდევ ერთი ცოცხალი საბუთი გაუჩნდა, მიწყივ ქადაგებდა: „ჩვენი ბატონყმური დამოკიდებულება არ ყოფილა იმ ზომამდე მკაცრი და ადამიანთა შორის კეთილის კავშირის დამარღვეველი, რომ შესძლებოდეს აღმოეფხვრას ბატონის გულიდან გლეხის სიყვარული და პატივისცემა".

ზაქარია შევარდენიძე გორის მაზრის სოფელ კოშკადან წერდა „დროების" რედაქტორს: „მადლობა ყოფილ მებატონეს ივანე ჩერქეზიშვილს, რომელმაც უსასყიდლოდ გვაჩუქა მამულებიო". დავით მიქელაძე ამ ამბავსაც გამოეხმაურა და ჩვეულებრივად, ბატონსა და გლეხს შორის საქართველოში არსებული ჰარმონიული დამოკიდებულების გამოძახილად მიიჩნია იგი.

ასე წერდა მაშინ, როდესაც „სურამის ციხე" ზოგიერთებს ქართული სინამდვილის ზუსტ ანარეკლად მიაჩნდათ

და მერეც, როცა კლასთა ბრძოლის თეორია ის-ის იყო ფეხს იკიდებდა და ყოველივეს, თუნდაც ბატონისა და გლეხის ფიზიკურ არსებობას, მათ შორის საოცარი დაპირისპირებით ხსნიდნენ.

საახალწლო ფელეტონში ეუბნებოდა მკითხველებს:

„ჩვენ განვაცხადებთ საქვეყნოდ, რომ ყველა ქართველი კაცი, აზნაური, თავადი, გლეხი, ბერი თუ ვაჭარი ჩვენთვის თანასწორია. ჩვენ გვსურს და ვცდილობთ, რომ კეთილდღეობა მიენიჭოს, განათლების ნაყოფით ისარგებლოს მთელმა საქართველოს ხალხმა და არა რომელიმე წოდებამ მარტო“.

ისინი, მეველე „ჩვენი დროის მკვლევარებს“ რომ ეძახდა, სხვას წერდნენ, სინამდვილეში სხვა ხდებოდა—უშვილო თავადი თავის მამულებს გლეხებს უნაწილებდა.

„თავადმა კონსტანტინემ დაამტკიცა, რომ მას მომადლებული ჰქონია ზეცით ძვირფასი ნიჭი მოყვასის სიყვარულისა და ამასთან იგი ყოფილა კაცი გონიერი და გამსჭვალული საქვეყნო კეთილგანწყობილებისა და თანხმობის სურვილით“.

მეველეს აზრით, ასეთი გახლდათ ქართული სინამდვილე, ამგვარი იყო დამოკიდებულება ბატონსა და გლეხს შორის, დანარჩენი კი—გამოგონილი, რომლის მოთაყვანენიც ცდილობდნენ, საოცარი, გადაულახავი უფსკრული წარმოესახათ ამ ორ წოდებას შორის, დაეწერათ ის, რასაც საფუძველი არ გააჩნდა, ეთქვათ აზრი არგუმენტის გარეშე.

„თუკი რომელიმე უკმაყოფილება არსებობს დღეს ბატონსა და ყმას შორის, განა ამ გვარისავე ხასიათის უკმაყოფილება და ზოგჯერ იქნება უარესიც, არ იპოვება, როგორც თვით ბატონთა ურთიერთობაში, ისე გლეხთა შორისაც?“

დავით მიქელაძე განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას იმაზე, რომ ზოგიერთი ერთეული შემთხვევა, სადაც გამძაფრებულიყო გლეხსა და ბატონს შორის ურთიერთობა, არ იყო სხვადასხვა წოდებათა კუთვნილებით განპირობებული, რამეთუ ხშირად ამგვარი და უფრო მეტად დაძაბული ურთი-

ერთობა თვით გლეხთა და თავადთა შორისაც არ იყო იშვიათი.

ბატონს არ სძულდა გლეხი და პირიქით, ორივენი ჰარმონიულად თანაარსებობდნენ და მათ შორის წოდებრივ უკმაყოფილებაზე საუბარი მეველეს განსაკუთრებით უადგილოდ მიაჩნდა საუკუნის მიწურულს: „როდესაც გვჭირია საერთო შეთანხმებული შრომა ჩვენის ცხოვრების განსაკარგებლად, ამ შემთხვევაში ყოველ ისეთ საგნის გამო ლაპარაკის ჩამოგდება, რომელიც გამოიწვევს წოდების განხეთქილებას, პირდაპირ ვიტყვით, სრული გაუგებრობაა აწინდელ დროის ჩვენი გარემოებისა...

მაინცა და მაინც იმის დამტკიცების სურვილი, რომ არსებობს რაღაც შური და მტრობა ერთ მიწის მამულის შვილთა შორის, მტრობაა თვით იმ უწმინდესის აზრისა, რომლის სახელით ეს პუბლიცისტები გვიქადაგებენ“.

ჩვენში ბატონყმობა „საუფროს-უმცროსო შეთანხმებით იყო შეკავშირებული და არა ძალმომრეობითი ბორკილით გადაბმული“, —ეს აკაკის სიტყვებია, რომელსაც მეველეს დარად არაერთხელ უმტკიცებია თანამედროვეთათვის, რომ „ბატონყმობის გაზვიადება“, იმის მტკიცება, რაც ჩვენში არ ყოფილა, „სხვა ხალხის ზნე-ჩვეულებისა და ხასიათის წარმონაშობი იყო“.

თვით ქვეყანას, მის მომავალს ავნებს იმის მტკიცება, რასაც სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია, არა აქვს, არც ექნებაო—გვეუბნებოდა მეველე, რომელიც მარტო არ გახლდათ „ახალი დროის მკვლევარებთან“ ბრძოლაში. სხვანიც, ჭეშმარიტი მამულიშვილნი, სინამდვილის მართლად შემფასებელნი, მის აზრს იზიარებდნენ, მაგრამ იქითა მხარეს უფრო მრავლდებოდნენ, უფრო მეტად ცდილობდნენ, გაექარწყლებინათ მეველეს მართალი აზრი.

ამ მოსაზრების მხატვრული ხორცშესხმის ცდაა მეველეს დრამა „ხაფანგი“, სადაც შეძლებული ბატონიშვილი ვარდენ

ლომიძე შეიყვარებს თავისი ნაყმევის, ტიმოთე ბარამიძის ქალს, ნინოს და სურს, ცოლად შეირთოს იგი. ამით დრამატურგს სურდა ეთქვა, რომ ამ ორ წოდებას შორის არ არსებულა გამწვავებული ურთიერთობა, რომ ბატონისაგან ყმის ქალის მოწონება და ცოლად შერთვის სურვილიც არ გახლდათ უჩვეულო მოვლენა.

„ხაფანგის" თეატრალურ წარმოდგენას წერილი უძღვნა გიორგი წერეთელმა, სადაც არა მარტო გაამჟღავნა მისი შეხედულება წოდებათა შორის განსხვავებულობაზე, არამედ უადგილოდ, ქართული სინამდვილისათვის უჩვეულოდ მიიჩნია იგი. ეს გახლდათ განსხვავება „კვალისა" და „ივერიის" პუბლიცისტებისა, პირველნი, მართლაც რომ უადგილოდ და ყურით მოთრეულ კლასთა ბრძოლის თეორიას ქადაგებდნენ, მეორენი კიდევ მხატვრულად აღწერდნენ, პუბლიცისტურად აშუქებდნენ და ამბობდნენ იმას, რასაც ქართულ სინამდვილეში მართლაც ჰქონდა ადგილი.

გიორგი წერეთელი პოზიციას უწუნებდა, „ხაფანგს" კიდევ ამ მცდარი პოზიციის უგერგილო მხატვრულ ხორცშესხმად მიიჩნევდა. იმასაც დასძენდა—ეს მიმართულება პირველი არ არის ჩვენი ხელოვნების ლიტერატურაში. ასეთი ჩატეხილი ხიდის გამოღება და ბატონყმობის შორის წოდებრივი განკერძოების მოსპობის ნიმუშად მთელი „ოთარაანთ ქვრივი" არის შეთხზულიო". მიაჩნდა, რომ ეს თხზულებანი მოკლებულნი იყვნენ სინამდვილეს, მათში აღწერილის მსგავსი ცხოვრებაში არაფერი ხდებოდა.

ხვანჭკარელმა თავადმა თავისი მამულის ყმათათვის დარიგება რომ გადაწყვიტა, ესეც ერთეულ შემთხვევად მიაჩნდა და არა საერთო მდგომარეობის გამომსახველად. დავით მიქელაძე სხვა შემთხვევასაც რომ გაიხსენებდა მამამისის ჩათვლით, გაიხსენებდა არა ერთსა და ორს, ისიც კერძო მოვლენის ანარეკლად საღდებოდა გიორგი წერეთლის მიერ. არა-

და, სიმრავლეს ფაქტებისას მაინც უნდა დაეფრთხო, უკეთეს შემთხვევაში, გადაერწმუნებინა გიორგი წერეთელი.

ბრალდება ორივე მხარეს ერთნაირი გააჩნდა—„კვალის“ პუბლიცისტები „ივერიელთა“ ნააზრევს მიიჩნევდნენ ქართული სინამდვილისათვის უცხოდ და პირიქით.

ვერ ვიტყვით, რომ „ხაფანგის“ პერსონაჟები სქემატურნი არ არიან და ილიასეული მიზეზ-შედეგობრივი იერსახით გამოირჩევიან, მაგრამ ის კი აშკარად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ ხასიათებსა, ქცევასა და სურვილში არაფერი გახლავთ შემთხვევითი და ტენდენციური, პირიქით, იგი სხვა, მასზე უფრო მაღალი დონის თხზულებებთან ერთად, ანარეკლია იმ ყოფისა, ჩვენს ქვეყანაში რომ დასადგურებულიყო, სადაც ის სიმძაფრე და სიმწვავე, როგორც სხვა ქვეყნებში, აქ ბატონისა და გლეხის ურთიერთობას არ გააჩნდა.

ის შემთხვევებიც ხომ არ იყო იშვიათი, განთავისუფლებულ გლეხს, ბატონთან რომ ერჩივნა დარჩენა, რაც ზუსტად ასახავდა სწორედ თბილ, ჰუმანურ მოპყრობას ერთმანეთისადმი და არა სიძულვილით, მტრობითა და ზიზღით გაჯერებულ ურთიერთობას.

წოდებრივ დაპირისპირებას ეკონომიკური ძალმოსილება და განსხვავებულობა განაპირობებსო, ირწმუნებოდა გიორგი წერეთელი: „განა შესაძლებელია თანასწორობა და ძმური სიყვარული იქ, საცა ერთს აუარებელი ქონება აქვს, უძრავი და მოძრავი, მეორეს ერთი ხელის დადება მიწაც არა აქვს“. მეველე კიდევ იმეორებდა და სურდა, როგორმე დაეჯერებინა ისინი, მიუხედავად წოდებრივი, ეკონომიკური, სამართლებრივი და ა.შ. სხვაობისა, ჩვენში, ქართველებში, გლეხსა და ბატონს შორის გამწვავებული ურთიერთობის მტკიცება უსაფუძვლოა და სხვა ქვეყნების ანალოგიით გამოწვეული დამოკიდებულებაა.

გიორგი წერეთელი მსჯელობის დროს უფრო შორსაც მიდიოდა, ცდილობდა, უფრო დაესურათებინა მისი მოსაზრება:

„მეველე მოგვაგონებს იმ პირფერ დედას, რომელმაც თავის შვილს ავი სენი უნახა და არ უნდა გააცხადოს, არ უნდა გამოაქვეყნოს, სირცხვილიაო... უბედურ შვილს კი უჩნდება ტანში იარები, წყლულები და ერთს წელს შემდეგ ფეხებსაც გაჭიმავს."

დავით მიქელაძეს „კვალის" პუბლიცისტის მაგალითი უადგილო ეჩვენებოდა, პირიქით ფიქრობდა—დედა დაეჭვდა, ჩემს შვილს ცუდი ხომ არაფერი ჭირსო, მაგრამ უმალ გაარკვია, რომ უსაფუძვლო გახლდათ ფიქრი მისი.

გიორგი წერეთელს კი სურს, ყველა ავი წინათგრძნობა ახდეს, წერდა მეველე, მაგრამ ღმერთი მაღალია, იმან ხომ მაინც უწყის, როგორი ჰუმანურობით ხასიათდება ქართველი თავადისა და გლეხის ურთიერთობა. მათ თეორიას ასე აწყობს, ხელს არ აძლევს ქართული სინამდვილე და ამიტომაც ჭეშმარიტ აზრსაც და მის საფუძველზე შექმნილ მხატვრულ თხზულებასაც აბდაუბდად მიიჩნევენო.

მართალი იყო, როგორც ძალიან ხშირად, შემდგომმა მოვლენებმა უფრო მეტად მოფინა ნათელი ჯერ კიდევ იმ დროს არც ისე მკაფიოდ გამოკვეთილ „კვალის" უბედურ თეორიტიკოსთა შეხედულებებს.

მართალია, ბევრი რამ მკრთალად ჩანდა, მაგრამ მეველეს მახვილ თვალსა და ზუსტ სმენას არ ეპარებოდა ტენდენცია, ტენდენცია, რომელსაც ქვეყნის ნორმალური განვითარება შეეძლო შეეფერხებინა.

წერდა, ამბობდა, მაგრამ ხშირად მის ახირებულ ხასიათს მიაწერდნენ ნათქვამს, ნაყვირალს და დაწერილს.

როგორი ახირებულიც ყოფილა, ხომ ვნახეთ.

თავი მეთერთმეტე

გრძელი ღამე და მოკლე დღე

დეკემბრის ყველაზე მოკლე დღე იდგა. წინა ღამე ფიქრში გაათია. გულს აწვებოდა ბოღმა, სახემოღუშული იჯდა, ყალიონის კვამლს ადევნებდა თვალს, აფუილებდა და აფუილებდა, ვერც თვალი მილულა, ვერც თუთუნს შეეშვა. რამდენჯერმე გადაიკითხა ერთი და იგივე ადგილი 1907 წელს სახელმწიფო საბჭოს წევრის ასარჩევად ჩატარებული სხდომის ოქმისა, წაიკითხავდა, დაიბოღმებოდა, მოუხშირებდა ნაფაზს, ვერა და ვერ ეგუებოდა თვალით დანახულს, უნდოდა, გვერდით ჰყოლოდა ვინმე, ან ფიქრი გაენდო, ან, თუნდაც, სამტროდ შემართულს ხმალდახმალ შებმოდა. არც ერთი ჩანდა, არც მეორე, იჯდა მარტო ნახევრად განათებულ ოთახში და იწურებოდა ოფლში, გული ეკუმშებოდა, სუნთქვა ეკვროდა.

იჯდა, ბორგავდა.

გარეთ დეკემბრის სუსხიანი ღამე ჩამომდგარიყო, თოვდა და ყინავდა, მოიღრუბლებოდა, დაუშვებდა ბარაქიანად, ხვავრიელად, გადაკამკამდებოდა სულ მალე ცა და მოასარქალებდა ყოველივეს. მერე ისევ ღრუბელი დაძლევდა. რამდენჯერმე შეიცვალა ტაროსი, რამდენჯერმე გარეთაც გამოვიდა დათა მიქელაძე. ცას ახედა, თოვდა, მერე ყინავდა. არადა, აღარ თენდებოდა. გულში ისიც გაივლო, ხვალ ადრე დაღამდება, თავადაზნაურებმაც ვერ მოასწრონ იქნებ შეკრება, ახლა კი არ თენდებაო. აფიქრებდა გრძელი ღამე და მოკლე დღე. უნდოდა ბევრისათვის გაენდო თავისი შფოთვისა და ბორგვის მიზეზი.

თავადაზნაურთა კრებაზე ხშირად ასეთი რამეც მომხდარა —დაუსვამთ საკითხი—ჩვენი აშენებული სახლი გადმოგვეცესო, მაგრამ მერე გარკვეულა, რომ მიწის ნაკვეთს, რომელზეც იგი იყო აშენებული, ქალაქი ჩემობდა, სახლი ამათი იყო, მიწა—იმათი. ამათ უნდოდათ, მიწა ეჩუქებინა ქალაქს, სახლი ისედაც ჩვენია და ორივეს დავისაკუთრებთ ბარელამაცო. იმათ პირიქით, სახლის ჩუქების სურვილი აეკვიატებინათ, გვაჩუქონ სახლი, მიწა ისედაც ჩვენია, ორივეს დავიკანონებთო.

არ ნებდებოდა არც ერთი და იყო გაუთავებელი ბჭობა იქაც და აქაც—გვაჩუქონო—აცხადებდნენ ორივეგან და იდგა სახლი სხვის მიწაზე, და იყო მიწა მასზე მკვიდრად აგებული სხვისი სახლით.

სახლი უმიწოდ ცაში გამოკიდებულიყო.

მიწა უსახლოდ მიწა იყო ისედაც...

ან კიდევ: სიტყვას მოითხოვდა შალიკაშვილი. ერთხელ მოითხოვდა, მეორედ, მესამედ... მერე გაარკვევდნენ— კენჭიდან ყოფილა გამორიცხული.

—კენჭი წამართვით, ხმა ამწაპნეთ, სიტყვას არ მაძლევთ, პროტოკოლში დავითაი ჩაწერეთ, დავითაი ურიაი შეიძლება იყოს და არა ქრისტიანი,—აყვირდებოდა შალიკაშვილი.

—მივიღოთ კენჭში!—აყაყანდებოდა თავადაზნაურთა ერთი ნაწილი.

—არა, გურიელის კნეინას უარი ვუთხარით და შალიკაშვილი რა წითელი კვერცხია.—დაიჟინებდნენ სხვები.

—ორივე მივიღოთ, ორივეს კენჭში მიღებას ერთად ვუყაროთ კენჭი,—ზარის რაწკუნის მერე იტყოდა თავმჯდომარე.

—ორივეს რატომ?! ცალ-ცალკე ვუყაროთ, მე შეიძლება შალიკაშვილის გათეთრება და გურიელის ქალის გაშავება ან პირიქით მინდოდეს.—აუღელვებლად იტყოდა კირილე ლორთქიფანიძე.

—მაშინ ცალ-ცალკე... მაქვს უფლება, დავადგინო,—მო-

ძებნიდა გამოსავალს თავმჯდომარე და კანონს ააფრიალებდა.

—უფლება თქვენია, გადაწყვეტა ვისი ნებაა?—დაიძახებდა ვილაც.

—გადაწყვეტა კრების.—იტყოდა თავმჯდომარე და კანონის კითხვას დაიწყებდა.

—Смешно читать постоянно эти законы,—აკივლდებოდა პირველი ვილაც.

—მთავრობას მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევა მოვთხოვოთ,—იტყოდა მეორე ვილაც.

—მიროვოი სუდიების არჩევაც არ გვაწყენდა,—გააგრძელებდა მესამე, რომელსაც სულაც არ ადარდებდა შალიკაშვილს ან გურიელის ქალს შეიყვანდნენ კენჭში თუ არა.

—თარჯიმნებიც ავირჩიოთ, ცუდად თარგმნიან, მაგენის ბრალია, მამულებს რომ ვკარგავთ. —მეოთხე ვილაც უკანა რიგებიდან შესძახებდა.

გამოვიდოდა კირილე და ყველას ჩააჩუმებდა:

—ფეხებს დავეძებთ, თავი დაგვიკარგავს,—იტყოდა.

ბევრი ხვდებოდა ამ ქარაგმის აზრს, ბევრი—ვერა, მაგრამ იმდენად იყვნენ დარწმუნებული, რომ კირილე ჩვეულებრივ რამეზე სიტყვასაც არ დაძრავდა, ცდილობდნენ, ჩაწვდომოდნენ ნათქვამის მნიშვნელობას, ჩაწვდებოდნენ და მისნაირად დაიწყებდნენ ფიქრს.

—თავი დაგვიკარგავს, ფეხებს დავეძებთო...

ეცინებოდა ასეთ ამბებზე დათას, ახლა რამ გამახსენაო—თავს უწყრებოდა. ბიძაშვილის მოტანილ ოქმში მოთხრობილი ამბებიც უნიადაგო, ცაში გამოკიდებული იყო, ერთი-ორი რუსეთუმე ქვეყანას ვერას დააკლებს, მაგრამ პასუხი თუ დროზე არ გავეცით, სხვებიც წაბაძავენ და დავიღუპებითო, ფიქრობდა.

უმეტეს ილიაზე დარდი არ აძლევდა მოსვენებას:

მკვდარსაც არ ასვენებენ, ცოცხალი იყო, ყორანივით კორტნიდნენ, მოკლეს და მაინც ვერ ეგუებიან მისი სახელის ხშირ ხსენებას. თუმცა მართალი არიან, ძალიან კარგად იციან, რომ ილია გინდ მთაწმინდის მიწაში განისვენებდეს, გინდ ცოცხალი იყოს, გინდ გარდაცვლილი, მთავარია, მისი საქმე ცოცხლობს, სახელი უკვდავია და ეს აღაშფოთებთ და მოსვენებას უკარგავთ, უნდათ, საერთოდ არ დაბადებულიყო, უნუგეშო ივერიას ნუგეშად არ მოვლენოდა, ნურას უკაცრავად... — გაიფიქრებდა სახემოღუშული მეველე და კიდევ ერთხელ მერამდენედ წაიკითხავდა ოქმის იმ ადგილებს, ქართველისთვის შეურაცხმყოფლად რომ მიაჩნდა.

იმ სხდომაზე დეპუტატ მარკოვს ილია ჭავჭავაძის მემარცხენეობა გაუხსენებია და უთქვამს:

„ვიცი მხოლოდ ის, რომ ჩვენის სლავიანურის სულგრძელობის გამო ერთი ადგილი მივეცით საქართველოს წარმომადგენელს თავ. ჭავჭავაძეს, რომელმაც სახელმწიფო საბჭოში მემარცხენეებს მისცა მხარი, მით რომ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ წავიდა. ამ მაგალითის შემდეგ, უკაცრაოდ ნუ გახლავართ, მაგრამ თავის დღეში თეთრს ვერ მოგცემთ“.

გვამადლიან, სახელმწიფო საბჭოში ერთი ადგილი დაგითმეთ, სულგრძელობა გამოვიჩინეთო,—მაგათ ჰქონდეთ საბჭოც და ყველა ის ორგანოც, სადაც სიკვდილით დასჯას ხმას აძლევენ. იმას აყვედრიან ილიას, რაც ჩემთვის სასიხარულო და ღირსების საქმეა— ვიღაც ქიქოძეს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს და ამ ამბავს წერილით გამოეხმაურა, სიცოცხლე არ უნდა მოვუსწრაფოთ, კანონი უნდა იყოს ჰუმანური, უნდა აღვზარდოთ ადამიანი ისე, რომ სასიკვდილო არაფერი ჩაიდინოს, ამას რამდენი ხნის წინათ ვწერდიო, ფიქრობდა ბუხართან თავჩარგული. ხან ის აზრიც გაკრავდა გონებაში, ვლადიმერ მიქელაძემ იმისთვის მომიტანა ეს ოქმი, იცოდა, აღვშფოთდებოდი, ავყვირდებოდი, სხვასაც ავიყოლებდი. აღსაშფოთებელია, აბა, რა?! სამადლოდ ერთი ადგილი და-

გითმეთო. ძვალსა და რბილში გაჯდომია ამ ერს სხვათა სიძულვილი,—რა გვჭირს მაგენის დასამადლებელი, თუმცა მარკოვს რას ვერჩით, რუსია, შოვინისტი, პასუხი ჩვენიანებს უნდა მოვთხოვოთ.

გაახსენდა, ვილაც ინჟინერი კორში ხანჯლით რომ მოკლეს და გაზეთმა „კავკაზმა" ხანჯლის ტარებაზე ჩამოაგდო საუბარი. დასკვნა ასეთი იყო: „წელზე ჩამოკიდებული ხანჯალი უფრო საშიშია, ვიდრე პალტოსა და სერთუკში დამალულიო". გულში ეცინებოდა, მისი საპასუხო წერილიც ახსოვდა ამ ამბავზე, როგორ განავრცო, განაზოგადა კერძო შემთხვევა, მკითხველს უმთავრესი უთხრა, გულისნადები გაუმხილა. იმათ, შოვინისტებმა, ქართველთა ტრადიციის შესაბღალად გამოიყენეს ერთი კონკრეტული ფაქტი, დავით მიქელაძემ კი იმაზე მიანიშნა, რომ ადამიანის სიცოცხლისათვის არაერთი სხვა იარაღია საშიში, უფრო მეტიც, გამანადგურებელი, მაგრამ „კავკაზს" ამაზე ხმა არ ამოუღია, რომ „სანატრელია როგორც კერძო კაცთა შორის, ისე სახელმწიფოთა შორისაც, ძალა კი არ იყოს დავის გადამწყვეტი, არამედ სამართალი".

დამპყრობელს კი სამართალი არასდროს ახსოვდა, ყოველთვის სათავისოდ ჭრიდა და კერავდა, უმნიშვნელო შემთხვევასაც არ უშვებდა, რომ ქართველთა ეროვნული ღირსება შეებღალა, მშვენივრად იცოდა, ამ ერისათვის ხანჯლის ტარება არ ნიშნავდა ადამიანთა კვლის სურვილს.

„ხანჯალი ორივე საშინელია, გამოჩენილიცა და გამოუჩენელიც, მაგრამ ამ ორში ისევ წელზე ჩამოკიდებული სჯობია, რადგანაც ჰხედავს კაცი მაინც და შესაძლებელია ცოტა სიფრთხილე იქონიოს, მეტადრე მაშინ, როდესაც მტერთან აქვს საქმე, ხოლო დაფარულ ხანჯლის წინააღმდეგ ბრძოლა სრულიად შეუძლებელია"— წერდა ადრე „ივერიაში" და მაშინაც და ახლაც ნათლად ხედავდა, როგორი დამპყრობლური სურვილით ატაცებულ ერთან ჰქონდა საქმე. მარკოვის ნათ-

ქვამი რა მოსატანია, ვიღაც ინჟინერი ხანჯლით მოკლეს და გაზეთმა ხანჯლის გამოჩენით ტარებაზე დაიწყო საუბარი, ვითომ დამალულით უფრო მეტი დანაშაულის ჩადენა არ ყოფილიყოს შესაძლებელი. დაგიმონებენ, თვალსაც არ დაახამხამებენ, გათავისუფლების საბაბით გიპყრობენ, გიმორჩილებენ.

მარკოვი, ბუნებრივია, ილიას ვერ გაუგებდა, ჩვენი ეროვნული გმირის შეხედულებანიც არ მოეწონებოდა, მაგრამ ამერ-იმერის მთელი თავადაზნაურობა იქ ყოფილა შეკრებილი და ხმაც არავის ამოუღია, ილიას აუგად ხსენება შეურჩენიათ მარკოვისათვის, — ფიქრობდა დავით მიქელაძე და თან გეგმებს აწყობდა, როგორ მოეთხრო მომავალ დღეს თავადაზნაურთათვის ქართველთათვის შეურაცხმყოფელ ამ ოქმში ნათქვამ სიტყვებზე, როგორ აებორგებინა ყველანი, სათავისოდ განეწყო, ყველაზე მეტად ის აღაშფოთებდა, რომ მარკოვის წინააღმდეგ გალაშქრების სანაცვლოდ თავადი დ. მელიქიშვილი ამდგარა და უთქვამს: „რაც შეეხება განსვენებულ თავ. ჭავჭავაძეს, გულით ვწუხვარ თუ მისმა შეცდომამ გავლენა იქონია ამ არჩევნებზე და ამ შეცდომაში არც ქართველ თავადაზნაურობას უდევთ წილი და არც მის წარმომადგენლებსო“.

პასუხიც ამას ჰქვია.

ილიას ნათქვამსა და მოქმედებაზე პასუხს ნუ მოგვთხოვთ, ჩვენ არც მისი აზრი გვხიბლავდა და არც ის, როგორ მოიქცა სახელმწიფო საბჭოში,—მოკლედ და ლაკონურად ეს იყო გაცხადებული თავად მელიქიშვილის სიტყვებში. ამასაც თავადი ჰქვია, ერის გუშაგი და მოჭირნახულე, ასეთები ღუპავენ ქვეყანას, ხალხური სიბრძნესავითაა, ხემ რომ თქვა: ცული რას დამაკლებდა, შიგ ჩემი ჯიშიც რომ არ ერიოსო—ურევია და გითქვამს?! ილიაზე პასუხს არ ვაგებ, თქვენ აგვირჩიეთ და ყურმოჭრილ მონებად ვიქცევით, რასაც გვეტყვით, იმას ვიზამთ, უხმოდ დაგემორჩილებითო. ვერ წარმოედგინა ილიას მოყვარულ, მასთან ნამსახურ დავით მიქელაძეს, რა უნდა

ყოფილიყო ისეთი, რის გამოც ასე უნდა ეთქვათ და შეებღალათ საქვეყნო გმირის სახელი.

როგორც იქნა, განათდა გრძელი უკუნი, ჩამოდგა მოკლე დღე, დილაბნელშივე უნდოდა გაქცეულიყო თავადაზნაურთა საკრებულოში, მაგრამ იცოდა, იქ არავინ დახვდებოდა, ამიტომ შეყოვნდა.

გარეთ თოვდა, თოვდა და ყინავდა.

ეზოში გამოსულს სუსხი დაეტაკა, ოდნავ შეყოვნდა, ეზოგარემოს მოავლო თვალი, ჭიშკრისკენ გაექცა მზერა. იქნებ ქუჩაში წაწყდომოდა ვინმეს და გაენდო გულისნადები, ოდნავ მოშვებოდა გულზე, ბოღმა განელებოდა.

ასეც მოიქცა.

მიდიოდა ქუჩაში, ფეხქვეშ ჭრაჭუნებდა თოვლი, ციოდა, ძვალ-რბილში ატანდა სიცივე.

ორი წლის წინათ წერდა ნიკო ნიკოლაძეს:

„თუმცა ჩვენი უმთავრესი რწმენა კარგა ხანია განსხვავებულია და შენ ეძებ იქ შველას, სადაც მე დაღუპვის მეტს არას მოველი, მაგრამ, დამიჯერე, შენი მეგობრობა და სიყვარული ერთ წამსაც არ შერყეულა ჩემს გულში.

მე კარგად მახსოვს ის ძმური თანაგრძნობა და გამამხნევებელი სიტყვები, რომელიც შენ ჩემთვის გაგიწევია და გითქვამს მაშინ, როდესაც ლამის სასოწარკვეთილებაში ვვარდებოდი.

...ამ მოხუცებულობის დროს სეკრეტარობა ერთობ გამიძნელდა. არა იმიტომ, რომ შრომა მაწუხებდეს და თავს ვერ ვართმევდე, არამედ თვითონ ხასიათი ამ თანამდებობისა უთუოდ აუტანელი და საზარელია“.

ამ საქმეში აღებული ფულიც არ მყოფნისო, მაგრამ აქ უმთავრესი სხვა რამაა—ნიკო და დათა სხვანაირად ფიქრობდნენ, ქვეყნის შველა სხვადასხვაგვარად ესახებოდათ: იმას, ნიკო ნიკოლაძეს, რუსეთთან შემრიგებლურ პოლიტიკაში, ამას კიდევ იქიდან თავის დაძვრენასა და განცალკევებაში.

მოხუცებულობის დროს სეკრეტარობა მიჭირსო.

სულაც არ ეტყობოდა ასაკი, ისე მიაკვლევდა თოვლს.

მიდიოდა მშვიდად, ნელი ნაბიჯებით, მიდიოდა და ახსენდებოდა ყველაფერი, ყოველივე ის, რაც რუსეთთან დაკავშირებით დაეწერა ან თავს გადახდომოდა.

საკუთარი ცხოვრება ვერ ააწყო, თორემ საზოგადოზე მიწყივ გამახვილებული ჰქონდა სმენა, შეუმჩნეველს ამჩნევდა და მოსალოდნელ შედეგსაც ჭვრეტდა.

ალიხანოვ-ავარსკის რაზმების თარეშის დროს თავადაზნაურთა საგანგებო კრებას მიუტანა განცხადება, რომელშიც თქვა ის, რასაც ფიქრობდა იმ წლებში მომხდარზე და საერთოდ, რუსულ ბატონობაზე.

„ხშირად მომხდარა, ჩვენი ქვეყნის მტრებს რწმენისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ჩვენი ერის დასჯა გადაუწყვეტიათ, რაც ასე თუ ისე გასაგებია. მაგრამ როგორც კი დაუძლურებული ხალხი მორჩილებას გამოაცხადებდა, მტერი უმალ წყვეტდა დევნასა და შევიწროებას. ასე იყო უწინ, როცა ქართველობა ებრძოდა დამპყრობლებს, სამშობლოს საუკუნოვან მტრებს. ახლა ჩვენ გვსჯიან არა მტრები, არამედ ისინი, ვის ვალდებულებასაც შეადგენს ქვეყანაში მშვიდობის განმტკიცება, მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა...“

დასაპყრობად, დასამორჩილებლად მოვარდნილი ურჯულო მტერი არ გვექცეოდა ისე, როგორც ჩვენი რჯულის მეზობელი, რომელსაც პირიქით, სხვისგან ჩვენი ქვეყნის დაცვა ევალებოდა, დამცველისაგან გავხდითო დასაცავი—მიკიბვ-მოკიბვის გარეშე წერდა. რუსეთს დაპყრობილი ვყავართ და ხელახლა გვიპყრობს, დამორჩილებულს ისევ გვიმორჩილებს, იქნებ, უნდა ისტორიული ხსოვნაც წაგვართვას—ყველაზე მეტად ამის ეშინოდა, თუმც ვერ წარმოედგინა ასეთი რამ, მაგრამ მაინც...

მიდიოდა, ფიქრობდა...

განსაკუთრებით ერთი ადგილი მოსწონდა იმ განცხადებიდან:

„იძულებული ვარ, განვაცხადო, საუკუნეობრივი ერთგულება ქართველი ხალხისა რუსეთის ინტერესების დასაცავად არავინ არაფრად ჩაგვითვალა, ჩვენმა ლოიალობამ ვერ გვიხსნა იმ უბედურებათაგან, რომელთა განხორციელება დედამიწაზე ყველაზე კაცთმოძულე აღა-მაჰმად-ხანსაც შეშურდებოდა“.

უფრო მწვავედ როგორ დამეწერაო,—ფიქრობდა. მეტწილ აღა-მაჰმად-ხანის ხსენება ახარებდა. მასზე დაუნდობელნი და კაცთმოძულენი ხართო.

რიონის პირას გადაკრიალებულიყო, ყინვით მოსარქალებულიყო გზა, კუს ნაბიჯებით უნდა გავიარო,—გაიფიქრა, თორემ დავეცემი, თითქოს ეს სიარულიც, თოვლიც, ყინვაც რაღაცას ანიშნებდა, თუმცა ამაზე ფიქრის სურვილი ნაკლებად უჩნდებოდა ქარაშოტიან ყინვაში ჯიქურ და დაქადნებით მიმავალ თავადს.

ალიხანოვ-ავარსკის რაზმების თარეშმა მთლად გადარია—სოფლები დაცარიელდა, ქალაქები გაუკაცრიელდა, მოსახლეობა ტყეში გაიხიზნა, დარჩენილებს კლავდნენ, სახლ-კარს უწვავდნენ, ქალებს აუპატიურებდნენ... ასეთი რამ ურჯულო მტერსაც არ ჩაუდენიაო,—იბოღმებოდა.

კულაშში, შენს მშობლიურ სოფელშიც შემოეხეტნენ ალიხანოვის რაზმები, მაგრამ შენმა მოგვარემ, თადარიგის პოლკოვნიკმა ლევან მიქელაძემ გვიხსნა, ჩვენთან ბოლშევიკები არ არიანო—წინდაწინ განუცხადა მომხვდურებს და მათაც შერცხვათ, გადაეწვათ და იავარეყოთ სოფელი,—მოუტანა თანასოფლელმა ამბავი.

—ქვეყანას აოხრებენ და კულაში რა ბედენაა,—მიახალა ამბის მომტანს. ერთი სოფლის კი არა, თუნდაც ერთი მხარის მომხვდურთაგან თავდახსნა მისთვის არაფერს ნიშნავდა. ამბის მომტანს ეგონა, გავახარებო, მის შეჭმუხნულ სახეს

რომ შეხედა, გაუკვირდა, ამას რას გაუგებო და სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი.

რა დანაშაული მიგვიძღვის რუსეთის წინაშე?—კითხულობდა დავით მიქელაძე იმ განცხადებაში—რევოლუცია მათგან მოდიოდა და არაფრით წარმოადგენდა სეპარატისტულ და აჯანყების მსგავს მოძრაობას ან კიდევ: რუს მოხელეთა მკვლელობის ერთეული შემთხვევები, ისიც რევოლუციონერთა მხრიდან, ხომ სათვალავში არაა ჩასაგდები. მაშ რა, იქნება ერთგულებაო—გაუკრთებოდა მართალი აზრი. თვლიდა, რომ თავადაზნაურობას ხმა უნდა აემაღლებინა, წინამძღოლს მეფისნაცვალთან, ამ უკანასკნელს კი[illegible]—იმპერატორის წინაშე უნდა დაესვათ საკითხი—გამოეძიათ მომხდარი, ჯეროდა: „ის, რისი მოცემაც არ შეეძლო და არც უნდოდა ძველ რუსეთს, მოგვცემს ახალი, რომელმაც არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოს საერთაშორისო სამართალს, იმას, რისი ძალითაც საქართველო შევიდა რუსეთის იმპერიაში მოკავშირის უფლებით, რუსეთის პროტექტორატის ქვეშ და არა როგორც დამცირებული და ყოველნაირ უფლებააყრილი ქვეყანა“.

რუსეთი რომ არანაირ სამართალს არ ცნობდა, გარდა საკუთარი დამპყრობლური კანონებისა, ამას ნაკლებად აგდებდა სათვალავში, უფრო ლიბერალური იყო მაშინ და მერეც, როცა სახელმწიფო საბჭოს გაუგზავნა თხოვნა, სადაც რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოს ავტონომიას მოითხოვდა, რომელიც იმდენად ფართო უნდა ყოფილიყო, რომ კანონების გამოცემაც შეძლებოდა საერთო იმპერიულ კანონებთან შესაბამისობაში.

ბევრ რამეში რადიკალიზმის მომხრე მეველე რუსეთთან მიმართებაში ხანდახან სიფრთხილეს იჩენდა. ხვდებოდა, რა შეეძლო მოემოქმედებინა გამძვინვარებულ მხეცს და ამის გათვალიწინებით აყალიბებდა სამშობლოს დახსნის გზებს და საშუალებებს.

ეს განცხადება ჯერ ხალხმრავალ მიტინგზე წაიკითხა, მერე თავადაზნაურთა კრებაზე, კიდევ მერე რუსულად თარგმნა და სახელმწიფო საბჭოში გაგზავნა. ერთი სიტყვით, ყველაფერი სცადა, ყველას გააგებინა, რას ფიქრობდა. იმ წლებში დავით მიქელაძის ეს სიტყვები ბევრს უსახავდა იმედს გულში, აღაფრთოვანებდა, იხსენებდნენ, ერთმანეთს სიამაყით მოუთხრობდნენ მომხდარსა და გაგონილზე.

ამის მერე იყო, სიმონ წერეთელმა რომ მიიწვია სტუმრად. იქნებ საგანგებოდაც იხმო თავადაზნაურთა წინამძღოლმა მეამბოხე თავადი, უნდოდა, საკუთარ ჭერქვეშ შეეხვედრებინა ისეთი ვინმესთვის, ვისაც დათა მიქელაძე თვალის დასანახავად ვერ იტანდა, იქნებ შერიგებაც ჰქონდა მათი განზრახული, არც ის გამოვრიცხოთ, სულაც მეფისნაცვალს დაევალებინა წინამძღოლისათვის ორი პიროვნების შერიგება. ჰოდა, ამისათვის ყველაზე სასურველ გარემოდ, თავადაზნაურთაგან მარშლად არჩეულმა, ჰუმანურობითა და თავდაჭერილობით გამორჩეულმა სიმონმა, ოჯახი მიიჩნია.

იხმო დავით მიქელაძე და იხმო ისიც, ვისაც ეს ქართველთ-მოძულეობასა და ქვეყნის აოხრებაში დებდა ბრალს.

არც მეველემ იცოდა, ვინ შეიძლებოდა დახვედროდა იქ და არც იმან, უნებურად მის მძაგებელსა და მოძულეს თუ შეეყრებოდა.

სხვასთან სტუმრობაზე იქნებ თავი შეეკავებინა. ქვეყნის აოხრების ჟამს სასტუმროდ არ გვცხელაო, ეთქვა დამპატიჟებლისათვის, მაგრამ სიმონ წერეთელს დიდ პატივს სცემდა, მისი აუღელვებელი, მშვიდი ხასიათი ხიბლავდა, იმდენად ახლობლობდა, რომ მიპატიჟებაზე უარი ვერ შეკადრა.

დათქმული დროს ეახლა.

სიმონი დახვდა, მუსაიფი გაუბა, ვახშმის შეყოვნებაზე მოუბოდიშა, ოჯახის ამბები გამოკითხა, თავისიც უამბო და დათა რომ ელოდა, სუფრას მივუსხდებითო, ალიხანოვ-ავარსკი გამოჩნდა. საგანგებოდ სხვადასხვა დროს დაეპ-

ატიჟებინა წინამძღოლს ორი სტუმარი, ერთი—ადრე, მეორე—ოდნავ მოგვიანებით.

დაინახა თუ არა, ზე წამოიჭრა, გამეხებული მზერა სტყორცნა მასპინძელს, კარებს მივარდა და მიაძახა— ქართველთა ჯალათთან რა გამაჩერებს, პურს რა გამატეხინებს?!

სიმონ წერეთელს ალბათ ალიხანოვ-ავარსკისთან მობოდიშებამ მოუნია, ეცადა, რაღაცით გაემართლებინა თავადის მოქმედება, ეცადა და ალბათ მოახერხა კიდეც, რამეთუ ინციდენტს მთავრობის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

ალბათ თავიდანვე ფიქრობდა—ამ ორი ადამიანის შერიგება კი არა, შეხვედრაც შეუძლებელი იქნებაო...

ალბათ...

გზაში ეს ამბავიც გაახსენდა, გაახსენდა და გული მოეკუმშა, უცებ უიმედობამ შეიპყრო, გაიფიქრა, რამდენი ალიხანოვ-ავარსკი შემოხეტებულიყო მის მამულში, შემოხეტებულიყო ჯალათად, გადასაქელად...

რუსი გინდ მწერალი ყოფილიყო, გინდ სხვა ვინმე, საქართველო სულაც არ ანაღვლებდა. ამ ამბებიდან ერთი წლის მერე განასრულა ტოლსტოის „მეუფება წყვდიადისას“ თარგმნა. თარგმნილი ავტორს გაუგზავნა. თან წერდა—მაქსიმალურად ვცდილობდი, თარგმანი ორიგინალთან ახლოს ყოფილიყოო,—ესაა და ეს, რასაც ამ ლიტერატურულ ფაქტთან დაკავშირებით ატყობინებდა, დანარჩენი საქართველოს დაჩაგრულ მდგომარეობას შეეხებოდა, უხსნიდა იმ სავალალო ყოფას, რაშიც, რუსთა გამოისობით, მისი სამშობლო ჩავარდნილიყო. ბოდიშსაც უხდიდა, იქნებ თავი მოგაწყინეთ, ჩვენს დამცირებულ მდგომარეობაზე საუბრით, მაგრამ დიდი ნუგეშია ასეთი სასოწარკვეთის ჟამს თქვენნაირ დიდ მწერალს მივაწვდინოთ ხმაო.

ტოლსტოის პასუხმაც არ დააყოვნა, რომელიც მისი მდივნის—გუსევისგან იყო შედგენილი:

—ლევ ნიკოლოზის ძე მადლიერი დარჩა „მეუფება წყვდიადისას“ ქართულ ენაზე თარგმნით. რაც შეეხება საქართველოს მდგომარეობას, იგი უკვე დიდი ხანია ხედავს დიდ სახელმწიფოთაგან მცირეთა ჩაგვრას და წერს კიდეც ამის შესახებ.

თავადაზნაურთა საკრებულოსკენ ქარყინვაში მიმავალს ესეც რომ ცოდნოდა, უფრო გაბრაზდებოდა. ხედავს ჩაგვრას და წერს კიდეც ამის შესახებო. ამით მოილია ყველაფერი დიდმა მწერალმა.

მიდიოდა... ფეხქვეშ ჭრაჭუნებდა გაყინული თოვლი. ალაგ-ალაგ გზაც აღარ ჩანდა. ნაკვალევი დაეფარა ქარისგან მიყრილ თოვლს. მიდიოდა გუმანით, გაივლიდა თოვლით გადაპენტილ ადგილებს იმის იმედით, რომ მერე გზა გაკვალული იქნებოდა და ისიც გამოჩნდებოდა.

ნეტავ, ქვეყანასაც ასე უცებ ეშველებოდეს—გაიფიქრებდა. წამიერი სასოწარკვეთა ქრებოდა, იმედი ჰქონდა უკეთესობისა, ვერ წარმოედგინა, ფეხქვეშ გაეთელათ ქართველი ერი, რომელსაც, თუ დაჭირდებოდა, ბრძოლა სხვაზე არანაკლებ შეეძლო.

ათი წლის წინათ წერდა:

„მესამე წელიწადია, რაც რუსეთის დამშეული ხალხი ტოვებს სამშობლოს და ჩამოდის ჩვენში“. ჩამოდის იმ იმედით, რომ დასახლდება, დასაქმდება, დაპურდება, მაგრამ, ხშირად, ვერც ერთს აღწევს, ვერც მეორეს, ვერც მესამეს,—ეუბნებოდა „ივერიის“ მკითხველებს.

ამის მიზეზად კი ის მიაჩნდა, რომ რუსეთში გავრცელებული იყო აზრი, თითქოს საქართველოში უამრავი თავისუფალი მიწაა, მუშახელიც ნაკლებია, სამუშაო კიდევ—უამრავი. იცოდა, რატომაც დაეყარა ეს ხმები დამპყრობელს თავის ქვეყანაში, უნდოდა, მისიანებით გაევსო დაპყრობილი ტერიტორია, ბუნებრივია, ასე უფრო ადვილად იბატონებდა, გადააჯიშებდა, გადაარუსებდა ადგილობრივ ხალხს.

ჰოდა, რუსებიც მოდიოდნენ და მოდიოდნენ, მოდიოდ-ნენ დასახლების, დასაქმების სურვილით, ჩამოსულნი კი იმედგაცრუებულნი რჩებოდნენ, რწმუნდებოდნენ, აქ უფრო სივიწროვე იყო, ვიდრე მათ სამშობლოში.

„ჩვენს დროში, როდესაც ყოველის ამბის და გარემოების შეტყობა ერთ წამს შეიძლება, ამაზედ ადვილი რა არის, რომ მთავრობამ იმ ადგილისამ, საიდგანაც ხალხს აყრა სურს, წინდაწინვე გამოიკითხოს, შეიტყოს, სადაც ხალხი აპირებს დასახლებას — არის თავისუფალი ადგილი თუ არა და, თუ აღმოჩნდება, რომ მოსახერხებელია ხალხის სურვილის დაკ-მაყოფილება, მხოლოდ მაშინ მიეცეს ნება აბარგებისა“.

ისე ნუ აიყრებით დედაწულიანად, სანამ წამოხვიდოდეთ, ის მაინც გაიგეთ, მამაცხონებულებო, აქ რა გელოდებათ, იქნებ თქვენს სამშობლოში გიჯობდეთ ყოფნაო, — ურჩევდა ჩამოსახლებულებსაც და მთავრობასაც.

ამას წერდა, კონკრეტულად კი სხვა რამეს გულისხმობდა, ცდილობდა, ჩამოსახლების გახშირებული პროცესი ოდნავ მაინც შეეჩერებინა, შეენელებინა, იმედი გაექარწყლებინა იმპერიაში დაყრილი ხმებით გულაჩქროლებულ მოახალშენე-თათვის. უნდოდა, მის სამშობლოში ნაკლები რუსი ყოფილი-ყო, ბატონის მხარდამჭერი და მისი პოლიტიკის ერთგული გამტარებელი რომ იქნებოდა.

ეს წერდა, მაგრამ იმპერია მაინც თავისას შვრებოდა, ასახლებდა და ასახლებდა თავისიანებს საქართველოს საუ-კეთესო მიწა-წყალზე.

ხანდახან ეჭვიც გაუკრთებოდა გონებაში—უფრო აშკა-რად უნდა გამემხილა სათქმელი, მართალია, მიმხვედრი მიხვდებოდა, რაზეც მივანიშნებდი, მაგრამ ხომ ვხედავთ, როგორ გათავხედდნენ. იმასაც გვაყვედრიან, სახელმწიფო საბჭოში ერთი ადგილი მოგაკუთვნეთ, ჰუმანურობა გამო-ვიჩინეთო.

ისევ „ივერიაში“ გამოქვეყნებული მისი სტატია მოაგონდა: „ჩერქეზთა სამშობლოს დუმილი და სიბნელე მოეფინა“, ჩერქეზებისა და აფხაზების გადასახლების შემდეგ შავი ზღვის პირის ადგილები დარჩა სრულიად უპატრონოდ.

... გავიდა ხანი და მთავრობამ საჭიროდ დაინახა აქა-იქ შავი ზღვის ნაპირებზედ დაებინავებინა სხვადასხვა ტომის ხალხი. ამ განზრახვით ახალმოშენეთ მრავალი შეღავათი და შემწეობა მიანიჭეს. ...მაგრამ ყოველი ესე უქმი შეიქმნა და ასე საიმედოდ დაბინავებული ახალმოშენენი ნელ-ნელა ან ხელახლავ წავიდნენ ისევ თავისს ქვეყანაში, ან, რომელთაც უფრო დაჟინებული სურვილი გამოიჩინეს დარჩენისა ახალს სამშობლოში, მთლად ამოწყდენ“.

აქაურ ჰავას ვერ შეეგუენ, პირობები ვერ აიტანეს და ამის გამო დაემართათ ასე—წერდა კაი ხნის წინათ, თუმცა იმის გამორკვევა, თუ რა დაემართათ მოახალშენეებს, სულაც არ შეადგენდა მაშინ მის მიზანს, ყური მოეკრა, რომ რუსის მთავრობა ისევ აპირებდა რუსებით შავი ზღვის სანაპიროების გავსებას და მთავრობას ურჩევდა: სჯობს, თქვენი ხალხი კიდევ უბედურ დღეში რომ არ ჩააგდოთ, ამ ადგილებში ქართველები ჩაასახლოთ, ჰავასაც შეგუებულნი არიან და პირობებიც აქაურ-იქაური ერთნაირიაო:

„თუ მთავრობას განზრახვა აქვს, რომ შავი ზღვის პირი დაასახლოს, პირველად უნდა ვიგულისხმოთ, რომ მიწვეულნი იქნებიან საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი, რომელთათვის არც ბუნება იმ ქვეყნისა იქნება საშიშარი და არც სხვა რომელიმე დამაბრკოლებელი გარემოება“.

გაზეთი „კავკაზი“ ეუბნებოდა თავის მკითხველებს:

მოსკოვში დაარსდა საზოგადოება, რომლის მიზანი კავკასიაში მიწების შესყიდვაა. რედაქციის აზრით, ეს ფაქტი კავკასიელ კაპიტალისტებს გამოაფხიზლებდა—ისინი იძულებულნი გახდებოდნენ—ან თვითონ შეეძინათ აქაურობა,

ან მოსკოველებს დამორჩილებოდნენ. კავკასიისათვის კი ორივე სასარგებლო იქნებაო.

მეველე გამოეხმაურა ამ სტატიას და მკითხველებს აუხსნა, რომ სულაც არ იყო ერთი და იგივე, ვინ იქნებოდა მიწის პატრონი, ერთ შემთხვევაში სიმდიდრე სამშობლოში დარჩებოდა, მეორეში კი ქვეყნიდან გავიდოდა. მოსკოველთაგან მიწების შესყიდვა აქაურებს უმუშევარს დატოვებდა, რამეთუ ისინი მუშახელსაც იქიდან ჩამოიყვანდნენ და ა.შ.

გაიარა თეთრი ხიდი, რიონს გადახედა, ჩანდა და არც ჩანდა მდინარე, თოვლით დაფარულიყო ყოველივე. ნაკვალევიც წაეშალა ნამქერს, არავის გაევლო, მიდიოდა, მიაკვლევდა, ქარით დატრიალებული თოვლი სახეში ცემდა, მაგრამ დაღლას არ გრძნობდა, წყნარად, დიდი მოლოდინის განცდით მიაბიჯებდა უკვალავში.

ერთი გერმანული გაზეთი წერდა, რომ ახლადდაარსებულ დერპტის უნივერსიტეტში ღვთისმეტყველების სწავლება გერმანულ ენაზე აჯობებსო. ამან აღაშფოთა სუვორინი, რომელმაც დაწერა—იმპერიაში შემავალი ყველა ერი „ბეჯითად უნდა გარუსდესო“. ამ აღშფოთებას აღშფოთების ნიაღვარი შეაგება დავით მიქელაძემ. ასეთი აზრი თვით იმპერატორს არ მოსვლია თავში, ეს სუვორინი კიდევ რა უმაღლესი ნების გამომხატველია, იგი მტერია თვით რუსებისა, რომლებმაც კარგად იციან, რომ ძლიერების საფუძველი კავშირია და არა განცალკევება, დაქსაქსვა და განკერძოება.

ეკატერინოდარის ხაზინადარმა ჩერქეზ მაჰმადიანს ქუდის მოხდა მოთხოვა, რაც სტუმარმა ეროვნულ შეურაცხყოფად მიიღო. მასპინძელმა კიდევ იჩივლა, ურჩი ჩერქეზი დააპატიმრეს და დააჯარიმეს. მეველემ თანამედროვეებს გაახსენა, რომ ლონდონში მოლასთვის ქადაგების აკრძალვის გამო სტამბოლში მართლმადიდებლურ ეკლესიებში ზარების რეკვა აკრძალეს. იქ ნება დართეს და აქაც იგივე გაიმეორეს.

მისი აზრით, ყველა რელიგიის მიმდევარია პატივისა და დაფასების ღირსი. ამ მხრივ კი განსაკუთრებული ზრუნვა მაჰმადიან ქართველებს ჭირდებოდათ.

ერთ წერილში თურქეთში გადახვეწილ ქართველს ათქმევინებდა:

„ოსმალოს დიდი ხანი აღარ აქვს. დღეს არის თუ ხვალ, ეს სხვადასხვა ტომისაგან შეწებებული სახელმწიფო უნდა დაინგრეს, მისი აღსასრულის ჟამს მალე დაჰკრავს ზეციური ზარი“... მისი აზრითაც—პორტას დანგრევის მერე იქაურ ქართველებს თავიანთი ბედი ისევ საქართველოსთან უნდა დაეკავშირებინათ.

სწამდა—სხვადასხვა ერებისაგან შეკოწიწებულ-შეწებებული იმპერიები დიდხანს ვერ იბოგინებდნენ, ზეციური ზარი მალე გვამცნობდა მათი აღსასრულის ჟამის მოახლოებას.

ისიც გაახსენდა, ვიღაც სტაროჟილმა ჩაქვის მამულების გამო ერთი ამბავი რომ ატეხა გაზეთ „ნოვოე ვრემიაში“.

„ეს უჩინარი მწერალი ამტკიცებდა, რომ ქართველი და სომეხი მოხელენი, როგორც კი საქმე რუსის ახალმოშენეთა ინტერესებს შეეხება, მაშინვე ამათ დაჩაგვრას მოინდომებენო“. აბა, რა უნდა ვქნათ, როგორ ავიცილოთ თავიდან გარუსება, ლამის წაგვლეკონ. ბუნებრივია, რაც ჩვენთვის სასარგებლოა, მათთვის სავალალოა. იმათ პირიქით უნდათ—ქართველი დაიჩაგროს, მამულები ჩამოერთვას და რუსებს დაურიგდეთ. ისიც კარგად ახსოვდა, რომ სტაროჟილს ამის დასამტკიცებლად ყალბი ფაქტი მოჰყავდა, ვითომდა ვიღაც პოპოვსა და სხვებს ჩაქვში სახაზინო მამულებზე დასახლების ნება არ მისცეს, რაც სავსებით მართებული იყო. თვითონ იმპერიის კანონი ავალებდა ქართველ მოხელეებს, დაეცვათ და არავინ დაესახლებინათ სახაზინო ადგილებში.

ჰოდა, კანონი აღასრულეს, სტაროჟილმა კი ესეც რუსთა ინტერესთა შებღალვად მიიჩნია და მთავრობას ურჩია:

„ქართველნი და სომეხნი მოხელენი თავის ქვეყანაში არ

დაიყენებიან და საჭიროა რუსეთის ცივს გუბერნიებში იქნან გადაყვანილიო, რადგანაც, ამბობდა სუვორინის გაზეთი, ესენი უშლიან საქართველოში რუსის გავლენის დამკვიდრებას, „რუსის საქმესო“.

ჯერ ერთი, „რუსის საქმე“ რაცაა, ყველა ჭეშმარიტმა ქართველმა იცის, მაგრამ მაშინ ასე რომ არ დაუწერია, კარგად ახსოვდა, გული ეთანაღრებოდა, დამეწერა, ვიცი, არ დამიბეჭდავდნენ, მაგრამ მეცადაო—მოძალებული პროტესტანტული აზრი უკრთოდა გონებაში.

მაშინ ის კი დაწერა, ნუ გგონიათ, ასეთი ცილისწამებით ხელმწიფეს ერთგულებას უმტკიცებთ, პირიქით, რუსთა და ქართველთა შორის შუღლს აღვივებთ, რამაც, არ გვგონია, სასურველი შედეგი მოიტანოს თუნდაც ჩვენთვის, ან კიდევ თქვენთვის.

განსაკუთრებით იმან ააღელვა, სტაროჟილმა ქართველ მოხელეთა ცივ გუბერნიებში გასახლება რომ მოითხოვა. კიდევ ბევრის თქმა შეეძლო, მაგრამ „ჩაქვის ამბავში“ მინისტრთა კომიტეტმა ქართველი მოხელენი გაამართლა და ეს გამოპასუხებაც აღარ გაგრძელებულა, ბუნებრივია, არც ქართველი მოხელეები გაუსახლებიათ.

ვლადივოსტოკის გიმნაზიებში ჩინური ენის სწავლება სავალდებულოდ გამოაცხადა რუსეთის მთავრობამ. ამაზე ცუდს ვერაფერს ვიტყვი, ამით ორი ხალხი ერთმანეთს დაუახლოვდება, მაგრამ ხომ არ აჯობებდა, საქართველოს რუსულ გიმნაზიებში ქართული ენის სწავლება აუცილებელი და სავალდებულო ყოფილიყოო—წერდა „ივერიაში“.

„გრაუდანინის“ რედაქტორმა მეშჩერსკიმ დაწერა, რომ პეტერბურგში მართლმადიდებელი მღვდლები მრევლს სარწმუნოებაზე არ ესაუბრებიან, არ მოუთხრობენ ქრისტეს მოწამებრივ ცხოვრებაზე, კათოლიკე ღვთისმსახურნი კი პირიქით—დეტალურად უხსნიან ყველას ყველაფერსო. მეველე

საპასუხო წერილში დაეთანხმა მეშჩერსკის, მაგრამ დაუმატა—წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაა საქართველოში, სადაც მღვდელმა ქართული არ იცის, მრევლმა—რუსული. მღვდელი რუსულად ქადაგებს, მრევლი უსმენს, ვერ გებულობს, ეტყვის რამეს და ის ვერ ხვდება. თავიანთი ტკივილი აწუხებთ, სხვისი ფეხებზე ჰკიდიათ.

ოდესელ პროფესორს—აფანასეევს ნაპოლეონზე ლექციის დროს უთქვამს, ფრანგი თავადაზნაურობა ისევე უყურებდა კორსიკისას, როგორც რუსეთის თავადაზნაურობა კავკასიისასო. მერე თავი უმართლებია—ამ აზრს არ ვეთანხმებიო. მეველე წერდა, თუ არ ეთანხმებოდა მამაცხონებული, მაშ, რატომ თქვა, ან კიდევ სად წაიკითხა და გაიგონა, რომ რუსი თავადები და აზნაურები ცუდი აზრისანი არიან ჩვენებურებზეო. ამავე დროს იმასაც მოაგონებდა, რომ, მართალია, კავკასიელნი თავადნი და აზნაურნი ღარიბები არიან, მაგრამ სიღარიბე სხვაა და კეთილშობილება კიდევ სხვაო. ქართველობამ საუკუნეების ქარტეხილები გამოიარა, ჩვენმა თავადაზნაურობამ უძნელეს წლებსა და საუკუნეებში დაამტკიცა ქვეყნის ერთგულება და არავის, მითუმეტეს მასზე ასაკით პატარას, ცუდი თვალით ყურებას არ მოუთმენსო.

აი, „სლავიანური სულგრძელობა“— გაახსენდა სახელმწიფო საბჭოს ოქმის ერთი ადგილი. მთელი ტექსტი ოქმისა უკვე ზეპირად იცოდა, იმდენჯერ წაიკითხა დაბოლმილმა და საყვირლად შემართულმა, უკლებლივ ჩაეჭედა გონებაში.

უახლოვდებოდა ქალაქის ცენტრს, თოვლს სულ უფრო და უფრო ემჩნეოდა ნაკვალევი, ამიტომ აქეთ ჩქარა მიდიოდა, აღარ უჭირდა სიარული.

აი, საკრებულოც... სწრაფად აირბინა პატარა კიბეები და თავადაზნაურთა წინამძღოლის სიმონ წერეთლის ოთახს მიაშურა. ბლომად მოეყარათ თავი მაღალი წოდების წარმომადგენლებს, ზოგი თოვლის მოწყენილობის გასაფანტავად გამოსულიყო გარეთ, ზოგი ახალი ამბების შესატყობად,

სხვანი კიდევ თავშესაქცევად მისულიყვნენ ამ ქარ-თოვასა და ყინვაში. ყოველი მათი შეკრება ხომ ლხინით თავდებოდა, ხან ერთთან, ხან მეორესთან იყრიდნენ საღამოობით თავს და კლავდნენ დროს.

მისალმებას მორჩა თუ არა მეველე, ქორული მზერა მარშალს მიაპყრო, ხელში ოქმის ტექსტი დაიჭირა და დაიწყო: ჯერ მარკოვი გაატანა წყალს, მერე მისი მსგავსი და ალიკვალი კრუპენსკი გაუყენა იმავე გზას, ბოლოს მელიქიშვილი გაიხსენა და მისი გვარ-სახელი სირცხვილის ბოძზე გააკრა.

ამ ამბებს გაზეთებიც გამოეხმაურნენ. აი, ერთი ნაწყვეტი „ივერიიდან“:

„მარკოვს შემდეგ მიუმართავს იმავე ქართველ ამომრჩევლებისათვის და პოლიტიკურის მრწამსის აღსარება მოუთხოვია. ამაზე თავ. დ. მელიქიშვილს უპასუხნია: „მე მაცვია სასახლის მუნდირი და ჩემი პოლიტიკური შეხედულება ყოველს ეჭვს გარეშე უნდა იყოს. მე არ ვეკუთვნი იმათ რიცხვს, რომელნიც ფარისევლურად ატარებენ ამგვარ მუნდირს და მას ქვეშ კი მალავენ სამშობლოსათვის საზარალო პოლიტიკურ აზრებსა და მეფესა და ტახტს ძირს უთხრიან. მე მემარჯვენე ვარ და მოვედი აქ, რასაკვირველია, იმიტომ კი არა, რომ ვითხოვო ავტონომია და ავტოკეფალია.“

ეს თქვა, უფრო სწორად, წაიკითხა დავით მიქელაძემ და გაცხარდა, მაგრამ რა გაცხარდა. პურიშკევიჩს და მსგავსთა მათთა რას ვერჩით, აი, ქართველი თავადი რას ამბობს, როგორ აზრებს აფრქვევს, ამნაირებს ავტონომია და ავტოკეფალია მართლაც ფეხებზე ჰკიდიათ, ყურმოჭრილი მონები არიან, ასეთები დაიბადნენ, ასეთნივე წავლენ ამ ქვეყნიდან.

უბედურება კი ისაა, რომ დ. მელიქიშვილი ქართველმა თავადებმა აირჩიეს, ნუთუ არავინ დაფიქრებულა, ვის აგზავნიდნენ პეტერბურგში, დავუშვათ და მომხდარიყო საოცრება, რაც რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე, სავსებით

ბუნებრივია, აერჩიათ სახელმწიფო საბჭოს წევრად. ნუთუ ამ ადამიანს უნდა დაეცვა ქართველთა ინტერესები?!

დავით მიქელაძეს სხვებიც წაშველებიან, ულანძღავთ და ულანძღავთ მელიქიშვილი, გული მოუოხებიათ, გაუხსენებიათ მისი პუბლიკაციები, გამოუაშკარავებიათ ნამდვილი სახე ეკატერინესდროინდელი თავადისა. უთქვამთ, რომ მისგან არც მოულოდნელი ყოფილა ამ სიტყვების თქმა. ყურადღება უფრო იმაზე გაუმახვილებიათ, რომ ფრთხილად უნდა იყვნენ არჩევის დროს და ილიას გზის უარმყოფელი და მისი სახელის შემარცხვენელი აღარ წარადგინონ იმპერიის სახელმწიფო საბჭოში ასარჩევად.

თავადაზნაურთა საკრებულოდან დავით მიქელაძე კმაყოფილი დაბრუნდა შინ. ასეთი სიამოვნება დიდი ხანია არ განუცდია, არც თავადაზნაურნი ყოფილან ასე ერთსულოვანნი პროტესტის გამოხატვაში, ყველანი ერთხმად ამბობდნენ ერთსა და იგივეს, თუმცა ამბავი ამით არ გასრულებულა.

მელიქიშვილის ყურამდე მიაღწია ქუთაისის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაზე გამოთქმულმა პროტესტმა და თავმჯდომარეს ანგარიშის წარდგენა მოთხოვა.

პასუხი ასეთი იყო:

„ეგ სიტყვები თავ. დ. მიქელაძეს კრებაზედ კი არ უთქვამს და არც კერძო სხდომაზე, ორიოდე კაცს ებაასებოდა და არც არავის მოუწონებია მისი სიტყვები, არც „ჰო“ უთქვამს არავის და არც „არაო“.

ინციდენტი ამით უნდა ამოწურულიყო, მითუმეტეს, წარდგენილ ოქმში დათა მიქელაძის სიტყვებზე არაფერი იყო ნათქვამი. მაგრამ მელიქიშვილი ამითაც არ დაკმაყოფილდა. მან შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, ყველას ეუბნებოდა, ეგ სიტყვები მე არ მეკუთვნის, დამახინჯებულია და თავი უნდა ვიმართლოო. ამისათვის მან მიმართა ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა საკრებულოს, რომელმაც 1908 წლის 8 იანვარს საგანგებო სხდომა მოიწვია და დაადგინა:

ქუთაისის თავადაზნაურთა კრების „ოქმს არა აქვს შეურყეველის, ოფიციალური დოკუმენტის ძალა, ხოლო ამ ოქმში მოქცეული ფაქტები არჩევნების შესახებ და ორატორთა სიტყვების შინაარსი კიდეც რომ წარმოადგენდეს საეჭვოს, მაშინაც არავითარ საბუთს არ გვაძლევს რაიმე საყვედური გამოვუცხადოთ თავ. დ. მელიქიშვილს“.

დავით მიქელაძეს შემდგომში ისიც ახარებდა, რომ ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა ამ გადაწყვეტილებას ფართო რეზონანსი მიეცა. გაზეთებშიც დაიწერა, როგორ შეიძლება მარკოვის მომხრე მელიქიშვილი გაამართლო და ქართველი ერისათვის წამებული ილია ჭავჭავაძე გაამტყუნოო. ერთი სიტყვით, ყველასათვის ნათელი გახდა მეველის პროტესტის აზრი, მომხრეც ბევრი გაუჩნდა მის აშკარად გამოხატულ უკმაყოფილებას.

გაზეთები წერდნენ:

„ერთი სიტყვით, თავ. დ მელიქიშვილს შეეხნენ იმდენად, რამდენადაც იგი იყო ქართველ თავადაზნაურთა წარმომადგენელი და როგორც ასეთს, რაკი სავსებით იცოდა ის უთანხმოება, რომელიც არსებობდა თავადაზნაურობასა და მას შორის ან არ უნდა ეკისრა როლი სტატისტისა და თუ იკისრა, არ უნდა გაებედნა სიტყვების თქმა პეტერბურგში მარკოვისა და მსგავსთა წინაშე ჩვენის ერის უწმიდეს იდეალებისა და ადამიანების შესახებ, პირადად კი, რაც ენებოს, ის ილაპარაკოს“.

აი, კიდევ:

„სრულიად სამართლიანად მოგახსენეს: მარჯვნით გადახრა შეიძლება, მაგრამ ისე კი არა, რომ ჯურღმულში ჩავცვივდეთო“.

ესეც მელიქიშვილზე იყო ნათქვამი, თავადზე, რომელმაც არა მარტო თავი შეირცხვინა, სხვათა ღირსებაც შებღალა, სანუკვარ იდეალებს შეეხო ქართველი ერისა და ისე, რომ პატიება და დადუმება შეუძლებელი იყო.

მერე ვლადიმერ მიქელაძეც, მოგვარისათვის პეტერბურგის სხდომის ოქმის მიმტანი, მელიქიშვილს მიემხრო, მის ქებას მოჰყვა, სახელმწიფო საბჭოში შენ გიჭერდი მხარსო, მაგრამ მეველე ამას დიდ მნიშვნელობას აღარ ანიჭებდა. მისთვის უმთავრესი — საქართველოს თავადთაგან პეტერბურგს წარგზავნილი ერთი არაეროვნულად მოაზროვნე კაცის გამოაშკარავება გახლდათ.

მიაღწია კიდეც.

იმ დღეებში ყველას ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა და მელიქიშვილის შეცდომებსა და ქვეყნისთვის საზიანო განწყობილებებზე ჰქონდა ბაასი.

ტყუილად კი არ გაუთენებია თეთრად გრძელი ღამე და აბორგებულა, ქარს გაუტანებია მავანთა აზრი იმ მოკლე დღეს—1907 წლის 22 დეკემბერს.

თავი მეთორმეტე

თეთრი შაშვი

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ადამ სლავოჩინსკიმ, იგივე სლოვოჩინსკიმ, ტომით პოლონელმა, ქუთაისლებს და სხვებსაც სისასტიკითა და ცბიერებით რომ დაამახსოვრა თავი, ამას ყველანი აღნიშნავენ.

დავით კლდიაშვილი წერდა:

„იმ ხანებში ქუთაისის გუბერნატორად იყო გენერალი სლოვოჩინსკი, ტომით პოლონელი, რუსეთის თვითმპყრობელობის თავგადადებული მოსამსახურე, პიროვნება, რომელსაც მხოლოდ თავის თავი ახსოვდა, უაღრესად კარიერისტი. ვერაფერი საქები სახელი ჰქონდა დამსახურებული ერევნის გუბერნიაში ყოფნის დროს, სადაც სდევნიდა სომხებს; ვერაფერი სახელი ჰქონდა დამსახურებული ბათუმის ოლქის მმართველად ყოფნის დროს, როცა სასტიკად ეპყრობოდა მუსლიმან ქართველებს. ამით იშოვა მან გუბერნატორობა და გენერლობაც. ქუთაისის გუბერნატორად ყოფნის დროს იგი უფრო ეშმაკურად იქცეოდა, აქ უფრო თავაზიანი იყო ვითომ, რასაკვირველია, გარეგნულად მეცადინი იყო, კარგ განწყობილებაში ყოფილიყო აქაურ ინტელიგენციასთან“.

ერევანში ყოფნისა და სამსახურის დროს ადამი ერქვა, სლოვოჩინსკი იყო გვარად, ასევე იყო ბათუმში, ოლქის მმართველობისას, ვერავინ ვერაფერს უბედავდა, სისასტიკის კალოს ატრიალებდა პოლონელი, ჩამოვიდა ქუთაისში უკვე გენერალი, უფრო პატივდებული, თანამდებობითა და გავლენით ეგზომ აღმატებული და სლოვოჩინსკი სვოლოჩინსკი-დ იქცა.

არ ვიცი, იცოდა თუ არა ძვირფასმა პოლონელმა, არცთუ ცუდი ულერადობის გვარს გაფრთხილება რომ ჭირდებოდა— ფარისევლობითა და მატყუარობით, გაიძვერობითა და ცბიერებით არ უნდა შეემკო წინაპართაგან გადმოყოლილი ერთ-ერთი ნამდვილი საბუთი,—პირიქით მოიქცა და ეპითეტით კი არ შეამკეს, გვარი შეუცვალეს—სლოვოჩინსკი სვოლოჩინსკად გადააკეთეს.

დაგენერალგუბერნატორობდა პოლონელი ამ გვარით. აწყობდა შეხვედრებს ინტელიგენციასთან, თამაშობდა კეთილისმყოფელის როლს, გეგონებოდა, მხსნელად მოვლენოდა გუბერნიას, სინამდვილეში მაქსიმალურად ცდილობდა იმპერიული წეს-კანონის დამკვიდრებას, ტკბილი, დათაფლული ენით მათი სურვილის განხორციელებას.

ვთქვით,—არ ვიცით, უწყოდა თუ არა, სვოლოჩინსკის რომ ეძახდნენ, უცებ რომ ჩაუხვდნენ მზაკვრულ ზრახვებს და დამოკიდებულება გვარის გადაკეთებით გამოხატეს. არც ერთი ასო-ბგერა არ მიუმატებიათ გვარისათვის, უბრალოდ, თანხმოვნები გადააადგილეს და თანამედროვეთა აზრით ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ ადამ ივანიჩისათვის ზედგამოჭრილი გამოდგა.

ნიკო ნიკოლაძის არქივში ვრცელი მოხსენება, უფრო რაპორტი ქუთაისის გუბერნიის მაშინდელი თავკაცისა, სათაურიც მრავალმეტყველი აქვს—„რა ვითარებაში ჩავიბარე გუბერნია და როგორ დავამყარე სიმშვიდე.“ 1911 წელს, ქუთაისიდან წასვლის მერე, დაუწერია ეს რაპორტი პოლონელს, რატომ და რისთვის, არ ვიცით, საფიქრალია, დაწერა და ნიკოს გაუგზავნა იმისათვის, რომ რომელიმე პუბლიცისტურ წერილში გამოიყენებდა. აშკარაა, ნიკოლა-ძესაც საქვეყნო საქმეთა გამკეთებლად წარმოუჩენდა თავს. თუმცა ამას რამდენად სჯეროდა იმისი, არ ვიცით. იქნებ მისი პიროვნებითაც იყო დაინტერესებული, რამეთუ არქივში პოლშვინის წერილიც შეუნახავს, სადაც ადამ ივანეს ძის გადადგომაზეა

საუბარი. ნათქვამია, რომ მეფისნაცვალმა სლოვოჩინსკის სასწრაფოდ მოთხოვა თანამდებობის დატოვება. ამ უკანასკნელმა ორთვიანი შვებულება ითხოვა, მაგრამ ამაზეც არ დაეთანხმა მეფისნაცვალი... მერე თბილისის თავადაზნაურთა ერთი ნაწილი აპირებდა შუამდგომლობას უზენაესთან, მაგრამ, ეტყობა, ვერ გაბედეს.

თავად დავით ნიჟარაძის, სლოვოჩინსკის აშკარა მტრისა და მოწინააღმდეგის შეეშინდა თავადაზნაურობას, თორემ კიდევ ერთი დოკუმენტი გამოცხვებოდა, სადაც გუბერნატორის დათხოვნას შეეწინააღმდეგებოდნენ, შავზე თეთრს იტყოდნენ და მოგვაშორეთო, რომ უნდა შეხვეწნოდნენ, პირიქით, გვიშველე, დაგვიტოვეო—შეეაჯებოდნენ.

თბილისის დეპუტაციის იმედი არც სლოვოჩინსკის ჰქონდა. ვერ ეგუებოდა იმ ატმოსფეროს, მის ირგვლივ რომ შეიქმნა, მთხოვა, მთელი ქვეყნისათვის შემეტყობინებინა, რაც მასზე ვიცოდი, კაი ხანს ბავშვივით ქვითინებდა, — წერს პოლშვინი ნიკო ნიკოლაძეს.

გულამოსკვნით ტირილიც პოზა იყო, პოზა მსახიობური ნიჭის გენერლისა და გუბერნატორისა, ეს ხერხიც არაერთხელ გამოუყენებია სხვათა დასარწმუნებულად, მერე კი მომდგარა და ბნელზე ბნელი საქმენი აღუსრულებია, უტირია იმისათვის, რომ ხელ-ფეხი გახსნოდა, ეჭვები გაექარწყლებინა და მერე, რაც უნდოდა, იმპერიის საერთგულო და ქართველთათვის საზიანო, გულში მომღიმარეს ეკეთებინა.

ბავშვივით ტიროდა ადამი, მაგრამ ახლა მისი ქუთაისიდან, საერთოდ საქართველოდან აბარგების ჟამი ჩამომდგარიყო, ვერც გულიანი ქვითინი დაიხსნიდა, ვერც უგულო.

ტიროდა გენერალი ბავშვივით, სლოვოჩინსკის ნამოქმედართა მცნობთ იქნებ უჩვეულოდ მოეჩვენოთ ამგვარი რამ, მაგრამ ასეთი იყო სინამდვილეში — თვალთმაქცი, ფლიდი, მატყუარა.

ხშირად იმპერიის წინააღმდეგ საგანგებოდ ალაპარაკ-

დებოდა, მოსაუბრეს ჩაითრევდა, საღერღელს აუშლიდა, გულის ბუხარს ამოაბერტყვინებდა, მერე საგულდაგულოდ გაუსწორდებოდა.

ტიროდა გუბერნატორი იმიტომ, რომ მის ტყუილებსა და თვალთმაქცობას ყავლი გასვლოდა, სხვებს რომ თავი დავანებოთ, მეფისნაცვალსაც ყელში ამოსვლოდა ოინბაზობა ადამ ივანეს ძისა, ორთვიან შვებულებაზეც უარს ეუბნებოდა, გული არაფრით მომილბოს, გადაწყვეტილება არ შემაცვლევინოსო,—ფიქრობდა. პოლშვინი იმასაც ატყობინებს ნიკო ნიკოლაძეს, გუბერნიის ყველა მოხელე გაორჭოფებულია, არავინ იცის, ჩემს გარდა, დარჩებიან თუ არა სამსახურში. ამიტომ ყველაფერი თავის ნებაზეა მიშვებული. გუბერნატორი განიცდის ამ ამბებს და გულით წუხს, წუხს კი არა, ბავშვივით ქვითინებდა იმპერიის წინაშე ამოდენა დამსახურების კაციო.

სამსახურებრივი კარიერის აღსასრულის მომასწავებელი იყო ქვითინში გადაზრდილი ეს ტირილი, არადა, სლოვოჩინსკის ამგვარ ხრიკებს ადრე დიდი გასავალი ჰქონდა, მოუხერხებელს ახერხებდა, გაუკეთებლის გაკეთება შეეძლო, გუბერნიის გადამრჩენლად წარუდგენდა უცნობს თავს, ერთი შეხედვით—ყველას ატყუებდა.

ნიკო ნიკოლაძის არქივში შემონახული რაპორტიც ტყუილების გუდაა.

თუ დავუჯერებთ, გუბერნიაში ყველაფერი მისი ხელმძღვანელობის დროს მომხდარა, გზებიც გაუყვანია, თავადაზნაურთა კეთილდღეობისათვისაც უზრუნია, ყაჩაღობა აღუკვეთია და ა.შ. და ა.შ. თუმცა რაც გააკეთა, ყველამ კარგად იცოდა, გვარიც გაკეთებულის შესაფერისად გადაუკეთეს.

სლოვოჩინსკის გენერალ-გუბერნატორობის დროს დაუპირეს ეპისკოპოს კირიონს დაპატიმრება, რომელსაც ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის შეთქმულებაში მონაწილეობას აბრალებდნენ. ასევე უნდოდათ მოქცეოდნენ ეპისკოპოს

ლეონიდესაც. მიზეზი ის გახლდათ, რომ ორივე გამორჩეული საეკლესიო მოღვაწე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას მოითხოვდა. ეძებდნენ საბაბს მათი დაჭერისა, საბაბის არარსებობის შემთხვევაში ცილს წამებდნენ, ტყუილს სიმართლედ ასაღებდნენ..

„კირიონის სპეტაკი და უმწიკვლო პიროვნება სრულიად წარმოუდგენელია რაიმე შეთქმულებასთან, მხოლოდ იმის მტრების თავდაუჭერელ მოქმედებას, რომ რამეში ბრალი დასდონ და ჩირქი მოსცხონ კირიონს, შეეძლო ასეთი ბრალდების წამოყენება“ — ყოველდღიურად წერდნენ გაზეთები.

კირიონს დაჭერას უპირებდნენ, რათა ქართველებში აღმოფხვრილიყო აზრი საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისა. ბუნებრივია, ქართველი თავადაზნაურობა, შემსწრე ამ ამბებისა, გულხელდაკრეფილი ვერ იქნებოდა, თავადაზნაურთა საკრებულოში საგანგებო კრება გამართულა, სადაც ბევრი რამ უთქვამთ, უმსჯელიათ.

პერიოდულ პრესაში ამ ამბებს ფართო გამოხმაურება არ მოჰყოლია, ვერც დაიბეჭდებოდა ყოველივე ის, რაც ითქვა.

აღინიშნა კი:

„22 თებერვალს, ქუთაისში, გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლმა კერძო თათბირზე მიიწვია ოცამდე თავადი და აზნაური. ასეთ ჩვეულებრივსა და უბრალო გარემოებას მოულოდნელი შედეგი მოჰყვა: გუბერნიის მთავარ ადმინისტრაციის განკარგულებით კერძო კრებაზე დამსწრე საზოგადო მოღვაწენი დააპატიმრეს და ადმინისტრაციულის წესით ჩრდილოეთში გადასახლებას უპირებდნენ“.

ესაა და ეს. არც ის წერია, ვინ დააპატიმრეს, რატომ, რა თქვეს ასეთი და მისთანანი. გაზეთი მხოლოდ იმას ჩივის, რომ კერძო კრებაზე ნათქვამს არავითარი იურიდიული ძალა არ გააჩნია, ადრე თავადაზნაურთა წინამძღოლი ხშირად მარ-

თავდა ასეთ შეხვედრებს, ელაპარაკებოდა, ეთათბირებოდა თავადებსა და აზნაურებს და მერე, სხდომაზე, რომელსაც იურიდიული ძალა გააჩნდა, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მიიღებდნენ გადაწყვეტილებას.

სლოვოჩინსკის გენერალ-გუბერნატორობის დროს საგანგებო თათბირებისა და კრებების ჩატარებაც შეუძლებელი გამხდარიყო, იქ ნათქვამიც უცებ იცოდა მძვინვარე ადამმა და მსჯავრიც არ ახანებდა.

დაპატიმრებულთა შორის იყო დავით მიქელაძეც...

საგაზეთო წერილებით მაშინდელი თავადაზნაურთა კრების სურათის აღდგენა შეუძლებელია-თქო, დავწერეთ ზემოთ, ამიტომ ეპისტოლარული წერილებით ვეცდებით გავარკვიოთ, რა მოხდა იმ თათბირსა თუ კრებაზე, რომლის გასრულებისთანავე სამი ადამიანი დაატუსაღეს: დავით მიქელაძე, ნიკო თავდგირიძე და კიტა აბაშიძე.

იონა მეუნარგია ნიკო ნიკოლაძეს პეტერბურგში წერდა:

„დეპ. საბრანიეში დათა მიქელაძეს უთქვამს: მაჰმადიანობა მივიღოთო.

კიტა აბაშიძეს და, მგონი თავდგირიძეს, უნიატებს შევუერთდეთო.

გიორგი შარვაშიძეს მაჰმადიანების წინააღმდეგ ულაპარაკნია, ჩვენ წინაპრებს ეწყინებათო“.

ასეთი იყო პირველი რეაქცია, ქუთაისიდან ფოთში ჩაღწეული, ფოთიდან პეტერბურგს გადაფოშტებული ამბავი. ბუნებრივია, მასში ჭორიც ბევრი ერია, ნამდვილიც, მოქმედი პირიც იმ საგანგებო კრებისა ერთი მეორით შეცვლილი—გიორგი შარვაშიძეს ასახელებს კიტა აბაშიძის მაგიერ, მაგრამ ეს არაა მთავარი, უბრალოდ, მეველეს ხასიათიდან გამომდინარე, სულაც არაა გამორიცხული, კირიონის დაჭერის მომლოდინესა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის იდეის საშიშროების აშკარად დამნახავს ეთქვა: ამას სჯობდა, მაჰმადიანებს შევერთებოდით, ისინი უფრო ნაკლებ ხელყოფ-

დნენ ჩვენს ეკლესიას, ესენი ერთმორწმუნეობით გვიმორჩილებენ, ფეხ-ქვეშ თელავენ ჩვენს წმიდათაწმიდა სჯულსო. მერე კიდევ სხვას სხვა გაეცხადებინა და მისთანანი, მაგრამ, ვიმეორებთ, ეს იყო ქუთაისიდან ფოთში ცხლად ჩაღწეული ამბავი, ბუნებრივია, გადასხვაფერებულიც.

იასონ ბაქრაძეს გიორგი ზდანევიჩისათვის უფრო ვრცლად აღუწერია ქუთაისური ამბები:

„დავიწყებ იმ ამბიდან, რომელიც ასე აღელვებს მთელს საზოგადოებას ტფილისში,ქუთაისში. თებერვლის ოციან რიცხვებში გუბერნიის მარშალმა სიმონ წერეთელმა დეპუტატთა საკრებულოში მოიწვია, ცალკე სიით, ქუთაისში მყოფი ზოგიერთი თავადი და აზნაური სათათბიროდ შესახებ კირიონის სასტიკად დასჯისა. კრებას (რომელიც მთავრობისაგან ნებადართული არ იყო) დაესწრო ძალიან ბევრი, ყველა რანგის და ყველა წოდების (არააზნაურებიც დაესწრნენ). გაიმართა ბაასი იმის შესახებ, თუ რა ღონე უნდა ვიღონოთ იმისთვის, რომ კირიონს და არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიას შეუმსუბუქონ სასჯელი და შემდეგშიაც ავაცდინოთ ჩვენს ეკლესიას და ჩვენს ხალხს დევნა და შევიწროება, რაც შედეგი არის ვოსტორგოვისებრი ავანტიურისტების მეცადინეობის და უმაღლეს სფეროებზე ზეგავლენისაო. გამოითქვა ის აზრი, რომ მართლმადიდებლობის დასაცავად შევუერთდით რუსეთს და ისიც სწორედ მისთვის გვდევნის და გვავიწროებს, რომ მართლმადიდებელნი ვართ, თორემ სხვა ერები, რომელთაც სხვა სარწმუნოება აქვთ, თავისუფალნი არიან სარწმუნოების საქმეშიო და სხვა ბევრი ამდაგვარი ილაპარაკეს და გამოთქვეს შიში, რომ ეს გამოიწვევს ხალხში სარწმუნოების შეცვლის სურვილს და სარწმუნოებრივ მღელვარებასაო.

ამ კითხვის უფრო საფუძვლიანად შემუშავება და შემდეგი კრებისათვის მოხსენება მიენდო კომისიას. მარშალს

კი თხოვეს, მოახსენე ნამესტნიკს და თუ საჭირო იქნება, მეფესაც ჩვენი ეკლესიის და ხალხის გასაჭირი, მიუთითე მოსალოდნელ მღელვარებაზე ხალხშიო.

გავიდა ამის შემდეგ რამდენიმე დღე და დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს დავით მიქელაძე, ნიკო თავდგირიძე, რომელთაც რამდენიმე დღით იქით გადაუწყვიტეს ვიატკის გუბერნიაში გადასახლება. იგივე გადაუწყვიტეს კიტას, რომელიც თბილისში ინფლუენციით იყო ავად, იქ დაიჭირეს. ამათ გარდა, გუბერნიიდან წასვლა გადაუწყვიტეს ივანე ნიჟარაძეს, დათიკო წულუკიძეს და დათიკო მდივანს".

მოსალოდნელ სარწმუნოებრივ მღელვარებაზე სხვაგან არაფერია ნათქვამი. არც ისაა სადმე ნახსენები, ივანე ნიჟარაძეს და სეხნიებს—დათიკო წულუკიძესა და დათიკო მდივანს გუბერნიიდან გასახლება თუ გადაუწყვიტეს. ბუნებრივია, დაჭერილი სამეული—დავით მიქელაძე, ნიკო თავდგირიძე, კიტა აბაშიძე,—მარტონი არ იქნებოდნენ, თანამოაზრენიც ეყოლებოდათ. ისინიც იტყოდნენ, გამოთქვამდნენ წუხილს გულისას, რომელსაც უფრო ამბოხი ერქვა, ვიდრე ჩვეულებრივი თქმა.

იტყოდნენ აღშფოთებულნი...

იასონ ბაქრაძის წერილიდან ვგებულობთ იმასაც, რომ კომისია შეუქმნიათ, რომელსაც სამომავლო დოკუმენტი უნდა შეედგინა, თავადთა და აზნაურთა რისხვისა და ამოფრქვეული ბოღმის დამტევი დოკუმენტი.

იქნებ ის დაჭერილი და გასახლებული თავადები შედიოდნენ ამ კომისიაში, ამიტომაც ჩაავლო მთავრობამ კისერში ხელი და ჩააყუდა ციხეში.

ან კი, ან—არა, რამეთუ იმასაც ვერ გამოვრიცხავ, რომ ამათ საგანგებო კრებაზე ისეთი რამ არ ეთქვათ, რაც მთავრობის, უპირველეს, ფლიდი და გაიძვერა პოლონელის აღშფოთების საბაბად იქცეოდა.

დავით მიქელაძე, ნიკო თავდგირიძე, კიტა აბაშიძე ყველ-

განაა ნახსენები, ის სამი თავადი, ბაქრაძის უსტარს გარდა, არსად. ხშირად მოვლენების შემდგომი განვითარება ზოგის სახელს სამიდღემჩიოდ ჩაუჭედავს ადამიანებს ხსოვნაში, ზოგისას კიდევ მიავიწყებს და მიამკრთალნარებს. ამბავი მაშინაც და ახლაც ჭორივით ვრცელდებოდა და ვრცელდება, ზოგი უმატებს, ზოგი აკლებს, ხშირად მონაწილესაც ცვლის.

იონა მეუნარგიას პირველი წერილიც ასეთი არ იყო.

მერე კი გარკვეულა მომხდარში და მეორე წერილში აკონკრეტებს, უფრო ვრცლად მოუთხრობს ქუთაისის ამბებზე ნიკო ნიკოლაძეს:

„სანამ დუმის სხდომა დაიწყებოდა, ამბავი შემომიტანეს: ქუთაისში დაუჭერიათ დავით მიქელაძე, ნიკო თავდგირიძე და კიტა აბაშიძე, მგონი, სხდომისა გამო, საცა უნდა ელაპარაკნათ კირიონზე. მომაგონდა გუბერნატორის ნათქვამი: "Они сходку устраивают с Тавдгиридзе и собирают обо мне сводки"

როგორც ჩანს, ქუთაისელთაგან სვოლოჩინსკიდ სახელდებულ გუბერნატორს მანამდეც ჰქონია ინფორმაცია ამ სამი თავადის ხშირად თავშეყრისა და ვითომ მასზე ცნობების მოგროვებისა. რისი შეგროვება უნდა დასჭირვებოდათ, როცა თვალნათლივ ხედავდნენ, რაც ხდებოდა, როგორ გეგმაზომიერად ცდილობდნენ ავტოკეფალიის იდეის გაქრობას ქართველობაში და იმ ადამიანთა დაჭერას, ვინც ამას ქადაგებდა.

ბუნებრივია, ხშირად შეიკრიბებოდნენ, სათქმელს იტყოდნენ, გულს მოიოხებდნენ, ერობის იდეით გატაცებულ გუბერნატორს შეუკურთხებდნენ.

დავით მიქელაძემ, ნიკო თავდგირიძემ და კიტა აბაშიძემ თავადაზნაურთა იმ კრებაზე კირიონის დევნის შეწყვეტა, მისი განთავისუფლება და ქვეყნის დედაბოძის — ეკლესიის დამოუკიდებლობა მოითხოვეს.

კრებასა თუ თათბირს არც გადაწყვეტილება მიუღია, არც

ოქმი შეუდგენია, უბრალოდ, ისაუბრეს თავადებმა, შეაფასეს მომხდარი, მოსალოდნელიც იგუმანეს და დაიშალნენ.

სლოვოჩინსკის ყურამდე მივიდა თუ არა ეს ამბავი, სასწრაფოდ სამივე პიროვნება ადმინისტრაციული წესით დააპატიმრა და ჩასვა ქუთაისის ციხეში. მსჯავრიც ჩქარა გამოუტანა, აქედან ვიატკის გუბერნიაში უნდა გაესახლებინათ. მართალია, საწადელს მიაღწია გუბერნატორმა, სამი მოწინააღმდეგე, მისი პოლიტიკის მტერი და ვითომ მასზე ინფორმაციის შემგროვებელი, ოთხ კედელში მოაყუჩა, მაგრამ გადასახლებას რაღაც იურიდიული საფენელი უნდოდა, ისე იმ უუფლებო დროშიც შეუძლებელი იყო ხელაღებით გახიზვნა ადამიანებისა, მრისხანე და ფარისეველ ადამსაც რაღაც საბუთი ჭიროდა საამისოდ.

ჭირდებოდა, მაგრამ არ გააჩნდა. არგუმენტად იმის მოტანა, რაც თავადებმა კრებაზე განაცხადეს, თუ მოწმეებიც არ დაუდასტურებდნენ, შეუძლებელი იყო.

რა უნდა ექნა, მართალია, ამბის მიმტანი ჰყავდა ალბათ, მაგრამ მოწმეობაზე იქნებ მანაც უარი განუცხადა.

უფრო მართალი რომ ვთქვათ, ჩამშვების გვარი უცნობია ჩვენთვის!

ის კი ვიცით, რომ დავით მიქელაძე დაიბარა და თხოვა, დაეწერა ყოველივე ის, რაც თავადაზნაურთა საგანგებო კრებაზე ილაპარაკა.

იქნებ ეგონა, თავადი იმპერიის სასიამოვნოდ მოიმარჯვებდა კალამს, ნათქვამს შეცვლიდა, ისე წარმოსახავდა ყოველივეს, რომ თავსაც დაიძვრენდა და უფალი გუბერნატორიც ხელს დაიბანდა—ააფრიალებდა მეველის დაწერილს, წააკითხებდა ზემდგომთ და ზემდგომთ, თავს დაიძვრენდა, მტერს კი მოყვარედ აქცევდა.

ასე ფიქრობდა იქნებ... ან სულაც ამ დაწერილს დაიჭერდა ხელთ და მზის სინათლეს აღარ ანახვებდა თავადს.

ან ერთია მართალი, ან—მეორე.

მაგრამ იმას ვერაფრით წარმოიდგენდა, რაც დავით მიქელაძემ მოიმოქმედა:

დაწერა ის, რაც თქვა და რაც ვერა, ან, უფრო სწორად, სურდა ეთქვა.

იონა მეუნარგია წერს, კირიონის დევნის შეწყვეტისა და საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნამ არ დააკმაყოფილა მიქელაძე და ქვეყნის ავტონომიაც მოითხოვაო.

მეველის ნაწერის წაკითხვისთანავე სლოვოჩინსკი გაშტერდა.

ხედავდა, მის წინ გმირი იდგა, იგი გადასახლებულიც და დაჭერილიც გმირად დარჩებოდა. გუბერნატორის მრისხანებას აზრი დაეკარგა, ფარისევლობაც უადგილო შეიქნა.

იდგა გაშტერებული.

ერთხანს ვერაფერს ფიქრობდა, გამართლებას ვერ უძებნიდა ქართველი თავადის ნამოქმედარს, ასე თუ ისე, იცნობდა ამ ერის წარმომადგენლებს, ყოველ შემთხვევაში, თვითონ ეგონა, რომ მათი ძლიერი და სუსტი მხარეები ზედმიწევნით მაქვს შესწავლილიო. მის თვალწინ ჩადენილ გმირობას ვერაფრით ამართლებდა.

იდგა უაზროდ, უფიქროდ, სარკმელში მოჭიატე მზის სხივს მიშტერებული.

თებერვალი იწურებოდა, მზის სხივებს სითბო ემატებოდა, მარტო კი არ ანათებდა, მიმკრთალი და მილეული, სითბოსაც აშუქებდა. 22 თებერვალი იყო, როცა ეს თავადი ციხეში ჩააყუდა. ეგონა, დაფრთხებოდა, შედრკებოდა, ჭკუას მოუხმობდა. რას იფიქრებდა, თუ ერთი კვირის მერე ამას მოიმოქმედებდა, ტუსაღობა თუ საბრძოლველად განაწყობდა.

ამას თავადაზნაურთა კრებაზე ხომ არ ჰგონია თავი—აი, პირველი აზრი, რაც გონებადაბინდულ გუბერნატორს გაუჩნდა, ამიტომ ძალა მოიკრიბა და შეუტია:

ყვიროდა, თან ცოფებს ყრიდა.

ციმბირით, ციხით, სამუდამო პატიმრობით დაემუქრა, გაბედულება დაუწუნა, ირონიულად, დამცინავადაც უთხრა რამდენიმე წინადადება

—ურუსეთოდ დაჭამთ, ყელებს გამოჭრით, უმტრობთ, სამარეს გაუთხრით ერთმანეთს, ჩვენ გაჩერებთ, გაბრკოლებთ, ველურებო, გგონიათ, ამნაირებით იმპერიის ძლიერებას შეარყევთ, ვერ მოგართვით, ხომ გაგიგონიათ, რაც მეტი იქნება დაწოლა, მით მეტი—ზეწოლა. ძალას ძალით დავუპირისპირდებით, ამასობაში ამოწყდებით...—ვეღარ გააგრძელა ყვირილი ბოლმამორეულმა გენერალ-გუბერნატორმა.

მეველემ მშვიდად უპასუხა:

—ქართველებს რომაელების, სპარსელების, მონღოლების, თურქების და სხვათა ბატონობა გადაგვიტანია, თქვენს ბორკილებსაც მოვისვრით ოდესმე, ნუ გგონიათ, დიდი ერი ხართ, —მეტი უნდოდა ეთქვა, მაგრამ სლოვოჩინსკის ჩაწითლებულ თვალებს შეეფეთა და შეყოვნდა.

—აქედან ყველანი უნდა გაგასახლოთ,—ისევ ყვირილზე გადავიდა ადამი.

—თქვენამდეც ბევრმა სცადა ქართველთა აყრა მშობლიური მიწა-წყლიდან, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, ჩვენი ბრძოლა ყოველთვის სამართლიანი იყო.—ისევ მშვიდად უპასუხა თავადმა.

—ერთმანეთს რომ მტრობთ?!—ჩაუსისინა.

—ესეც ჩვენი ხასიათია, თქვენთვის ძნელად გასაგები. ეს რომ არ გვჭირდეს, კარგა ხნის წინათ გადაგდენიდით კავკასიონს იქით.

გენერალი მიხვდა, საუბრის გაგრძელებას აზრი დაკარგვოდა. ეს ყვიროდა, ის მშვიდად პასუხობდა. ყვირილი და კივილი სისუსტის ნიშანიაო,—მოისაზრა და გაჩუმდა.

დავით მიქელაძე იჯდა გაუნძრევლად, თვალს აყოლებდა

სლოვოჩინსკის აქეთ-იქით ხეთქებას, მაგიდაზე მუშტების ბრახუნს.

ადამმა მერე გაიფიქრა, თუ ასეთი თავადნი არიან გუბერნიაში, კარგად ყოფილა ჩემი საქმე, ეს რომ შემიტყონ, ციმბირს უკან დამატოვებინებენ—ამ აზრმა გამოაფხიზლა, ძალა მოიკრიბა, ახლა მშვიდად გაუბა საუბარი მეველეს, დეტალურად გამოკითხა დაწერილი.

დავით მიქელაძე ენად გაიკრიფა, თქვა ისიც, რაც არც დაუწერია, და არც იმ საგანგებო კრებაზე უთქვამს, იქაც, გუბერნატორის კაბინეტში, დაწერილშიც უბრალოდ გამორჩა, აშკარად გამოხატა პროტესტი სლოვოჩინსკის გუბერნატორობაზე, იმპერიის იმპერიულ ზრახვებზე.

იონა მეუნარგიას არ უწერია, სვოლოჩინსკი თუ უწოდა, მაგრამ გაბრაზებულმა და რამდენიმე დღით ქუთაისის ციხეში დაყუდებულმა შესაძლოა ესეც პირში მიახალა ბიბლიური სახელის მატარებელ პოლონელს.

დამშვიდებულმა სლოვოჩინსკიმ ერთადერთი—სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებული სამივე პიროვნება სასწრაფოდ გაათავისუფლა.

იასონ ბაქრაძეს თუ დავუჯერებთ, ჯერ ნიჟარაძეს, წულუკიძესა და მდივანს გადაუვადეს ერთი კვირით გუბერნიიდან გასახლება, მერე თავადებმა მეფისნაცვალთან იშუამდგომლეს, რომელმაც ეს საქმე გაითხოვა ქუთაისიდან და მხოლოდ ამის მერე გამოუშვა ციხიდან სლოვიჩინსკიმ დაჭერილებიო. ამაშიც უნდა იყოს სიმართლის ნატამალი. ბუნებრივია, მეფისნაცვლის ჩარევის გარეშე გენერალ-გუბერნატორი თავზე ვერ აიღებდა ყოველივეს და გადასახლებამისჯილ თავადებს უმტკივნეულად ვერ და არც გაათავისუფლებდა.

კიდევ ერთი საგულისხმო ნაწყვეტი იასონ ბაქრაძის წერილიდან:

„ერთი სასაცილო ამბავი გადმომცეს, ვითომ სარწმუნო

წყაროდან, ადმინისტრაცია დარწმუნებულია, რომ ნიკონი ფედერალისტებმა მოკლეს, მისი მოკვლა შარშან 22 თებერვლის კრებაზე გადაწყვიტეს და წრეულს საპროტესტო კრებები გამართეს ქუთაისისა და თბილისის გუბერნიაშიო. ამგვარად, ყველას, ვინც კრებაზე დაესწრო, ადმინისტრაცია ფედერალისტებად რაცხავს, ასეთი საუცხოვო ცნობები აქვს ადმინისტრაციას და ასეთი აბდაუბდა წარმოდგენა პარტიების ფიზიონომიაზე".

ნიკონის მკვლელობას, კირიონის განთავისუფლების მერე, მართლაც დიდხანს აბრალებდნენ ფედერალისტებს. ამას მთავრობა იმით ხსნიდა, რომ საგანგებო კრების მონაწილე დაპატიმრებულთა და გასახლებამისჯილთა შორის ფედერალისტები ჭარბობდნენ. ჰოდა, მეტი რაღა უნდოდათ, თუ დაჭირდებოდათ, ყველას დაიჭერდნენ.

დაჭერილთა შორის დავით მიქელაძე გამოდგა კერკეტი კაკალი; გატყდა კი არა, უფრო გაკერპდა, ციხემ კი არ დააფრთხო და დააშინა, გულადობა შესძინა.

იონა მეუნარგია ნიკო ნიკოლაძეს ამ ამბავს ისე ჩვეულებრივად მოუთხრობს, ვითომც არაფერი, თითქოს მეველისგან სულაც არ იყო მოულოდნელი ამნაირი საქციელი. ეს ადრესატმაც კარგად უწყოდა, ამიტომ სასხვათაშორისოდ წერს, დაიჭირეს ამის გამო, დაწერა ის, რაც თქვა, რაც ვერ თქვა, ისიც დაუმატა და გუბერნატორმა გაათავისუფლაო.

არადა, ეს ამბავი სულაც არაა ჩვეულებრივი. მეველე, ბუნებრივია, ვერც იფიქრებდა, გუბერნატორი თუ მონღოლივით გაშტერდებოდა, ან, თუნდაც, თავის საზიანოს დაინახავდა ამ ამბავში და გაათავისუფლებდა.

დაჭერილი იყო, ციხიდან მოიყვანეს და უარესი საციხო და საკატორღო წერილი შეთხზა მბრძანებლის თვალწინ.

მერე ესეც არ აკმარა გუბერნატორსა და გენერალს—პირში მიახალა სიმართლე.

ერჩივნა, დაეჭირათ, გადაესახლებინათ, სიცოცხლე მოესწრაფებინათ, ვინემ სიმართლე არ ამოეთქვა, პირში არ მიეხალებინა, რასაც ფიქრობდა.

ასეთი იყო და იმიტომ.

იონა მეუნარგია კიდევ ვითომც მიქელაძის ერთ ჩვეულებრივ თავგადასავალს მოუთხრობდა ნიკო ნიკოლაძეს, უკომენტაროდ, მშრალად, ყოველგვარი ასხნა-განმარტების გარეშე.

არაჩვეულებრივი ჩვეულებრივად ქცეულიყო მათთვის და ამაში დავით მიქელაძის შეუდრეკელობა, პირდაპირობა და ვაუკაცობა გახლდათ „დამნაშავე".

ბუნებრივია, დავით მიქელაძემ იცოდა, რასაც იქმოდა, მშვენივრად გრძნობდა, რაც მოჰყვებოდა მის ნათქვამს. გუბერნატორის პირიდან ამოსული დათაფლული სიტყვებიც საშიში გახლდათ, მოფერება ციხეში ამოლპობას ნიშნავდა, განრისხება კი—წამიერ გაქრობას. ეს კიდევ არა მარტო ანრისხებდა, ცოფებს აყრევინებდა. ლამის იყო, დამბაჩა დაეძრო პოლონელს და სული გაეფრთხობინებინა განიარაღებული და მეამბოხე თავადისათვის.

მაგრამ რაღაცამ შეაჩერა, ხელ-ფეხი შეუბორკა, მისი ხასიათისა და აზროვნების კაცისათვის მოულოდნელი გადაწყვეტილება მიაღებინა. შემდგომში ხშირად უფიქრია სლოვოჩინსკის ამ ამბავზე—ერევანში რომ ეს გაებედნა ვინმეს, სულს გავაფრთხობინებდი, ბათუმშიც ავჩეხავდი, აბა, ქუთაისში რა ჯანდაბამ შემიკრა ხელ-ფეხიო,—ფიქრობდა.

დავით მიქელაძესაც უცდია, აეხსნა გუბერნატორის გადაწყვეტილება, მაგრამ საგულისხმო და ხელჩასაჭიდი ვერაფერი მოუძებნია. უბრალოდ, ჩემმა სიმართლემ შეაკრთო, გამძვინვარებული მხეციც ყოვნდება ხანდისხან თავზეხელაღებული კაცის თვალწინო, ფიქრობდა.

და კიდევ: 22 რიცხვი კარგად მაქვს დაცდილი, ადრე იყო და თავადაზნაურთა კრებაზე, 22 დეკემბერს, მთელი თავა-

დობა და აზნაურობა მივიმხრე, მელიქიშვილი გავაშავეთ, უფრო ზუსტად, გამოვააშკარავეთ, ახლა კიდევ, 22 თებერვალს, სასტიკი სლოვოჩინსკი წყობილებიდან გამოვიყვანე, მისი სურვილისა და მიზნის საწინააღმდეგოდ განვაწყვე, ორივე 22-ში მოხდა, კაი რიცხვია ჩემთვის ოცდაორი,—გაიღიმებდა გუნებაში.

იონა მეუნარგია კი — მერე რაო... ამგვარი სიმშვიდით აცნობებს ყოველივეს ნიკო ნიკოლაძეს. წერილში სხვა ამბებიცაა მოთხრობილი, რომელშიც მისი პოზიცია თვალნათლივაა გამჟღავნებული:

„ოსტროვის პრისტავი როზენბერგი გადაიყვანეს აქედამ და სამაგიეროდ გადმოიყვანეს სოხუმიდან პრისტავი მიქაბერიძე. ვაი, ჩვენი ბრალი. ერთი მიქაბერიძისგან არ ვიყავით და ახლა ორი გაგვიჩნდა. ეს სულ №1 არის. ქუჩერთან კაზაკი თურმე უზის". აქ ამჟღავნებს თავის აზრს, დამოკიდებულებას, იქ — არა.

დამოწმება კიდევ შეიძლება.

დავით მიქელაძის, ნიკო თავდგირიძისა და კიტა აბაშიძის დაპატიმრება, როგორც ვთქვით, თებერვალში მოხდა, იმ თვეში, როცა ზამთარს ძალა დაეკარგა, გაზაფხულს, პირიქით—მოემატა. თავადაზნაურთა საპროტესტო ხმაც გაძლიერებულიყო.

ისევ ნაწყვეტი წერილიდან:

„ქალაქი აჭრელებულია. გეგონება, ჭიაკოკონობა არისო... კანონი შევიდა ძალაში, ყოველ კაცს სახლზე ფარანი უნდა ჰქონდეს აკრული".

ესეც იმ დაჭერა-განთავისუფლების ახლო დღეებში მომხდარა. სმელსკიც მაშინ ჩამოსულა ფოთში კონცერტის ჩასატარებლად. „ვემზადებით სმელსკის კონცერტზე წასასვლელად, მინდა წავასხა მთელი უპრავა და ერთ რიადში გამოვჭიმო ყველანი демонстративно;"

რამდენი რამის დატევა შეუძლია ერთ წერილს ამ ამბებში ისე საყველპურროდაა ნათქვამი ქუთაისში მომხდარზეც.

ვითომც მერე რა...

კიდევ ერთი ამონარიდი:

„ოჰ, ნიკოჯან, მართალი ხარ, მთელი ჩვენი ჯანი და ღონე ქაღალდის წერაში მიდის, ასე ცხოვრება არ შეგვიძლია, სეკრეტარი უთუოდ უნდა ვიშოვოთ. მაგრამ სად ვიშოვოთ თეთრი შაშვი“.

თეთრი შაშვი ალბათ იმას ნიშნავს, სეკრეტარი ნაკარნახევს რომ არ გაამხელს, არ გაამჟღავნებს, საქვეყნოდ არ გამოიტანს.

მე ასე მგონია და რა ვიცი.

ეტყობა, სლოვოჩინსკისაც არ ჰყავდა თეთრი შაშვი...

კარგი და მრავლისმეტყველი ფრაზაა:

თეთრი შაშვი.

ეპილოგი

მეველე ერთ-ერთი პირველი ქართველი მწერალი და მოღვაწეა, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ქართულ სინამდვილეში პუბლიცისტური სტილის დამკვიდრებას. მისი ნაწერი გამოირჩეოდა მგზნებარებით, შინაგანი მუხტით, ამბავის გადმოცემის ბუნებრივობით. ჰქონდა საკმაო ალღო და უნარი ეგრძნო პუბლიცისტური პასაჟების სიმახვილე და ხატოვანება. ბარემ ვიტყვით, მისი პუბლიცისტიკისათვის საკითხის განზოგადება იყო ნიშანდობლივი, ნაწერი უფრო მხატვრულ თხზულებას ჩამოგავდა, ვიდრე მშრალ და სქემატურ საგაზეთო სტატიას.

წერდა ემოციურად, მისი ზამბარასავით შეკუმშული ფრაზა მკითხველთა გონებაში იშლებოდა. სტილს ხშირად ეტყობოდა დამწერის სიბრაზე, მღელვარება, მაგრამ ესეც განგებ ხდებოდა, რამეთუ სიბრაზეცა და მღელვარებაც იყო გადამდები, ავტორის დარად რომ მოემართა და განეწყო მკითხველები. ყველაფერს, რასაც ფიქრობდა, მიუკიბ-მოუკიბავად, მკაფიოდ წერდა და ამბობდა. ამიტომ ნათქვამს მსმენელი, ნაწერს კიდევ მკითხველი მოჰყავდა აღტაცებაში. ისიც უნდა ვთქვათ, რომ მეველეს სტატიათა აღქმას გარკვეული განათლების ადამიანი ჭირდებოდა, მაგრამ მისი, როგორც პუბლიცისტის, წერის მანერა არასოდეს ყოფილა მდაბლური, პირიქით, ცდილობდა მისთვის გაეგოთ და აღექვათ, ვიდრე თვითონ დაშვებულიყო მათ დონემდე.

დავით მიქელაძე იყო ერთ-ერთი თერგდალეულთაგანი, რომელმაც ახალი ქართული ენის შექმნასა და დაფუძნებაში საკუთარი წვლილი შეიტანა. მისი ენა, ზოგიერთ მის მეგობარ-

თა მსგავსად, იყო ხალხური, უფრო ხალხურს მიახლოებული, ლაღი, ყველასათვის ადვილად გასაგები, ტევადი, რომელთა მეშვეობით ძალიან ხშირად ზუსტი და მიზანში მოხვედრილი ფრაზები აიკინძებოდა ხოლმე.

ორატორიც დიდებული გახლდათ.

მისი გამოსვლები მჭერმეტყველების ნიმუშიაო,— წერენ. მართლაც ასე უნდა ყოფილიყო. მისი სიტყვების, რომლებიც მიტინგზე ან რომელიმე შეკრებაზე წარმოუთქვამს, უბრალო ანალიზიც დაგვარწმუნებს ამაში. აღმავალ აღმაფრენას კიდეც უნდა მოეხიბლა მსმენელი, და კიდევ, ორატორის მისამხრობადაც განეწყო.

დავით მიქელაძის ოთხმოქმედებიანი დრამა „ხაფანგიც" იმ პერიოდში შექმნილ დრამატულ თხზულებებს მხატვრული დონით არ ჩამოუვარდებოდა. მარტივი, ლაკონური დიალოგით, პერსონაჟთა ხასიათების სიმკვეთრით გამორჩეული ეს თხზულება სცენაზეც არაერთხელ გასახიერებულა. შეფასებებიც იყო დადებითი და იმ ღირსებათა აღმნუსხავი, რაც ამ სცენიურ დადგმასა და მხატვრულ თხზულებას ახასიათებდა.

„ხაფანგი" 1899 წელს აკაკიმ დაბეჭდა თავის „კრებულში", რაც, ასე თუ ისე, იმასაც ნიშნავდა, რომ მის მხატვრულ დონეს დიდი მგოსანიც იწონებდა. ყოველ შემთხვევაში ის დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დრამაში გამჟღავნებული აზრი ახლოს იყო აკაკის მსოფლხედვასთან.

თარგმანიც მშვენიერი დატოვა. ამ საქმეშიც მისი შემოქმედებითი პრინციპი ზუსტი და მართალი გახლდათ—ასლი ორიგინალთან ყოფილიყო დაახლოებული. „მეუფება წყვდიადისას" თარგმნაც მისი მაღალი მხატვრული გემოვნების დასტურია.

მეტის ქმნა შეეძლო.

მხატვრული თხზულებანიც ბლომად უნდა დარჩენოდა,

თარგმანებიც, მისი ნიჭისა და გაქანების ადამიანისათვის ამის მიღწევა ადვილზე ადვილი უნდა ყოფილიყო.

რაც დატოვა, ისიც დიდია, მნიშვნელოვანი. თამამად შეგვიძლია, დავით მიქელაძე ქართული პუბლიცისტური აზროვნების ერთ-ერთ მესაძირკვლედ წარმოვსახოთ.

გამორჩეული მწერალი გამორჩეული ცხოვრებით ცხოვრობდა. იმ დროებაში ზოგიერთთაგან უკუგდებულ, მაგრამ მარადიულად ხანიერ იდეალებს ერთგულებდა.

ხან ყოველდღე წერდა, ფიქრობდა, მსჯელობდა, ხან კიდევ რომ არ დაშტამპულიყო, ყველაფერს განერიდებოდა. ესეც სტილი გახლდათ მისი ცხოვრებისა. დასვენებული, ენერგიამოძალებული, ახალი თვალით აფასებდა მოვლენებს.

სიცოცხლის ბოლო წლები ქუთაისში გაატარა.

ჯანი შეერყა. ძველებურად ვეღარ ბობოქრობდა საზოგადოებრივ სარბიელზე, თუმც მოვლენებს აყურადებდა, არ ჩარჩენილა მეცხრამეტე საუკუნეში, მსოფლიო მოვლენების კარგად მცოდნეს შეეძლო ბევრი რამის წინასწარ ჭვრეტა, თუმც სამშობლოს იმდროინდელ მდგომარეობაში მაინც ვერ ერკვეოდა. უკვირდა, რატომ ყელყელაობდნენ ისინი, ვისაც ქვეყანა, მისი მომავალი ფეხებზე ეკიდათ, უფრო ის აინტერესებდათ, თანამდებობები ეგდოთ ხელთ, კენწეროზე მოქცეულიყვნენ და იმაზე სულაც არ ნაღვლობდნენ, რა დღეში იქნებოდა ქართველი ერი, როგორ მოღონიერდებოდა ეკონომიურად, აყვავდებოდა კულტურულად.

დავით მიქელაძე პირველი მსოფლიო ომის წლებშიც ხშირად გამოსულა თავადაზნაურთა კრებაზე, უთქვამს ის, რასაც ფიქრობდა,—რომ ნებისმიერი ომის დროს საქართველო ფრთხილად უნდა ყოფილიყო, რამეთუ არაფერი ჰქონდა დასაკარგი და სხვათაგან წარსატაცი. ამ აზრს გაზეთებითაც ეუბნებოდა ქართველობას, თუმც ბოლო წლებში იშვიათად, უფრო აღარ წერდა. აკვირდებოდა მოვლენებს, არ აფიქსირებდა თავის აზრსა და შეხედულებას.

ხშირად უნახავთ ქუთაისის ბულვარში ახლობელთა წრეში მოქცეული დავით მიქელაძე, რომელსაც უკვე სიდინჯე შეპარვოდა ხმაში, ომისა და რევოლუციების ეპოქას ფრთხილად ადევნებდა თვალ-ყურს.

მეგობრები შემოაკლდა. ახალგაზრდების ერთი ნაწილი არც იცნობდა, ან წინა საუკუნის მოღვაწედ სახავდა, უცოდინარნი და გაუნათლებელნი მასთან დიალოგს გაურბოდნენ, ბულვარშიც შორიდან გახედავდნენ, მიკარებას ეკრძალვოდნენ. ეს იდგა თანამოაზრეებით გარშემორტყმული და მსჯელობდა მსოფლიოს ამბებზე, ბევრს გამოკიდებია კამათის დროს, ისე კულტურულად გაულან-ძღავს, ვერც მიხვედრილა. მერე უფრო გასაგებად უთქვამს ის, რაც წინათ რომელიღაც ენაზე თქვა და ახლომყოფნიც ახარხარებულან.

თანათაობელი ქუთათურები კრძალვით ეპყრობოდნენ, იცოდნენ მისი ღვაწლისა და ამაგის ამბავი.

ბოლოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში ჰპოვა ნავსაყუდელი. ბუნებრივიცაა, დავით მიქელაძის მსოფლხედვის მქონე ადამიანისათვის იმჟამინდელი სხვა გაერთიანება თუ პარტია უცხო უნდა ყოფილიყო. გაწევრიანდა იმათთან, რომელთა შეხედულება უფრო მართალი ეჩვენებოდა, რომელნიც უმეტესად ერთგულებდნენ სამშობლოს.

ამაშიც არ შემცდარა.

არ ვიცით, როგორ შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობას. სავარაუდოა, მძიმედ იყო ავად (მემუარისტებიც ასე გვეუბნებიან), თორემ მისი ხასიათის კაცი შეუძლებელია გაჩუმებულიყო, წერილს თუ ვერ დაწერდა, სიტყვით მაინც არ გამოეხატა ვინმესთან ნაოცნებარის ახდენის სიხარული.

დამოუკიდებლობას მიესალმებოდა. სოციალ-დემოკრატებს კიდევ ერთხელ შეუკურთხებდა. ვერც სიხარული გამოხატა, ვერც ორივენაირ სოციალ-დემოკრატთა ნამდვილი სახე აჩვენა თანამედროვეებს. საქართველოს დამოუკიდებ-

ლობის გამოცხადებიდან ექვს თვეში, 1918 წლის 25 ნოემბერს, მძიმედ ავადმყოფი, აღესრულა კიდეც.

ქუთაისის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საგებურნიო კომიტეტის (თავმჯდომარე ალ. თორაძე) თხოვნითა და ქუთაისის საეპარქიო მმართველობის საბჭოს (თავმჯდომარე დეკანოზი ივლიანე აბესაძე) დასტურით დავით მიქელაძე (მეველე) 1918 წლის 28 ნოემბერს ქუთაისის მთავარანგელოზის საკრებულო ტაძრის გალავანში დაკრძალეს.

სამუდამო ნავსაყუდელიც ორჯერ გამოიცვალა.

მთავარანგელოზის ეკლესია ბოლშევიკებმა მიწასთან გაასწორეს. ამიტომ მის გალავანში დაკრძალულნი, მათ შორის დავით მიქელაძეც, ბაგრატის ტაძრის ეზოში გადაასვენეს. მერე კიდევ ერთხელ შეუცვალეს სამუდამო საძვალე და მეველემ საბოლოოდ მწვანეყვავილას პანთეონში დაიდო ბინა.

დავით მიქელაძე მის დროებაშიც და მერეც უფრო პატივდებული უნდა ყოფილიყო. მისი სახელი ქუჩას ჰქვია მხოლოდ ქუთაისში, არც სახლ-მუზეუმი არსებობს, არც პუბლიცისტური მემკვიდრეობაა სათანადოდ გამოცემულ-შესწავლილი. რომელიმე პერსონაჟის პროტოტიპადაც არ ქცეულა.

მეველე ნისლის ტიხარს იქითაა, აქეთ გვარ-სახელები კაშკაშებენ, იქით ნისლს შეუბურავს.

ნისლის ტიხარი...

სარჩევი

პროლოგის მაგიერ 3

თავი პირველი
ბუნებათანაზიარი 6

თავი მეორე
ტრა-ლა-ლა-ლა 34

თავი მესამე
რიდი რაინდისა 72

თავი მეოთხე
ათვალწუნებული ფელეტონისტი 101

თავი მეხუთე
მენავისა და მგზავრების ამბავი 114

თავი მეექვსე
გაწბილებული აშიყის ლანდი 131

თავი მეშვიდე
ბაიკის ბაიკოვი 147

თავი მერვე
ურწმუნოს ხორცის მჭამელი 156

თავი მეცხრე
ყავახანაში მოთხრობილი ამბავი 197

თავი მეათე
წყაროს წყალივით ლოდებს
შემსკდარი და განტოტვილი 205

თავი მეთერთმეტე
გრძელი ღამე და მოკლე დღე 242

თავი მეთორმეტე
თეთრი შაშვი 265

ეპილოგი 282

მხატვრული
რედაქტორი ლევან ჩიხლაძე

კორექტორი ლია შერგელაშვილი

გადაეცა წარმოებას 11.01.2009,
ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.01.2009,
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 19,

შეკვეთა №59 ტირაჟი 300

ქუთაისის შპს „ხომლი ენ"-ის სტამბა
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33.